


**წერილები დროითი და
სივრცითი ენსტანსეიონს –
უკვდავია ჩვენი
მეგობრობა...**



Վերջին օրերից հետո Դիտրիխ Կոլմարը
Լայպցիգից հեռացավ



**წერილები დროითი და
სივრცითი დისტანსიდან –
უკვდავია ჩვენი
მეგობრობა...**

თბილისი
Tbilisi
2022

ნიგნში ასახულია ქართველი საზოგადოების წარმომადგენელთა შთაბეჭდილებები, რომლებიც გამოიწვია ცნობილი პოლიტიკური მოღვაწისა და ქართველოლოგის, თაობების აღმზრდელის, პროფ. ტარიელ ფუტყარაძის (1960-2021) მოულოდნელმა გარდაცვალებამ.

ნიგნის ღირებულებას განსაზღვრავს თანამედროვეთა გულწრფელი ემოციით გაჯერებული ობიექტური შეფასებები, რომლებიც თვალნათლივ წარმოაჩენს ეროვნული პოლიტიკური და სამეცნიერო-საგანმანათლებლო კურსისათვის მებრძოლი მუშაკის სახეს, მის ორიენტირებს, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის.

რედაქტორები:

იამზე ვაშაკიძე

კავკასიის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ლუიზა ხაჭაპურიძე

აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

კესო გეჯუა

ფილოლოგიის დოქტორი,
ქართული უნივერსიტეტის
ასოცირებული მკვლევარი

გამომცემლობა გრიფონი

ISBN 978-9941-499-15-9

წინასიტყვაობა

„სიცოცხლე უნდა ქარიშხალს ჰგავდეს...“ – ეს სიტყვები ყველაზე უკეთ მიესადაგება ტარიელ ფუტყარაძეს, რომელმაც თავისი ბობოქარი, მოუსვენარი ცხოვრება უანგაროდ მიუძღვნა დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე შემდგარ სამშობლოს, სხვადასხვა სახელმწიფოს საზღვრებში გაფანტული ქართველობის ერთიანობის იდეას, იმპერიული წნეხისგან თავისუფალი ქართველოლოგიური კვლევების განვითარებას, ახალგაზრდა თაობის აღზრდას...

ხშირად ეკითხებოდნენ:

– როგორ ცხოვრობ?

პასუხი:

– ისე, როგორც რიგითი ქართველი...

თავის საკუთარ ცხოვრებად აქცია საქართველოს ისტორიული ქარტეხილები:

1978 წელი – სახელმწიფო ენის კონსტიტუციურ უფლებათა შეზღუდვის წინააღმდეგ მიმართული გამოსვლები; ეროვნული მოძრაობის აღმავლობა – 1989 წლის 9 აპრილის ღამე, დარბევა... მიტინგები, აქციები;

უზენაესი საბჭოს არჩევნები... პარალელურად – ქართული განათლების ახალი კერის, ახალციხის უნივერსიტეტის, დაბადება;

ბათუმის პრეფექტობა... 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი... 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმოწერა, შემდეგ ეროვნული ხელისუფლების მძიმე ნაბიჯები – მალტის გარიგების უპერსპექტივო ველში მიტოვებული საქართველო;

ბათუმის არეულობა... ტელევიზიასთან ოპოზიციის მანიპულირება გაუცნობიერებელ მოსახლეობაზე და ეროვნული მუხტის დაქვეითების მცდელობა; კარვები მთავრობის სახლის წინ და საქართველოს პირველი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას მიერ რუსული იმპერიული პოლიტიკის სააშკარაოდ მხილება;

სამხედრო გადატრიალება, ეროვნული ხელისუფლების მხარდაჭერი მიტინგების დახვრეტა, დევნილობა... უსამსახურობა, თითქოს „ცხოვრების ნახევარგზაზე შემოაღამდა“ ...

ბოლოს, გულისხმიერი კოლეგების რეკომენდაციით – ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილი დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელობა, მოგვიანებით კი საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლასთან ქართველოლოგიის ცენტრის ამოქმედება;

სიმპოზიუმები, კონფერენციები, ქართველური მემკვიდრეობის შემნახავი კრებულებისა და სხვა პერიოდული გამოცემების დაარსება;

მომავლის იმედის – ახალგაზრდა თაობის აღზრდაში უშურველად გაღებული ენერგია; დიალექტოლოგიური ექსპედიციები (რომლებიც მინდორში გაბნეული ყვავილებისგან სათაფლე ნექტრის შეგროვებას ჰგავდა), დედასამშობლოს მონყვეტილ ტაო-კლარჯეთსა და შორეულ ფერეიდანში გადარჩენილი ქართული სულის აღორძინებისათვის ბრძოლა...

წინაპართა ნაკვალევის ძიება... თამარის დროინდელი, საქართველოს კუთხეთა დამაკავშირებელი ისტორიული გზის აღმოჩენა, დიდგორობას ჯვრის აღმართვა ძველ ნაეკლესიართან ხალხისთვის თავდადებული გმირი ქალის ხსოვნის უკვდავსაყოფად... ახალი პერსპექტივით დანახული „ნაშთი ძველი დიდებისა“...

რაც ვერ მოასწრო, ორიენტირებად ქცეულ ჩანაწერებში გადაიტანა...

ღირსეულად მიიღო ყველა გამონვევა, რომელთა წინაშეც დგას ჩვენი თანამედროვე საზოგადოებრიობა და ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი მოქალაქეობრივი პრინციპების.

„გულსაკლავია, რომ დაგვტოვა, მაგრამ რა დიდი რამ დაგვანახვა?! მისმა გარდაცვალებამ საუკუნეებში გაფანტული ქართველობა გააერთიანა!

ანუ, ერის კაცები კიდე გვყოლია!“

იამზე ვაშაკიძე

კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ლუიზა ხაჭაპურიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

კესო გეჯუა

ფილოლოგიის დოქტორი,
ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული მკვლევარი



საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართულ უნივერსიტეტს, ბატონ ტარიელ ფუტყარაძის
ოჯახის წევრებსა და ახლობლებს

ბატონი ტარიელის გარდაცვალებამ ყველას დიდი ტკივილი დაგვიტოვა,
რადგან იგი იყო ქართული ენისა და კულტურის დაცვისთვის, ჩვენი ერის
ერთიანობისთვის დაუღალავი მუშაკი.

აღვუვლენტ ღოცვებს, რათა უფალმან სავანესა მართალთასა დააწესოს
მისი უკვდავი სული, ხოლო თქვენ მოგმადლოთ ჭირსა შინა სიმტკიცე და
ურყევი რწმენა მარადიული ჭეშმარიტი ცხოვრებისა, რომლის მკვიდრიც
ბატონი ტარიელი უკვე გახდა.

პატივისცმით,

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

05.01.2021

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეკლარაციის განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეკლარაციები ღრმა მწუხარებას გამოვხატავთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდენტის ნევერის, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმოწერილი დეკლარაციის, მეცნიერ-პედაგოგის, დოქტორის, პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას ვუცხადებთ ოჯახს, სრულიად საქართველოს.

ბატონმა ტარიელ ფუტყარაძემ, როგორც მეცნიერმა, პედაგოგმა, პარლამენტარმა, მამულიშვილმა, პირნათლად მოიხადა ვალი საკუთარი სამშობლოს წინაშე, ყველაფერი გააკეთა ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ღირსეული თანადგომა გაუწია ეროვნულ გმირ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ბატონი ტარიელ ფუტყარაძე 1990 წლიდან იყო ჰელსინკის კავშირის წევრი, უზენაესი საბჭოს დეკლარაცი, ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე, მუშაობდა ბათუმის პრეფექტის თანამდებობაზე (1991), 1991-92 წწ. პუტჩის შემდგომ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას, მონაწილეობდა დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს, ზუგდიდის, თბილისის სესიებში, კანონიერი ხელისუფლების ლეგიტიმურობის შენარჩუნების მიზნით უარი თქვა სადეკლარაციო პენსიის მიღებაზე. იგი იყო თსუ-ს ახალციხის ფილიალის თანადამფუძნებელი, ქართული ენის კათედრის პირველი გამგე, ქუთაისის დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი (1993-2011), თსუ-ს პროფესორი (2000), საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი. მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულია არაერთი სამეცნიერო კონფერენცია, სიმპოზიუმი, გამოქვეყნებული აქვს 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი (მონოგრაფიები, სახელმძღვა-

ნელოები); ხელმძღვანელობდა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს, განსაკუთრებით ნაყოფიერად თანამშრომლობდა ირანსა და თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან, ფერეიდნელებთან, ლაზებთან...

კიდევ ერთი, სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილი გადავიდა მარადისობაში...

„ნმინდააა იგი, ვისაც ეღირსა მამულისათვის თავის დადება!“

ტარიელ ფუტკარაძის სახელი დაფიქსირებულია მე-20 საუკუნის საქართველოს მთავარ მონაპოვარზე – დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე და ოქროს ასოებითაა შესული მისი სახელი საქართველოს ისტორიაში.

დეპუტატები:

1. ნემო ბურჭულაძე;
2. ბიმურზა დადეშქელიანი;
3. თეიმურაზ გვანცელაძე;
4. რევაზ კემულარია;
5. ჯემალ იონათამიშვილი;
6. ზურაბ ძონენიძე;
7. ჯემალ შონია;
8. გოგი ჩიქავა;
9. ივანე ტურაშვილი;
10. ნოდარ ნონიაშვილი;
11. გურამ მაქაცარია;
12. გურამ ისაკაძე;
13. ბეჟან ჯავახია;
14. ვახტანგ ცაგარეიშვილი;
15. გია მამფორია;
16. ნუგზარ შავთვალაძე;
17. ალექსანდრე ვარძელაშვილი;
18. თამაზ ობგაძე;
19. მედეა თუმშალიშვილი;
20. თენგიზ ჩაჩავა;
21. ავთანდილ კვეციანაძე;

23. გივი თაქთაქიშვილი;
24. ალექსანდრე ვარძელაშვილი;
25. ზურაბ გიგოლაშვილი;
26. ნუგზარ მგალობლიშვილი;
27. თეიმურაზ მჟავია;
28. თეიმურაზ ლორთქიფანიძე;
29. ალექსანდრე ჟღენტვი;
30. ვლადიმერ მირცხულავა და სხვები.

2021 წელი, 3 იანვარი, თბილისი.

ქალაქ თბილისის მერს,
ბატონ კახა კალაძეს

საქართველოს სახელმწიფოებრივი
დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის
(1991 წლის 9 აპრილის აქტის) ხელ-
მომწერ დეპუტატთა

შუამდგომლობა

ბატონო კახა!

ა.ნ. 2 იანვარს გარდაიცვალა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ხელმომწერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი და ამავე უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი ტარიელ ფუტყარაძე.

პროფ. ტარიელ ფუტყარაძე იყო გულანთებული პატრიოტი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კაცი, საზოგადოებრივად აქტიური პიროვნება, სანიმუშო პედაგოგი და ქართული ენის გამორჩეული მკვლევარი. იგი ავტორი და თანაავტორია 18 მონოგრაფიისა, რომლებშიც ახლებურადაა განხილული ქართული ენის ისტორიისა და ფუნქციონირების აქტუალური საკითხები.

ტ. ფუტყარაძე იყო საქართველოს რესპუბლიკის პირველი მონწევის უზენაესი საბჭოს წევრი და 1991 წლის 9 აპრილს ამ სტატუსით მოაწერა ხელი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტს. 1991 წელს იყო ქალაქ ბათუმის პირველი პრეფექტი.

ტ. ფუტყარაძე სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს მრავალ უმაღლეს სასწავლებელში, სადაც დაარსებული აქვს ქართველოლოგიური კვლევის ცენტრები, რომლებიც იმთავითვე სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით:

მისი აქტიური მონაწილეობით 1990 წელს დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი, სადაც განაგებდა მის მიერ დაარსებულ ქართული ენის კათედრას;

1992 წელს დაინიშნა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად;

საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით შექმნა ქართველოლოგიის ცენტრი...

მისივე დაარსებულია მრავალი ქართველოლოგიური სამეცნიერო ფორუმი და სამეცნიერო-პერიოდული კრებულები: „ქართველური მემკვიდრეობა“, „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“...

ტ. ფუტყარაძემ აღზარდა ათეულობით ბაკალავრი და მაგისტრი, მისი ხელმძღვანელობით დოქტორის აკადემიური ხარისხი დაიცვა 23-მა ახალგაზრდა მკვლევარმა.

განსვენებული გამოირჩეოდა სიახლისადმი სწრაფვით, ახალგაზრდული შემართებით, მებრძოლი სულით, ყოველივე ქართულის უსაზღვრო სიყვარულით.

ბატონო კახა, ჩვენ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ხელმომწერები მივიჩნევთ, რომ ასეთი მასშტაბის საზოგადო და სამეცნიერო მოღვაწე ღირსია, განისვენებდეს თბილისში, მახათას მთაზე მდებარე ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძართან არსებულ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

გთხოვთ, განიხილოთ და დააკმაყოფილოთ ჩვენი შუამდგომლობა.

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრები, დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ხელმომწერები:

1. თეიმურაზ გვანცელაძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

2. ნუგზარ მაგალობლიშვილი – აფხაზეთის ა.რ. უმაღლესი საბჭოს განათლებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე;
3. ბიმურზა დადეშქელიანი-აფრასიძე – სოციოლოგიის დოქტორი;
4. გურამ მაქაცარია;
5. თამაზ ყურაშვილი;
6. ჯემალ იონათამიშვილი;
7. რევაზ კემულარია;
8. ჯემალ შონია;
9. გურამ ისაკაძე;
10. ზურაბ სანიკიძე;
11. თემურ მჟავია;
12. თემურ ლორთქიფანიძე;
13. პაატა ჩხეიძე.

კონსტანტინე გამსახურდია

(საქართველოს დესპანი გერმანიაში)

მწუხარებით შევიტყვე ტარიელ ფუტკარაძის, საპატრიარქოს უნივერსიტეტის პროფესორის, მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, პოლიტიკოსის, უზენაესი საბჭოს წევრის და დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერის გარდაცვალება და დაფიქრდი – ეს ადამიანი ხომ 60 წლის იყო, რატომ ასე ნაადრევად გარდაცვალება? მაგრამ საქართველოს გადაუარა ნამდვილმა ისტორიულმა გრიგალმა – და სიმართლის მსაჯულის განაჩენები – ცოტა ხევსურული ზეპირსიტყვიერების პროსოდიით რომ ვთქვათ – გარკვეული კატეგორიის ადამიანთა სრულიად არამარტივ ყოფაზე და მათ ჯანმრთელობაზე შესაძლოა მიძიმედ ასახულიყო.

გარდა იმისა, რომ ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა ქართველოლოგიური კვლევების მიმართულებით, ბატონი ტარიელი ყოველ წელს აწყობდა მეცნიერულ სიმპოზიუმებს, რომლებზეც თემატიზებული იყო საქართველოს დამოუკიდებლობისთვის წარმოებული ბრძოლა, ეროვნული მოძრაობის ისტორია და მისი დამფუძნებელი მამების საინტერესო ბიოგრაფიული მომენტები, ასევე სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების სიღრმისეული მიზეზების კვლევა. იგი თვლიდა, რომ 1991-1992 წლების მიჯნაზე, ასევე შემდგომ განვითარებული მოვლენების შეფასება არ უნდა მოხდეს მხოლოდ დეკლარაციულ დონეზე, არამედ ის სასამართლოს წესით უნდა შეფასდეს.

სხვათა შორის, მთავრობის სასახლეზე ორკვირიანი საარტილერიო და სარაკეტო იერიშებისას 1991-1992 წლების მიჯნაზე ტარიელ ფუტკარაძეს არ დაუტოვებია თავისი სამუშაო კაბინეტი.

ბატონი ტარიელი აკადემიური სფეროდან მოვიდა ეროვნულ მოძრაობაშიც და ხელისუფლებაშიც. ამ მოძრაობის ძირითადი კოჰორტაც აკადემიური სივრციდან იყო – საკმარისია გავიხსენოთ ის მეცნიერები და პროფესორები, რომლებიც პოლიტიკის გარეშეც შემდგარი ადამიანები იყვნენ და ასეთებად დარჩნენ თანამემამულეთა თვალში. მათ გადატრიალების შემდეგაც წარმატებულად

გააგრძელეს თავიანთი საქმიანობა. ოპონენტების იქედნური ქირქილიც მახსოვს, „ქუჩის ოპოზიციაო“, „ქუჩის ურაპატრიოტების მოძრაობა“... ტარიელ ფუტკარაძის გარდაცვალება მათ ხსოვნასაც წამოსწევს ჩვენს მეხსიერებაში: ვახტანგ ბოჭორიშვილი, თენგიზ კიკაჩიშვილი, თემურ ქორიძე, ტარიელ გელანტია, ვიქტორ დომუხოვსკი, შალვა (შუქრი) აბზიანიძე, გია მაისაშვილი, ირაკლი ჩხეიძე, თემურ ჯანელიძე, აკაკი მათიაშვილი, ნათელა ქუთელია, მერაბ საყვარელიძე, გოგი ოჩიაური, მაია მაჭავარიანი, ავთანდილ პოპიაშვილი, დავით ტაბიძე, იური ბურკაძე, ედუარდ ჯანელიძე, ვიქტორ ფხალაძე... მომიტევეთ, თუ ვინმე გამომჩინა. მათ ასევე დაწერეს ეროვნული განახლებისთვის და თავისუფლებისთვის წარმოებული ბრძოლის ისტორია.

და ბოლოს მინდა თხოვნით მივმართო თბილისის მერიას – ბატონი ტარიელ ფუტკარაძის ნეშტი დაიკრძალოს მახათას მთის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

განათლებისა და კულტურის ცენტრები

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტატი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება ცნობილი მეცნიერის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის, პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის გარდაცვალებას.

მძიმე და მტკივნეულია ეს დანაკლისი სამეცნიერო საზოგადოებისათვის, სტუდენტი ახალგაზრდობისათვის. ის ერთგულად ემსახურა თავის ქვეყანას, იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი.

ყოველთვის იმედიანი და დაუღლელი მებრძოლი... საუკუნოდ იყოს ხსენება მისი!

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტატის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი დიდ მწუხარებას გამოთქვამს პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის გარდაცვალების გამო.

ვუსამძიმრებთ ოჯახს და სრულიად საქართველოს!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტატის სანათმეცნიერო საუბრაბის მოყვარულთა კლუბი

ქვეყნის დასაბამიდან მოყოლებული, კაცობრიობას არაერთი სტიქიური უბედურება თუ პანდემია დასტეხია თავს! ჩვენი პატარა სამშობლოც, საქართველოც, ყოფილა ამ ქარტეხილების მონმე და მონანილევც... მაგრამ ახლა დღევანდელი თაობაა მომწონრე ამ მძიმე განსაცდელისა, რომელმაც სრულიად მოულოდ-

ნელად გამოსტაცა ქართულ ენათმეცნიერებასა და საერთოდ, საქართველოს საუნივერსიტეტო საზოგადოებას ახალგაზრდა, სულიერად და ფიზიკურად ძლიერი პიროვნება, თავისი რწმენისა და მეცნიერული პრინციპების უკომპრომისო და გაბედული დამცველი; ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, შემდეგ კი ქართველოლოგიური ცენტრის დამაარსებელი; საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი; სერიული სამეცნიერო გამოცემების: „ქართველური მემკვიდრეობა“, ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის „ნელინდეული“, „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“ დამაარსებელი – პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე.

მეტად დასანანი, სამწუხარო და გულსატკენია, რომ პროფესორ ტარიელ ფუტკარაძესთან ენათმეცნიერების პრობლემურ საკითხებზე საინტერესო მსჯელობა და საუბრები დააკლდებათ და ამ საუბრებს ვეღარ მოისმენენ ჩვენი „საენათმეცნიერო საუბრების“ მოყვარულები.

ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის ცენტრი [İNEGÖL KAFKAS FOLKLOR & KÜLTÜR DERNEĞİ]

საქართველომ უძვირფასესი შვილი დაკარგა. პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე: ქართველოლოგი, საბჭოთა კავშირის ბოლო წამს, 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ერთ-ერთი ხელმომწერთაგანი, თურქეთის ქართველთა მეგობარი, მეცნიერი, რომელმაც მნიშვნელოვანი კვლევები ჩაატარა ჩვენს ქვეყანაში და ინეგოლში მცხოვრები ქართველების შესახებ; იგი, სამწუხაროდ, კორონა ვირუსით გარდაიცვალა. ვუსამძიმრებთ მისი ოჯახის წევრებს. ღმერთმა გაანათლოს მისი სული.

[Gürcistan değerli bir evladını yitirdi. Kartvelolog, Sovyetler Birliği içindeki Gürcistan'ın 1991 yılındaki bağımsızlık akdinde imzası bulunanlardan, Türkiye Gürcülerinin dostu ve aynı zamanda ülkemizde ki ve inegölümüzde ki Gürcüler Hakkında önemli araştırmalarda bulunan Prof.Dr. Tariel Putkaradze maalesef, korona hastalığına yenik düştü. Kendisine yüce Allah'tan rahmet sevenlerine başsağlığı diliyoruz.]

ისრაელის ქართული ხელოვნების ცენტრი

ერს გარდაეცვალა ტარიელ ფუტკარაძე და საკვირველი ის არის, როგორ შეძლო მან ამ გაუფასურებულ წუთისოფელში, სრულიად საქართველოს ეგლოვა?!

საქართველოს მე მარტო ტერიტორიული ნიშნით კი არ ვგულისხმობ! აბა, შეიხედეთ ფერეიდნელი და თურქეთელი ქართველების გვერდზე, ყველა იჩემებს, ძმას გლოვობენ. უდავოდ, დიდი პატრონი გარდაეცვალათ! როგორ აზიდა ამხელა სიყვარული?!

უკვალოდ არ უნდა გაქრეს მისი ნაღვანი! იქნებ მის კვალში ჩადგნენ კიდევ, მაგრამ ის შეუცვლელია! დიდი მესამშობლოე კაცი დაკარგა ერმა! სამძიმარი ყველას, ვის გულსაც დააკლდა! გლოვობს ტაო-კლარჯეთი, თურქეთში გაბნეული ქართველობა. გლოვობს ფერეიდანი.

ეს ფოტოებიც მათი გვერდიდან წამოვიღე!

გულსაკლავია, რომ დაგვტოვა, მაგრამ რა დიდი რამ დაგვანახვა?! მისმა გარდაცვალებამ საუკუნეებში გაფანტული ქართველობა გააერთიანა!

ანუ, ერის კაცები კიდევ გვყოლია!

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გარდაიცვალა ენათმეცნიერი, საქართველოს სახელმწიფო-ებრივი დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი, უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ცნობილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე ტარიელ ფუტყარაძე.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მწუხარებას გამოთქვამს ბატონი ტარიელის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახსა და სრულიად საქართველოს.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ქართველოლოგიის ცენტრი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ქართველოლოგიის ცენტრი დიდი მწუხარებით იუწყება, რომ 2021 წლის 2 იანვარს 60 წლის ასაკში კოვიდინფექციას შეენირა ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი და საზოგადო მოღვაწე, უზენაესი საბჭოს დეპუტატი, 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფო-ებრივი დამოუკიდებლობის აქტზე ხელის მომწერი, ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე, რომელიც დაარსებიდან დღემდე ხელმძღვანელობდა ჩვენს ქართველოლოგიის ცენტრს.

ჩვენ დავკარგეთ დიდი მეცნიერი და უერთგულესი მეგობარი, ჩვენთვის გამორჩეულად ძვირფასი მასწავლებელი, მოძღვარი, გულმხურვალე ქართველი, უკეთილშობილესი და იშვიათი პიროვნება, რომელიც ყოველთვის იდელისა და საქმის ირგვლივ გვაერთიანებდა. ახლაც უდიდესი ტკივილით გაგვაერთიანა ყველა – მეგობრები, თანამშრომლები, სტუდენტები... მან ძალიან ბევ-

რი საქმე გააკეთა, კიდევ ბევრი ჰქონდა სამომავლოდ ჩაფიქრებული-დაგეგმილი. გვჯერა, რომ იგი ზეციური საქართველოდან კვლავ გაგვამხნეებს, ჩვენ კი ღმერთი მოგვცემს ძალას, რომ მისი ხსოვნის პატივსაცემად მისი საქმეები ღირსეულად გავაგრძელოთ – ისე, როგორც მას სურდა და ამგვარად უკვდავყოთ მისი სახელი...

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი მწუხარებით იუწყება, რომ 2021 წლის 2 იანვარს გარდაიცვალა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის წევრი, ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი, წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე.

ვუსამძიმრებთ მის ოჯახსა და საქართველოს.

სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლი (GÜRCÜSANAT EVI)

სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლი ღრმა მწუხარებას გამოხატავს პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის გარდაცვალების გამო.

ტარიელ ფუტყარაძეს დიდი წვლილი მიუძღვის თურქეთელ ქართველთა ენობრივი ვითარებისა და განსახლების არეალის შესწავლის საქმეში. ის ავტორია სამეცნიერო წიგნებისა და სტატიებისა, რომლებიც უმნიშვნელოვანესია ჩვენი კულტურისათვის.

ტარიელ ფუტყარაძე ზრუნავდა ქართველთა ეთნიკური იდენტობის გადარჩენისა და განვითარებისათვის, მასპინძლობდა ჩვენებურებს, ეხმარებოდა სტუდენტებს, ჩაატარა ათობით სამეცნიერო-სასწავლო ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში და ეს მხა-

რე შეაყვარა ახალგაზრდებს.

გამოხატავთ გულისტკივილსა და თანაგრძნობას ბატონი ტარიელ ფუტკარაძის ოჯახის, ნათესავების, მეგობრებისა და კოლეგებისადმი.

პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის ხსოვნა მუდამ დარჩება თურქეთელ ქართველთა გულეებში.

სასუფეველი დაიმკვიდროს მისმა სულმა.

ფერეიდინიდან საქართველომდე

საქართველომ დაკარგა დიდი ქართველი, ბატონი ტარიელ ფუტკარაძე.

ჩვენი გვერდი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამ უდიდესი დანაკარგის გამო და უსამძიმრებს მის ოჯახს, ყველა ქართველსა და სრულიად საქართველოს.

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა

მიაჩნდა, სამშობლოსათვის სამსახურს კაცი დაბადებიდანვე იწყებსო!

თავადაც დაბადებიდან დაიწყო; მთელი ცხოვრება ეფერებოდა და ელოლიავებოდა მშობლიური მიწის გაფანტულ ნატერფალებს, უცხოეთში დარჩენილ ფესვებს... ღვთისაგან ნაჩუქარი სიცოცხლე მამულისათვის გარჯასა და ღვანლში განვლო; განვლო ღირსეულად, უღალატოდ, სამშობლოს დარდისა და ცრემლის მოზიარედ... დღეს ეს ცრემლი უკანასკნელ გზაზე გააცილებს მამულის ერთგულ ჭირისუფალს... საუკუნოდ იყავნ წსენებაჲ ამისი...

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელის, პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მის ოჯახს, კოლეგებს, სრულიად საქართველოს. იგი გახლდათ რუსთაველის ფონდის სამეცნიერო საგრანტო კონკურსების მრავალგზის გამარჯვებული, ფონდის ერთ-ერთი გამორჩეული გრანტიორი, 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, პუბლიკაციის ავტორი.

ტარიელ ფუტყარაძე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელია, 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერი დეპუტატი, ეროვნული იდეალებისა და პრინციპების ერთგული მოღვაწე; მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია საქართველოს მეცნიერებისა და ჩვენი საზოგადოებისთვის.

შუახვევის მუნიციპალიტეტის სოფელ შუბნის საჯარო სკოლა

პროფესორი, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერი, ენათმეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, დიდი პატრიოტი და, უბრალოდ, შუბნის საჯარო სკოლის კურსდამთავრებული ტარიელ ფუტყარაძე 60 წლის ასაკში ჩვენგან წავიდა.

ყოველთვის იბრძოდა საქმითა და ქართული სიტყვით ქვეყნის უკეთესი ხვალისდელი დღისთვის.

გუთანაგრძნობთ საქართველოს, ქართველ ერს, შუბანს და ოჯახს. ცათა სასუფეველი დაუმკვიდროს ღირსეულ მამულიშვილს!.. უფალს ებარებოდეთ, ბატონო ტარიელ!..

**მეგობრები, კოლეგები,
სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროს
ოფიციალური წარმომადგენლები**

ოსმან აითაქინი

პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის გარდაცვალებას

1960 წელს ბათუმში დაბადებული პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე, დაახლოებით, ათი წლის წინ გავიცანი. მუშაობდა ლინგვისტად თბილისისა და ქუთაისის უნივერსიტეტებში. მას მჭიდრო ინტერესი და ურთიერთობა ჰქონდა ქართველებთან, განსაკუთრებით – თურქეთსა და ირანში. ზაფხულის თვეებში თბილისიდან უნივერსიტეტის სტუდენტები თურქეთში ჩამოჰყავდა და ქართულ კულტურას იკვლევდნენ. არასდროს ისვენებდა, სულ შრომობდა, ვერ ისვენებდა. აწყობდა სიმპოზიუმებს, ინვევ-და მეგობრებს და მასპინძლობდა მათ.

ის იყო გულწრფელი. მან იცოდა ისლამური კულტურა და ოსმალეთის თურქული ტრადიციები, პატივს სცემდა თავის რწმენას. იყო მართლმადიდებელი ქრისტიანული კონფესიის წარმომადგენელი, საკუთარ ძმად მივაჩნდი, არ მტოვებდა მოკითხვის გარეშე.

Covid-19-ს ერთი თვის განმავლობაში ებრძოდა, მოულოდნელად გავრცელდა ინფორმაცია, რომ იგი გარდაიცვალა თბილისის საავადმყოფოში, სადაც მკურნალობდა, შაბათს, 02.01.2021. ძალიან დამწუხრებული ვარ. ვუსამძიმრებ მის ოჯახს, გულშემატკივრებს, უნივერსიტეტის საზოგადოებას, სტუდენტებსა და მეგობრებს.

ღმერთმა შეგინყალოს, ჩემო პროფესორო!

შენი ძმა, ოსმან აითაქინი, თურქეთის ვანიდან...

[Prof. Dr. Tariel Hoca'nın Vefatının Ardından;

1960 Batum doğumlu olan Prof. Dr. Tariel PUTKARADZE ile yaklaşık on yıl öncesinde tanışmıştık. Kendisi Tiflis ve Kutaisi Üniversitelerinde dil bilimci olarak çalışıyordu. Özellikle Türkiye ve İran'daki Gürcülerle yakın ilgi ve alakası vardı. Yaz ayları, Tiflis'den Üniversite gençlerini Türkiye'ye getirir halk kültürünün çalışmalarına ön ayak olurdu. İmkanları yetersizdi ama dur, dinlen bilmezdi. Sempozyumlar düzenler, dostla-

რინი აჭირრ, აჭირლარდი. კალენდერ კიჭილიე საჰიპტი. აჭკ სლუ ვე სამიმიდი. მუჰტერემ ანნესი ბაჭტა ოლმარე უზერე ისლამი კულტურუ ვე ოსმანლი ტურკ გელენეკლერინი იყი ბილირდი. ინანჭლარა საყილი იდი. ორტადოქს ჰირისტიან მეზჰებინე საჰიპტი ამა ჰიჭბირ ზამან კენდი ინანჭინი ემოპოზე ეტმეზდი. ბანა კარდეშიმ ოლარაკ ჰიტაპ ედერ, ჰალ ჰატირ სორმარი იჰმალ ეტმეზდი. ბირ აყდირ დევამ ედენ ზორლუ კოვიდ-19 ედავისი სონუკუნდა, 02.01.2021 კუმარტესი გუნუნ აკჭამ საატლერინდე ედავი გრდუგუ ტიფლისდეკი ჰასტანედე ვეფატ ეტიგი ჰაბერი გელდი. ოკ უგუნუმ. ბაჭტა კედერლი აილესინე ოლმარე უზერე, სევენლერინე, უნივერსიტე კამიასინა, ოგრენცლერინე ვე დოსტლარინა ბაჭ საგლიჯი დილიყორუმ.

მერთმა შეგიბრალ ᅀემო პროპესორო ! შენი ზმა, ოსმან აყტეკინი, ტურკეტის ვანიდან...].

ნაირა ალავერდაშვილი

ეროვნული იდეების დაუშრეტელი წყარო!..
უსაზღვროდ ვნუხვარ!
რით ვანუგემო მისი შესანიშნავი ოჯახი!

ამირან არაბული

ტარიელ ფუტკარაძე – მოუნელებელი ტკივილი

თითქოსდა დაბადებითვე უფლის მოციქულის – ნმიდა ანდრია პირველწოდებულის – კანთიელ კვალზე იყო შემდგარი და ღვთით მიმადლებულ შინაგან მონოდებას, საფუძვლიანად განესწავლა და მყარი ცოდნით აღეჭურვა თავისი ერთგული მონაფეები, მზის სხივის ჩაქრობამდე, ბოლო ამოსუნთქვამდე, ცნობიერების დაკარგვამდე ასრულებდა ტარიელ ფუტკარაძე.

მისმა სამუდამოდ წასვლამ მიღმიეთში, ჩვენგან უსაშველოდ დაშორებამ და დისტანცირებამ დროსა და სივრცეში დიდად დაამნუხრა და მწვავე ტკივილით დადალა ყველა, ვინც მას იცნობდა,

ვისაც მასთან უსაუბრია, ვინც აფასებდა და ყოველივე მშობლიურისადმი მის ფანატიკურ, თავდადებულ სიყვარულს გრძნობდა და ხედავდა...

ტარიელ ფუტკარაძის პატრიოტიზმი არ გამოიხატებოდა სტერიოტიპული ფრაზების ხმამაღლა წარმოთქმასა თუ ვაიგულითად, ყალბ, მყიფე სადღეგრძელოებში. ის პრაგმატული, სრულიად კონკრეტული საქმეებით, სამუშაო დღის მკაცრი განაწესის დაცვით და შეჭირვებულთა პრაქტიკული თანადგომით (გავიხსენოთ ილია: „კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე, ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, აბა, დღეს მე ვის რა ვარგე?!“) გახლდათ ნამდვილი ერისკაცი და მისაბაძი მამულიშვილი...

სხვათა ჭირი, ძნელბედობა და გამოუვალი მდგომარეობა ყოველთვის გულთან ახლო მიჰქონდა. ცდილობდა და, ხშირ შემთხვევაში, ახერხებდა კიდევ სოციალურ სირთულეებთან პირისპირ მდგომთა გამოსარჩლებასა და დახმარებას. და ამ დროს საგულდაგულოდ მალავდა და „აჩუმათებდა“ პირად პრობლემებს (ჯანმრთელობის მდგომარეობა იქნებოდა ეს, ხანდახანობითი უსახსრობა თუ ინტელექტუალთა ყოფისთვის თანმდევი სულიერი სიმძიმელი)...

დიდი ამაგი ჰქონდა სტუდენტებზე, დოქტორანტებზე (მისი ხელმძღვანელობით ოცზე მეტმა ახალგაზრდამ მოამზადა და დაიცვა სადოქტორო დისერტაცია), ქართველოლოგიის ცენტრის თანამშრომლებზე გარეშეთაგან უმისობა, ალბათ, ყველაზე უფრო სოფიო კეკუას, კესო გეჯუას და მიშა ლაბაძეს უმძიმთ. და ეს სავსებით ბუნებრივია: ისინი ხომ ერთად ეწეოდნენ საუნივერსიტეტო ცხოვრების სასიამოვნო, მაგრამ მაინც მძიმე ტვირთს. და სასურველი შედეგებიც შესანიშნავად ჩანდა და ჩანს მათ მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო სესიებში, საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში, შრომათა კრებულებსა თუ ლინგვისტური შინაარსის ნაირფეროვან პუბლიკაციებში...

ტარიელ ფუტკარაძე სტოიკური ბუნების უკონფლიქტო, „მშვიდობისმყოფელი“ პიროვნება იყო. პირადი ნაწყენობა და უთანხმოება არასდროს უქცევია ადამიანურ ურთიერთობათა რღვევის

ხელშემწყობ ფაქტორად... მისი კვლევებიტითი საქმიანობის სტილი გახლდათ ჯანსაღი პოლემიკა...

გამორჩეულ თარიღებთან მიმართებასა და სანიშანსვეტო დღეებში შავ-თეთრი ფერებით განყობილი ქართული ჩოხის მორგება უყვარდა. უხდებოდა! ეროვნული სამოსი მის მოძრაობას, სიარულის მანერასა და მიმოხრას მოსაწონ სიდარბაისლეს სძენდა. და ამ დროს არ შეიძლებოდა, ზვიადი და მერაბი – ეროვნული მოძრაობის ეს ორი უპირობო ლიდერი – დანანებით არ ეხსენებინა, მათი საგანგებო მისიისთვის არ გაესვა ხაზი...

დაბადების 55-ე წლისთავი (ლამაზი თარიღი!) ნატახტარში აღნიშნა. რესტორნის მოგრძო დარბაზი მისი მეგობრებით, კოლეგებით და თანამოაზრეებით იყო სავსე. სალხინო სუფრას უნარიანად, ტრადიციული ეტიკეტის დაცვით უძღვებოდა სერგო ვარდოსანიძე. სუფევდა ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის განწყობა. და, რაც მთავარია, იქ იყვნენ ტარიელის მხცოვანი დედა – თბილი, სანდომიანი ქალბატონი, მეუღლე, შვილები და ძმები – „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ გმირთა სეხნიები (მტერსაც არ ვუსურვებ, რა ტკივილის ალიც ახლა მათ გულეებში ტრიალებს!).

ნეტავი იმ დავლათიან, გაზაფხულის წვიმით ოდნავ განედლებულ სანეტარო დღეს (მახსოვს, ასათიანზე ავტომანქანით რომ გავუარე დიმიტრი ნადირაშვილს, კოჯრის მხრიდან მსუბუქად ნამონვიმა და მალევე გადაილო).

შარშანაც კაიხნით ადრე მითხრა, ეთერთან ერთად ამა და ამ დღეს ჩემთან იქნებო (გულისხმობდა 60 წლის საიუბილეო თარიღს), მაგრამ მზაკვარი ვირუსის გამოჩენამ ყველაფერი არია, თავდაყირა დააყენა, სამყარო ცრემლად და გოდებად აქცია და ჩვენი ტარიელისთვის ხომ მთლად ჯოჯოხეთი გამოდგა!..

მიკვირდა და მითქვამს: ამდენ რამეს როგორ ასწრებდა, როგორ აუდიოდა! დღეს რომ დედაქალაქში იყო და დისერტაციის დაცვის პროცესს წარმართავდა საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტში, ხვალ 13 საათზე ქუთაისში ელოდებოდნენ კონფერენციის მონაწილეები. და ყველგან თვითონ გახლდათ დამგეგმავი, საკითხების „დამლაგებელი“ და სამაგალითო ორგანიზატორი.

სულ ვეპირებოდით და ვერა და ვერ მოგვიხერხდა დიალექტური მასალებით და ზეპირსიტყვიერი ტექსტებით დაინტერესებული სტუდენტების ერთობლივი ექსპედიციის ჩატარება ამიერსაქართველოს რომელიმე მხარეში. დროში აცდენა იყო მთავარი მიზეზი ჩვენი განზრახვის განუხორციელებლობისა. თუმცა დიდად არც არაფერი ამით დაშავებულა. უნდა ნახოთ ხევსურეთის სოფლებმთავლილი მისი აღსაზრდელების აღფრთოვანებული სახეები, როცა ისინი რომკაში, კორშაში, ბარისახოსა თუ ლიქოკის ხეობაში ყოფნის ამბებსა და არცთუ უხიფათო თავგადასავლებზე ჰყვებიან!

მომავალ ჰუმანიტარებს მთხრობლებთან შემკრებლობითი მუშაობის სპეციფიკას აცნობდა და რთულ კლიმატურ პირობებთან შეგუების საიდუმლოებებსაც უზიარებდა. და ახლა ისიც ცხადლივ წარმომიდგენია, ამ უმძიმესი ამბის შეტყობისთანავე კაი ყმებისთვის იოლად გასამეტებელი, როგორი მდულარე ცრემლით აევსებოდათ მზერა სანათა ნიკლაურს, მარინე გიგაურსა და ტარიელის მცნობ სხვა ხევსურ ხმით მოტირლებსა თუ რიგით დასახლისებს. და ჭირის ტაბლაზე გულითად შენდობას ეტყოდნენ შოთა არაბული, იმედა ლიქოკელი, მინდია ნიკლაური. ეტყოდნენ და მათაც გაუჭირდებოდათ ცრემლის დამალვა (სხვათა შორის, ვაჟკაცებისგან უფროსი მეგობრის გულით გლოვის საუკეთესო ნიმუშებად დაამახსოვრდებათ ფეისბუქმომხმარებლებს გიორგი სოსიაშვილისა და გაბრიელ თავაურის გამოსათხოვარი წერილები!)..

ამ რამდენიმე წლის წინ, თებერვალში, ტარიელ ფუტკარაძეს, ბალათერ არაბულს, ეთერ თათარაიძესა და თქვენს მონა-მორჩილს ერთად მოგვინია ბარისახოში ბათირა არაბულის („რიჟას“) წლისთავზე ასვლა. რაც იმ დღეს იქ ვნახეთ და განვიცადეთ, ეს კიდევ საგანგებო მოგონებისა და თხრობის საგანია!..

ყოვლისმცოდნეობით თავს არასდროს იწონებდა და იმ საქმეს, რაც მის უშუალო კომპეტენციაში არ შედიოდა, ადვილად ხელს არ მოჰკიდებდა... ხევსური ბავშვების მიერ ბათირა არაბულის დავალებით შეკრებილი ხალხური ლექსები ჩამოიტანა ხევსურეთიდან და მე გადმომცა, ნაიკითხე და გამოსაქვეყნებლად

მომზადედო (ეს საკმაოდ მდიდარი ფოლკლორული მასალა შემდგენლებმა ბათირას წიგნში „მითებში შობილთა მემკვიდრე“ შევიტანეთ...

თავისი ერთ-ერთი მონოგრაფიის იმ ნაწილის გაცნობა და რედაქტორობა მთხოვა, რომელიც დამწერლობამდელი ხალხური სიტყვიერების საკითხებს ეხებოდა. მე, რასაკვირველია, სიამოვნებით გავეცანი მის სოლიდურ ნაშრომს და რამდენიმე სურვილიც გავუზიარე. თითქმის ყველა ჩემი წინადადება უყოყმანოდ მიიღო და გაითვალისწინა...

ფუტკარაძე.

საფუტკრეთი...

ბევრი ქართული გვარის მაგია თუ მისტიკური შინაარსი იმაშია ცმდგომარეობს, უცთომლად მიგვანიშნონ მის (გვარის) მატარებელ ადამიანთა საამსოფლო მისია და უმთავრესი მოვალეობა... და იმის შეხსენება ხომ არავის სჭირდება, რასთან ასოცირდება ფუტკარი და მისი გაბმული, ერთთავად საქმიანი ფუსფუსი!... ხოლო საფუტკრეთი ის ძირძველი სამოსახლოა, რომლის „გააქტიურება“ და ჩრდილიდან გამოყვანა ასეთი ძალისხმევით მოინდომა გასულ (სამწუხაროდ, უკანასკნელ!) ზაფხულს. ლოკალური სივრცე, შეიძლება ითქვას, იმ კურთხეულ ადგილად წარმოედგინა, სადაც, ცის კარის გაღებიდან ვიდრე შეღამებამდე, მოუღლეღი ზუზუნი ისმის...

ბევრ ფერად ფოტოსურათზეა აღბეჭდილი ტარიელ ფუტკარაძე. ხან ნაღვლიანია, ფარული სევდით მოცული, ხანაც შუბლგახსნილი, ალაღად გაღიმებული. შეწუხებულიც ბევრჯერ ყოფილა, რაღაცით გახარებულიც, მაგრამ არსად და არასდროს გვინახავს მისი უემოციო, გამოციებული, უსურვილო სახე!..

ჩქარობდა. თავს გრძელვადიანი დასვენების, ამოსუნთქვის, მუხლის მოხრის ნებას არ აძლევდა. ბევრი რამ ჰქონდა მოსასწრები, დაწყებული და დაუსრულებელი. ჩანაფიქრის აღსრულების ნადილი გეოგრაფიულ საზღვრებს არ ცნობდა (მოიარა ფერეიდანი და ტაო-კლარჯეთი. იცნობდა და ახლობლობდა ბევრ თურქეთელ ქართველთან). დაბრკოლებებს არ უშინდებოდა. ეგულებოდა

(განსაკუთრებით, აჭარის მთიანეთში) უღალატო მეგობრები, თანამოსატიკივრები. მათი თანადგომით აღმართა კუტიჯვარი, სადაც ამიერიდან ყოველწლიურად აღინიშნება დიდგორობა.

უხმობდა შუახვევი და ჩირუხის მთა. ენით აღუნერელი ხიბლი და მიზიდულობის ძალა ჰქონდა მაჭახლის ხეობას, გრილ წყაროებსა და ყოველ ნაბიჯზე მზე-თამარის სახელთან დაკავშირებული ადგილების მოხილვას. ამიტომაც იმოგზაურა ტყის ვინრო, საცალფეხო ბილიკებითა თუ უსწორმასწორო გზებით თავისი საგვარეულოს მკვიდრ არე-მიდამოებში. უმთავრესი გეზიც მოინიშნა: თედო სახოკიას ნაკვალევის ბოლომდე გავლა! დაიწყო და გაგრძელება აღარ დასცალდა. არადა, რა საინტერესო იქნებოდა საზაფხულო საძოვრების, ჯამეებისა და სამთო საცხოვრისების, ახორების, მთებისა და ხეობების მონახულება. ანუ, იმ ყველაფრის გულით განცდა, რასაც თედო სახოკიას ბრწყინვალე წიგნში – „მოგზაურობანი“ – ვხვდებით და ვეცნობით...

პროფესიონალი ეთნოგრაფი ერთგან წერს: „ჰაერი აქ მეტად მრთელია. ავადმყოფობა, განსაკუთრებით გადამდები, იშვიათი მოვლენაა...“

ასე იყო საუკუნის წინანდელ ზემო აჭარაში. ახლაც ასეა და ნეტავ ტარიელსაც არ გამოედგა იქიდან ფეხი. ეგებ მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ დამუქრებოდა, ეგებ გადარჩენილიყო!..

ძნელი, ძალზე ძნელი წარმოსადგენია საპატრიარქოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულება ტარიელ ფუტკარაძის გარეშე!

დერეფნები, აუდიტორიები, სხდომათა და საკონფერენციო დარბაზები.

მათაც გაუჭირდებათ, ისინიც მოისაკლისებენ. შენობამაც იცის ადამიანების შერჩევა, შეჩვევა და მოშინაურება.

ქართველოლოგიის და ფოლკლორის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებს ერთი საზიარო კედელი ჰყოფს. ათი წლის განმავლობაში ამ კედლის აქეთ-იქით გვეგულებოდა ერთმანეთი. მეც

მიჭირს და უფრო მეტად გამიჭირდება ტარიელის სამუშაო მაგიდისთვის და მისი ოთახის დაცარიელებული კუთხისთვის თვალის შევლება...

და ესლა დამრჩენია, ვკითხო ტარიელს: მანდაც – მიღმა სოფელში – სათოვრად გამზადებული ზეცა დაგყურებთ უსასრულო სიმაღლიდან მარადისობის ბინადართ, თუ კამკამა დარიდგას მიწიერ ცოდვათაგან განმენდილ თქვენს სამოთხისებრ კარმიდამოში?!..

ინგა არონია

საქართველოს მეციხოვნეთა არმიას ერთი ძალიან ფხიზელი მოდარაჯე გამოაკლდა!

ჰამიდ რეზა ასლანი

მაგარ ქართველო, ჩემი გოლში ცოცხალი ხარ!

ციური ასკანიძე-მესხიშვილი

არა, რააა! – არ გვეშვება და არ გვაცლის სიცოცხლეს Covid-19. მაჭახელას ხეობა ატირდა.

უდიდესი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი, პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე 60 წლის ასაკში კოვიდთან ბრძოლაში დამარცხდა.

ვუსამძიმრებ სრულიად საქართველოს და საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტს ღვანლმოსილი მეცნიერის გარდაცვალების გამო. გული ჩამწყვიტა მისმა მოულოდნელად წასვლამ. როგორი საინტერესო კონფერენცია-სემინარების მომსწრე ვარ...

გმადლობ, უფალო, რომ ქართველებს გვყავდა ტარიელ ფუტკარაძე.

პატივისცემით და დიდი მნუხარებით, ციური მესხიშვილი.
ლიტ. / კაფე სიყვარულის საელჩო კორონა.

მაია აშაძე, ქეთევან დათუკიშვილი

მაია აშაძე:

– ტარიელს თუ რამე მოერეოდა, ვერ წარმომედგინა, იასაც ეს ვუთხარი, ტარიელი მე უჯანმრთელესი მგონია-მეთქი. მართლაც, ჯანმრთელი იყო თურმე, და ეს არის ამ უცნაური ვირუსის მუხანათობა...

ღმერთმა გაანათლოს ტარიელის სული...

ქეთევან დათუკიშვილი:

– მეც ზუსტად ასეთი განცდა მქონდა. ვერ წარმომედგინა, თუ ტარიელს რამე მოერეოდა. ნათიას გასამხნეველად კი არ ვწერდი, მართლა მეგონა, რომ ტარიელი ყველაფერს დაძლეოდა. თურმე რა უსუსურები ვართ ყველანი ამ საშინელებასთან!.. ვუსამძიმრებ ოჯახს, მეგობრებს, კოლეგებს...

ნათელში ამყოფოს ტარიელის სული უფალმა.

ნინო გარამიძე

ეს ფოტოები 2020 წლის სექტემბერში გამომიგზავნა. ბევრი ვისაუბრეთ. ბევრი შეკითხვა დამისვა და დეტალურად გამომკითხა, როგორ შევეგეუე ამერიკულ ცხოვრებას.

ადამიანის მიერ გამოგზავნილი ნაწერი რომ რჩება და თავად ადამიანი ქრება, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ცუდი შეგრძნება. არ ვიცი, რა დავწერო, განადგურებული ვარ. მე ვინ ვარ, რომ

ღმერთს რამე შევეუსწორო, მაგრამ ძალიან გაბრაზებული ვარ მასზე. ეს არ უნდა დაეშვა. შორიდან ვუთანაგრძნობ ოჯახს და გამძლეობას ვუსურვებ.

ნომადი ბართია

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლური ფილოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუნყება, რომ გარდაიცვალა დიდი ქართველოლოგი და სახელმწიფო მოღვაწე, ჩვენი დიდი მეგობარი, პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე და იზიარებს ოჯახის დიდ მწუხარებას.

ტარიელ ფუტყარაძეს ჰქონდა სამშობლოს სიყვარულის ქარგა, სადაც სურდა მოექცია ყველაფერი, რაც დაკავშირებული იყო უძველესი ცივილიზაციის მქონე ქართველი ერის ჭირ-ვარამთან, რასაც დიდი წარმატებით აკეთებდა კიდევც.

ნომადი ბართია

ანსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლური ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ტარიელ ფუტყარაძის გარეშე გათენდა სამშობლოში...
ჩვენს გვერდით იყო ის მუდამ,
იცოდა ძმობა ნამდვილი,
არ არსებობდა მისთვის დრო,
არ არსებობდა მანძილი.
სხვა ფიქრი, სხვა საზრუნავი
არა ჰქონია თითქოს და,
მუდამ სამშობლოს წარსულზე
და მომავალზე ფიქრობდა.

მართლაცდა წუთისოფელში
ეს რა ზეიმი მოაწყო,
რამდენი ვერ მოასწრო და
რამდენი რამე მოასწრო!

ნომადი ბართაია

03. 01. 21.

მაგალი თოდუა და ტარიელ ფუტკარაძე ყოველივე სიკეთეს-
თან ერთად, იუმორის ნიჭით დაეჯილდოებინა უფალს. მათი
სახელების ხსენებაზე მათი მლიმარე სახეები წარმოგვიდგება
უმაღვე. ჩვენც ღიმილით მოვიგონოთ ისინი.

მაგალი თოდუა და ტარიელ ფუტკარაძე

ბედნიერი ვარ იმით, რომ ვიყავი ჯერ მონაფე, მერე კი კოლეგა
და მეგობარი ისეთი დიდი ირანისტიისა და ადამიანისა, როგორიც
იყო მაგალი თოდუა. რამდენ ძვირფას ინფორმაციას მიიღებდი
მისგან თუნდაც რამდენიმე წუთით შეხვედრისას; ამავე დროს,
როგორ გადაგდებდა თავის ხალისიან განწყობას ეს იუმორით გა-
ცისკროვნებული კაცი.

შეიძლება ითქვას, მე მისი ოჯახის წევრი ვიყავი, ოღონდ
ფართის უფლების გარეშე, სადაც დიდი და პატარა ოჯახურ-
მეგობრული სიყვარულით იყვნენ შეწყობილნი ერთმანეთთან.

ღრუბლებში უყვარდა ფრენა ბატონ მაგალის. მახსოვს, რო-
გორ ოცნებობდა იგი საქართველოში დიალექტოლოგიის ინსტი-
ტუტის დაარსებაზე, რასაც ქართული ენის დიალექტური მრავალ-
ფეროვნების შესწავლის აუცილებლობით ხსნიდა. ოცნებობდა და
მეტი არაფერი, რადგან ვერ წარმოედგინა, ოდესმე მის ოცნებას
ფრთები შეესხმებოდა.

ამასობაში მოხდა წარმოუდგენელი რამ. საქართველომ აღიდგი-

ნა სახელმწიფოებრიობა, რასაც მოჰყვება ქვეყნის ახალ რეალობაში გადასვლა. ქუთაისის ალექსანდრე წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტიც გადავიდა ახალ სინამდვილეში და გახდა აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის რექტორად ჯერ დიდებული ქალბატონი, ნანული კაკაურიძე მოგვევლინა, შემდეგ კი ასევე დიდებული – ბატონი მაგალი თოდუა.

გახდა ბატონი მაგალი რექტორი და სიზმარში აღმოჩნდა კაცი. უკვე მას შეეძლო აეხდინა სანუკვარი ოცნება და, მართლაც, პირველი, რაც გაახმოვანა რექტორატის პირველსავე სხდომაზე, დიალექტოლოგიის ინსტიტუტის დაარსება იყო, რაზეც საერთო მხარდაჭერა მიიღო.

დაარსდა ინსტიტუტი, რომელსაც სჭირდებოდა ხელმძღვანელი. ბატონმა მაგალიმ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ხელმძღვანელთა და, განსაკუთრებით, სახელოვანი მეცნიერისა და შესანიშნავი პროფესორის, თედო უთურგაიძის რეკომენდაციით, ინსტიტუტის ხელმძღვანელად აღნიშნული ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ტარიელ ფუტყარაძე დანიშნა.

გამოუყვეს ინსტიტუტს ოთახი და რამდენიმე თანამშრომელი.

ტარიელი მანამდე ეროვნულ მოძრაობაში იყო აქტიურად ჩაბმული. იგი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ერთ-ერთი ხელმომწერია. იყო ბათუმის პრეფექტი და საორგანიზაციო საქმიანობის საკმაო გამოცდილებაც გააჩნდა, რაც ახალ თანამდებობაზე ბრწყინვალედ გამოავლინა. მან პირველ წელსვე მოაწყო საზაფხულო ექსპედიცია და საველე სამუშაოებზე დიდძალ ძვირფას მასალას მოუყარა თავი.

ყოველივე ამას მოჰყვება დიალექტოლოგთა პირველი კონფერენცია, რომელმაც იმდენად შინაარსიანად და საინტერესოდ ჩაიარა, რომ ტარიელ ფუტყარაძის ექსპედიციის წევრები ფუტყარაძის ფუტყრებად მოინათლნენ.

ამის მერე ფუტყარაძის ფუტყრები ყოველ ზაფხულს მოედებიან საქართველს მთა-ბარს, რათა ხალხური საუნჯის მრავალფეროვანი

ყვავილებიდან ამოიღონ ის ნექტარი, რაზედაც ოცნებობდა მისი დამაარსებელი. ყოველ ასეთ გასვლას მოჰყვება დიდი ღალიანობა.

ბატონი ტარიელი ის კაცი არ იყო, მიღწეულით ადვილად მისცემოდა ტკობას და მეორე კონფერენცია რესპუბლიკის მასშტაბით ჩაატარა, ხოლო მესამის ჩატარება საერთაშორისო დონეზე განიზრახა და რისი ტარიელი იყო, თუ რამეს დაისახავდა მიზნად და არ განახორციელებდა.

საერთაშორისო კონფერენცია კი როგორი ჩასატარებელი იქნებოდა იმ ავად მოსაგონარ 1990-იან წლებში, როცა წყალი ვედროებით ამოჰქონდათ რიონიდან, ადვილი წარმოსადგენია.

ამიტომ ხშირად უწევდა მას შესვლა თხოვნით რექტორთან. რექტორიც არაფერს იშურებდა მისთვის, ხოლო რაც დრო გადიოდა, მით უფრო და უფრო მოდიოდა მან და ჭამაში.

ბოლოს და ბოლოს, არ შეეძლო მეტი რექტორს და ერთხელაც ვერ მოუწერა ხელი თანამშრომელს თხოვნაზე, თანაც მორიდებით შეახსენა, რომ უნივერსიტეტში მარტო დიალექტოლოგიის ინსტიტუტი არ იყო.

მთხოვნელმა უკვე კატეგორიულად მოითხოვა ხელმოწერა მორიგ რალაცაზე.

რექტორმაც კატეგორიულად გაუმეორა, რომ ამჯერად ვერ დააკმაყოფილებდა მის თხოვნას.

მაშინ მთხოვნელმა ჰკადრა რექტორს: „ბატონო მაგალი, თქვენ არ იცით, რა არის დიალექტოლოგიის ინსტიტუტიო!“

გაშრა ბატონი მაგალი, იქნებ მართლა არ ვიცი, რა არის დიალექტოლოგიის ინსტიტუტიო, თანაც გაახსენდა იმერეთის მხარის გუბერნატორის, თეიმურაზ შაშიაშვილის სიტყვები: ტარიელ ფუტკარაძეს კარი რომ მოუხურო, ფანჯრიდან შემოგივარდება და მანც დაგიყოლიებსო. მანაც ერთი გაიხედა ფანჯრისკენ და კანკალით მოაწერა ხელი მის მორიგ თხოვნას.

რა თქმა უნდა, იმ ხელმოწერით არ დამთავრებულა რექტორის ხელმოწერები დირექტორის განცხადებებზე.

მახსოვს, ერთხელ, ტარიელის მორიგი ვიზიტის მერე ბატონმა მაგალიმ როგორ ჩაილაპარაკა: „რამ დამაარსებინა ეს დიალექტოლოგია“

ტოლოგიის ინსტიტუტიო!..“

კაცმა მაგალი თოდუას დასდო ბრალი დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მნიშვნელობის არცოდნაში, ჩვენ რას გვიზამსო და შემდეგი რექტორები სულ თვალდახუჭულნი უნერდნენ მას ხელს ყველა თხოვნაზე.

ზაზა პალდავაძე

შაენაბადას მამათა მონასტერში აღსრულდა შეკვეთილი წირვა ბატონი ტარიელ ფუტყარაძის სულის საოხად, რომელიც აღავლინა მონასტრის ღვთის მსახურმა – დეკანოზმა დავით გაბრიჭიძემ სხვა სასულიერო პირებთან ერთად. წირვის დასრულების შემდეგ ტაძარში ჩატარდა დიდი პანაშვიდი.

მამა დავითის ლოცვა-კურთხევით, მისსავე სახლში გაიმართა ტრაპეზი (საკმაო რაოდენობის სტუმრებით); მართლაც და დიდებულ, ტრადიციულ ქართულ ოჯახში აღმოვჩნდით; ოჯახის დიასახლისმა, ქალბატონმა მედეა ჯაფარიძემ დიდებული სუფრა გაგვიშალა, ისეთი სითბოთი, სიყვარულით, სათნოებით იდიასახლისა ქალბატონმა მედეამ, მე შევიცანი დედა, ქართველი დედა, სწორედ ასეთი დედები გვიზრდიან ღირსეულ მომავალ თაობებს და დგანან ჩვენი ოჯახების და ქვეყნის სადარაჯოზე.

ოჯახის მამა, მამა დავითი, რა თქმა უნდა, ქართული ტრადიციისამებრ – სუფრის თავში; დაიწყო თამადობა, ქართული სადღეგრძელოები ხომ ლოცვაა და გააგრძელა მამა დავითმა ლოცვა უკვე სუფრასთან. ოჯახის შვილებმა: აკაკიმ და გიორგიმ იგალობეს, ადიდეს უფალი და აღავლინეს საგალობლები ტარიელის სულის საოხად.

მამა დავითმა რამდენიმეჯერ გაიმეორა, ბატონი ტარიელის სული აქ ტრიალებსო; ეს იგრძნობოდა, შეუძლებელია არ დაეთანხმო. იმ განწყობით, რომელიც სუფევდა ჩვენ შორის, აშკარად იგრძნობოდა ჩვენი ძმისა და მეგობრის, ტარიელისებური სულისკვეთება.

სურათი გადაღებულია 2016 წელს შავნაბადას მამათა მონასტერში, შავნაბადობის დღესასწაულზე. მარჯვნიდან მარცხნივ სურათზე: ბატონი ტარიელ ფუტკარაძე, მამა შიო (ვუსურვებ გამოჯანმრთელებას), მამა დავითი, ხელში უჭირავს ოჯახის მომავალი პატარა შიო (ვუსურვებ გაეგრძელებინოს ოჯახის ღირსეული ტრადიციები) და თქვენი მონა-მორჩილი.

ციალა ბენდელიანი

დაგტირი, ტარიელ, ფიქრშიც არ დამიშვია, რომ ასე საშინლად დამთავრდებოდა შენი ცხოვრება. თითქმის თერთმეტი წელიწადი ვიმუშავებ ერთად, სტუდენტობიდან გიცნობდი. ჩემს ჭირსა და ლხინს იზიარებდი; მეც ასევე გულთან მიმქონდა შენი ოჯახის წევრების მდგომარეობა.

მადლობა იმ ძალზე საინტერესო წლებისთვის, ჩემდამი კეთილგანწყობისთვის.

მარინე ბერიძე

ტარიელ, განსაკუთრებულად მძიმეა ჩემთვის შენი წასვლა. ვიცი ყველა შენი ტკივილი, სულისა და გონების ყველა მოძრაობა... ვიცი, რომ რალაც მომენტში წარსულმა, მომავლის გეგმებმა, ყველა მოპოვებულმა და მოსაპოვებელმა ტიტულმა, ყველა სადავო და უდავო თეორიამ უკან დაიხია და შენი სუნთქვის რიტმს სულ რამდენიმე სახელი წარმართავდა, შენს ტკივილიან ღამეებს ვარსკვლავებად შენი შვილების სახეები ენთოთ... მჯეროდა, რომ სწორედ იმდენჯერ ჩაისუნთქავდი, რამდენიც შენს ოჯახამდე გზას ეყოფოდა, რამდენიც იმ უდაბური ლაბორინთიდან გამოსვლისთვის იყო საჭირო...

24 ნოემბერს დაგირეკავს ჩემთან.

იმ დღეს დავმძიმდი და მეორე დილას კლინიკაში გადამიყ-

ვანეს. მაშინ „ავცდით“ ერთმანეთს. მთელი ცხოვრება არ მომასვენებს ის გამოტოვებული ზარი... იქნებ რალაცას შეცვლიდა ჩემთან საუბარი...

ვუსამძიმრებ შენს შვილებს, იას, შვილიშვილებს, გამნარებულ დედას, მოწაფეებს, კოლეგებს, მეგობრებს...

ყველა სათანადო პატივს მოგაგებს, ყველა თავის სათქმელს გეტყვის. მე კი შენი უკანასკნელი დღეების ჭირისუფლად და დამტირებლად დავრჩები...

ღმერთმა ქნას, არც ერთმა ჩვენმა ახლობელმა, არავინ ნახოს, რაც ჩვენ ვნახეთ... ვილოცოთ, რომ ჩვენ ვიყოთ ბოლო... იმედი მქონდა, ამას ერთად ვიტყოდით, როცა გადარჩენილები შევხვდებოდით...

ნათელში იყავი.

ორჰან ბერიძე

კარგო ადამიანო, პირადად ვიცი და მონმე ვარ, რომ ძალიან კარგი ადამიანი იყავი; ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული. ვიზიარებ შენ ოჯახის მწუხარებას.

ქეთი ბერძენიშვილი

ძალიან ვწუხვარ, ვიზიარებ ოჯახის და საზოგადოების მწუხარებას. დიდი ადამიანი იყო ბატონი ტარიელი.

მანანა გუკია

სიცოცხლეს სიცოცხლე რომ არ რქმეოდა, ტარიელი ერქმეოდა... გამშრალი ვარ.

„და მე ვარ ის ხე, ცოდნის და ცოდვის, / ნების და ვნების, ვაშ-

ლის და ლელვის, /რომ მოვკვდი, რათა მეცადა ბედი, / უკვდავი ცეცხლის, წიგნის თუ ფერფლის...”

დედიკა გულია

ძალიან მაგარი აჭარელი ბიჭის, ტარიელ ფუტკარაძის, დაკრძალვაა დღეს, მართალი ბიჭის.

გამოსვენება სიონის საკათედრო ტაძრიდან.

როგორც შვილმა თქვა, აჭარის მთის – ჩირუხის ნისლი იყო ჩამონოლილი გუშინ თბილისში. არ მეხერხება სევდიანი ტექსტების წერა ან რაღა უნდა დავწერო, რაც დაინერა, იმაზე მეტი.

აუცილებლად დავდებ, ტარიელ, იმ ფოტოებს, რომლებიც წაგაშლევინე... შენს მეგობარ დალი მაჩაიძეს დავესესხები შენი საყვარელი პოეტის, ზურაბ გორგილაძის ლექსიდან ფრაგმენტს და დაგემშვიდობები:

„...საქართველოვ, ჩემო დედავ! ჩემი სუნთქვა გენაცვალა,
იდიდგულე, რომ ამფერი აჭარელი გყავდი განა...”

ნინო გუსრაშვილი

ის ჩემთვის უცნობი (ფბ-მეგობარი), მაგრამ ძალიან კარგად ნაცნობი ნამდვილი ქართველი იყო... სულის სიღრმემდე რომ სწვდებოდა თავისი სადარდელი – საქართველო, მის სტატუსებში გადმოცემული.

ვნუხვარ, საქართველომ კიდევ ერთი უნიჭიერესი პიროვნება და პატრიოტი დაკარგა!!! უფალმა დაგიმკვიდროთ ცათა სასუფეველი, ბატონო ტარიელ.

ქეთი ბალაშვილი

გაზეთი ტოპ-ნიუსი

**„ასე მგონია, დღეს კიდევ ერთხელ დავკარგეთ ტაო-კლარჯეთი,“
– პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე გარდაიცვალა**

ცნობილი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი, პროფესორი და საზოგადო მოღვაწე ტარიელ ფუტყარაძე 60 წლის ასაკში კორონავირუსით გარდაიცვალა. ის მკურნალობას კლინიკაში გადიოდა, თუმცა მისი მდგომარეობა დამძიმდა და ექიმებმა გადარჩენა ვერ შეძლეს.

სწორედ ტარიელ ფუტყარაძემ მოაწერა ხელი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს (1991 წლის 9 აპრილს, როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრმა). ის, ასევე, იყო ბათუმის პრეფექტი (1991) და 1991 წლის 31 მარტს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის თემაზე საქართველოში ჩატარებული საყოველთაო რეფერენდუმის ორგანიზატორი.

ტარიელ ფუტყარაძე იყო საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ენათმეცნიერული ხასიათის 300-მდე სამეცნიერო ნაშრომისა (მათ შორის – მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები) და 300-ზე მეტი პუბლიცისტური წერილის ავტორი. 1984 წლიდან ხელმძღვანელობდა დიალექტოლოგიურ ექსპედიციებს: აჭარაში, სამცხე-ჯავახეთში, სვანეთში, ლეჩხუმში, სამეგრელოში, ხევსურეთში, იმერხევში, ტაოში... მისი ხელმძღვანელობით 29 დიალექტოლოგიური ექსპედიცია განხორციელდა.

პროფესორის გარდაცვალებით გამოწვეულმა ტკივილმა დღეს მთელი საქართველო გააერთიანა.

„ხომ არსებობენ ისეთი ადამიანები, რომ გგონია არც ჩვეულებრივად დაბადებულან და, მით უმეტეს, არასოდეს გარდაიცვ-

ლებიან?! ხო, მე ასეთ ადამიანებს შევხვედრივარ ერთი-ორს, მაგრამ შევხვედრივარ... თუ მკითხავთ, როგორ უნდა იცხოვრო ისე, სიკვდილის არ შეგეშინდესო, ამაზეც გაცემთ პასუხს, მასსავით-მეთქი... და მაინც არ მეგონა, ვერ ვიჯერებ თქვენს მარცხს, თუმცა მჯერა, ეს მარცხიც ჩვენი ვინრო ხედვის გამოა მარცხი...“;

„არა, რაა! – არ გვეშვება და არ გვაცლის სიცოცხლეს Covid-19. მაჭახელას ხეობა ატირდა...“;

„დღეს, ჩემს საქართველოს, დიდი კედელი ჩამოეშალა. ასე მგონია, დღეს კიდევ ერთხელ დავკარგეთ ტაო-კლარჯეთი. როგორ მჯეროდა, რომ კიდევ ნამიყვანდით ისტორიულ საქართველოში...“;

„დერეფანში ისე არ ჩაივლიდა, ჩვენს აუდიტორიაში არ შემოეხედა და რამე პოზიტიური არ ეთქვა, ისეთი რამ, რაც აუცილებლად გაგვალმობდა. რალაცნაირად სიმბოლური იყო კორშიდან როშკამდე მიმავალი გზა, თითქმის შეუსვენებლად რომ აიარა და ჩვენ, ვინ იცის, რამდენჯერ შევეისვენეთ. მიგვიძლოდა და მაგალითს გვაძლევდა, როგორი ნაბიჯებით უნდა იარო მიზნისკენ...“;

„90-იანი წლები: გაყინული საკლასო ოთახი და საამაყო პროფესორის სიტბო, რომელმაც შეგვაყვარა ქართული გრამატიკა. გვამოგზაურებდა მივინყებულ სოფლებში და მარგალიტებით აგროვებდა ქართულ დიალექტებს, მერე? მერე, ჩვენ, ემიგრაციაში დაფანტულებს, გვეხმიანებოდა და გვმოძღვრავდა მისეული სიბრძნით. გვახსენებდა საქართველოში დაბრუნებას, გვთხოვდა, რომ შვილები საქართველოში დაგვეოჯახებინა, რომ უცხო ქვეყანაში შეძენილი ცოდნა სამშობლოს უნდა მოხმარდეს...“;

„საქართველო ერთიანი უნდა გიყვარდეთ, შვილებო, „რაჭა“ უკუღმა წაიკითხეთ – „აჭარა“ გამოვა... ნუ დაუნუნებთ, – მოუნონეთ ერთურთს კუთხე და კუნჭული“, – ეს გვასწავლა უნივერსიტეტში კაცმა, ვინც ახლა გარდაიცვალა რეანიმაციაში“...

„ლექციებზე, ექსპედიციებზე, კონფერენციებზე, მის თითოეულ სიტყვაში იყო მონოდება, რომ არ მოვდუნდეთ, ვიბრძოლოთ, მივალწიოთ, გავიმარჯვოთ... რამხელა ენერგიას გასცემდა... საკუთარ თავში უდიდეს ძალას გაპოვინებდა, რომ შენი

წარმატება ქვეყნის სასიკეთოდ ყოფილიყო... ასეთი გამორჩეული იყო და ამიტომაც არ მეგონა, ბევრი კარგი ქართული საქმე შუა გზაზე შეწყდებოდა..." – ასე იხსენებენ მისი ახლობლები, კოლეგები და სტუდენტები.

არსებული რეგულაციების გათვალისწინებით, პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის პანაშვიდი 5 იანვარს, თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში გაიმართება, დაკრძალვა კი – ამავე დღეს, 14 საათზე.

იმერეთის მთავარი საინფორმაციო სააგენტო Topnews.com. ge უსამძიმრებს ოჯახს და მთელს ქვეყანას ტარიელ ფუტყარაძის გარდაცვალების გამო.

სათუნა გელაშვილი

მართლა აღუვსებელი დანაკლისი ქვეყნისთვის.

ასეთი ეროვნული, წმინდა გულის პატრონი, გულით პატრიოტი, ენერგიული, შეუპოვარი და ა.შ. და ა.შ. ყველაფერი ერთ პიროვნებაში ხომ იშვიათობაა! კეთილშობილება, სიმკაცრეც და სამართლიანობაც ასე შერწყმული...

ქესო გეჯუა

ბატონო ტარიელ... ეს ის შემთხვევაა, როცა სიტყვები სათქმელს არ იტევს. ვერც ერთი სიტყვა ვერ გამოხატავს იმ ტკივილს, რასაც ახლა ვგრძნობ. როგორ უნდა ვისაუბროთ თქვენზე წარსულში. ძალიან გაგვიჭირდება უთქვენოდ, ვერც წარმომიდგენია, როგორ იქნება... ერთი, რაც ვიცი, მთელი ცხოვრება თქვენი მადლობელი ვიქნები. ის ამაგი, რაც გაგინვიათ ჩემთვის და, ზოგადად, ყველასთვის, ღმერთმა შეგიწიროთ.

საქართველოსა და ქართველობის ერთიანობის სადარაჯოზე იდეით ყოველთვის, თქვენი წვლილი ქვეყნისა და ერის წინაშე

განუზომელია. ეროვნული ერთიანობის სულისკვეთებით იყო განმსჭვალული თქვენი ყოველი სიტყვა, გამოსვლა. გამორჩეული მასწავლებელი, განსაკუთრებული ადამიანი იყავით და ასე დარჩებით ყველას მესხიერებაში.

პატიებას გთხოვთ, რომ ვერ გაგაცილეთ... ყოველთვის გვეულშემატკივრობდით მე და სოფოს და განიცდიდით, როცა აფხაზეთში წამოვიდოდით. ბოლოს რომ ვიყავით, მოგწერეთ: მზად ვართ და როგორც კი შესაძლებლობა იქნება, გადმოვალთო. თქვენგან მზრუნველობითმა პასუხმაც არ დააყოვნა: გზაში შარი არ ნახოთ, არ იჩქაროთ, უხიფათოდ წამოდით, მხოლოდ როცა სიტუაცია იქნებაო. დღეს იმ მდგომარეობაში ვართ, რომ აქედან, აფხაზეთიდან გეთხოვებით, მაგრამ გადმოვალთ უხიფათოდ, მოგაკითხავთ და მოგიყვებით ჩვენს თავგადასავალს.

ყოველთვის მემახსოვრება თქვენი დარიგებები, მზრუნველობა და მამობრივი სიყვარული... თქვენი მიცვალებით ისევ დამაობლეთ, მაგრამ თქვენდამი სიყვარულიც ისევე ღრმად მექნება გულში, როგორც მშობელი მამის.

ღმერთს ებარებოდეთ!

სასუფეველი დაგიმკვიდროთ უფალმა!

ძალიან მიყვარხართ!

მერაბ გვაზავა

დღეს ტარიელ ფუტკარაძის მეორმოცე დღეა. ქრისტიანობა გვასწავლის, რომ ამ დღეს ადამიანის სამუდამო სამყოფელი განისაზღვრება, აინონება მისი ნაღვან-ნაქნარი, შეფასდება მთელი ცხოვრება და გაცხადდება მიუდგომელი მსჯავრი. ამ დღეს ზეცა ღიაა ლოცვების მისაღებად. ეს წერილიც ლოცვად ჩამეთვალოს, კიდევ ერთ არგუმენტად ჩემი მეგობრის სასარგებლოდ.

ტარიელს ძალიან აწუხებდა ჩემი მდგომარეობა, ჩემი პრობლემები ბანკთან მიმართებით. ხშირად მირეკავდა, მეკითხებოდა რაიმე სასიკეთო ძვრები ხომ არააო. ერთ დღესაც დამირეკა, ყუ-

რადღებით მომისმინა; როცა სანუგეშო ვერაფერი გაიგონა, მცირე დუმილის შემდეგ უცნაური რამ მითხრა: მერაბ, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს შენი ვალი მაქვს და ვერ გიბრუნებო. ხშირად ვფიქრობ ამ სიტყვებზე, ჩემთვის იგი ძალიან მკაფიო შტრიხია მისი პორტრეტისათვის.

ტარიელი ვალდებულებად მიიჩნევდა მეგობრის (მოყვასის) შველას, როცა ამას ვერ ახერხებდა, თვლიდა, რომ ვალს ვერ ისტუმრებდა. შენ იცი, უფალო, რომ ეს იშვიათი სათნოებაა, გამინათლე ჩემი მეგობარი.

ტარიელ ფუტკარაძის ღვანლი საქართველოს ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვაში ევროპულ ენათა ქარტიასთან მიმართებით

ტარიელ ფუტკარაძის მრავალმხრივი მოღვაწეობიდან გამოვყოფდი მის დიდ დამსახურებას რეგიონული ან უმცირესობის ენების ევროპული ქარტიის შესახებ სახელმწიფოებრივად უმნიშვნელოვანესი კონცეფციის შემუშავებაში.

ქარტიის ტექსტი ევროსაბჭომ გამოაქვეყნა სტრასბურგში 1992 წელს. 1999 წლის აპრილში საქართველო გახდა ევროსაბჭოს წევრი. ჩვენმა ქვეყანამ აიღო ვალდებულება ერთი წლის განმავლობაში მოეხდინა ქარტიის რატიფიცირება. დოკუმენტის ღრმა და საგულდაგულო ანალიზის შედეგად ტარიელ ფუტკარაძე მივიდა დასკვნამდე, რომ სახელმწიფოებრივ დონეზე ზერელე და ნინდაუხედავ გადაწყვეტილებას (რაც სულაც არ გახლდათ გამოორიცხული) აუცილებლად მოჰყვებოდა კატასტროფული შედეგები ქვეყნისათვის. მან თავის უპირველეს მოვალეობად ჩათვალა, დამდგარიყო იქ, სადაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა ქვეყანას. მდგომარეობას ართულებდა ქართველ ენათმეცნიერთა არაერთგვაროვანი დამოკიდებულება პრობლემისადმი. ცოტა იქნება აღნიშვნა, რომ ტარიელმა, როგორც იტყვიან, მიკროსკოპის ქვეშ გაატარა ქარტიის ტექსტი; საკმარისია გავიხსენოთ სკანდალური შემთხვევა, როცა მან ქარტიის ძირითად ტექსტში აღმოაჩინა

ფაქტობრივი უზუსტობა და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობა ევროსაბჭოს სამდივნოს. პასუხი ამგვარი გახლდათ: დიახ, ბატონო ტარიელ, ჩვენდა გასაოცრად, თქვენ აბსოლუტურად სწორი ბრძანდებით. დიდი მადლობა, რომ დაგვეხმარეთ შეცდომის პოვნასა და გასწორებაში. ევროსაბჭოს სამდივნომ ტარიელ ფუტკარაძეს დაუყოვნებლივ შესთავაზა ყოფილიყო მისი წარმომადგენელი ამიერკავკასიაში, როგორც ექსპერტი, რაზეც ტარიელმა უარით უპასუხა.

მე ვესწრებოდი კონფერენციას რონდელის ცენტრში, რომელიც ევროსაბჭოს ინიციატივით ჩატარდა და ეძღვნებოდა ევროპული ქარტიის ცალკეულ მოთხოვნებს საქართველოსთან მიმართებით. კონფერენციას უძღვებოდნენ ევროსაბჭოს ლინგვისტ-ექსპერტები. მათი მოთხოვნა იყო ხელისუფლებას დაეჩქარებინა რატიფიკაციის პროცესი ჩვენი სახელმწიფოებრიობის დამაზიანებელი ფორმით. საკუთარი თვალთ ვნახე თავჩალუნული ევროპელი ექსპერტები, რომლებიც ვერაფერს უპირისპირებდნენ ტარიელ ფუტკარაძისა და რეზო შეროზიას არგუმენტებს.

ტარიელ ფუტკარაძე იყენებდა ნებისმიერ ტრიბუნას, მათ შორის – საპარლამენტოსაც, გამოდიოდა სხვადასხვა ტელევიზიით, აწყობდა საჯარო ლექციებს, კითხულობდა მოხსენებებს სამეცნიერო კონფერენციებზე, წერდა და გამოსცემდა წერილებსა და წიგნებს, დიდი ტაქტითა და ღრმა კომპეტენციით განუმარტავდა ოპონენტებს (რომლებიც არასოდეს შემოჰკლებია) პრობლემის არსს. რატომ ანიჭებდა იგი ასეთ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ევროპულ ქარტიას?!

საზოგადოდ, ტარიელი მიიჩნევდა, რომ ეს იყო უაღრესად საჭირო, მნიშვნელოვანი და სრულყოფილი დოკუმენტი ერთადერთი აუცილებელი დათქმით: იგი სწორად უნდა გაგვეგო და დანიშნულებისამებრ გამოგვეყენებინა. მეორე მხრივ, გაუფრთხილებლობის შემთხვევაში, მას შეეძლო უმძლავრესი დეტონატორის ფუნქცია შეესრულებინა და სახელმწიფოს დემონტაჟი გამოეწვია. სწორედ ამ რისკებისა და საფრთხეების გათვალისწინებით მისი რატიფიკაციისაგან დღემდე თავს იკავებენ დიდი და ძლიერი სახელ-

მნიფოები: საფრანგეთი, იტალია, თურქეთი, პოლონეთი და სხვა.

ტარიელ ფუტკარაძეს, როგორც ჭემმარიტ მამულიშვილს, არ შეეძლო გულხელდაკრეფილი დალოდებოდა მოვლენების განვითარებას. მან საკუთარ თავზე აიღო პრობლემა, რომელიც არსებითად მას არ ეხებოდა და მხოლოდ სახელმწიფოს კომპეტენცია გახლდათ. რათა გამოერიცხა ყოველგვარი შემთხვევითობა, აცნობიერებდა რა ხელისუფლების ზერელე დამოკიდებულებას ეგზისტენციალური პრობლემისადმი, შეიმუშავა და საჯარო სივრცეში დააფიქსირა სრულყოფილი კონცეფცია ევროპულ ქარტიასთან დაკავშირებით, რომელიც რისკებს გამოირიცხავდა.

რომელმა ხელისუფლებამაც არ უნდა გადანყვიტოს ევროპული ქარტიის რატიფიცირება, იგი გვერდს ვერ აუვლის ტარიელ ფუტკარაძის მუხლჩაუხრელი შრომისა და ბრძოლის შედეგს, რომელიც მის სამშობლოს სასიკვდილო საფრთხეს არიდებს. ამ გმირობის საზღაურად ტარიელ ფუტკარაძემ მიიღო ცილისწამებისა და შეურაცხყოფის ნიაღვარი, რომელიც დღემდე გრძელდება.

თაიშურაზ გვანცელაქი

სიტყვები არ მყოფნის... მოხდა წარმოუდგენელი:

გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ხელის მომწერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რამდენიმე უნივერსიტეტის პროფესორი, სანიმუშო მამულიშვილი ტარიელ ფუტკარაძე.

უფალმა ცათა სასუფეველი დაუმკვიდროს მის სულს! ვუსამძიმრებ მის დედას, მეუღლეს, შვილებს, ძმებს, მეგობართანამებრძოლებს, კოლეგებს, სრულიად საქართველოს!

სიტყვა მეგობრისა და თანამებრძოლის სამუდამო განსასვენებელთან...

მშვიდობით, ტარიელ!

შენ ვალმოხდილი ნახვედი ამიერსოფლიდან...

P.S. ძალიან ვეცადე, მაგრამ უცებ წამომსკდარი ცრემლები ვერ შევიკავე... თითქმის 40 წელი ერთად ვიყავით ჭირსა და ლხინში...

...უკვე მეორმოცე დღეა, რაც ფიზიკურად გვერდით აღარ გვყავს ტარიელ ფუტკარაძე. ძნელია ამ ტკივილიან ფაქტთან შეგუება, მაგრამ... ასევე ძნელია მისი ამქვეყნიური საქმეების შესახებ უემოციოდ მსჯელობა!

მას უამრავი ღირსება მიჰმადლა უფალმა: იყო სანიმუშო და პრინციპული მამულიშვილი; მაღალი დონის პროფესიონალი ქართველოლოგი; გამორჩეული აღმზრდელი; ავთანდილივით უებრო მეგობარი; სხვათა ჭირ-ლხინის თანაზიარი;

გაუტეხელი, მხნე, უშიში და მედგარი მებრძოლი; შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი;

საქმის ერთგული და უნაკლო ორგანიზატორი; არაჩვეულებრივი შვილი, მეუღლე, ძმა, მამა და ბაბუა; მუდამ სიახლისაკენ მსწრაფველი...

ჩვენ 38 წლის მეგობრობა გვაკავშირებდა, ბევრი რამ გადაგვხდენია თავს ერთად: წინსვლის სიხარულიც, მარცხის სიმწარეც, სამსახურებრივი და პოლიტიკური დევნაც, ლანძღვაც, მაგრამ ერთად ყოფნა გვიადვილებდა ყველა გასაჭირის დაძლევას; რაც მთავარია, ძალას გვმატებდა იმისი რწმენა, რომ უფლის, სამშობლოსა და ერის წინაშე მართლები ვიყავით.

მას უამრავი ახალი იდეა ჰქონდა, როგორც თვითონ ამბობდა, ზოგი საშორეულო და საეგებო, ზოგი საახლო და რეალური.

ბევრი საქმის ბოლომდე მიყვანა ვეღარ მოასწრო და მის მეგობრებს, კოლეგებსა და უამრავ მონაფეს წამდვილად გაგვიჭირდება მათი აღსრულება, მაგრამ უნდა ვცადოთ. ამას ამ კაცის მიერ ამქვეყნად დატოვებული ძმობა, მეგობრობა და სითბო გვაავალბებს.

ბევრი რამის თქმა მსურდა, მაგრამ ვერ დავიმორჩილე სიტყვა. მომიტევე, ტარიელ!

მშვიდობით, მეგობარო! საუკუნოდ იყავნ ჳსენებაჲ შენი!

ტარიელ ფუტკარაძის პოლიტიკური მოღვაწეობის ძირითადი ასპექტები

ზუსტად არ მაგონდება, როდის გავიცანი ტარიელ ფუტკარაძე. ეს შექველად 1983 წელი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან იგი სწორედ ამ წელს გახდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტი ქართული ენის სპეციალობით, მე კი უკვე ვმუშაობდი ამ ინსტიტუტის იბერიულ-კავკასიური ენების განყოფილებაში. ინსტიტუტი პატარა იყო და ყველა თანამშრომელი და ასპირანტები ერთმანეთს ვიცნობდით. ტარიელსა და მე შორიასლო ნაცნობობა თანამოაზრეობასა და მეგობრობაში მაშინ გადაგვეზარდა, როცა საქართველოში აზვირთდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ინსტიტუტის ახალგაზრდებიდან ტარიელი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ჩაერთო პოლიტიკაში. იგი მალე გახდა ზვიად გამსახურდიას მიერ შექმნილი „ჰელსინკის კავშირის“ აქტიური წევრი: მონაწილეობდა სხდომებში, გასვლით აქციებში, წერდა და აქვეყნებდა სტატიებს გაზეთებში... 1989 წლის 9 აპრილს იგი ბოლო წუთამდე იმყოფებოდა რუსთაველის პროსპექტზე და ბენჯზე გადაურჩა რუსი სალდათების ალესილ ნიჩბებს.

ყველა ნორმალურ ქართველს უხაროდა, როცა 1990 წელს ეროვნული მოძრაობის მძლავრი ზენოლით საქართველოს სსრ-ს უმაღლესი საბჭო (ანუ კომუნისტური პარლამენტი) იძულებული გახდა, ოფიციალურად ელიარებინა, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველო დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა და მოახდინა ქვეყნის ოკუპაცია-ანექსია. ეროვნულმა ძალებმა იმასაც მიაღწიეს, რომ ჩაიშალა იმავე წლის მარტში დანიშნული უმაღლესი საბჭოს არჩევნები და 28 ოქტომბრისათვის დაინიშნა საქართველოს უზენაესი საბჭოს არასაბჭოური, დემოკრატიული, მრავალპარტიული და პირდაპირი არჩევნები. ამ არჩევნებში პარტიათა ბლოკის „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ დეპუტატობის კანდიდატებად ჩვენი ინსტიტუტის 3 თანამშრომელი

ვმონაწილეობდით: **ტარიელ ფუტყარაძე**, ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების გამგე, ქალბატონი **მაია მაჭავარიანი** და **ამ სტრიქონების ავტორი**. სამივე აგვირჩიეს. ტარიელსა და მე უკვე ყოველდღიური ურთიერთობა გვქონდა, ხან ვხვდებოდით ერთმანეთს, ხან ტელეფონით ვსაუბრობდით საჭირობოროტო საკითხებზე.

კარგად მახსოვს, როგორ ველავდით 28 ოქტომბრის მოახლოებისას, ხოლო როცა გაირკვა, რომ არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ჩვენმა საარჩევნო ბლოკმა, სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ორივემ გავიარეთ დეპუტატად რეგისტრაცია ჩიტაძის ქუჩაზე მდებარე საარჩევნო კომისიაში და მოუთმენლად ველოდით **14 ნოემბერს, როცა საქართველოს ისტორიაში ახალი ეტაპი უნდა დაწყებულიყო** საქართველოს არაკომუნისტური უზენაესი საბჭოს პირველ სხდომაზე. დადგა ეს დღეც. ჩვენ ჯერ უზენაესი საბჭოს შენობასთან შევხვდით ერთმანეთს და შემდეგ ასევე ერთად მივიღეთ მონაწილეობა იმ ისტორიული სხდომის მუშაობაში: ჩვენს სამშობლოს ენოდა **საქართველოს რესპუბლიკა**, გამოცხადდა **გარდამავალი პერიოდი**, კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნა კომუნისტური მიზნების შესაბამისი მუხლები, შეიქმნა მუდმივი კომისიები, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ავირჩიეთ ეროვნული მოძრაობის ლიდერი, ბატონი **ზვიად გამსახურდია**. პირველივე დღიდან დაიწყო საქართველოს დეოკუპაციისა და ახალი ეკონომიკის მშენებლობისათვის მტკიცე სამართლებრივი საფუძვლების შექმნა.

უზენაეს საბჭოში მე მხოლოდ ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა მუდმივი კომისიის **ეროვნებათშორის ურთიერთობათა და ეროვნული ერთიანობის ქვეკომისიის წევრი** ვიყავი, ტარიელმა **განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის წევრობას ჩვენი ქვეკომისიის წევრობაც შეუთავსა**. ჩვენთან იგი კურირებდა აჭარის ავტონომიის პრობლემას. მას მიაჩნდა, რომ **ქართველებს საქართველოში ავტონომია მხოლოდ აბრკოლებდა და იგი აუცილებლად უნდა გაუქმებულიყო**. ამ მართებული პოზიციის გამო დანიშნა ტარიელი ზვიად გამსახურდიამ 1991 წლის მარტში **ქალაქ ბა-**

თუმის პრეფექტად, სადაც მას მძიმე ბრძოლების გადახდა უწევდა ასლან აბაშიძის მეთაურობით მოქმედ ავტონომისტებთან, რომლებიც მოსკოვის კარნახით ყოველგვარად ცდილობდნენ აჭარაში დაძაბულობის შენარჩუნებას.

ბათუმში მუშაობის დროს ტარიელის ინიციატივით **აჭარის ყველა რაიონის პრეფექტებმა** საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წერილობით წარუდგინეს შესაბამისი რაიონების **საკრებულოების გადანყვეტილებები აჭარაში ავტონომიის გაუქმების მოთხოვნით**. ამას მოჰყვა მანამდე ტარიელსა და ასლან აბაშიძეს შორის ისედაც დაძაბული ურთიერთობის გამწვავება და ავტონომისტების მხრიდან პროვოკაციების მცდელობანი. ტარიელმა ბატონ ზვიადს სთხოვა ა. აბაშიძის გადაყენება, მაგრამ იმ დროს ამის გაკეთება სახიფათო იყო და ტარიელმაც დატოვა პრეფექტის თანამდებობა.

უზენაესი საბჭოს სხდომებზე მე და ტარიელი გვერდიგვერდ ვისხედით და მუდამ შეთანხმებულად ვმოქმედებდით. მას საზოგადოდ სჩვეოდა ყველა მნიშვნელოვანი გადანყვეტილების შეთანხმება მეგობრებთან და კოლეგებთან, რაც მისი ერთ-ერთი **საუკეთესო თვისება** იყო. ორივენი უსაზღვროდ ბედნიერნი ვიყავით, როცა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის დროს საქართველოს მოსახლეობამ ხმა მისცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, ხოლო 9 აპრილს ამ რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე დეკლარაციებს წილად გვხვდა ბედნიერება, ჩვენი ხელმოწერებით გვემცნო მსოფლიოსათვის, რომ **საქართველო უკვე იურიდიულად დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო**. მიუხედავად იმისა, რომ ფილოლოგი ვარ, მიძნელდება სიტყვიერად აღწერა იმ საოცარი განცდისა და ბედნიერებისა, რაც იმ დღეს დაგვეუფლა ჩვენც და სხვა დეკლარაციებსაც...

მახსოვს, იმავე 9 აპრილს, როცა ხელი მოვანერეთ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს, უზენაესი საბჭოს სხდომას საპატიო სტუმრის რანგში ესწრებოდა ცნობილი დისიდენტი, ინგუშური ეროვნული მოძრაობის ლიდერი, მწერალი **ისა კოდოვი (კოაზოი)**, რომელმაც მისასალმებელ სიტყვაში

შეგვახსენა, რომ მტერს არ სძინავს და ამიერიდან მოსკოვი ყველა ხერხს გამოიყენებს საქართველოს დასაჩოქებლადო. ბატონ ისას გამოსვლამდე იგივე განაცხადა ბატონმა **ზვიად გამსახურდიამაც**: მან შეგვახსენა, რომ მოსკოვი იმ დღიდან ყველა ხერხს იხმარდა საქართველოს კვლავ დასამორჩილებლად და დეპუტატებიცა და საქართველოს მოსახლეობაც ფხიზლად უნდა ვყოფილიყავით. მართლაც, ასე მოხდა 1991 წლის ზაფხულ-შემოდგომიდან, როცა უკვე რამდენიმე ქვეყანამ ცნო ჩვენი დამოუკიდებლობა, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ აქაური ვითარების ადგილზე, პირველწყაროსგან გასაცნობად ყოფილი პრეზიდენტი **რიჩარდ ნიქსონი** და სენატორები გამოგზავნა. მაშინ რ. ნიქსონმა განაცხადა, რომ ჩვენ რეალური დამოუკიდებლობისაკენ სწორი გზით მივდიოდით, ხოლო ზ. გამსახურდია ძლიერი ლიდერი იყო. ამით გაავებულმა ე.წ. ოპოზიციამ დაიწყო ბრძოლა ვითარების ასარეგად. ტარიელმა მოუხშირა სტატეების წერას ოპოზიციის უსაფუძვლო ბრალდებათა გასაბათილებლად, ხოლო როცა საქმე შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მივიდა, ტარიელიც მონაწილეობდა მოლაპარაკებებში, თუმცა, სამწუხაროდ, ე.წ. ოპოზიცია ჯიუტად არ თმობდა ღალატის გზას...

დეპუტატობის დროს უზენაეს საბჭოში ბუნებრივად წამოიჭრა საკითხი ადრე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული **ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისიის სტატუსის შეცვლისა და გააქტიურების შესახებ**. ეს არ იყო მხოლოდ სამეცნიერო საკითხი, მას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა: სახელმწიფო ენას საკადრისი მოვლა-პატრონობა ესაჭიროებოდა. საქმე ის არის, რომ ამ კომისიის წევრებად კომუნისტების დროს ირიცხებოდნენ როგორც წამყვანი ენათმეცნიერები და მწერლები, ისე მინისტრებიც, კომისიას კი თავმჯდომარეობდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. კომისიას ნორმათა პროექტებს უმზადებდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება, რომლის მიერ შედგენილი ნორმები ჯერ განიხილებოდა ამ განყოფილების სხდომებზე, შემდეგ კი – ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ.

საბჭოს დადებითი დასკვნის შემთხვევაში ნორმის პროექტი ეგზავნებოდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, რომელსაც უამისოდაც ბევრი საქმე ჰქონდა, არც ენის პრობლემები იცოდა და გადადებდა ხოლმე საკითხს იმ დროისათვის, როცა თვითონ მოიცლიდა. ამის გამო კომისია წელიწადში ერთხელ, ან იშვიათად ორჯერ თუ შეიკრიბებოდა. კომისიის მუშაობის ნაკლი იყო ისიც, რომ ახალი ნორმები არ ვრცელდებოდა ფართო საზოგადოებაში და ამის გამო ვერც ინერგებოდა – გამოდიოდა კომისიის ბიულეტენი, რომლის ტირაჟი სულ რაღაც 100 ცალი იყო და სრულებით არ კმაროდა, ბიბლიოთეკებშიც კი არ მისდიოდათ. ეს იყო იმის მიზეზი, რომ დაინტერესებული საზოგადოება (მასწავლებლები, მოსწავლეები, ლექტორები, სტუდენტები...) ვერ ეცნობოდა დამტკიცებულ ნორმებს.

ქართული ენის ნორმირების პრობლემის მოგვარებაზე მუშაობა დაგვევალა ტარიელსა და მე. ბატონმა ზვიად გამსახურდიამ წინასწარ გაგვიზიარა თავისი სურვილები და ჩვენ შევთანხმდით შემდეგ ძირითად საკითხებზე:

1. კომისიას უნდა დარქმეოდა „**ქართული ენის მუდმივი კომისია**“ და უნდა გადმოტანილიყო უზენაეს საბჭოში;

2. კომისიის წევრები უნდა გამხდარიყვნენ ენათმეცნიერი დეპუტატები: ჩვენ ორნი, აკად. **თამაზ გამყრელიძე**, დოცენტი **ნათელა ქუთელია**, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი **მაია მაჭავარიანი**, პროფესორი **მზექლა შანიძე**, ასევე ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერები. კომისიის წევრთა პოლიტიკური პოზიცია არ უნდა გათვალისწინებულიყო. ბატონმა ზვიადმა გვითხრა, **ენა ისეთი მოვლენაა, მისი მოვლა-პატრონობა პოზიციასაც გვეხება და ოპოზიციასაც**.

3. კომისიის თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – **უზენაესი საბჭოს – თავმჯდომარე**.

ტარიელსა და მე გვესმოდა, რომ საქმის გადადება არ შეიძლებოდა, ამიტომ მაშინვე შევუდექით მუშაობას. პირველად დავინწყეთ **კომისიის მუშაობის წესის შედგენა**. როცა პროექტი მზად გვქონდა, უზენაეს საბჭოში შემოვიდა **ლევან ღვინჯილიას** მიერ

შედგენილი პროექტიც, რომელიც სულ სხვა პრინციპებზე იყო აგებული, მაგრამ მასში ჩვენთვის მისაღები ნაწილებიც იყო, რაც გავითვალისწინეთ. შემდეგ სათითაოდ გავესაუბრეთ უზენაესი საბჭოს წევრ ენათმეცნიერებს და ვთხოვეთ, წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებანი. სამწუხაროდ, მათგან წინადადებები არ მოგვსვლია. პარალელურად ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლებს: დოცენტ **ვაჟა შენგელიასა** და დოცენტ **მანანა ტაბიძეს** გავაცანით ჩვენი პროექტი და მათ მოგვანოდეს საქმიანი შენიშვნები და სურვილები. კომისიის შესაქმნელად დარჩენილი იყო მხოლოდ საკითხის გატანა უზენაესი საბჭოს იურიდიულ კომისიაში, შემდეგ კი – სესიაზე, მაგრამ, საუბედუროდ, ე.წ. ოპოზიციამ იარაღს მოჰკიდა ხელი, ქვეყანაში ვითარება აირია, რის გამოც კომისიის შექმნა ველარ მოესწრო. ამ საქმესთან დაკავშირებული მთელი მასალა დღეს ჩემს პირად არქივში ინახება.

1992 წლის 6 იანვარს საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდგომ ტარიელი უმუშევარი დარჩა: მან დეპუტატად არჩევის შემდეგ ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაწერა განცხადება სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ, პუტჩის მერე კი არ აღადგინეს ზემოდან მითითების გამო. მას პოლიტიკური საქმიანობა არ შეუწყვეტია: **ქვეყანაში კანონიერების აღდგენისათვის იბრძოდა ყველგან და მუდამ.**

1992 წლის მარტის დასაწყისში სანდო პირებმა ორივეს გვაცნობეს, რომ ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში დაინიშნა უზენაესი საბჭოს გამსვლელი სხდომა და იქ გველოდნენ. უყოყმანოდ გადავწყვიტეთ წასვლა, თუმცა ტარიელის მეუღლე დღე-დღეზე მესამე შვილს, ცოტნეს ელოდა და ორივეს გვეძინებოდა ოჯახების დატოვება იმდროინდელი მხეცობების ფონზე. გროზნოში პირდაპირ დარიალის ხეობის გავლით წასვლა სარისკო იყო, ვინაიდან ხუნტას უეჭველად ეცოდინებოდა გროზნოს სესიის ამბავი და გზაშივე დაგვაპატიმრებდნენ. ამიტომ ბაქოს გავლით რკინიგზით მგზავრობა ვარჩიეთ.

მატარებელთან მისულთ ეროვნული მოძრაობის რამდენიმე წევრი შემოგვხვდა. ერთმა ნაცნობმა ქალბატონმა განზე გამიყ-

ვანა და კობტად შეხვეული რალაც გადმომცა, თან ამიხსნა, რომ ეს ხალხის მიერ გროზნოში ემიგრირებული დეპუტატებისათვის, მინისტრებისა და აქტივისტებისათვის განკუთვნილი საკმაოდ მსხვილი თანხა იყო, თუ არ ვცდები, 30 000 მანეთი. მან მთხოვა, ეს ფული გადამეცა გროზნოში მყოფი კონკრეტული პირისათვის (სამწუხაროდ, მისი გვარი არ მახსოვს), რომელიც იზრუნებდა ჩვენიანების კვებისა და სხვა ხარჯების დაფარვაზე (იმ საყოველთაო გაჭირვების დროს ხალხი ლუკმას იკლებდა და დევნილებს უგზავნიდა). ტარიელს ვუთხარი, რაც მომცა იმ ნაცნობმა და შეკვრა საიმედოდ შევიწახეთ.

ჩვენს ვაგონში ერთი ყოფილი თანამდებობის პირიც ამოვიდა. არ გვესიამოვნა მისი დანახვა, მაგრამ თვალი მოგვკრა და ჩვენს კუბეში შემოვიდა. საუბარი ვერ აგვეწყობო: ის გვეძალებოდა პოლიტიკაზე სასაუბროდ, ჩვენ კი მხოლოდ „კი“-„არა“-ს ვპასუხობდით. ბოლოს ძალიან გამალიზიანებელი რამ გვითხრა, რამაც ტარიელი უცებ ანთო და მკვახედ უპასუხა. იმან უკან არ დაიხია და ტარიელმა მისკენ გაიწია. ძლივს გავაშველე და იმას მოვთხოვე, მოგვცილებოდა, ისიც გაიძურნა და მერე გროზნომდე არც გვინახავს.

მატარებელი ბაქოში უთენია ჩავიდა. ცნობათა ბიუროში გავარკვიეთ, რომ სალამოს გადიოდა მატარებელი პირდაპირ გროზნოსკენ. ქალაქში გასვლის არანაირი სურვილი არ გვექონდა. მოსაცდელ დარბაზში ვისხედით და მხოლოდ ორჯერ გავედით საჩაიეში განთქმული აზერული ჩაის დასალევად. დარბაზში მსხდომებს რამდენიმე კაცი რიგრიგობით გვიტრიალებდა. მივხვდით, რომ რაკი ყარაბაღის ომი იყო და ჩვენ აშკარად არ ვგავდით აზერბაიჯანელებს, იქაურ დაზვერვას აინტერესებდა, სომხები ხომ არ ვიყავით. გაგვეცინა და განგებ ხმამაღლა ავლაპარაკდით ქართულად. იმათ ცოტახანს კიდევ გვიტრიალეს და მოგვცილდნენ.

მატარებელში მისი ჩამოდგომისთანავე ავედით და ჩვენს კუბეში შევიყუყეთ, არავისთან საუბრის სურვილი არ გვექონდა, თან ვფრთხილობდით. გასვლამდე ორიოდე წამით ადრე ვილაც საკმაოდ სიმპათიური, სლაგური გარეგნობის ახალგაზრდა ქალი შემოვიდა, უხმოდ მოგვესალმა, ბარგი შეინახა და ჩემ გვერდით

დაჯდა. ხმას არ იღებდა, ჩვენც ჩუმად ვიყავით. ტარიელმა რუსულად სახელი ჰკითხა, იმან კი ხელი პირთან მიიტანა და გვანიშნა, მუნჯი ვარო. ძალიან დაგვაეჭვა მილიონი შესაძლებლობიდან ჩვენს კუბეში მაინცდამაინც მუნჯის მოხვედრამ და ხმას აღარ ვიღებდით, ზოგჯერ წყალს თუ შევთავაზებდით და თითო სიტყვას ვეცყოდით ერთმანეთს. ის ქალი დილით მაჰაჩყალაში ჩავიდა და იმის მერე არავის შევუწუხებდით.

გროზნოში ჩასულებმა პირდაპირ სასტუმრო „კავკაზს“ მივაკითხეთ, სადაც ქართველი ემიგრანტები იყვნენ დაბინავებული. მოგვეხვიენენ ყველანი, კითხვები დაგვაყარეს, ჩვენც ვპასუხობდით. მე და ტარიელიც იქვე დაგვაბინავეს.

მოვძებნე ის ქალბატონი, ვისთვისაც თბილისიდან გამოტანებული ფული უნდა გადამეცა. თანხა თავის ოთახშივე დავათვლევი. მან უკვე იცოდა, მე რომ უნდა მიმეცა თანხა. როცა გაარკვია, რომ ფული ზუსტად იმდენი იყო, რამდენიც გამომატანეს, გაოცებულმა მითხრა, კი, მაგრამ ამ ფულით რატომ არ იყიდეთ ბილეთები და საჭმელიო. მე ვუთხარი, რას ამბობ, ხელს როგორ ვახლებდით, როცა ხალხმა ლუკმა მოიკლო და სათქვენოდ გამოგვატანეს-მეთქი. ცრემლები მოადგა... ამ რამდენიმე წლის წინ, როცა საფრანგეთში ემიგრანტობიდან დაბრუნებული დეპუტატი ავთანდილ კვეტენაძე ვნახე, მან გაიხსენა ეს ამბავი, ის ფული მე ჩამაბარეს და იმ ქალმა მითხრა, ბიჭებს ამ ფულიდან კაპიკი არ დაუხარჯავთ, არადა ვინ იცის, იქნებ მშვივრებმა იმგზავრესო. ავთანდილმა დასძინა, მსგავს შემთხვევაში ზოგიერთებმა გამოგზავნილ თანხას საკმაოდ მოაკლეს და თავს იმართლებდნენ, რისკზე წავედით და ხომ გვეკუთვნისო.

ორიოდე დღეში გროზნოში უკვე დეპუტატების საკმაოდ დიდი რაოდენობა მოგროვდა.

1992 წლის 13 მარტს ჩეჩნეთის მთავრობის სახლის საკონფერენციო დარბაზში გაიხსნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომა. **ეს მსოფლიოში უნიკალური შემთხვევა იყო, როცა დევნილი პარლამენტი კვორუმის დაცვით მუშაობდა.** სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს პრეზიდენტი **ზვიად**

გამსახურდია, ხოლო საპატიო სტუმრის სტატუსით ესწრებოდა ჩეჩნეთის პრეზიდენტი **ჯოჰარ დუდაევი**. უზენაესმა საბჭომ მოისმინა ჯ. დუდაევის მისალმება, შემდეგ კი საქართველოში არსებული უმძიმესი ვითარების დეტალური და ზუსტი ანალიზი წარმოგვიდგინა ბატონმა ზვიადმა.

ესიის უმთავრესი საკითხი იყო შევარდნაძის უკანონო რეჟიმის მიერ მიღებული და მომავალში მისაღები ნებისმიერი იურიდიული გადაწყვეტილების უკანონოდ გამოცხადება. დადგენილების სახელწოდება იყო: **„1991 წლის 22 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკაში მომხდარი მოვლენების პოლიტიკური შეფასების შესახებ“**, რომლის ტექსტსაც აქვე წარმოვადგენ:

„დადგენილება

1992 წლის 22 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკაში მომხდარი მოვლენების პოლიტიკური შეფასების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. 1991 წლის დეკემბრისა და 1992 წლის იანვრის მოვლენები, რომლებიც მოხდა საქართველოში, კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც სახელმწიფო გადატრიალება;
2. არაკანონიერი სტრუქტურების – „სამხედრო საბჭო“ და ა.შ. შექმნა კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც ხელისუფლების უზურპაცია;
3. ყველა აქტი, რომლებიც მიღებულია საქართველოს არაკანონიერი ხელისუფლების მიერ, მათ შორის, პარლამენტის არჩევნების დანიშვნის აქტი, გამოცხადდეს იურიდიული ძალის არმქონედ;
4. სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორების მოქმედება კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც სამშობლოსადმი ღალატი;
5. საქართველოს მოსახლეობას მოვუწოდებთ უკანონო ხელისუფლების დაუმორჩილებლობას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო
გროზნო, 1992 წლის 13 მარტი“.

(ტექსტი იხ. ბმულზე: <https://iberiana.wordpress.com/2019/11/29/uzenaesi-sabcho-3/>)

ამ დოკუმენტს იურიდიული ძალა დღემდე არ დაუკარგავს, ვინაიდან **საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო დამზობილ იქნა უკანონოდ და მას თავისი უფლებამოსილება არც მოუხსნია და არც არავისთვის გადაუბარებია.** ეს დოკუმენტი ადრე თუ გვიან თავის საქმეს გააკეთებს და გამოიყვანს ჩვენს სამშობლოს იმ ჩიხიდან, რომელშიც იგი დღემდე იმყოფება, ტარიელ ფუტკარაძის სული კი იხარებს ზეციურ ნათელში.

სესიას იმავე დღეს უნდა დაესრულებინა მუშაობა. შესვენების დროს ტარიელმა და მე ვიმსჯელებთ უკან დაბრუნების შესახებ – გროზნოში ვერაფრით დავრჩებოდით და ოჯახებს ვერ გავწირავდით. ზოგი დეპუტატისაგან ყური მოვკარით, რომ ისინი უკან დაბრუნებას დარიალის ხეობის გამოვლით გეგმავდნენ. ჩვენ ვუშლიდით, მაგრამ არ გვიჯერებდნენ. ბოლოს მე და ტარიელი შევეთანხმდით, რომ სხდომის დასრულებისთანავე პირდაპირ რკინიგზის სადგურზე გავიდოდით და იქიდან დალესტნისაკენ მიმავალ პირველსავე მატარებელს გავყვებოდით ბაქომდე, ან მაჰაჩყალამდე, მერე კი ვითარების მიხედვით ვიმოქმედებდით.

ასეც მოვიქეცით. სესია დასრულდა, გავცვივდით სადგურზე, მაგრამ მოლარემ გვითხრა, ბაქოს მატარებელი 10 წუთის წინ გავიდა და თუ გსურთ, ქალაქ გუდერმესში დაენევითო. გამოვვარდით სადგურის წინ მდებარე მოედანზე და პირველსავე ტაქსში ჩავსხედით. ჩეჩენმა მძღოლმა ჩვენი გადალაპარაკებით გამოიცნო, ქართველები რომ ვიყავით და მაქსიმალური სისწრაფით გააქანა მანქანა გუდერმესისკენ. იქაურ სადგურს ერთად მივაღვეით მატარებელი და ჩვენ. მოვასწარით ბილეთების ყიდვაც და მატარებელში ასვლაც. ბაქომდე მშვიდად ვიმგზავრეთ.

გზაში მოვილაპარაკეთ, რომ ახლა პირდაპირ თბილისში ჩასვლა ჩვენს უეჭველ დაპატიმრებას ნიშნავდა, თუ უარესს არა. ტარიელი ნერვიულობდა, მეც ასევე. ბოლოს მოვიფიქრე, ჰერეთში [საინგილოში] წავიდეთ, იქ სტუდენტობის მეგობრები მყავს და არც ერთი არ გვეტყვის უარს 2-3 დღით შეფარებაზე-მეთქი. ტარიელს

მოეწონა ეს აზრი. მივედით ავტოსადგურში და ქალაქ კახში მიმავალ ავტობუსს გავყევით.

კახს რომ მივუახლოვდით, ტარიელმა მითხრა, ახლა ჩვენი ვასიკო კუზიბაბაშვილის სოფელი უნდა გავიაროთ. ნამყოფი ვარ, ვიცნობ მის ძმას და დედ-მამას. უკეთეს მასპინძელს ვერ ვიპოვითო. ვასიკო ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომელი და ჩვენი მეგობარი იყო (უფალმა აცხონოს მისი სული!). მეც დავთანხმდი.

სოფელ მუშაბაშში გავაჩერებინეთ ავტობუსი და ჩამოვედით. ვასიკოს ჭიშკართან რომ მივედით, ტარიელმა დაინყო ძახილი: „ვასიკო, ვასიკო!“ მე სიცილი ამიტყდა, ვასიკო ახლა თბილისში იქნება, ვის ეძახი-მეთქი. სერიოზულად და დარწმუნებით მიპასუხა, ვასიკო ახლა აქ უნდა იყოსო. სანამ რაიმეს ვუპასუხებდი, სახლის კარი გაიღო და... მართლა ვასიკო გამოვიდა. გავოგნდი. ისიც ჭიშკრისკენ მოიჩქაროდა და თან გაოცებული გვიყურებდა, აქ საიდან გამომეცხადეთო. მოკლედ ვუამბეთ ჩვენი თავგადასავალი.

თითქმის მთელი კვირა დავრჩით უალრესად თბილ და ყურადღებიან ოჯახში. პუტჩისტური ტელევიზია ყოველ საინფორმაციო გადაცემაში აცხადებდა, გროზნოდან მომავალი დეპუტატები დავაპატიმრეთო, თან ნალენჯიხაში მხედრონის სისხლიანი ლაშქრობის „სასახელო ამბებს“ აჩვენებდნენ. დღედაღამ ოჯახებზე ვდარდობდით, მაგრამ მასპინძლებიც არ გვიშვებდნენ, იქ ახლა სახიფათოა თქვენი ყოფნაო, მაგრამ გული არ გვასვენებდა, ჩვენ იქ მშვიდ გარემოში ვიყავით, აქ კი ოჯახები რა დღეში გვყავდა, არ ვიცოდით...

ტარიელს უსაქმოდ რა გააჩერებდა და ვასიკოს აუტყდა, რაიმე საქმე მოგვეციო. მეც მხარი ავუბი ტარიელს. ვასიკო თავს იმართლებდა, სტუმრები ხართ, საქმე როგორ გაკეთებინოთო. რაკი არ იშლით, კლუბში მაგიდის ჩოგბურთში ეჯიბრებიან ბიჭები ერთმანეთს და წამოდითო. წავედით. ტარიელი უმაღლესად გააღვიძა თამაშში. იგი ძალიან სპორტული და ფიზიკურად მოქნილი იყო. უცებ დაამარცხა ყველა მოთამაშე. ვასიკოს ბავშვით უხაროდა, ნახეთ, რა სტუმარი მყავსო...

კლუბიდან დაბრუნებულნი ისევ ავუტყვდით ვასიკოს, წამდვილი

საქმე მოგვეცი, ან დავბარავთ, ან შეშას დავაპობთო. ისიც იძულებული გახდა, საქმე მოეცა, რახანია, დედა მეჩხუბება, ღობე გვაქვს გასაახლებელი და ამ საქმეში მომეხმარეთო. ორი დღე ვიმუშავეთ და ღობეც გავაახლეთ. ყველანი კმაყოფილნი ვიყავით. ვასიკო იცინოდა, მთელ ჰერეთში, ჩემ გარდა, არავის ექნება დეპუტატების შემოვლებული ღობეო...

როცა ბოლოს და ბოლოს ჩამოვედით, საფრთხე უკვე მეტ-ნაკლებად გადავლილი იყო...

ტარიელი გროზნოს სესიის შემდგომაც აქტიურად განაგრძობდა პოლიტიკურ საქმიანობას: მონაწილეობდა საპროტესტო აქციებში, უზენაესი საბჭოს ფარულ სესიებში თბილისსა და ზუგდიდში, წერდა კრიტიკულ წერილებს. მან განსაკუთრებით იაქტიურა საიმისოდ, რომ ობიექტურად გამოძიებულიყო კანონიერი ხელისუფლების დამხობა და პირველი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას მკვლელობა; ბევრი იშრომა და მიაღწია იმას, რომ შექმნილიყო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამომძიებელი კომისია, რომლის ყველაზე აქტიური წევრიც იგი იყო (სამწუხაროდ, კომისია მალე დაიბლოკა), ეს საქმე ჩაშალეს იმათ, ვინც, როგორც ჩანს, გარეული იყო ამ ორ დანაშაულში.

ტარიელის ინიციატივით საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ყოველ 9 აპრილს იმართებოდა შეხვედრები უზენაესი საბჭოს დეპუტატებთან, ასევე – 31 მარტის რეფერენდუმისადმი, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

ტარიელ ფუტკარაძე გამოირჩეოდა ლოგიკური ანალიზის უნარით, გონების სისხარტით, საოცარი ენერგიულობით, საქმისა და პოლიტიკური პოზიციის ერთგულებით, კომუნიკაბელურობით, ორგანიზატორული ნიჭით... დასანანია, რომ მან ვერ მოასწრო საქვეყნო საკითხებთან დაკავშირებული უამრავი გეგმის თუნდაც ნაწილის განხორციელება.

მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია სრულიად საქართველოსათვის.

უფალმა მოიხსენოს სული მონისა ღმრთისა ტარიელისი!

ოპარ გვიტაკა

დღეს ზეციურ საქართველოში გადასახლდა შესანიშნავი პიროვნება, მეცნიერი, დიდი ეროვნული საქმეების სულისჩამდგმელი და ინიციატორი, ჩემი და მრავალ თანამოაზრეთა მეგობარი, ძვირფასი ტარიელ ფუტკარაძე. მოდით, ერთ რამეზე შევთანხმდეთ: ტარიელ ფუტკარაძე ისევ ჩვენ გვერდით არის; დღეს იგი უფრო მეტად მომიახლოვდა და მისი პიროვნება დღე და ღამე ჩემს ცნობიერებაში სახლობს...

მრავალი შესანიშნავი, გულისტკივილით სავსე სტატუსი (უფრო სწორად, უკვე მოგონება და გახსენება) წავიკითხე, მაგრამ ერთი განცდა დამრჩა – ტარიელ ფუტკარაძის მოღვაწეობის ფენომენის გაცნობიერება და აღმოჩენა ჯერ კიდევ წინ გველოდება, ჯერ კიდევ შესაფასებელი და მომავალ თაობათა მიერ გასააზრებელია მისი დიდი ღვაწლი ეროვნული ცნობიერების დამკვიდრების მცდელობის საქმეში...

ნათელში ამყოფოს უფალმა მისი სული... კიდევ ერთ, ბევრისთვის უცნობ ამბავს დავამატებ. დაახლოებით, ოცდაათიოდე წლის, წინ, ჩვენი მეგობრის, იზო რუსაძის ოჯახში მე და ტარიელი ძმებად გავიფიცეთ ძველი ადათ-წესების მიხედვით, ცოტა ბახუსის ტყვეობაში მყოფებმა, ნეკი დანის პირით გავისერეთ და ჩვენი სისხლი ერთმანეთში შევურიეთ... არ შეგვშინებია ე. წ. შიდსის, რადგან ჩვენი განზრახვა წრფელი იყო...

გული მტკივა, რომ დატოვა სამზეური ამ დიდბუნებოვანმა პიროვნებამ...

თამარ გითოლენდია

ახლა უფრო შემეშინდა კოვიდის.

ვუსამძიმრებ ბატონი ტარიელის ოჯახს, მეგობრებს, კოლეგებს...
მადლიერი ვარ მისი.

ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს.

სონერ გოგერჯინი SONER GÖGERÇİN

პროფესორი ტარიელ ფუტგარაძე!..

მე შემთხვევით გავიგე ამბავი ჩემი ძვირფასი მეგობრის, ჩემი ძვირფასი მასწავლებლის, საქართველოს მოყვარულის, თურქეთის დიდი მეგობრის გარდაცვალების შესახებ. უდიდეს მოთმინებას და გამძლეობას ვუსურვებ მის ყველა საყვარელ ადამიანს, განსაკუთრებით მის ოჯახს და ახლობლებს!!!

[*PROF. DR. TARIEL PUTGARADZE!..*]

GÜRCİSTAN _ TÜRKİYE DOSTLUĞUNUN YILMAZ SAVUNUCUSU DEĞERLİ DOSTUM KIYMETLİ HOCAMIN VEFAT HABERİNİ BÜYÜK BİR TEESÜRLE ÖĞRENMİŞ BULUNMAKTAYIM. KENDİSİNE ALLAHTAN RAHMET AİLESİ YAKINLARI BAŞTA OLMAK ÜZERE TÜM SEVENLERİNE HAYIRLI SABLAR VE BAŞSAĞLIĞI DİLERİM!!!!

თენგიზ გოგოტიშვილი

2021 ისევე საშინლად დაინწყო, როგორც დასრულდა 2020. ტარიელ ფუტგარაძე გარდაიცვალა, უზენაესი საბჭოს წევრი, არაჩვეულებრივი მეცნიერი და დიდებული უფროსი მეგობარი. მადლობა ყველაფრისთვის, ბატონო ტარიელ!

ლია გოგოხია

ბიჭო, ტარიელ! ხომ იცი, მე არ მეხერხება სევდიანი ჩანაწერები, არაა ეს ჩემი ბუნებრივი მდგომარეობა, ამიტომ დავესესხე ჯემალ ქარჩხაძეს. „ერთმა კაცმა სიკვდილის წინ თურმე თავალი მოავლო ირგვლივ შემოკრებილ ქირისუფლებს და თავისი უკანასკნელი ფრაზა წარმოთქვა: „აბა, არ გემშვიდობებით!“

მართლაც, რაც გარდაუვალია, არ შეიძლება საშიში იყოს და საიდანაჯ ტირილით მოვედით, იქ ტირილით დაბრუნება არ ეგებოს. მეტიც, სიკვდილის იმედი რომ არ ჰქონოდა, ადამიანი სიცოცხლეს არ ისურვებდა. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ აქ სტუმრად ვართ, ერთგვარ ექსკურსიაზე ვიმყოფებით დროში და ადრე თუ გვიან, ჩვენს მარადიულ სახლში უნდა დავბრუნდეთ, იმაზე საამო კი რა უნდა იყოს, დამლელი ნაწნავის შემდეგ კაცი შინ დაბრუნდე! თუმცა შენი დაღლაც ისეთივე წარმოუდგენელია ჩემთვის, როგორც შენი ამქვეყნიდან სხვა სამყაროში გადანაცვლება.

შენზე ბევრი დანერეს, შენს ტიტულებზეც, სამეცნიერო თუ პოლიტიკურ მოღვაწეობაზე, შენ მიერ გაცემულ სიტბოსა და სიყვარულზე. ვზივარ და რომანივით ვკითხულობ ყველა ჩანაწერს...

ერთხელ მომწერე, ძველ ფოტოებს ვათვალიერებ და ჩემს ალბომში შენი ფოტო ვიპოვეო. იცოდი, რომ გალიდან ვერაფრის გადმოტანა ვერ შევძელი და ჩემი გახარება სცადა. მოკლედ, შენი ფოტოთი გემშვიდობები, დროებით, რა თქმა უნდა!

...ყველაფერს ველოდი, მაგრამ ქარიშხალი თუ ჩადგებოდა, ამას ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი! ტარიელ, შენი კოტე კაკიტაძე იქ დაგხვდება. წარმომიდგენია, რას „დასცხებთ!“ ჩემო ია... წინადადება ვერ შევაკონინე.

გურამ გოცირიძე

უკიდურესად საწყენი და სამწუხაროა!.. რა თქმა უნდა, ეს არის ძალიან დიდი დანაკარგი მთლიანად ქართული განათლებისა და კულტურისათვის!.. ასეთ ადამიანებს გამორჩეული ადგილი უკავიათ საზოგადოებაში და ბატონი ტარიელის ასეთი მოულოდნელი გარდაცვალება დიდ ტკივილს აყენებს თითოეულ ჩვენგანს!..

უფაღმა გაანათლოს მისი ძალიან ღირსეული ქართული სული!!!...

თანგიზ გუმბარიძე

მართლაც, თავზარდამცემი ამბავი. გაოგნებული ვარ და ვერ ვრწმუნდები... ნუთუ ასე მძიმედ იყო.

მეჰმეთ ალი გურსოი MEHMET ALI GÜRSOY

მშვიდად განისვენე.

ყველაფრით დაჯილდოებული ადამიანი მათ შორის, ვისაც კი ვიცნობ, ადრე დავკარგეთ.

ძალიან სამწუხარო ამბავი საქართველოსთვის და თურქეთელი ქართველებისთვის! 2021 წლის დადგომიდან მეორე დღეს ცნობილი ქართველოლოგი, 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ერთ-ერთი ხელმომწერი, თურქეთის ქართველების მეგობარი; თავისი საყვარელი ქვეყნის დედაქალაქ თბილისში კონონა ვირუსით გარდაიცვალა პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე.

ბევრი ნაშრომი აქვს თურქეთში საქართველოდან ჩამოსულ ქართველებზე. ამ სამუშაოების შესრულების მიზნით ადგილზე დაკვირვებები და კვლევები ჩაუტარებია. პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე გასულ წელს ფეხში ჩელებთან ერთად სავსე სამუშაოების შესრულების მიზნით იმყოფებოდა ჩვენს ქვეყანაში – უნივერსიტეტში, ჩარშამბაში, სამსუნსა და სინოპში...

მშვიდად განისვენე.

[Allah rahmet eylesin mekanı cennet olsun.

upalma misi suli samotkheşi daamkvidros.

Tanımdan Onurduyduğum En Donamlı İnsan erken kaybettik.

Gürcistan ve Türkiye’li Gürcüler için çok üzücü bir haber! 2021’in ikinci günü Kartvelolog, Sovyetler Birliği içindeki Gürcistan’ın 1991 yılındaki bağımsızlık akdinde imzası bulunanlardan, Türkiye Gürcülerinin dostu Prof.Dr. Tariel Putkaradze, çok sevdiği ülkesinin başkenti Tiflis’te

korona hastalığına yenik düştü.

Prof.Dr. Tariel Putkaradze'nin Türkiye'li Gürcülerle ilgili bir çok çalışması bulunuyor. Bu çalışmaları ile ilgili yerinde gözlem ve araştırma yapmak için bir çok kez Türkiye'yi ziyaret eden Prof.Dr. Tariel Putkaradze, en son bir önceki yıl Fevzi Çelebi ile birlikte Ünye, Çarşamba, Samsun ve Sinop Gürcüleri ile ilgili bir araştırma için ülkemizde bulunmuştu.

Allah rahmet eylesin mekanı cennet olsun. upalma misi suli samotkheşi daamkvidros.]

ეკა ღაღიანი

ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

დაუჯერებელია!..

ნარმოუდგენელია!..

მიჭირს იმის თქმა, რომ ტარიელ ფუტყარაძე...

ჩემთვის გამორჩეულად ძვირფასი ადამიანი, მოძღვარი, მასწავლებელი, მეგობარი, დიდი ენათმეცნიერი, გულმხურვალე ქართველი, უკეთილშობილესი და იშვიათი პიროვნება...

სიცოცხლე უსაზღვროდ უყვარდა... არასდროს ჩერდებოდა, სულ მუშაობდა, ფიქრობდა, იღვწოდა საქართველოსთვის, ქართველობისთვის... თან სულ ჩქარობდა, თითქოს ყველაფრის მოსწრებას ცდილობდა. ალბათ, გრძნობდა...

ადამიანებს ყოველთვის იდეისა და საქმის ირგვლივ აერთიანებდით... ახლაც გაგვაერთიანეთ, ოღონდ უდიდესი ტკივილით...

ყველას იმედი და გვერდში მდგომი იყავით, ჩვენ კი ვერ გიმველეთ... უჩინარმა ვირუსმა ვერაგულად მოგისწრაფათ სიცოცხლე სრულიად ჯანმრთელს.

ბატონო ტარიელ, ამქვეყნად იმდენი კეთილი საქმე გიკეთებიათ, რამდენიმე ადამიანს რომ ეყოფა. ვიცი, ბევრი საქმეც სამომავლოდ გქონდათ ჩაფიქრებულ-დაგეგმილი... თქვენს დაწყებულ საქმეებს მეგობრები და მონაფეები ღირსეულად გააგრძელებენ

და თქვენს სახელს სამუდამოდ და სათუთად შეინახავენ.
ეჰ, ზოგჯერ რა უსამართლოა ეს ცხოვრება!
ძალიან, ძალიან მენანებით, ბატონო ტარიელ!

ორმოცი დღე გავიდა... დღეს უამრავი სტუმარი მოვიდა თქვენთან, ოღონდ საფლაგზე... არ განელეებულა ტკივილი... დღემდე ვერ ვიჯერებ და ვერ ვინელებ ამ ტრაგედიას!..

იშვიათად თუ ერგება ადამიანს ისეთი სიყვარული და პატივისცემა, რაც ამ დღეების განმავლობაში თქვენ მიმართ გამოხატა საზოგადოებამ... დამწუხრებული არიან თურქეთის ქართველები, ფერეიდნელები... თქვენ ხომ მათთვის დიდი იმედი, მეგობარი და მასპინძელი იყავით... საკუთარ ცოდნა-გამოცდილებას და ენერგიას უანგაროდ გასცემდით და უნაწილებდით ყველას, სტიმულს აძლევდით გარშემო მყოფთ და ეს უდიდეს სიამოვნებას განიჭებდათ და გაძლიერებდათ! თქვენი გონება ყველას და ყველაფერს სწვდებოდა... ერთი კვირის საკეთებელს ერთ დღეში ასწრებდით. 60 წელი ღირსეულად იცხოვრეთ ამქვეყნად და აკეთეთ „სასაქართველო“ საქმეები; მართალი სიტყვა თქვით პოლიტიკაში, მეცნიერებაში, საგანმანათლებლო სისტემაში, ცხოვრებაში... კიდევ რამდენი რამ დაგრჩათ სათქმელი, გასაკეთებელი!..

აქედან ქვეყნისთვის დამაშვრალი, თავანუელი და გამარჯვებული მიდიხართ! თქვენი სახელი და საქმეები უკვდავია ისევე, როგორც საქართველო და ქართველები.

მე თქვენი ერთ-ერთი მოწაფე და აღზრდილი ვარ, თანაც პირველი დოქტორანტი... 27 წელი გავატარე თქვენ გვერდით, დოქტორანტობიდან დღემდე ყველა საფეხური თქვენთან ერთად გავიარე! ამ ხნის განმავლობაში რამდენი წარმატება და სიხარული განგვიცდია... ყოფილა რთული პერიოდებიც, რომლებიც ასევე გუნდთან ერთად დაგვიძლევია...

ქუთაისში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში თქვენი მოღვაწეობის შესახებ სხვა წერილში ვისაუბრებ, აქ მხოლოდ ერთ, ჩემთვის უმნიშვნელოვანეს დღეს გავიხსენებ, რომელ-

მაც, თქვენი წყალობით, არსებითად განსაზღვრა ჩემი საქმიანობის სფერო და ცხოვრება.

ეს იყო 1993 წლის ივნისი (კონკრეტული რიცხვი არ მახსოვს... ამ წელს დავამთავრე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი). უნივერსიტეტის მე-3 კორპუსი, მე-4 სართული, აუდიტორია № 414 – აქ იყო განთავსებული დიალექტოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა, ბატონმა მაგალი თოდუამ დააარსა. ბატონი ტარიელი ამ ინსტიტუტის დირექტორი იყო. ის დანიშვნის დღიდან შეუდგა ახლად დაფუძნებული ინსტიტუტის რეორგანიზაციას და თანამშრომელთა შერჩევა-დაკომპლექტებას. ახალი კადრების შერჩევა მისთვის უცხო გარემოში მარტივი არ იყო, თუმცა მან ეს საქმე საოცარი ინტუიციისა და ადამიანთა შეცნობის ნიჭის წყალობით ადვილად მოაგვარა.

გასაუბრების დღეც დანიშნა. იმ დღეს მე ჩემს მეგობარს – ინეზა გაბელაიას გავყევი გასაუბრებაზე. ინეზა ბატონი ტარიელის კაბინეტამდე მივაცილე, მე კი იქვე კართან ვგულშემატკივრობდი. რამდენიმე წუთში მოულოდნელად კარი გაიღო და გამოვიდა ბატონი ტარიელი. უცებ შევცბი, თვითონაც გაკვირვებულმა შემომხედა (ეს იყო ჩვენი პირველი შეხვედრა, მანამდე მხოლოდ შორიდან ვიცნობდი). ზუსტად მახსოვს ის დიალოგი, რომელიც ჩვენ შორის გაიმართა:

- ვის ელოდებით?
- მეგობარს.
- ვინ არის შენი მეგობარი?
- ინეზა გაბელაია.
- შენ რა გქვია?
- ეკა დადიანი.
- არ გინდა, ჩემს ინსტიტუტში დაინყო მუშაობა?
- მე უკვე ვმუშაობ.
- სად?
- ბიბლიის კვლევის ცენტრში.
- კარგი, შედი შიგნით და მეც მალე მოვალ! – ეს თქვა და

ნავიდა. ვერაფერი ვუთხარი. შევედი კაბინეტში. ჩემს გამოჩენას აქ არ ელოდებოდნენ, გასაუბრების მოლოდინში მყოფნი ნერვიულობდნენ...

ცოტა ხანში ბატონი ტარიელი დაბრუნდა. დაიწყო საუბარი ინსტიტუტის საქმიანობის მნიშვნელობაზე, მიზნებზე... თავიდანვე ზუსტად ჰქონდა გააზრებული, რა როგორ გაეკეთებინა; უნდა ჩამოეყალიბებინა მომძიებელთა ჯგუფები, რომლებიც ველზე იმუშავებდნენ და დიალექტოლოგიურ ტექსტებს ჩაინერდნენ; უნდა შეერჩია საკვლევი ობიექტებიც. შედგენილი ჰქონდა სამუშაო პროგრამა-ინსტრუქცია...

შესანიშნავი ორგანიზატორი იყო. იმ დღეს მომძიებელთა ჯგუფებიც დააკომპლექტა, მათი შემადგენლობაც განსაზღვრა და საკვლევი ობიექტებიც (სოფლები) შეარჩია. თითოეულ ჯგუფში 3 წევრი იყო (ენათმეცნიერი, ეთნოგრაფი და ფოლკლორისტი). ოკრიბის, ხონისა და სვანეთის ჯგუფების შემდეგ ჯერი მიდგა სამეგრელოს ჯგუფზე. ეთნოგრაფი და ფოლკლორისტი მაშინვე შეირჩა (ესენი იყვნენ ჩემი მეგობრები: ინეზა გაბელაია და ნანა ოკუჯავა). აკლდათ ერთი წევრი, ვინც დიალექტოლოგიის კუთხით იმუშავებდა.

ბატონმა ტარიელმა რომ გაიგო ჩემი ინტერესის სფერო, ჯგუფში მუშაობა შემომთავაზა. თავიდან თავს ვიკავებდი, რადგანაც სხვაგან ვმუშაობდი და იმასთან ერთად ამ საქმეს ვერ შევეჭიდებოდი, მაგრამ საუბარი ისე წაიყვანა, დამარწმუნა, რომ ორივე საქმეს მოვერეოდი და ხელს შემინწყობდა. მეც დავთანხმდი. ასე აღმოვჩნდი სამეგრელოს ჯგუფში დიალექტოლოგიის მიმართულებით, თან ჯგუფის ხელმძღვანელობაც ჩამაბარა. ამასთან, ჯგუფს სრული უფლება მოგვცა, საკვლევი სოფელი ჩვენვე აგვერჩია.

ამ დროს ქვეყანაში, განსაკუთრებით, სამეგრელოში რთული სიტუაცია იყო; უცნობ სოფელში მუშაობა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ პირველ ეტაპზე ჩემი მშობლიური სოფელი (ქვემო ქვალონი, ხობის რაიონი) შევარჩიეთ. მან არჩევანი მოგვიწონა და დაგვთანხმდა. იმ დღესვე დავეგემეთ

სამუშაოები...

მალევე მივხვდი, რომ ეს უფრო იყო ჩემი საქმე, ამიტომ ცოტა ხნის შემდეგ მეორე სამსახურიდან წამოვედი (ბიბლიის კვლევის ცენტრიც ბატონმა მაგალიმ დააარსა). იმ წუთში სრულად ვერ ვაცნობიერებდი ამ არჩევანის მნიშვნელობას... ახლა კი დარწმუნებით შემიძლია ვთქვა: ეს იყო სწორი გადაწყვეტილება, შანსი, რომელიც მე მაშინ ბატონმა ტარიელმა მომცა და გამოვიყენე.

ჩემს სოფელში 3 წლის განმავლობაში ჯგუფმა ჩაინერა უნიკალური მასალა, რომელიც წიგნად გამოიცა (მეგრული ტექსტები, I, აუდიომასალით, 2015). მადლობა კიდევ ერთხელ ბატონ ტარიელს ამ შანსისთვის, აგრეთვე ნდობისთვის, რომელიც ჩემ მიმართ გამოიჩინა. რომ არა ის შემთხვევა, ეს წიგნი არ დაინერებოდა და ჩვენი გზებიც ასე არ გადაიკვეთებოდა...

შემდეგ იყო დოქტორანტობის პერიოდი, აქტიური თანამშრომლობა კოლეგის რანგში, ახლო მეგობრობა, თანამოაზრობა... რომელიც არასდროს დასრულდება! „სიკვდილს იქით ხომ უფრო დიდი სიცოცხლეა!“

ფრიდონ ღაჭითაძე

სიონიდან მახათამდე...

უფალს შევთხოვ, შემეძლოს და
ფუნჯის მოსმით დავხატავდე
გოლგოთის გზას, შენგან ავლილს,
სიონიდან მახათამდე!

იმასაც ვთხოვ: – ზეციერო,
ამ გზის მაძლი მეც მაპკურე!
შენზე, მისებრ მორჩილებით,
მაშოვნინე, დამაპკურე!
სისხლი შენი, ხორცი შენი,
სანილადოდ მიალალე!

არ წამომცდეს მონას ღვთისას:
– საკმარია... ვიდრე ხვალე!...
რომ ვიღვანო, ვიმუშაკო,
შენგან ხმობილ შვილის დარად...
ვისაც დღესაც ცოცხლად თვლიან
(დუშმანიც რომ არ თვლის მკვდარად...);
საბუდარი და სამყოფი,
შენი ნებით რომ იცვალა...
აქ იყო და... მძიმე ჯვარი
„მაძლრად ყოფნას“ ანაცვალა...
თქვა: – სამშობლო ერთია და
როგორც ღმერთი, უნდა გნამდეს!
აქ სიმართლეს ის სჯობია,
იქ მართალი იყო ცამდე!
ნეტავ, მართლა შემეძლოს და...
ერთის მოსმით დაგხატავდე
გოლგოთის გზას, მისგან ავლილს,
სიონიდან მახათამდე!

გამოსათხოვარი

ვის არ ჰქონია მძიმე წუთები,
ცრემლი და სევდა, ენით უთქმელი!
განცდა – უენოდ სულის მხუთველი,
რეალობისგან ნასაკუთრები!
ვის არ სცდენია: – მორჩა, გათავდა!
ეპოქაც მასთან ერთად დამთავრდა!
განა მოკვდა ან გარდაიცვალა?
ცხოვრების წესი გამოიცვალა,
რომ ვერ ეგუა „არავისტობას“,
მიტომაც ეძმო მარადისობას!

გვმოდღვრავდა: – უკან დრო არ ბრუნდება!
 სანამ ურემი გადაბრუნდება,
 მანამ ვისწავლოთ სამშობლოს ფასი!
 სამწყსოს ჩიოდა, ცოდვებით ავსილს...
 სააქაოში ნალვანის გამო,
 არ უკვნესია: – შენ, ჩემო თავო!
 როდისღა ჰქონდა სარჩო სამყოფი...
 თუმცა, არ წყვიტა ცოდვის ნაყოფი!
 როცა შეეძლო ეცხოვრა ისე,
 რომ ბევრჯერ ეთქვათ: – გვამყოფე მისებრ!
 არ უკბეჩია ცდუნების ვაშლი!
 მხოლოდ სამშობლოს, დალენილ-დაშლილს,
 ცრემლს აპკურებდა, ჰქონდა დასტური,
 მამულის ბედზედ გადანასკვული!
 სანადელამდე გზა ჰქონდა შორი,
 არად მიაჩნდა ბოლმა და ქორი,
 არც ემშაკს ეგდო ჩვარივით ფერხთით,
 წამობით სწამდა უფალი ღმერთი!
 მერე კი, როცა დაედო ფასი
 მის ზექვეყნიურ პატივ-დიდებას,
 იკმარა ერთი მოკვდავი კაცის
 გულში ტეული ავლადიდება!
 და დღეს ეს კაცი ჩვენიდან მიდის!
 თვისი ნალვანით საოცრად მშვიდი.
 მიაქვს თან ღმერთთან კრძალვით და რიდით,
 ერის და ქვეყნის ტკივილი... დიდი!

ლაშა ღვისაძე-შარვაშიძე

საქართველომ და ქართველმა სამეცნიერო საზოგადოებამ ფიზიკურად დაკარგა ტარიელ ფუტკარაძე.

60 წლის ასაკში კოვიდინფექციის შედეგად გარდაიცვალა ცნო-

ბილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი დეპუტატი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე.

გამოვხატავ ჩემს დიდ გულისტკივილსა და სამძიმარს.
უფალმა სასუფეველში დაგამკვიდროთ, ბატონო ტარიელ!

ოზკან დემირი ÖZKAN DEMİR

ძალიან მიხარია, რომ ვიცნობდი შენნაირ ადამიანს, თქვენ დიდი წვლილი შეიტანეთ საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის პოპულარიზაციაში.

ტარიელ ფუტყარაძე – ის იყო ძალიან მნიშვნელოვანი მასწავლებელი, საქართველომ დაკარგა ძალიან ღირებული პიროვნება, ვუსამძიმრებ მის ახლობლებს.

[Senin gibi bir insanı tanıdığıma çok memnunum gürcü tarihini bizim coğrafyamızın tanıtımına çok katkınız vardı

Tariel Putkaradze

çok önemli bir hocaydı gürcistan çok önemli bir değerini kaybetti yakınlarına başsağlığı dilerim.]

ნიგარ დემირჯან ჩაქარი

ჩემთვის უაღრესად სამწუხაროა დიდი მეცნიერის, კარგი მეგობრის, ქვეყნის პატრიოტის დაკარგვა. ის წლების განმავლობაში იბრძოდა თავისი იდეებისა და ღირებულებებისათვის, რომელთათვისაც არასოდეს უღალატია.

ჩვენ მას არასოდეს დავივიწყებთ.

[Меня глубоко огорчает потеря ценного ученого, хорошего друга, настоящего патриота годами он боролся за свои идеи и ценности, он не отказывался от своих убеждений. Мы никогда не забудем]

ნიგარ დემირჯან ჩაქარი
დუზჯეს უნივერსიტეტის რექტორი

ლუკა დვალიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი უდიდესი მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, ბატონი ტარიელ ფუტყარაძე.

ძნელია და წარმოუდგენელი სიცოცხლით, ენერგიით, უსაზღვრო პოზიტივით აღსავსე დიდებული მამულიშვილის, დიდი მეცნიერის, უღალატო მეგობრის წარსულში მოხსენება, თუმცა მისნაირი გამორჩეული ადამიანები, უდავოდ, მარადისობის ბინადრები არიან და ზეციერ-მინიერ საქართველოს მოუღლე დარაჯებად რჩებიან ყოველთვის.

იგი იყო ერთი გამორჩეული ქართული ოჯახის სანიშნო წინამძღოლი. ლიდერის, მეთაურის თვისებებით შემკული უღალატო ქართველი, დაუცხრომელი მოღვაწე, საიმედო მკვლევარი, მწერალი, პრინციპული, მართლის მთქმელი კაცი, რომელიც ძალიან დააკლდება ჩვენს ქვეყანასა და ქართველ საზოგადოებას.

კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ ბატონი ტარიელის ოჯახს, ქართველ საზოგადოებას ბატონი ტარიელის გარდაცვალებას.

ლუკა დვალისძე
ანსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

ბენრი დოლიქა

არც ერთი ერთეულით არ იზომება ის დანაკლისი, რაც ამ უდიდესი მოღვაწის წასვლით ექნება ქვეყანას... ჩემთვის, პირადად, სახელმწიფოებრივი აზროვნების სინონიმი იყო და იქნება ტარიელ ფუტკარაძე!...

სერგო ვარდოსანიძე

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი მწუხარებით აუწყებს სრულიად საქართველოს:

მარცხით დასრულდა ერთთვიანი უღმობელი ბრძოლა, კოვიდ-ინფექციამ 60 წლის ასაკში იმსხვერპლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, ცნობილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე.

სერგო ვარდოსანიძე

საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტის რექტორი

ჩემი ბოლო გზავნილები პროფესორ ტარიელ ფუტკარაძეს; ეს იყო მისი ბოლო წერილი: „13-ქულიანი ანთება მე. იას – 7. მაქსიმუმია 24 ქულა...“

10 დეკემბერი, 2020, 10:12 სთ.: ეს ხომ შედარებით კარგია. გაგზავნილია ტარიელ-(ი)ს მიერ, 10 დეკემბერი, 2020, 10:13 სთ.

18 დეკემბერი, 2020, 08:59 სთ.: მოგესალმებით, ყოველდღე ვცდილობდი დარეკვას, მერე ნათიას მივწერე... მალე გამოჯანმრთელებას გისურვებთ, ბატონო ტარიელ.

19 დეკემბერი, 2020, 06:43 სთ.: თქვენზე ვფიქრობ, ნიკოლოზობას გილოცავთ, მალე გამოჯანმრთელებას გისურვებთ.

19 დეკემბერი, 2020, 22:22 სთ.: ბატონო ტარიელ, ახლა თქვენ შვილ ნათიასთან მქონდა მიმონერა, ძალიან განცდებშია, მე ვამშვიდებ, ვერ წარმომიდგენია თქვენი მძიმე ავადმყოფობა, უწმიდეს პატრიარქს შორენას მეშვეობით შევატყობინეთ, ის ლოცვებში მოგიხსენებს, გავა დრო და გავიხსენებთ ამ მძიმე დღეებს, ჯანმრთელობას გისურვებ, მეგობარო.

20 დეკემბერი, 2020, 05:53 სთ.: დილა მშვიდობისა, ბატონო ტარიელ, აბა, როგორ ხარ? ახლა ავადმყოფობის დრო არ არის, ველოდები თქვენს ზარს.

20 დეკემბერი, 16 საათი და 21 წუთი: ახლა ნათიამ მომწერა, მამას 37 და 5-ზე ჩამოეწია ტემპერატურა, მაგრამ ჯერ ისევ სძინავსო; აბა, ველოდები შენს გაღვიძებას და დარეკვას, მარხვის შემდეგ მე ვკისრულიბ პატარა სუფრას.

21 დეკემბერი, 2020, 22:30 სთ.: ფეისბუქზე იმატა მხარდაჭერის ჩანაწერებმა, ყველა მოუთმენლად ელის თქვენს გამოჯანმრთელებას; დღეს ცოტა უკეთესობა დააფიქსირეს ექიმებმა, მჯერა შენი გამარჯვების, ვერ წარმომიდგენია, რომ ეს კოვიდი არ დაამარცხო, აბა, ყოჩაღად, მეგობარო.

21 დეკემბერი, 2020, 22:55 სთ.: დღეს უდიდესი განსაცდელის ჟამს ამ კაცს ჩვენი ლოცვა და გამხნელება სჭირდება, მჯერა, პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე დაამარცხებს ამ ვერაგ ვირუსს და გამარჯვებული დაუბრუნდება ოჯახს, მეგობრებს, უნივერსიტეტს... სერგო ვარდოსანიძე.

22 დეკემბერი, 2020, 10:06 სთ.: დილა მშვიდობისა, ბატონო ტარიელ, მოუთმენლად ველოდები ახალ ინფორმაციას თქვენს ჯანმრთელობაზე.

25 დეკემბერი, 2020, 11:10 სთ.: დილა მშვიდობისა, ბატონო ტარიელ, სულ ვფიქრობ, ახლა ნახავს ჩემს წერილებს და მიპა-

სუხებს-მეთქი, ვფიქრობ, განვიცდი, მეგობარო; ოი, რა საოცარი სიყვარული და მხარდაჭერა გაქვს ყველასაგან, როგორ მინდა ესენი წაიკითხო და უპასუხო მათ... დღეს 25 დეკემბერია, სვეტიცხოველში უნდა ჩავიდე, ერთ სანთელს შენს სახელზე დავანთებ და უფალს შენს გამოჯანმრთელებას შევავედრებ.

29 დეკემბერი, 2020, 04:07 სთ.: წუხელ სიზმარში გნახე, უკვე გამოვჯანმრთელდიო; რომ გამელვცია, შემეშინდა, არ მომეწონა ეს სიზმარი, მაგრამ იქნებ ვცდები და მართლა უკეთესობა დაიწყო, ვერაფრით წარმოვიდგენ სხვა რამეს, მოუთმენლად გელოდებით, ბატონო ტარიელ.

31 დეკემბერი, 2020, 18:26 სთ.: ბატონო ტარიელ, უჩვეულო ვითარებაში გილოცავ ახალ წელს, გული მტკივა, რომ შენამდე ვერ მოდის ჩემი ხმა, მაგრამ არ მინდა დავიჯერო, რომ ეს მძიმე დღეები არ გადაივლის და შემდეგ ძნელი, მაგრამ მაინც საინტერესო გასახსენებელი გექნება, გელოდებით უნივერსიტეტში, გელოდებიან შენი მეგობრები, გელოდებიან შენს სათაყვანებელ დიდ ოჯახში, წამოდექი, მეგობარო, ახალ წელს გილოცავ.

5 იანვარს უკანასკნელ გზაზე ვაცილებთ პროფესორ ტარიელ ფუტკარაძეს; გაშინაურებული სიკვდილიანობის მიუხედავად, მთელი საქართველო, საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი ქართველობა (ირანი, თურქეთი) დამწუხრებული ეთხოვება ამაგდარ მოღვაწეს, რომელმაც თავისი ცხოვრება მიუძღვნა საქართველოს თავისუფლების იდეის განხორციელებისათვის, ერთიანი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერებისათვის ბრძოლას. ამ გზაზე მას ჰყავდა ოპონენტებიც და მხარდამჭერებიც, საარაკო თავგადასავლები გადახდა: სამხედრო ხუნტის მიერ – დევნილობა, ოჯახის ანიოკება, ფინანსური სიძნელეები, მაგრამ მას თავისი პრინციპებისა და ღირებულებებისათვის არასოდეს არ უღალატია (ის უზენაესი საბჭოს დეპუტატების იმ მცირერიცხოვანთა რიგებში იყო, რომლებმაც უარი თქვეს სოლიდურ სადეპუტატო პენსიაზე, სანამ სამართლებრივად არ შეფასდებოდა 1991-1992 წლების

სამხედრო გადატრიალება).

პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის, როგორც ენათმეცნიერის, გზა დაინყო არნოდდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში, სადაც წარმატებით დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, დევნილობის ჟამს კი შეიფარა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტმა (რექტორი – პროფესორი მაგალი თოდუა). ასევე დიდი იყო მაშინდელი გუბერნატორის, ბატონ თემურ შაშიაშვილის მხარდაჭერა. აქ ტარიელ ფუტკარაძემ შექმნა დიალექტოლოგიური სამეცნიერო ცენტრი, ქართველოლოგიის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, დააფრთიანა არაერთი ნიჭიერი პერსპექტიული ახალგაზრდა, 2010 წლიდან კი მუშაობას შეუდგა უნმიდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის – ილია მეორის მიერ დაფუძნებულ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, სადაც ჩვეული ენთუზიაზმით საფუძველი ჩაუყარა ქართველოლოგიის მიმართულებას, მოამზადა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენცია, გამოიცა სამეცნიერო კრებულები, ჟურნალები და მეცნიერული მონოგრაფიები, 30-მდე ახალგაზრდამ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია...

ბატონი ტარიელი იყო საოცარად ყურადღებიანი კოლეგებთან და სტუდენტებთან, ასევე, პრინციპული და სიმართლის მხარდამჭერი; მისი ამ ქვეყნიდან გასვლა დააკლდება ქართულ უნივერსიტეტს, მის კოლეგებს, სტუდენტებს, დოქტორანტებს, დააკლდება სრულიად საქართველოს, მაგრამ საქმე, რომელსაც იგი თავდავინყებით ემსახურებოდა, გაგრძელდება კოლეგებისა და მოწაფეების მეშვეობით.

გულისტკივილით, ცრემლით და სინანულით გაცილებთ, ბატონო ტარიელ, მსუბუქი იყოს თქვენთვის მშობლიური ქართული მიწა.

„მომიხსენე მე, უფალო, სასუფეველსა შენსა, ოდეს მოხვიდე სუფევეითა შენითა...“

კიდევ რამდენიმე დღეც და პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის სული საბოლოოდ დატოვებს ამიერს და წარდგება უფლის წინაშე...

ბატონო ტარიელ, ჩვენ – ამქვეყნად დარჩენილი შენი მეგობრები კიდევ ერთხელ გულისტკივილითა და სევდით თვალს გადავაგვლებთ შენი ამქვეყნიური ცხოვრების გზას...

ახლა შევამჩნიე – შენს ყველა სურათზე ჩუმი სევდა და ნალველია აღბეჭდილი; ეს იყო ფიქრი, სევდა და ტკივილი შენს საყვარელ სამშობლოზე, რომლის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს 31 წლის ასაკში მოაწერე ხელი, მაგრამ რომლის დამოუკიდებლობის, დემოკრატიულობის და ევროპული ორიენტაციისათვის იბრძოდი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე, გტკიოდა მისი წარსული, აწმყო და მომავალი, კარგად გესმოდა დიდი ილიას „მამული, ენა, სარწმუნოების“ ერთიანი სახელმწიფოებრივი ცნობიერების მნიშვნელობა, მფარველობდი, მასპინძლობდი და ერთგვარი ხიდი იყავი თურქეთის, ირანის, საინგილოს ქართველობის აქაურ საქართველოსთან; ქომაგობდი ნიჭიერ სტუდენტობას, დოქტორანტებს; ის სიტბო და სიყვარული, რომელსაც თქვენ გაცემდით, ასმაგად დაგიბრუნეს, იშვიათია ამდენი ტკივილწარევი, ცრემლიანი გამოხმაურება, რაც შენმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ გამოიწვია...

ახლა ვხვდები, რატომ ჩქარობდი, რატომ გინდოდა რაც შეიძლება ბევრის მოსწრება, რატომ მოუხშირე აჭარაში, შენს ისტორიულ ფესვებთან კონტაქტებს, რატომ გინდოდა ზამთარ-ზაფხულ საქართველოს მთასა და ბარში მოგზაურობა, გინდოდა ბოლომდე შეგეგრძნო შენი საფიცარი სამშობლოს სურნელი.

დღეს თამამად შეიძლება ითქვას: შენ მიერ გაკეთებული საქმენი აღემატება ერთი ადამიანის შესაძლებლობას; შეგეძლო დილით ქართულ უნივერსიტეტში ქართველოლოგიის სამეცნიერო კონფერენციის ხელმძღვანელობა, ნაშუადღევს გორის უნივერსიტეტში მოხსენების წაკითხვა და მეორე დღეს ქუთაისში სამეცნიერო

დიალოგების წარმართვა; ყველგან შინაური იყავი, სადაც ქართული საქმე კეთდებოდა, შენ უახლოეს მეგობრად გთვლიდნენ პანკისის ხეობის უხუცესები, საქართველოს მთიანეთში ალაგ-ალაგ შემორჩენილი ხევისბერები, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ქართველოლოგიის მიმართულების პროფესორები, საშუალო სკოლების მასწავლებლები.

შენი ინიციატივით ქართული უნივერსიტეტი ყოველწლიურად მასპინძლობდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტზე ხელის მომწერ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატებს, ფერეიდნელ ქართველებს; იყავი უღალატო, რაინდული თვისებებით შემკული, კაცი, რომელსაც შეეძლო უთქმელად გაეგო, რა გიჭირდა, რა გილხინდა...

სამწუხაროა, რომ უკვე შენზე მხოლოდ წარსულში შეიძლება ლაპარაკი; შენი სახით საქართველოს მოუკვდა დიდი, უანგარო მამულიშვილი, რომლის დაწყებული კეთილი საქმენი გაგრძელდება...

პროფესორმა ტარიელ ფუტკარაძემ ის მაღლიანი სანთელი დაანთო, რომელიც მის სახელთან ერთად მუდამ იქნება სამშობლოს ინტერესების სადარაჯოზე.

ქალბატონო ნათელა, ვერ გისამძიმრებ, ჩემთვისაც ძნელია ტარიელზე წარსულში საუბარი; მისი სახით დავკარგე განუმეორებელი მეგობარი, უნივერსიტეტის ერთ-ერთი საყრდენი, საქართველომ – ღირსეული მამულიშვილი...

ჩვენ ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, მაგრამ ასეთ სიყვარულს, განგაშს, რაც მისი ამ სოფლიდან გასვლას მოჰყვა, შეიძლება ენოდოს ლამაზი გამომშვიდობება; ძნელია დედას რამე სასწავლო გითხრა, მაგრამ მაინც გეტყვი: გამაგრდი, ჩვენ ყველანი იქ წავალთ და გაგვიადვილდება – ტარიელი იქაც იზრუნებს ჩვენს სულებზე...

პავლე ზაზაძე **PAUL ZAZADZE**

ღმერთმა დალოცოს დიდებული ადამიანის, პატივცემული პროფესორის, ტარიელ ფუტყარაძის სული! იგი დააკლდება და დაამახსოვრდება საქართველოს, როგორც თავდადებული მებრძოლი საქართველოსა და ქართული კულტურის განვითარებისათვის.

ჩვენს გულში ყოველთვის იქნება და გვემახსოვრება პოზიტიური თანამშრომლობა სტამბულის ქართულ კათოლიკურ ფონდთან.

მადლობა პროფესორ ტარიელს და ვუსამძიმრებთ მის ოჯახს.

[God bless the soul of the esteemed Professor Tariel Putkaradze, a great man! He will be missed and remembered as a hard working contributor to the country and culture of Georgia. We will always cherish him in our hearts and remember the positive collaboration we shared at the Georgian Catholic Foundation of İstanbul. Thank you Professor Tariel and condolences to his family.]

ნატალია ზაქარაიშვილი

ვიზიარებ.

ირაკლი კოპლატაძე ჩემი მეგობარია. მან ერთი კარგი წინადადება შემოგვთავაზა ტარიელ ფუტყარაძის სამეცნიერო ცენტრის დაარსების შესახებ. როცა ირაკლი თურქეთის ელჩი იყო, ბატონი ტარიელის მოღვაწეობის შესახებ ბევრი მასალა აქვს ნანახი.

იმედა ზუმბაძე

დიდებული ადამიანი, დიდი მეცნიერი, კარგი მეგობარი ბატონი; ნათელში იყოს შენი სული.

დავუდ თავაზოი

ძალიან ვწუხვარ...

ვუსამძიმრებ მთელ საქართველოს! უფალმა ნათელში ამყოფოს ბატონ ტარიელის სპეციაკი სული!!!

თაბარ თათარაშვილი

„ათას ცოცხალსა ბევრჯერა ასჯერ სჯობს ერთი მკვდარია!“... ეს ბოლო სიტყვა არც მინდა გაკადრო საქართველოსთვის მართლა ტარიელად დაბადებულ დიდო კაცო – სიკეთის, სიყვარულის, ზნეობის, ღირსების მასწავლებლო და მოძღვარო;

შენთან სიკვდილს რა ხელი აქვს, „მკვდარი ისაა, ვისაც აქ კაცური საქმენი არ დარჩენიაო“, – ფერეიდნელმა შაჰრამ ონიკაძემ დაგინერა...

მთელი ფერეიდანი გგლოვობს, აქ რამდენი შენი გაზრდილი, თანამოსაქმე და კოლეგა მოგტირის. თითზე ჩამოსათვლელად თულა ჰყავს შენს ქვეყანას შენებრი კაცნი, ამიტომაცაა შენ გამოგულადუღებული მთელი თუ არა, ნახევარი საქართველო მაინც...

მშვიდობით იმგზავრე ზეციურ საქართველომდე, იმ სამშობლოს ცრემლები მიგაცილებს, რომელსაც ასე უერთგულე და ემსახურე, სანამ იყავი... მადლობა, რომ იყავი ჩვენ შორის კაცობის, ღირსების ზნეობრიობის, სამშობლოს ერთგულების მაგალითად. მშვიდობით!..

ლევან თაქთაქიშვილი

ტარიელ ფუტკარაძე... რა ვთქვა? რა დავწერო? რით ვანუგემოან თავი და ან სხვები? რა არის ეს ცხოვრება? მართლა წუთისოფელია. ჯანმრთელი, ენერგიული, საქართველოსთვის გულანთებული კაცი ნავიდა უცებ, იყო და აღარაა... რატომ? რისთვის?

რა დააშავა? ნუთუ ის, რომ კანონიერი ხელისუფლების ერთგული იყო, ნუთუ ის, რომ სიცოცხლე ბევრზე მეტად უყვარდა? ან სხვებზე მეტად შესტკიოდა გული სამშობლოზე, გაუნათლებლობაზე, ზერეღეობასა და ყველაფრის შემგუებლურ ხასიათზე?

რამდენმა გული ატკინა, რამდენმა სიყვარული აგრძნობინა... ალბათ, თავადაც ვერ მოიფიქრებდა, რომ ათას ჭირ-ვარამს გადალახავდა და ვირუსი დაამარცხებდა?!. ან შესაბამისი სიტყვაა მასზე, რომ ის დამარცხდა? არა მგონია... ის დამარცხებული არ წასულა... დატოვა დიდი ტკივილი ყველას გულში, ვინც მას აფასებდა, იცნობდა. მას არ წაუგია, წააგეს მისმა მტრებმა, როცა მის გარდაცვალებას ასეთი ტკივილით შეხვდა მთელი საქართველო.

მშვიდობით, ბატონო ტარიელ, თქვენ უკეთეს საქართველოში წახვედით, იქ, სადაც ბოლოს ყველა შევხვდებით.

მარიკა თედორაძე

ნუთუ წარსულში უნდა ვისაუბროთ თქვენ შესახებ, ბატონო ტარიელ!.. არ მჯერა, ძალიან ძნელია... კიდევ რამდენი მადლობა მინდოდა მეთქვა, თქვენ ხომ ჩემთვის ძალიან ბევრი გააკეთეთ. მუდამ იცოცხლებთ ჩემს გულში.

გმადლობთ, რომ ბევრი რამ მასწავლეთ, გზა გამიკვლიეთ!

მაკა თეთრაძე

ასე მოხდა: ბატონი ტარიელი ჩემს ცხოვრებაში ორ უმნიშვნელოვანეს ამბავთან არის დაკავშირებული: მან მაჩვენა ისტორიული საქართველო – ტაო-კლარჯეთი და მან შემძინა უახლოესი მეგობრები. ტაო-კლარჯეთში ექსპედიციამ ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. მაშინ გაცნობილი ადამიანები კი დღემდე უძვირფასესებად რჩებიან.

ასეთი იყო: ნებისთ თუ უნებლიეთ ადამიანების ცხოვრებას

ცვლიდა, გზებს აჩვენებდა.

ძალიან მიჭირს საერთოდ წერა, არც ვიცი, როგორ უნდა ვა-
ნუგეშო მისი ოჯახი, გამწარებული ნათელა ბებო.

სანუგეშებლად ვკითხულობ უამრავი მონაფის მაღლიერების
სიტყვებს და ესაა: ამდენ ადამიანს გულს რომ სწყვეტ, ამდენ
ადამიანს რომ ენანები, ახლობლებსაც სულს უმშვიდებს.

ბატონო ტარიელ, ძალიან მენანებით სიკვდილისთვის.
მადლობა და მშვიდობით.

როლანდ თოფჩიშვილი

სიტყვები არ მყოფნის, გარდაიცვალა ჩემი დიდი მეგობარი,
საქართველოზე დიდად შეყვარებული, ბევრი კარგი ქართული
საქმის ინიციატორი ტარიელ ფუტყარაძე.

გალსაზ თუთისანი

ჩემი ძმა და მეგობარი, რომელმაც ძალიან დამწყვიტა გული.

ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული. მშვიდობით განისვენე,
ბატონო ტარიელ.

დუიგუ იაზიჯი ოზგენი

DUYGU YAZICI ÖZGEN

არ მჯერა... 2008 წელს ხოფაში ჩემი ძმის ქორწილში დავპატი-
ყე. გული არ დამწყვიტა, მოვიდა და ხმალი გვაჩუქა. ძალიან ღირ-
სეული ადამიანი, მეცნიერი, პროფესორი... რა კარგი საუბარი
ჰქონდა. ძალიან ვწუხვარ. ღმერთმა მოთმინება მისცეს თქვენს
ოჯახს და ქართველ ხალხს. დაე, უფალმა გიბოძოს ყველაზე ლა-
მაზი ადგილი სამოთხეში. ამდენი გულშემმატკივრის ლოცვით,

იმედი მაქვს, თქვენი ადგილი ამქვეყნიურ სამყაროზე უფრო მაღლა იქნება.

[İllet covid e yenik düştü bugün. İnanamıyorum. 2008 yılında Hopa ya kardeşimin düğününe davetlemistim. Beni kırmayıp gelmiş ve bir kılıç hediye etmişti. Çok değerli insan, bilim adamı, prof. Ne güzel sohbeti vardı. Gerçekten çok üzgünüm. Allah ailene ve Gürcistan halkına sabır versin. cennetin en güzel yerini nasip etsin. O kadar çok seveninin duasıyla umarım yerin makamın bu dünyadan daha da yükseklerde olur.]

ია იაშვილი

ძალიან ვწუხვარ, ეს დღეები ვფიქრობ – რა მითხრა, როგორ მითხრა... მიყვარდა მასთან კამათი, ერთ რამედ ღირდა... შეუპოვარი ადამიანი იყო და მისი გული სამშობლოს ეკუთვნოდა!

„ქუთაისური საუბრები“ – სამეცნიერო კონფერენცია, მაგალითოდუა, ტარიელ ფუტკარაძე. კვალის ადამიანები!

ქუთაისი – 1996 წელი

თარქან ილმაზი TARKAN YILMAZ

დიდსულოვანი მეცნიერი, საქართველოს ისტორიული პროფესორი, რომელთან მეგობრობაც ჩემთვის პატივი იყო. გავიგე, რომ ტარიელ ფუტკარაძე დავკარგეთ. კიდევ ერთი იდეალური ადამიანი, ღიმილიანი სახით და თავმდაბალი ცხოვრებით, გარდაიცვალა კოვიდ 19-ის გამო.

მშვიდად განისვენე. ვუსამძიმრებ საქართველოს.

[Dostluğuyla onur duyduğum yüce gönüllü bilim insanı gürcü tarihi profesörü Tariel Putkaradze yi kaybettiğimizi öğrendim. Gülümseyen

yüzüyle mütevazî hayatıyla bir idealist insan daha covid 19 yüzünden aramızdan ayrıldı. Mekanı cennet olsun. Gürcistanın başı sağ olsun.]

საზგინ ილმაზი
SEZGIN YILMAZ

დიდი დანაკარგია საქართველოსთვის. ცნობილი მეცნიერი ტარიელ ფუტკარაძე კორონავირუსის გამო გარდაიცვალა. ნათელში განისვენე!

[Gürcistan için büyük kayıp. Gürcü bilim adamı Tariel Putkaradze koronavirüs dolayısıyla hayatını kaybetti. Işıklar içinde uyusun.]

ნესტან კაკიტაძე

ისევ გაღმა სოფელი. ახლა უკვე ტარიელ ფუტკარაძე...

„გაღმა სოფელში ერთდროულად ანთებენ შუქებს,
გაღმა სოფელში ციხისთავზეც ცეცხლი ანთია...
თავი ასწიე, ნაპერწკალი მიიწვეს ცისკენ,
თავი ასწიე, გადმოგყურებს ციდან ნათლია.
გაღმა სოფელში ერთდროულად ლესავენ ცელებს,
გაღმა სოფელში შეთქმულივით დადგამენ ნექვებს,
მოუკაფავენ აჭე-ბარდებს შემორჩილ ცაცხვებს,
შეულოცავენ საცხა-საცხა შერჩენილ ძელქვებს.
გაღმა სოფელში ჩემი ძველი ძმაკაცი ცხოვრობს,
(აბა, სხვა იქ ვინ გაჩერდება, ჭკვაზე მყოფელი?)
ერთი გვაქვს ღელე, ერთი რეხი, განწყობაც ერთი,
ოღონდ ორივეს გვაქვს სხვადასხვა გაღმა სოფელი.
გაღმა სოფელში ერთდროულად ანთებენ შუქებს,

გალმა სოფელში ციხისთავზეც ცეცხლი ანთია...
გალმა სოფლიდან ნაპერწკალი მიიწევს ცისკენ,
თავი ასწიე, გადმოგყურებს ციდან ნათლია...”

კოტე კაკიტაძე

პალერი კეკენაძე

ზუსტად ერთი თვის წინ ერთად ვესწრებოდით კონფერენციას, რას წარმოვიდგენდი, რომ ბოლოჯერ ვხედავდი... გულწრფელად ძალიან მიყვარდა, 11 წელია, რაც ვიცნობდი. გვქონდა ჩვეულებრივი ლალი ურთიერთობაც და პროფესიულიც (დიალექტების რუკები შემადგენინა, დაახლოებით, 2 წლის წინ).

ქართული უნივერსიტეტი უიმისოდ ვერ წარმომიდგენია. დათრგუნული ვარ, ძალიან გული მატკინა მისმა გარდაცვალებამ.

ნიმე ციციმო კვანთალიანი

რალაცნაირად თავზარდამცემი იყო ტარიელის ასე წასვლა! გულის შემძვრელი! ღმერთმა მის ოჯახს, მის შვილებს გამძლეობა მისცეს! გაანათლოს მისი სული უფალმა! როგორც კოტე წავიდა ჩემს დაბადების დღეს, ასევე, ტარიელი წავიდა დალის დაბადების დღეს, 2 იანვარს, ალბათ იმიტომ, რომ მუდამ მახსოვდეს მისი ასე წასვლა. მაგალითად, არ მახსოვს ვასიკოს გარდაცვალების დღე. გული მეკუმშება, როგორ ნელ-ნელა იზრდება სია წასულებისა, რომლებსაც მუდმივად ვიხსენიებ...

კახა კვაშილაძე

კიდევ ერთი გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე წაგვართვა ამ ვერაგ-

მა დაავადებამ.

ბევრ რამეზე ვკამათობდით, მაგრამ უფრო ბევრ რამეში ვთანხმდებოდით და თანამოაზრეები ვიყავით. 11 წლის წინ დაიწყო ჩვენი მეგობრობა და დღეს დამთავრდა ხორციელად... მახსოვს, საქართველოს ერთიანობის მტრებმა მე, ლია ახალაძე და ბეჟან ხორავა „ფუტკაროიდებად“ მოგვნათლეს და ლამის ქართული სამეცნიერო სივრციდან მოკვეთით დაგვემუქრნენ.

დიახ, ჩვენ ერთად ქართულ საქმეს ვაკეთებდით და მომავალშიც გავაკეთებთ.

მშვიდობით, მეგობარო, ბატონო ტარიელ...

დღეს დავემშვიდობებით პროფესორ ტარიელ ფუტკარაძეს...

ამ უღმობელმა სენმა ორი დიდი ადამიანი და მეცნიერი წაგვართვა:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, პროფესორი გოჩა ჯაფარიძე და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერი, პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე. მე ბედნიერი ვარ იმით, რომ ცხოვრებამ ორივესთან შემახვედრა და ჩვენი ურთიერთობა მეგობრობაში გადაიზარდა.

ბატონი გოჩასა და ბატონი ტარიელის წასვლა უზომოდ დიდი დანაკლისია მათი დიდი ოჯახების, მეგობრებისა და კოლეგებისათვის. მაგრამ ეს დანაკარგი უფრო მძიმეა ჩვენი სახელმწიფოსა და ქართველოლოგიისათვის. ისინი არ იყვნენ მხოლოდ ლექტორები და პედაგოგები. ბატონი გოჩა და ბატონი ტარიელი ხმალამონვდილი მებრძოლებივით იდგნენ საქართველოს ისტორიის გამყალბებელთა და ქართველთა ერთიანობის მოშლის მსურველთა წინააღმდეგ ბრძოლის ავანგარდში. ისინი რეაგირების გარეშე არ ტოვებდნენ ოპონენტის არც ერთ წერილს, ნაშრომს, სატელევიზიო თუ საგაზეთო ინტერვიუს, სადაც ჩრდილი ადგებოდა ჩვენს ისტორიულ წარსულს თუ აწმყოს. ეს კი „უმაღლესი პილოტაჟია“ მეცნიერებაში. მათ მიერ დატოვებული აკადემიური მემკვიდრეო-

ბა უძვირფასესი განძია ქართული მეცნიერებისათვის, რომელმაც განვითარების ახალ ეტაპზე აიყვანა ქართველოლოგია.

ბატონმა გოჩამ და ბატონმა ტარიელმა შექმნეს საკუთარი სკოლები ქართველოლოგიაში და ასპარეზზე გამოიყვანეს მეცნიერთა ახალი თაობა, რომელიც წინ წასწევს ქართველოლოგიას და მასწავლებლებით ხმალამოლებული დაუპირისპირდება ჩვენი სახელმწიფოს ავის მოსურნეთ.

თუმცა, პროფესორ გოჩა ჯაფარიძისა და პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის სამეცნიერო პოტენციალი ამონურული არ იყო და მათ კიდევ დიდხანს შეეძლოთ აკადემიური მთავარსარდლის მოვალეობის შესრულება. ბატონ გოჩას დაუსრულებელი დარჩა რამდენიმე კვლევა, რომლებიც მნიშვნელოვან სიახლეებს შემოიტანდა არაბობის პერიოდის საქართველოს ისტორიაში... სამწუხაროდ, დღეს საუბრისას მათთან მიმართებით ზმნის წარსული ფორმა უნდა გამოვიყენოთ.

უფალმა სასუფეველი დაუმკვიდროს ჩვენი დროის ორი დიდი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწისა და მამულიშვილის ნათელ სულებს!

ზვიად კვაჭანტირაძე

ტარიელ ფუტყარაძე გარდაცვლილა – ასეთი საღსალამათი კაცი!!! აღარ დამთავრდა ეს უბედურება ამ მიწაზე. მეწყინა მაგრად. რა დროს ტარიელის სიკვდილი იყო? წესიერი, ჭკვიანი, მოაზროვნე, ბრწყინვალე მეცნიერი. ძალიან დიდ პატივს ვცემდი... ორი წლის განმავლობაში ჩვენს საპარლამენტო კომიტეტში საკონსულტაციო-სამეცნიერო საბჭოს ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი იყო...

ძალიან ცუდი ამბავია. ვუსამძიმრებ მის ოჯახს, ახლობლებს და მეგობრებს. ნამდვილად დიდი დანაკლისია ჩვენი ქვეყნისთვის... ღმერთმა გაანათლოს მისი სული... არც ვიცი, მეტი რაღა ვთქვა... ძალიან მატკინა გული...

შალვა კირთაძე

92 წლიდან ვიცნობ ბატონ ტარიელ ფუტკარაძეს. 93-ში დავამთავრე უნივერსიტეტი და მან მიმიღო ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაშინ. იმის მერე ერთად მოვდივართ. ...აი, ეს მინა ტაო-კლარჯეთიდანაა ჩამოტანილი, ამ მინას ვერასდროს ვერ დაივინყებს...

მარტო საქართველოს ნამდვილად არ დააკლდა; ფერეიდანს დააკლდა ძალიან და ტაო-კლარჯეთს – ყველგან დააკლდა ქართველობას და ქართულ სულს; ქართულ გულსა და ქართულ მუხტს დააკლდა, მართალს, ღვთისადმი დამოკიდებულს და ეროვნულ ფესვზე დამყარებულს; აი, ამას დააკლდა უდიდესი ძალა – ძალა, რომლის შემცვლელსაც ამ მომენტში ნამდვილად ვერ ვხედავ და მე კი არა, ვერავინ ვერ ხედავს.

გაიხსენეთ თუნდაც დიალექტოლოგიის ინსტიტუტის ის სამეცნიერო კონფერენციები; ეს იყო ყველაზე დიდი სამეცნიერო ფორუმი მაშინ საქართველოში. აქ ბატონი თემურ შაშიაშვილი ბრძანდებოდა და მას აქვს ასეთი სიტყვები ნათქვამი: ფუტკარაძეს კარებს რომ მოუხურავ (რომ ვერ აფინანსებ), ფანჯრიდან მაინც შემოვა და გაგაკეთებინებს ამ საქმესო.

რასაც შეეჭიდა, ყველაფერი გააკეთა; ყველაფერს აკეთებდა იმიტომ, რომ ის საქართველოს სჭირდებოდა. ოჯახს დააკლებდა, მაგრამ სამშობლოს არასდროს არაფერს დააკლებდა; სამშობლოსათვის იბრძოდა ყოველთვის.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს!.. მთავარი არის, არ მოკვდეს; ტარიელ ფუტკარაძე მოკვდება მაშინ, თუ ქართული სული მოკვდება საქართველოში. მანამდე ის ყოველთვის იქნება იმ თითოეულ ადამიანში, ვინც ამ სულს ემსახურება და ამით ცოცხლობს.

დეკანოზი დავით კონჯარია

დღეს მე-40 დღეა ღირსეული ქართველის, ბატონ ტარიელ ფუტკარაძის. ჩემი უფროსი მეგობარი, მასწავლებელი, მამულიშვილი და ქართველთა წინაპართა კვალზე დამყენებელი.

ძალიან გვაკლიკართ, საყვარელო ძმაო...

ვეცდებით ყველა იმედი გაგიმართლოთ და როცა გიხილავ, არ შემრცხვეს შენი, ჩემო ტარიელ.

ირაკლი კოპლატაძე

2019 წლის 1 ივლისს გვისაუბრია ბოლოჯერ, როცა დამირეკეთ შავშეთიდან, ჩემთვის უძვირფასეს სოფ. უსტამისიდან – აქაურმა ქართველებმა მოგიკითხეს, ახლა მათთან ერთად ვარო.

მინდა გავიმეორო, რაც მე ჯერ კიდევ 2015 წლის 11 მარტს ჩემი თურქეთში საქმიანობისას მომიწერია თქვენთვის: „რის გაკეთებასაც არ ვცდილობ, წინ უკვე თქვენი გაკვალული გზა მხვდება, საბედნიეროდ!“

დარწმუნებული ვარ, უნდა შეიქმნას ტარიელ ფუტკარაძის სამეცნიერო ცენტრი ან საქველმოქმედო ფონდი მისი სახელის უკვდავსაყოფად და მისი საქმეების გასაგრძელებლად.

გისამძიმრებთ ყველას – საქართველოში, თურქეთსა თუ ფერეიდანში!

„აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა!“

ნესტან კუტივაძე

ძალიან ძნელი წარმოსადგენია ტარიელის გარეშე. დაუღლეელი, გეგმებით და იდეებით სავსე, არასდროს ჩაიქნევდა დასახულ მიზანზე ხელს, დაგიყოლიებდა, დაგითანხმებდა, იმედით და ენერგიით აგავსებდა; როგორ უმუხთლა ბედმა...

მართლაც, რა უსამართლოდ მოექცა ცხოვრება, იმედია და ასეთ ბრძოლისუნარიანს რა სასტიკად გაუსწორდა...

მიხეილ ლაბაძე

მართლა ვცადე, რამე დამეწერა ბატონ ტარიელზე... დავიწყე – ნავშალე, დავიწყე – ნავშალე და... მერე მივხვდი, რომ ვერაფერს ვერ დავწერდი, რადგან ძალიან, ძალიან მიჭირს დაჯერება, რომ ჩვენ შორის ფიზიკურად აღარ არის... ის ახლა ზეციური საქართველოსკენ ისწრაფვის მართალთა შორის დასავანებლად, რომ იქიდან უფრო მძლავრად იღვანოს და იბრძოლოს მინიერი საქართველოსთვის, მინიერ ქართველთა ერთობისთვის, ყველასა და ყველაფრისთვის, ვინც ან რაც ძალიან უყვარდა.

ის მართლაც გარდაიცვალა – დაასრულა ფიზიკური არსებობა და მარადისობად იქცა ისევე სამშობლოსთვის საბრძოლველად. ჰო, „ბრძოლას“ ტყუილად არ ვამბობ – ის ხომ სულ იბრძოდა!.. სწორედ მან დაგვანახვა, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, თუ მებრძოლი მართალია. ჩვენც სწორედ მართალ მებრძოლებად – ქრისტეს მხედრებად გვაქცია. ახლა ზეციდან მოგვეშველება – უფალთან უფრო ახლოს იქნება, სხვა ზეციერ ქართველებთან ერთად და იქიდან გაგვიკვალავს მინაზე გზას.

მხნედ იყავით, ბატონო ტარიელ!.. ხორციელი სიკვდილით სიცოცხლე არ მთავრდება და არც ბრძოლა მთავრდება! აქედან თანამებრძოლები გაცილებით, იქაც თანამებრძოლები დაგხვდებიან – ისინი, რომელთა ნაჩვენები გზიდან არასოდეს გადაგიხვევიათ და იხარებს თქვენი სული!

ბატონო ტარიელ! მინდოდა, თქვენზე რამე დამეწერა, მაგრამ ვერაფერი დავწერე (ჯერჯერობით), რადგან ძნელია წარსულში წერო მასწავლებელზე, რომელსაც ძალიან უყვარდა სიცოცხლე და ჩვენც გვასწავლიდა, როგორ უნდა გვყვარებოდა ის... ჩემთვის თქვენ მუდამ ცოცხალი იქნებით!

ლეილა ლემსაძე
ბატონი ტარიელ ფუტყარაძის ხსოვნას

ჩირუხის ნისლებში
დაკარგულა,
მთებში გამოზრდილი
მთის ბოკვერი,
მინდა სიზმარს ჰგავდეს
უტყვი რეალობა,
ოღონდ დღეს არ ახდეს
ეს მცდარი სიზმარი.
მთაში ჯვარი გიცდის
თქვენი აღმართული,
ბარში ნენეს კალთა
ცრემლით დანამული,
ვერა, ვერ შეწყვიტავს
გული ფეთქვას,
ტაოს მინა გელის,
ხანცთას – ლელიანი.
აგერ მთა ჩირუხში
უნაგირამ
ნელში გაიმართა
თქვენი ხვაშიადით,
ვერა ვერ გაგვწირავ
თქვენს იმედად მყოფებს,
ისევ ღვინოს წურავს
მთელი საფუტკრეთი.
როგორ ამაყი ვართ
თქვენი არსებობით,
სად არ მოიარე
გზები ეკლიანი,
ვერსად დაგაჩოქეს
სულით ქართველი და...

ვერსად ვერ გაგტეხეს
ნენეს გოლიათი.
ისევ მახსენდება
თქვენი დიალოგი....
როგორ ქარაგმებით
ქარგეთ საქართველო,
მუდამ სისხლის ყვირის
ჰგავდა თქვენი სიტყვით ბრძოლა,
თქვენი ქართველობით
ბრწყინავს მთა და მდელი.
აჰააა, მთა ჩირუხში
ქოხმახები,
თქვენგან მიჩვეული
სარჩოს ითხოვს,
მათი გამოზრდილი
თეთრქოჩორა ვაჟის
შესანდობარს რომ სვამს
მთელი საქართველო.
მთიდან წამოსულმა
გზაბანარმა,
მთელი საქართველო
მოგვატარა,
ბევრთან დავუარეთ
განდაგანა,
ბევრგან დავასველეთ
ცრემლით კალთა.
აგერ, დედაქალაქს
მივაშურეთ,
ჩოხოსნები ვნახეთ
მომტირალი,
უმალ დავუნუნეთ ვაჟკაცებს
ცრემლი და...
თბილისს მივაშურეთ –

იქ წევს დღეს ლომკაცი.
ეხლა გოდებისთვის
არ გვცალია,
წარსულს მომავალთან
ვართობთ,
ჩირუხის ნისლებით
ნაფერებო,
დიდო გოლიათო
კაცო!
კიდევე შემოსძახეთ
მრავალჟამიერი,
ჩვენ ხომ უთქვენობას
არ ვთმობთ,
ფერხთით დაჩოქილა
მთელი აჭარლობა,
გული ამოხეთქვას
ლამობს.
აგერ, მახათას მთაც
გაჯგიმული,
თითქოს მედიდურედ
გვეფერება,
გულში ჩავიხუტებ
ჩვენ ნაჯაფარ ბიჭსო,
წვიმა წკაპანკუპით
ასე გვეუბნება.
ჩუმად ვიცრემლები
ტაძართან და....
როგორ ამაყი ვარ თქვენი
არსებობით,
მახათას მთას ფარავს თეთრი
საოცრება,
ჩირუხის ნისლები
შვილთან ჩამოსული.

შორენა ლომაია

თითქოს ყველაფერი დაინერა და ყველაფერი ითქვა გაუცვე-
თი, ცინცხალი, ქათქათა სიტყვებითა და წრფელი განცდებით;
შეიქმნა სიმღერები და ცრემლებამდე მტკივნეული, მაგრამ ამაფ-
დრულად აღმაფრენის მომნიჭებელი ლექსები, ჩანახატები... და
მაინც როგორი უძლურია სიტყვა, გადმოსცე ტკივილი, სამძიმარი
ისეთი ადამიანის გარდაცვალების შესახებ, როგორც ბატონი
ტარიელ ფუტყარაძე! აბა, მოკვდავსა ენას რა ძალუძს..?! დიახ,
უკვდავია ბატონი ტარიელი და მასზე საუბარი მოკვდავს, აბა,
როგორ შემიძლია...

ვერ ვთქვი, ვერ ამოვთქვი, იმდენად დაუჯერებელი და მოუ-
ლოდნელი იყო ასეთი ბობოქარი სულის, უშრეტი ენერჯისა და ამ
ენერჯის სხვებისთვის უშურველად გამზიარებელ-დამკვალიანე-
ბელი ადამიანის ამ ქვეყნითგან ასე უდროო განსვლა... უბადლო
„ტალანტის გამამრავლებელი“ მიიბარა ქართულმა მიწამ... მსუ-
ბუქი იყოს...

მისი სული ღვთის საუფლოში დაივანებს დღეს...

„ჩემი დუმილიც მიითვალეთ თქვენდამი ლოცვად...“

როინ მაღაყმაკე

60 წლის ასაკში კიდევ ერთი ღირსეული ადამიანი შეინირა ამ
ვერაგმა დაავადებამ. გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი და საზო-
გადო მოღვაწე, უდიდესი პატრიოტი და მამულიშვილი ტარიელ
ფუტყარაძე.

ბატონი ტარიელის პირველი და უკანასკნელი სტუმრობა მა-
ჭახლის ხეობაში...

ზაზა მარუაშვილი

წამამწარე ბედობა...
ცრემლებს ვერ ვიკავებ...
თურმე როგორ მყვარებიხარ...
მადლობა მეგობრობისთვის...
დიდებული მამულიშვილი დავკარგეთ...
სამარადისო სასუფეველი შენს სულს...

ნინო მაღრაქე

ხომ არსებობენ ისეთი ადამიანები, რომ გგონია, არც ჩვეულებრივად დაბადებულან და, მით უმეტეს, არასოდეს გარდაიცვლებიან?! ხო, მე ასეთ ადამიანებს შევხვედრივარ ერთ-ორს, მაგრამ შევხვედრივარ... თუ მკითხავთ, როგორ უნდა იცხოვრო ისე, სიკვდილის არ შეგეშინდესო, აქაც გაგცემთ პასუხს, მასსავით-მეთქი... და მაინც არ მეგონა, ვერ ვიჯერებ თქვენს მარცხს, თუმცა მჯერა, ეს მარცხიც ჩვენი ვინრო ხედვის გამოა მარცხი...

იცო, რას ვწუხვარ ჩემი ეგოისტური მიდგომით? – საქართველომ დაგკარგა...

ჩემო ნათია, გამძლეობას გისურვებ; ხომ იცო, რა დიდი მისიით დაგტოვა... წინ გრძელი გზაა!!!...

გისამძიმრებთ, მხნეობას და გამძლეობას გისურვებთ, ქ-ნო ია.

დალი მაჩაიძე

დედაქალაქში ნისლიაო, ცოტნემ, ჩირუხის...
დღე დაგვეჯანლა ჩვენი ყოფის, ისეც ჭირუხვის.
ეშვილე მამულს, ტვირთმძიმობა გაინაწილე,
რამდენი მართვე განვრთენი და გააარწივე,
გაუფართოვე შთამომავალს თვალსაწიერი,

ჰპოვე მოყვასი, დაუპურე სიტყვით მშვიერი,
შემოიკრიბე თანაფესვი, გარექართველი,
იღვანე გონით და ზედ გულის იყავ დამრთველი,
ჭირი და ლხინი გქონდა ქვეყნის თანაზიარი,
ავდარს ებრძოდი, გალალეზდა დარი მზიანი,
გვერდივერდ მიჰყევ, ურთულესი გზებით იარა,
მას რაც გადახდა, მან შენს თავზეც გადაიარა...
ბევრი მოასწარ, ბევრიც დაგრჩა საქმე, სათქმელი,
ჯერ ადრე იყო შენთვის, კარგო, სანთელ-საკმელი.
ქალაქში? ყველგან ნისლიაო თურმე, ჩირუხის...
დღე დაგვეჯანლა ჩვენი ყოფის, ისეც ჭირუხვის.

„...და მაინც ყველაზე დიდი დანაკლისი ბატონი ტარიელის გარდაცვალება არის იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც მისი გაცნობა ვერ მოასწრეს ან ძალიან ცოტა ხანი ჰქონდათ ურთიერთობა!“ – ეს სიტყვები გამომხმაურებიდანაა ანი ცუხიშვილის ჩანაწერზე... მართლიცაა, რადგან საგანს უშენოდაც ბევრი ასწავლის; მომავალს, ცხოვრებას – ნაკლები; სამშობლოსა და ადამიანთა სიყვარულს – კიდევ უფრო ცოტა...

შენი გული მთელ საქართველოს იტევდა; შენი ფიქრი მთელ საქართველოს სწვდებოდა; შენი საქმე ერთიანად საქართველოს ემსახურებოდა; ამიტომაც გვეძვირფასები ასე...

მოვედი, ვერ გავჩერდი, ვერ ვიგუე შენი ასეთი მიძინება, მაპატიე, მაინც ვერ გაგაცილე უკანასკნელ გზაზე, ვაჟკაცების ვაჟკაცთა დატირებას მოგაყოლებ საუკუნო განსასვენამდე – სიონიდან ივერიის ღვთისმშობლის საუფლომდე, მთელი არსებით ივერიის კეთილდღეობის მცდელო, მშვიდობით, ძმავ!

განუწყვეტილ ზარი ჩამესმის, სვანური, ტარიელ, რაც შენგან სანუთროს დატოვება შევიტყვე. რად, ჩვენო კარგო, ამიხსენი, შენ ხომ უპასუხო კითხვის დატოვება არ გიყვარდა. შენი დაუ-

ჯერებელი წასვლის თავზარია ეს თუ ზარით დაკრძალვას რომ იმსახურებ, ის. ან იქნებ შენივე სახეცვლილი ხმიანობაა, მოკეთეთა ერთად ყოფნის, ურთიერთთანადგომის, ურთიერთდახმარების მომწოდებელი? შენ ხომ უამისოდ სიცოცხლე არად მიგაჩნდა, სამშობლოს წინსვლაც – შეუძლებლად.

არდასათმობს და ძვირფასს არასდროს არაფერს თმობდი უბრძოლველად, მარცხს არ ეგუებოდი, წაგებას არ უფრთხოდი, მეტი სტიმულია სახვალის ომის გარდაუვალად მოსაგებადო – გჩვეოდა თქმა. გამარჯვებები ერთობის გარეშე არ მოდისო, გნამდა და თანამზრახველთა შერჩევა-შემოკრებით იმარჯვებდი მუდამ; პირადი მაგალითით ამარჯვებინებდი მათაც. ვიცი, გესმის და იცი, ასე გზაშეკრულ-დაშორებულნიც ერთად რომ ვართ ახლა მწუხარებაში შენი მოყვასნი; ხმასაც და უსიტყვო ფიქრსაც ვანვდენთ ერთმანეთს შენი შემცნობელნი – ქართველობა, ქვეყნის საზღვრებში მყოფი თუ სამანსმილმიერი და შემოსაკრებელი...

დღეს შენ გვტოვებ და სახვალის ერთიანობას, სიყვარულს, სიმტკიცეს მოითხოვ ჩვენგან, საერთმანეთოს და შენი სულის სალხინებელს...

უნდა ვეცადოთ, რომ არ გატყდე, დიდო ოჯახო, ჯიშგასამრავლებლო, ტარიელის ნაამაგარო; არ დაიკარგო, ნაკვალევო, სიმართლით ნავალო; არ შეჩერდე საქმევ, ქვეყნისთვის ნაკეთებო; არ ჩაქრეთ, ცოდნის სანთელნო, მისგან ანთებულნო; არც შენ ჩაიქცე, ხიდო, ქართველთა ერთობისთვის გადებულო; ნურც შენ გამოილევი, მის თვალგულგამოვლილო სიყვარულო, პეშვით ჩამორიგებულო; მარად უკმიე საკმეველო, ტარიელ ფუტკარაძეს, მამულის მიწას ალაღად მისაბარებელს პანთეონში, დედაღვთისმშობლის ტაძართან, მხოლოდმოხილ ძესთან წარსადგენს ნათელში დასავენებლად!

„საქართველოვ, ჩემო დედავ! ჩემი სუნთქვა გენაცვალა, იდიდგულე, რომ ამფერი აჭარელი გყავდი განა!“

– ისევ შენებური, შენი საყვარელი პოეტი ზურაბ გორგილაძე

და მისი ლექსი წამომეშველა, თორემ მე დამამუნჯე, ჩემით ვერაფერს ვეუბნები დედაშენს, დედასამშობლოს, ქართველებს, თანაფესვებს, ოჯახს, შენთანებს, ჩემს თავს სანუგეშოს. ამ ფრაზამ დაიჭია ერთ დროში დაუტეველი და ან მარადისობას შეერთებული შენი გააზრებული ცხოვრება და დაუზოგავი ქმედება ქვეყნის სასიკეთოდ.

მიდიხარ, ჩვენო, ტარიელ ფუტკარაძე, ნაბრძოლი და დამაშვრალი, საკუთარი თავისა და თვისტომის შემცნობელი, აღმზრდელი, გამაუმჯობესებელი, სიყვარულნაწილადები, მართალი გზის მიმყოლი... მიგიღოს უფალმა, სადაც მართალნი განისვენებენ!

ისე წახვედი, დედალეთისმშობლის წილხვედრმა მამულმა მიგიბარა ღვთისმშობლის ტაძართან, რჩეულთა შორის... ისე წახვედი, მსუბუქი თანსაბარგი გაიყოლე სულისათვის, ხორციელ ყოფაში სიკეთით ნაქმნარი საქმეებით... ისე წახვედი, მაღლი თესე და მომკელი ზარდე... ისე წახვედი, სიცოცხლე შეგიქეს და მარადიულ სამყოფელში მიმავალი გზა დაგილოცეს მრავალთ... ისე წახვედი, შენთვის დაღვრილი უწრფელესი ცრემლებიც კი სიკეთის ნერგებს გაახარებს, შენთვის დანთებული სანთლები კი სხვებსაც გაუნათებენ აქაც და იქაც...

მაღლობა შენს სიცოცხლეს და მშვიდობა შენს სულს, ტარიელ!

თაონა მაჭაპარიანი

იშვიათია ასეთი ადამიანის მოვლინება... ვერ იტევდა ქართველობას, სამშობლოს სიყვარულს, დიდი საქმეების კეთების წყურვილს, ადამიანების თანადგომას, მეგობრობას, მასწავლებლობას... იმდენად ვერ იტევდა, რომ სხვებს ასაზრდოებდა, იდეის ირგვლივ აერთიანებდა, საკუთარი თავის შეცნობას ასწავლიდა...

მაღლობა, რომ წარსული, აწმყო და მომავალი ერთ დროდ აქციეთ და ამ დროს ტარიელ ფუტკარაძე ჰქვია. თქვენ სამარადი-

სოდ იარსებებთ. გაგიმარჯოთ ამიერ და იმიერ საქართველოში!..
ვუსამძიმრებ სრულიად საქართველოს!..

ნანა მაჭავარიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი მწუხარებას გამოთქვამს პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს გარდაცვალებულის ოჯახსა და ახლობლებს.

ნანა მაჭავარიანი

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი

მარინა მარჯანიშვილი

გული შემეკუმშა... მეოცე საუკუნის მძიმე კარები რამდენმა
დიდებულმა ადამიანმა გაიხურა...

მშვიდობით, ტარიელ ბატონო... დიდო ქართველო, დიდო მამუ-
ლიშვილო!!!..

მურად მთვარელიძე

დღეს 40 დღე შესრულდა პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის გარდაცვალებიდან. დღეს მისი სული სამუდამოდ დაიმკვიდრებს ადგილს დიდ მამულიშვილთა შორის, ხოლო მისი სახელი, მისი ღვანლი მუდამ თვალსაჩინო მაგალითი იქნება მომავალი თაობებისათვის, თუ როგორ უნდა გიყვარდეს შენი ქვეყანა და როგორ უნდა ემსახურო მას.

ღმერთმა მართალთა შორის განუსვენოს!

თინათინ მილორავა

და მოხდა ეს! დაილოცა, უფალო, შენი დიდება... ასეთი ადამიანები, როგორ?!. ღმერთო... ეს ტრაგედია ზედმეტია...

„ორმოცი“ დღის შემდეგაც ვერ ვარქმევთ სახელს ამ რეალობას! და კვლავ ვერ გადმოვცემთ, აღვიქვამთ და ისევ ასე ვწერ:

2007 წელი, პირველი კურსიდან აუდიტორია 3512, ჩემი წინამძღოლი, მშობელი, მეცნიერ-ხელმძღვანელი... იმ დღიდან დღემდე, ბატონო ტარიელ, რამდენი რამე მასწავლეთ! აუცილებლად შევხვდებით!

ბატონო ტარიელ, თქვენ აქ ხართ! იქნებით! წარსულში არასდროს....

ვინ იყო ტარიელ ფუტკარაძე?! – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერი! ისტორია! ეპოქა! ექსპედიციის მამა!

თქვენ გარეშე საქართველო?

ადამიანები, რომლებიც ეპოქას ქმნიან, არ უნდა გვტოვებდნენ! ვუსამძიმრებ საქართველოს! საქართველოს – საზღვრებს გარეშე, როგორც თქვენ იტყოდით.

რა უნდა ვთქვა?! მაღლობა, რომ მყავდით!

როგორ შეძელით, ბატონო ტარიელ, ამდენი სიყვარული და სიკეთის კეთება!!! როგორ დავიჯეროთ უთქვენობა! როგორ გავუძლოთ ამ ტკივილს?! ვერ გადმოვცემთ ამ ტკივილს! ვერ აღწერს ამ ტკივილს სიტყვები!

სულიერად და ფიზიკურად არაამქვეყნიური ძალის მქონე! შეუძლებელის შემძლებელი! – ასეთი იყო ყველგან... ტაო-კლარჯეთის მიწაზე ყველაზე ამაყი, ყველაზე ძლიერი, ყველას მშობელი! ტაო-კლარჯეთის მიწაზე მას ყველაფერი შეეძლო!!!

იგი არ დამარცხებულა არც ერთ ბრძოლაში!!! არც ახლა!!! მასზე ვერავინ გაიმარჯვებდა!!! ნავიდა მარადისობაში!!!

რამდენჯერ მიამაყია მისი სახელით!!!

და ასე ამგვარად – ჩვეულებრივი ადამიანი არ იყო! არა და არა! აი, უკვდავება!

ყველა განვიცდით, ვერ ვეგუებით ამ რეალობას! და მაინც, ყველაზე მეტად ბატონი ტარიელი იმ სტუდენტებს დააკლდება, რომლებმაც მისი გაცნობა ვერ მოასწრეს ან ძალიან ცოტა ხანს ჰქონდათ ურთიერთობა!

იყოს უფლის ნება!

მსუბუქი იყოს თქვენს გულზე დაყრილი ტაო-კლარჯეთიდან ჩამოტანილი მიწა!

მადლობა, რომ არსებობდით! მიყვარხართ!

მანია მიქაუტაძე

უამრავი რამ მაქვს სათქმელი და ვერაფერს ვამბობ... სული მენვის და ცრემლები მახრჩობს...

ბოლოს, ამ საშინელმა ვირუსმა თითქმის ერთდროულად რომ შემოგვიტია, ეკას პირით შემომითვალეთ – თავს მიხედეო... თვითონ ძალიან მძიმედ მყოფმა, უკანასკნელადაც იზრუნეთ ჩემზე... სხვაგვარად უბრალოდ არ შეგეძლოთ...

ერთხელ, წლების წინ საუბარში, ბ-ნი ბესარიონ ჯორბენაძე გაიხსენეთ მადლიერებით – თქვენი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი: დიდი ამაგი ჰქონდა ჩემზე და ხშირადაც ვეუბნებოდი გულწრფელ მადლობასო. იმ სულნათელმა ასე მითხრა, შენი მადლობა ის იქნება, ჩემო ტარიელ, რასაც მე ვაკეთებ შენთვის, როგორც მე გეხმარები და ვზრუნავ შენზე, ისე იზრუნე და დაეხმარე შენს მოსწავლეებსო... დავპირდი და როგორც გამომდის, ისე ვასრულებ დანაპირებსო. თქვენც ამას გთხოვთო – თქვენი მადლობაც და ჩემი ამაგის დაფასებაც ის იქნება, რაც ჩემგან გახსოვთ, ის სიყვარული, ყურადღება, სიტბო და მზრუნველობა შეძლებისდაგვარად თქვენს სტუდენტებს არ მოაკლოთო...

ნეტა ყველა ისე პირნათლად ასრულებდეს დანაპირებს, როგორც თქვენ თქვენს მასწავლებელს შეუსრულებთ!!!

ნეტა ჩვენც შეგვაძლებინოს უფალმა თქვენი თხოვნის შესრულება!!! გამოგვივა კი?! თქვენსავით, ალბათ, არა, მაგრამ

გპირდებით, რომ შევეცდებით!!!

მაღლობა თქვენთან ურთიერთობის ყველა ნუთისთვის, ბატონო ტარიელ!!!

გვიყვარხართ!!! გვეამაყებით!!! მოგვენატრებით!!!

შოთა მუშლაძე

მიჭირს რამის დანერა... დიდი ხანია ასე არავის გარდაცვალება არ განმიცდია... უაღრესად კეთილშობილი ადამიანი ნაადრევად გარდაიცვალა. თუმცა კი, უამრავი სიკეთის გაკეთება მოასწრო.

ღმერთმა აცხონოს თქვენი უკვდავი სული, ბატონო ტარიელ!..

მაია მჭედლიძე უხალი, ფაჰმი უხალ უსტიაშვილი

მეგობრებო, დავკარგეთ დიდი ქართველი, პროფესორი, ენათმეცნიერი ტარიელ ფუტყარაძე. იგი 2 იანვარს თბილისში გარდაიცვალა. ბატონი ტარიელის მეტად მრავალმხრივი მოღვაწეობა, სხვადასხვა სფეროში მისი მრავალფეროვანი ბიოგრაფიული მონაცემები გვამცნობენ ამ დიდი პიროვნების მიღწევებისა თუ დამსახურებების შესახებ.

ბატონი ტარიელ ფუტყარაძე თურქეთელი ქართველების დიდი ამაგდარი გახლდათ... თურქეთში მას ძალიან კარგად იცნობენ და პატივს სცემენ, როგორც დიდ ენათმეცნიერს. ბატონი ტარიელი როგორც სრულიად საქართველოს, ასევე თურქეთის ქართველებს დააკლდება. როგორი დაუნდობელი შეიძლება იყოს პანდემია... ტარიელ ფუტყარაძე აღარ არის... ის სამშობლოს და მშობელ ხალხს დააკლდა! უამრავი ახალი კვლევა, პროექტი თუ სხვა მრავალი საქმე დარჩა დაუსრულებელი, ახალგაზრდა და ჯანღონით სავსე მეცნიერი სასტიკმა პანდემიამ ხელიდან გამოგვტაცა საუბედუროდ!

„ქართული ამბების პორტალის“, „ქართული კულტურის ცენ-

ტრის“, ასევე ყველა ქართველის სახელით, ვინც იცნობდა და იცო-
და ბატონი ტარიელის დამსახურება თურქეთელი ქართველების
მიმართ, ვუსამძიმრებთ ტარიელ ფუტკარაძის ოჯახის წევრებს!
ნათელში განისვენოს მისმა სულმა!

ლია ნადირაშვილი

ასეთი გამორჩეული ქართველის დაკარგვა არა მარტო სამწუ-
ხარო, არამედ დიდი დანაკლისიცაა ქვეყნისთვის!

ღმერთმა აცხონოს!

ძალიან სამწუხაროა!...უდროოდ დაკარგეთ დიდი მამულიშვი-
ლი!...უფალმა გაანათლოს!..

უჩა ნანუაშვილი

განსხვავებული პოზიციები გვექონდა რიგ საკითხებში და ადრე
რამდენჯერმე გამაკრიტიკა კიდეც უახლესი ისტორიის საკითხ-
ებთან, აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობასთან დაკავშირე-
ბით, ძირითადად. რამდენიმე წლის წინ პირადად გავიცანი ჩვენი
საერთო ფერეიდნელი მეგობრების დახმარებით. პირად და გულ-
წრფელ საუბარს ყოველთვის შეუძლია უკეთ დაგანახვოს ადამი-
ანი და დაგაახლოვოს. ირანში და თურქეთში მცხოვრები ჩვენი
თანამემამულეების პრობლემებმა გაგვაცნო ერთმანეთი. სამშობ-
ლოზე ასე უზომოდ შეყვარებული, სახელმწიფოებრივად მოაზ-
როვნე ადამიანი არც ისე ბევრია საქართველოში და დღეს აქაც
და ფერეიდანსა თუ ტაო-კლარჯეთში უამრავი ადამიანია დამწუხ-
რებული. ძალიან გვატკინე გული, ბატონო ტარიელ...

ვუსამძიმრებ ოჯახს და ყველა ახლობელს. მსუბუქი იყოს ქარ-
თული მინა; როგორც ჩვენი ფერეიდნელები გვემშვიდობებოდნენ
ხოლმე – ღმერთს ებარებოდეთ!

რუზგარ ნასაღლევი RÜZGAR NAGAĞLEV

ძალიან ვწუხვარ, ახლახან გაიგე შენი გარდაცვალების შესახებ, უკან რომ ვიხედები, იმდენი მოგონება დამიგროვდა, ტარიელ!.. დროდადრო ვლაპარაკობდით; დამპირდი, რომ ჩამოვიდოდი საქართველოში, ბევრ ადგილს მაჩვენებდი, ცხოვრება დაცარიელდა, ვწუხვარ, იძინე ნათელში მშვიდად, ტარიელ ფუტკარაძე.

არ დაგივიწყებ.

მაგრამ რას ეძახი ცხოვრებას?

ერთი ნაწილი აკლია, ეს ცხოვრებისეული ისტორიაა...

[Çok çokkk üzgünüm ölümünü şimdi öğrendin ,geriye baktığımda ne çok anılar biriktirmişt看 Dr.Tariel ara ara mjs la konuşurduk ,ben gürcüstana gelip beni gezdirecektin söz vermiştin hayat boş maalesef ,ışıklar içinde uyu

Tariel Putkaradze

seni unutmayacağım.

Oysa ömür dediğin nedir ki

Bir yanı eksik kalmış

Bir hayat hikayesi...]

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ტარიელ ფუტკარაძე გარდაიცვალა! ამ თავზარდამცემმა ინფორმაციამ, რომელიც მყისიერად გავრცელდა, უამრავი ადამიანის გული შეძრა და აღავსო განუზომელი მწუხარებით! ბატონი ტარიელის სახით ჩვენს ქვეყანას დააკლდა გულმხურვალე პიროვნება და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობით გამორჩეული მამულიშვილი, დიდი მასშტაბების მქონე ქართველოლოგი, უამრავი ახალგაზრდისთვის გზის გამკვალავი ცხოვრებასა და მეცნიერებაში, მრავალი ღირსებითა და დიდსულოვანი ბუნებით

გამორჩეული პიროვნება! რაოდენ დასანანია და გულსანწყვეტი, რომ მასზე უკვე წარსულ დროში მოგვიწევს საუბარი. ერთადერთი, რაც ამ დიდი მწუხარების დროს გარკვეულწილად მაინც გვანუგეშებს, ისაა, რომ მისი ნაღვანი სამუდამოდ დარჩება დაუცხრომელი ენერჯის მქონე ამ პიროვნების ხსოვნის უკვდავ-საყოფად. ღმერთმა ნათელში დაამკვიდროს მისი სული!

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ანსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული
ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

თავარ წინიჲ

ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენი ნაშრომების დაცვა იყო ის დღე, როცა თურმე უკანასკნელად გხედავდით პირისპირ, ბატონო ტარიელ! ძალიან ძნელია ამ ამბის გაცნობიერება და ვცდილობ, თავი ავარიდო, არ გამომდის! როგორი იმედი მქონდა, რომ ყველაფერი კარგად დასრულდებოდა და როგორ მიკვირდა, თუ ვინმე დაეჭვდებოდა ამაში! დიდი სიმწარე ჰქვია ამ გრძნობას, სხვა სახელი ვერ მოვუძებნე...

თქვენზე ბევრი ითქმება და დაინერება, მე, უბრალოდ, მაღლობას გეტყვით! მაღლობა სტუდენტობიდან (2006 წლიდან) დღემდე დანახვისათვის, ადამიანობისათვის, ნდობისთვის, გვერდით დგომისთვის, გეგმებისთვის...

თქვენ ვირუსთან ბრძოლაში დამარცხებული არ ხართ, უბრალოდ, უფლის განგებით, თქვენმა სულმა ამქვეყნიური ტვირთი დატოვა და მარადისობას შეუერთდა! – თავს ასე ვიმშვიდებ, მაგრამ მაინც ვერ...

სასუფეველი დაგიმკვიდროთ უფალმა და გააძლიეროს თქვენი ოჯახი და ახლობელი ადამიანები ამ ტრაგედიასთან ბრძოლაში... მშვიდობით, ბატონო ტარიელ, მშვიდობით.

ჯუნეით ნუნიძე **JUNEIT BATUMELI NUNIDZE**

ტარიელ ფუტკარაძე, ბათუმის ყოფილი პრეფექტი ასლან აბა-შიძემდე, ზვიად გამსახურდიას პერიოდის დეპუტატი, ქუთაისისა და თბილისის უნივერსიტეტების პროფესორი; მან თავისი ცხოვრება მიუძღვნა საქართველოს და მის ხალხს, რომელიც ძალიან უყვარდა.

ტარიელ ფუტკარაძე კორონავირუსით გარდაიცვალა, ვუსამძიმრებ ქართველ ერს, ღმერთმა შეინყალოს, ღმერთმა მისცეს მოთმინება მის ოჯახს და ქართველ ერს, ქართველმა ერმა დაკარგა ძალიან ძვირფასი შვილი, ძალიან ვწუხვართ...

[Tariel Putkaradze, Aslan Abaşidze den önceki Batum Valisi, Ziviad Gamsaxurdia dönemi milletvekili, Kutaisi ve Tiflis Üniversitesi Akademisyenlerinden, hayatını çok sevdiği Gürcüstan'ına ve Halkı'na vakfedenden, Gürcüstan'ın önemli faaliyet insanı Prof. Dr. Tariel Putkaradze koronavirüs sebebi ile vefat etmiştir, Kolxi – Gürcü Milletinin başı sağolsun, Allah rahmet eylesin, Allah ailesine ve Gürcü Millette sabırlar versin, Gürcü Milleti çok değerli bir evladını kaybetmiştir, çok üzgünüz...]

ემინე ოზთურქ ოდაბაში **EMINE ÖZTÜRK ODABAŞI**

ჩვენთან სტუმრად რომ მოვიდა, დაგვპირდა, აუცილებლად დაბრუნდებოდა ისევ, მაგრამ დღეს შევიტყვე, რომ გარდაიცვალა; ძალიან ვწუხვარ, ღმერთმა აცხონოს, სამოთხე იყოს მისი სამარადისო სასუფეველი, ვუსამძიმრებ მის ახლობლებს.

[Bizleri ziyarete geldiğinde mutlaka yine geleceğine söz vermişti ve bugün vefat ettiğini öğrenmiş oldum çok üzüldüm Allah rahmet eylesin mekanı cennet olsun sevenlerin başı sağolsun çok üzgünüm.]

სონერ ორალი SÖNER ORAL

ქართული კულტურის და თურქეთის ქართველების უდიდესი მეგობარი, მუდამ გულწრფელი გრძნობებით სავსე, პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე

ღრმა მწუხარებით შევიტყვე, რომ დავკარგეთ კოვიდ 19-ის დაავადებით. ვუსამძიმრებ მის დამწუხრებულ ოჯახს და ჩვენს ახლობლებს. მას ძალიან ახლოს ვიცნობდი, მუდამ იქნება ჩემს სევდიან მოგონებებში პატივისცემით. ღმერთმა შეინყალოს.

[Gürcü Kültürünün Türkiye Gürcülerinin Halkçı Samimi Duygularıyla Dostu Profesör Doktor Tariel Putkaradze

yi Kovit 19 Hastalığından Kaybetiğimizi Derin Bir Üzüntüyle Öğrenmiş Bulunmaktayım Kederli Ailesinin Ve Biz Onu Sevenlerimizin Başu Sağ Olsun Kendilerini Yakinen Tanıma onuruyla Hüzünlü Hatıralarımda Saygıyla Hep Var Olacaktır.Allah Rahmet eylesin.]

ლელა რაზმაძე

უდიდესი დანაკლისი... ადამიანი, რომელმაც ძალიან ღრმა ნაკვალევი დატოვა ჩვენს გულებში... ვუსამძიმრებ ოჯახს, ქვეყანას... მუდამ ჩვენს გულებში იქნებით, ბატონო ტარიელ, მადლობა ყველაფრისათვის... მშვიდად განისვენეთ...

მაკა სალია

ქართველობისთვის დაბადებულო, ძალიან გვიმძიმს თქვენზე წარსულში საუბარი... ყველგან იყავით, სადაც კარგ საქმეს ეყრებოდა საფუძველი. უდავოდ, დიდია თქვენი წვლილი დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების

ჩამოყალიბებაში...

საუკეთესო მეგობრად, ძვირფას სტუმრად გთვლიდნენ ჩვენს უნივერსიტეტში. სიცოცხლის ბოლომდე გამყვება თქვენი სიტყვები – უერთგულე ქართველობას, ამაზე უმნიშვნელოვანესი არც არაფერიაო. თქვენი ცხოვრების დევიზიც ეს იყო. ამიტომაც უყვარხართ ასე ძალიან ყველას, ყველგან, ვისთვისაც ძვირფასია ქართველობა. უყვარხართ ჩვენს სტუდენტებს, ჩვენს ძირძველ ქართველებს დუზჯეში. უსაზღვროა თქვენი გარდაცვალებით გამოწვეული სევდა, ტკივილი.

მადლობა ყველა სიკეთისთვის!

მადლობა, რომ იყავით ჩვენთან!..

ნათელში იყოს თქვენი მართალი, სპეტაკი სული, ჭეშმარიტო რაინდო!

კაცი, რომელიც ქუჯის, იოანე ლაზს, ჭყონდიდელს ეთაყვანებოდა... ვაი, ვაი... ვაი!

გუნა სამნიძე

ტარიელ ფუტყარაძე – პროფესორი, ენათმეცნიერი ქართველოლოგი, დიდი გულის პატრონი, გულისა, რომელიც მხოლოდ სიმართლისთვისა და ქვეყნის სიყვარულით ძგერდა. იშვიათად შევხვედრივარ მსგავს შეუვალ, მართალ კაცს, პატიოსანი წესებით მოთამაშეს, პირუთვნელსა და პირდაპირს, ყოველივე მშობლიურის უსაზღვროდ მოთაყვანეს!

ოთხ ძმას და არა გვყავსო და, დაძმობა დავთქვით...

მქონდა ბედნიერება, სტუდენტობისას მისი ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიმელო დიალექტოლოგიური კვლევის ექსპედიციაში 1988 წელს მესხეთსა და ჯავახეთში. ფეხდაფეხ შემოგვატარა ექსპედიციის მონაწილეებს საქართველოს ეს ისტორიული მხარე და გზადაგზა გვიამბობდა და გვიხსნიდა თითოეული ტაძრის, ქვისა თუ უბრალოდ, ამ სისხლით მორწყული მიწის ისტორიასა და მნიშვნელობას. ჩვენი ექსპედიცია დაემთხვა საქართველოს კა-

თოლიკოს-პატრიარქის მოგზაურობასა და იქ არსებული დადუმებული ტაძრების ამოქმედებისა და მრევლისთვის გადაცემის კურთხევას, თითოეულ ამ ცერემონიალს დაგვასწრო მაშინ ჩვენმა ხელმძღვანელმა, ტარიელ ფუტკარაძემ, რითაც შთამბეჭდავი ზეგავლენა მოახდინა თითოეული ჩვენგანის სულიერებაზე.

მისი ხელწერა ამშვენებს ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს (1991წ.). დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მონვევის უმაღლესი საბჭოს წევრი ბათუმის პირველ პრეფექტად დაინიშნა. როგორც კი ამ პოსტზე დაამტკიცეს, იმნამსვე მოგვიხმო პრესამსახურში სამუშაოდ მე და ჩემს მეგობრებს, ჯერ კიდევ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-5 კურსის სტუდენტებს, წმინდა ადამიანები მჭირდება საქმის კეთებისთვისო. ეს ფაქტიც მეტყველებს მის უანგარობაზე და ჭეშმარიტად ქვეყნის მსახურებისთვის რომ იყო მოვლენილი; რომ წმინდა გულით აპირებდა ჩვენი ქალაქის ცხოვრების ახალ რელსებზე გადაყვანას, სწორედ ეს გული გაჩერდა ასე მოულოდნელად 2 იანვარს და გაოგნებულნი დაგვტოვა ყველა, ვინც მას უბრალოდ იცნობდა, სულით ხორცამდე შეგვძრა და უსაშველოდ დაგვწყვიტა გული. ეს იქნება მართლაც აუნაზღაურებელი დანაკლისი ქართული მეცნიერებისთვის, საზოგადოებისთვის, ქვეყნისთვის.

მშვიდობით!.. ნახვამდის!

„სიკვდილს იქით ხომ უფრო დიდი სიცოცხლეა“

გუნა სამნიძე

იანვარი 5, 2021

ახალი ამბები, ლიტერატურა, მოქალაქე, რეგიონის ამბები

„დღეს დედაქალაქში აჭარის მთის – ჩირუხის ნისლია!“

„წარმოიდგინეთ კოსმოსი და ღვთიური სამყარო: ენერჯის უსას-

რულო წიაღი. ღვთიური სამყაროს განზომილებაა კოსმოსი. ღვთიური წიაღიდან ჯერ – გამჭვირვალე ღრუბლად, შემდეგ კი ჩაუქრობელ და უხიფათო ელვად გამოინაკვთება ადამიანის სული, დაახლოებით, ისე, როგორც მატყლის უზარმაზარი ფთილადან (ფარტენიდან) – ძაფი. ღვთიური სამყაროდან გამოსული ჰაეროვანი სული ადამიანის კონკრეტულ სხეულში ისადგურებს (ვითარცა ხმალი ქარქაშში), მაგრამ წიაღთან უწყვეტ კავშირს ინარჩუნებს...

...სულს თავისუფლებას უზღუდავს ადამიანის ხორციელი ვნებებიც.

ზოგის ხორციელი სხეული ღვთიურ ენერგიასა თუ კოსმიურ იმპულსთ ვერ გრძნობს; ასეთი ოდენ ხორციელ არსებად რჩება“, – რამდენიმე წლის წინ წერდა ამას სიკვდილზე ბევრნაფიქრი მეცნიერი და სულ ახლახან შემდეგი სიტყვებით გამოეთხოვა კორონავირუსით გარდაცვლილ მეგობარს, ქუთაისის აკ. წერეთლის უნივერსიტეტის პროფესორს, თემურ სურგულაძეს:

„ადრე თუ გვიან ყველანი გარდავიცვლებით, თუმცა ასე უეცარი სამუდამო განშორება გამანადგურებლად მოქმედებს ცოცხლად დარჩენილ მეგობარზე, ოჯახის წევრზე – მით უმეტეს. დიდი ტკივილის ოდნავ მაინც გადასაფარად გვინდა, მასზე (თემურ სურგულაძეზე) რამდენიმე სიტყვა ვთქვათ დროითი და სივრცითი დისტანციიდან: გარდაცვალება „ადგილის გამოცვლას“ ნიშნავს, ადამიანი უკვდავია, ბატონო თემურ, უკვდავია ჩვენი მეგობრობაც!“

– და სწორედ იმავე მიზეზით რამდენიმე დღეში უეცარი გარდაცვალებით უსაშველოდ დიდი ტკივილი მიაყენა ოჯახს, ქართველ საზოგადოებას ენათმეცნიერმა, საზოგადო მოღვაწემ, პროფესორმა ტარიელ ფუტყარაძემ. 60 წლის ასაკში ემსხვერპლა სამყაროს უხილავ მტერს – კოვიდინფექციას. მკურნალობას კლინიკაში გადიოდა, მაგრამ მდგომარეობა რამდენიმე დღეში დაუშვიდა და ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს, თუმცა, როგორც სჩვეოდა, ბოლომდე იბრძოლა, „ბოლო წუთამდე არ დანებებია სიკვდილს. არ წაუგია ბრძოლა უეცრად და ამით ჩვენ მოგვეცა საკმარისი დრო, რომ მისთვის გვებრძოლა და არ დაგვრჩენოდა უმოქმედობის დარდი“, – წერს მისი უმცროსი ვაჟი,

ცოტნე, სოციალურ ქსელში და იქვე დასძენს: „ხანდახან წიგნის არსს ვერ ჩასწვდები, სანამ ბოლო წერტილამდე არ მიხვალ, ასეა ტარიელის შემთხვევაშიც. შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ ბედნიერები, რომ მისი ადრეული სიკვდილით ჩვენ დაგვრჩა მეტი დრო ტარიელის მოსაგონრად და მისით საამაყოდ, თანაც – ისეთი ტარიელის, როგორიც გვახსოვს: ძლიერი, ენერგიული, მებრძოლი, ჭკვიანი... სწორედ ამიტომაც, ალბათ, ჯობდა, არ გვენახა წლებით დასუსტებული ტარიელ ფუტკარაძე“.

დაიბადა 1960 წლის 9 მაისს, შუახევის რაიონის სოფელ ტომაშეთში. შუბნის საჯარო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდგომ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მალევე ჩაერთო სამეცნიერო მუშაობაში.

ტარიელ ფუტკარაძე ენათმეცნიერული ხასიათის 300-მდე სამეცნიერო ნაშრომისა (მათ შორის – მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები) და 300-ზე მეტი პუბლიცისტური წერილის ავტორია. 1984 წლიდან ხელმძღვანელობდა დიალექტოლოგიურ ექსპედიციებს აჭარაში, სამცხე-ჯავახეთში, სვანეთში, ლეჩხუმში, სამეგრელოში, ხევსურეთში, იმერხევში, ისტორიულ ტაოში... სულ მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა 29 დიალექტოლოგიური ექსპედიცია და შედგა არაერთი სამეცნიერო სიმპოზიუმი თუ კონფერენცია საქართველოს სხვადასხვა ქალაქში.

ხელმძღვანელობდა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს, განსაკუთრებით ნაყოფიერად თანამშრომლობდა ირანსა და თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან, ფერეიდნელებთან, ლაზებთან... „სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლი ღრმა მწუხარებას გამოხატავს პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის გარდაცვალების გამო. ტარიელ ფუტკარაძეს დიდი წვლილი მიუძღვის თურქეთელ ქართველთა ენობრივი ვითარებისა და განსახლების არეალის შესწავლის საქმეში... იგი ზრუნავდა ქართველთა ეთნიკური იდენტობის გადარჩენისა და განვითარებისათვის, მასპინძლობდა ჩვენებურებს, ეხმარებოდა სტუდენტებს... გამოვხატავთ გულისტკივილსა და თანაგრძნობას ბატონი ტარიელ ფუტკარაძის

ოჯახის, ნათესავების, მეგობრებისა და კოლეგებისადმი. პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის ხსოვნა მუდამ დარჩება თურქეთელ ქართველთა გულსა და ხსოვნაში“.

ასევე ეხმიანებიან ამ სამწუხარო ფაქტს დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებიდან, რომლის ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ტარიელ ფუტყარაძეს... „საუკეთესო მეგობრად, ძვირფას სტუმრად გთვლიდნენ ჩვენს უნივერსიტეტში. სიცოცხლის ბოლომდე გაგვყვება თქვენი სიტყვები: – უერთგულე ქართველობას! ამაზე უმნიშვნელოვანესი არც არაფერიაო! ამიტომ უყვარხართ ჩვენს სტუდენტებს, ჩვენს ძირძველ ქართველებს დუზჯეში. უსაზღვროა ამ გარდაცვალებით გამოწვეული სევდა, ტკივილი... მადლობა, რომ იყავით ჩვენთან!.. ნათელში იყოს თქვენი მართალი, სპეციაკი სული, ჭემმარიტო რაინდო!“

ტარიელ ფუტყარაძე იყო თსუ-ს ახალციხის ფილიალის თანადაამფუძნებელი, ქართული ენის კათედრის პირველი გამგე, ქუთაისის დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი (1993-2011), თსუ-ს პროფესორი (2000), საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი.

1991 წლის 9 აპრილს, როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრმა, ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

„ბატონმა ტარიელ ფუტყარაძემ, როგორც მეცნიერმა, პედაგოგმა, პარლამენტარმა, მამულიშვილმა, პირნათლად მოიხადა ვალი საკუთარი სამშობლოს წინაშე, ყველაფერი გააკეთა ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ღირსეული თანადგომა გაუწია ეროვნულ გმირ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. კიდევ ერთი, სამშობლოსათვის თავდადებული, მამულიშვილი გარდავიდა მარადისობაში... ტარიელ ფუტყარაძის ხელწერა დაფიქსირებულია მე-20 საუკუნის საქართველოს მთავარ მონაპოვარზე –

დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე და ოქროს ასოებითაა შესული მისი სახელი საქართველოს ისტორიაში“, – ვკითხულობთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების განცხადებაში, სადაც ღრმა მწუხარებას გამოხატავენ ღირსეული მამულიშვილის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს და სრულიად საქართველოს.

ტარიელ ფუტყარაძე იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტის მიერ დანიშნული ბათუმის პრეფექტი (1991) და 1991 წლის 31 მარტს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის თემაზე საქართველოში ჩატარებული საყოველთაო რეფერენდუმის ორგანიზატორი.

ტარიელ ფუტყარაძის ინიციატივით ქუთაისში გამოდიოდა გაზეთები: „ქართული“ და „ქუჯი“, რომელთა რედაქტორიც თავად გახლდათ; ეს მაშინ, როცა საქართველოში დაიხურა ოპოზიციური გაზეთები – „საქართველოს სამრეკლო“, „იბერია სპექტრი“.

ქუთაისი მის მეორე მშობლიურ ქალაქად იქცა. აკი, აირჩიეს კიდეც მის საპატიო მოქალაქედ.

„მან ძალიან ბევრი საქმე გააკეთა, კიდეც ბევრი ჰქონდა სამომავლოდ ჩაფიქრებულ-დაგეგმილი. გვჯერა, რომ იგი ზეციური საქართველოდან კვლავ გაგვამხნეებს, ჩვენ კი ღმერთი მოგვცემს ძალას, რომ მისი ხსოვნის პატივსაცემად, მისი საქმეები ღირსეულად გავაგრძელოთ – ისე, როგორც მას სურდა და ამგვარად უკვდავყოთ მისი სახელი“, – აცხადებს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ქართველოლოგიის ცენტრი.

ტარიელ ფუტყარაძის გარდაცვალებით გამონვეულმა ტკივილმა დღეს მთელი საქართველო გააერთიანა. ამ მწუხარებით შეძრწუნებული თანამედროვეობის გენიალური პოეტი, ვახტანგ ლლონტი, წერს: „ძვირი ფასის კაცი დაკარგა ერმა, უამრავი ფარული მტერი რომ უტევს მის ვერშერგებულ თავისუფლებას! „აუნაზღაურებელი დანაკლისი“ – აი, ახლა ვიგრძენი ეს სიტყვები მთელი სისავსით, რადგან სწორედ ახლა იყო ყველაზე მეტად

საჭირო თავისი კუთხისთვის და სრულიად საქართველოსთვის, როგორც აქტიურად მოღვაწე მამულიშვილი და მეცნიერი...“;

თვალსაჩინო პოეტი გენრი დოლიძე: „ტარიელ ფუტკარაძე აღარ გვყავს... დიდი ქართველი და უდიდესი ქართველოლოგი, ჰაერივით რომ სჭირდებოდა ქვეყანას, ეროვნულ საქმეს, ქართულ ენას, – ისეთი კაცი! ვიზიარებ ოჯახის, თბილისის, ბათუმის, შუახევის, სრულიად საქართველოს მწუხარებას...“;

– „ბედნიერი ვარ, რომ ამ ღვთიურ სხივთა თანამედროვედ დავიბადე...“;

– „საქართველომ დაკარგა უდიდესი მამულიშვილი, ადამიანი, რომელმაც კვალდაკვალ გაიარა თედო სახოკიას გზა ზემო აჭარაში; ...რომელმაც დაწერა ისტორია და გააცოცხლა ლეგენდა კუტიჯვარის შესახებ და მისი ხელმძღვანელობით აღიმართა ჯვარი...“;

– „არა, რააა! არ გვეშვება და არ გვაცლის სიცოცხლეს Covid-19. მაჭახელას ხეობა ატირდა“.

– „დღეს ჩემს საქართველოს დიდი კედელი ჩამოეშალა. ასე მგონია, დღეს კიდევ ერთხელ დავკარგეთ ტაო-კლარჯეთი...“;

– „90-იანი წლები: გაყინული საკლასო ოთახი და საამაყო პროფესორის სიტბო, რომელმაც შეგვაყვარა ქართული გრამატიკა. გვამოგზაურებდა მივიწყებულ სოფლებში და მარგალიტებივით აგროვებდა ქართულ დიალექტებს, მერე? მერე ჩვენ, ემიგრაციაში დაფანტულებს, გვეხმიანებოდა და გვმოდღვრავდა მისეული სიბრძნით; გვახსენებდა საქართველოში დაბრუნებას; გვთხოვდა, რომ შვილები საქართველოში დაგვეოჯახებინა; რომ უცხო ქვეყანაში შექმნილი ცოდნა სამშობლოს უნდა მოხმარდეს...“;

– „საქართველო ერთიანი უნდა გიყვარდეთ, შვილებო, „რაჭა“ უკულმა წაიკითხეთ, „აჭარა“ გამოვაო... ნუ დაუნუნებთ, მოუნონეთ ერთურთს კუთხე და კუნჭული...“;

– „აკეთა ბევრი დიდი საქმე სიკეთითა და სიყვარულით...“;

– „იშვიათია ასეთი ადამიანის მოვლინება... ვერ იტყვდა ქართველობას, სამშობლოს სიყვარულს, დიდი საქმეების მეგობრობას, მასწავლებლობას...“;

– „იცხოვრა – ღირსეულად და წარუშლელი კვალით!“ – ასე საუბრობენ ახლა მასზე მისი ახლობლები, მეგობრები, კოლეგები, სტუდენტები.

ამას წინათ ქართველ ფეხბურთელთა მარცხსაც გამოეხმაურა სიმბოლურად ბატონი ტარიელი სოციალურ ქსელში და ოპტიმიზმით აგვაგვსო:

„საქართველოს ნაკრების წუხანდელი მარცხი სიზმრებშიც კომმარად გადავიდა...“

მარცხი სუსტს ანადგურებს, ძლიერი სულისას კი – ახალ მოტივაციას აძლევს უფრო დიდი გამარჯვებისათვის.

წუხელ თუ – ვერ, ხვალ გავიმარჯვებთ!

დეოკუპირებულ, ერთიან, ძლიერ საქართველოს გაუმარჯოს!“

ჭეშმარიტად – „დღეს დედაქალაქში აჭარის მთის – ჩირუხის ნისლია!“...

არსებული რეგულაციების გათვალისწინებით, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის პანაშვიდი 5 იანვარს თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში გაიმართება, გამოსვენება იმავე დღეს, 14 საათზე.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერ დეპუტატთა შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, პატივით დაკრძალავენ მახათას მთაზე, ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძართან არსებულ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

www.asea.ge

მამა მირიან სამხარაძე

40 დღე გავიდა ტარიელ ფუტკარაძის გარდაცვალებიდან; დღეს იგი უფლის წინაშე წარდგება მთელი თავისი განვლილი ცხოვრებით; იმ დიდი სიყვარულით, რომელსაც ყოველდღიურად იჩენდა უფლისა და მოყვასის მიმართ, იმ დიდი ეროვნული საქ-

მეებით, რასაც მიუძღვნა თავისი შეგნებული ცხოვრება, იმ დიდი სამეცნიერო და საგანმანათლებლო მოღვაწეობით, რომელსაც, ამ ორმოცი დღის განმავლობაში, ყოველდღიურად იხსენებდნენ მისი კოლეგები, ყოფილი მოწაფეები და დღევანდელი სტუდენტები.

მე ბატონ ტარიელთან სამი „ფუნდამენტური“ საკითხი მაკავშირებდა:

- I. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა;
- II. აჭარა და საერთოდ, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო;
- III. საგანმანათლებლო საქმიანობა.

სრულიად ახალგაზრდა იყო ბატონი ტარიელი, როცა მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას დაუახლოვდა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაება. 30 წლის ასაკში ის საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს და ქ. ბათუმის პრეფექტად დაინიშნა. მისი ხელმოწერა ამშვენებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს. პუტჩის შემდეგ დარჩა ერთგული კანონიერი ხელისუფლების; მრავალი დევნა და შევიწროება გადაიტანა, მონანილეობა მიიღო გროზნოში გამართულ უზენაესი საბჭოს სესიებში იმ დროს, როდესაც ჩეჩნეთში ჩასვლა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. მას ყოველთვის ეჭირა სწორი პოზიცია ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, განიცდიდა ეროვნულ დაქსაქსულობას და ცდილობდა კვლავ გაეერთიანებინა ეროვნული ძალები; მისი ინიციატივით, ბატონ სერგო ვარდოსანიძესთან ერთად, მაშინ, როდესაც კანონიერი უზენაესი საბჭო უგულვებელყოფილი იყო ხელისუფლებისგან, ყოველწლიურად აწყობდა შეხვედრებს უზენაესი საბჭოს წევრებთან და მათ სინანულისა და ერთიანობისაკენ მოუწოდებდა. არც ერთ ეროვნულ დღესასწაულს არ გამოტოვებდა და ყოველთვის ძველი თანამებრძოლების გვერდში იდგა.

ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შემდეგ, როცა კანონიერი ხელისუფლების მომხრეებზე ნადირობა გაძლიერდა, იძულებული გავხდი ხულოსათვის შემეფარებია თავი, სადაც ასევე ხუნტისაგან დევნილი ჩემი მოძღვარი, მამა ზაქარია მოღვაწეობდა. როცა

მეუფე იობის ლოცვა-კურთხევით პირველი ქრისტიანული გაზეთი „სხალთის ზარები“ დავაფუძნე, მახსოვს, როგორ უხაროდა ბატონ ტარიელს გაზეთის გამოცემა და ის პროცესები, რომლებიც მაშინ აჭარაში პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მომდინარეობდა. გახარებული იყო, რომ მისი მშობლიური კუთხე უბრუნდებოდა მამა-პაპათა სარწმუნოებას. ყოველ ჩამოსვლაზე მენმიანებოდა, მამხნევებდა და არასოდეს უყურადღებოდ არ მტოვებდა.

მაშინ როცა, მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევითა და შუახევის საზოგადოების ინიციატივით, განსაკუთრებით, ფუტკარაძეების აქტიურობით, ოლადაურის (გამონათლევის) ტაძრის მშენებლობა დაიწყო, ბატონი ტარიელი ამ დიდი მოვლენის შუაგულში ტრიალებდა და როდესაც ეკლესიის აღმშენებელ, მამა თეიმურაზ ყურავასთან ერთად ტაძარს ვაკურთხებდით, გვერდიდან არ მოგვეშორებია; მთელი ღამე მარეთის ხეობის ისტორიას გვიყვებოდა და პატრიარქის 1989 წლის აპრილში სხალთაში ნათქვამ სიტყვებს გვახსენებდა: „ჩვენ კი არ უნდა მოვაქციოთ აჭარა, არამედ აჭარა მოაქცევს სრულიად საქართველოს“.

როდესაც თბილისში საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის სკოლა-პანსიონი დაფუძნდა და აჭარის მაღალმთიანეთიდან, ჰერეთიდან და ფერეიდნიდან ბავშვები ჩამოვიყვანეთ, ტარიელი ჩვენი ხშირი სტუმარი გახდა; ბავშვებს ეფერებოდა, ამხნევებდა, ლექციებსა და საუბრებს ატარებდა, სამშობლოს სიყვარულს უნერგავდა. ნერონ აბულაძესთან ერთად გადაიღო ფილმი „ეკომიგრანტები“, რომელიც ჩვენი სკოლის მოსწავლეების სწავლასა და პანსიონში ცხოვრებას ასახავდა. ამას ძალიან გულში ჩამწვდომი დოკუმენტური ფილმი მოჰყვა ფერეიდნელ ქართველებზე.

როდესაც სამთაწყაროსა და წინწყაროში არაკეთილმოსურნე, გრანტებს დახარბებულმა ბნელმა ძალებმა ე.წ. „რელიგიური კონფლიქტების“ პროვოცირება მოაწყვეს, ბატონი ტარიელი საპატრიარქოს ქართველ მუსლიმებთან ურთიერთობის სამსახურის უფროს ნანა (ციცინო) ანთაძეს გვერდში დაუდგა. მათ ამხილეს ეს ძალები და კონფლიქტში მშვიდობისმყოფლის როლი შეასრულეს.

ამ ჩანაწერში გამოქვეყნებული ერთ-ერთი ფოტოსურათი გადაღებულია წმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში, სადაც მადლიერების გრძნობით განმსჭვალული 80 სამთანყაროელი აჭარელი ეკომიგრანტი საგანგებოდ ჩამოვიდა თბილისში მოსანათლად; ნათლობა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ აღასრულა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ექვთიმე თაყაიშვილის გზის გაგრძელება: სამეცნიერო ტურები ტაო-კლარჯეთში, თავის სტუდენტებთან ერთად. ტაო-კლარჯეთული ეპოპეა იმდენად ფართომასშტაბიანია, მე არ ვარ კომპეტენტური, ამის შესახებ დავწერო; ალბათ, მისი გზის გამგრძელებელი მონაფეები უკეთ აღწერენ ყოველივეს.

გასულ ზაფხულს ფეხით მოიარა ზემო აჭარა; განსაკუთრებით, თავისი სოფელი, თავისი კარ-მიდამო უყვარდა, მამაპაპისეული სახლი აღადგინა, არ უნდოდა თავის ფეხებს მოსწყვეტოდა, იკვლევდა შუახვევის სოფლების ისტორიას, ადგილთა ტოპონიმებს და ფოლკლორს.

ბატონი ტარიელის ამქვეყნიდან ადრინადად, 60 წლის ასაკში გასვლა, მისი ოჯახის შემდეგ, ყველაზე დიდი დანაკლისია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისათვის; მე ვერ წარმომიდგენია, ვინ უნდა გააგრძელოს ბატონი ტარიელის დაწყებული სამეცნიერო, საგანმანათლებლო, საგამომცემლო საქმიანობა; მე არ ვიცი, ვინ უნდა უხელმძღვანელოს მის მიერ დაარსებულ ქართველოლოგიის ცენტრს, ვინ უნდა ჩაატაროს მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კონფერენციები, ვინ უნდა დაუდგეს გვერდით მის სულიერ ძმას – ბატონ სერგო ვარდოსანიძეს, ვინ უნდა თქვას მისთვის ჩვეული მართალი სიტყვა მთელი საქართველოს გასაგონად?!

დიდი ძალისხმევა იქნება საჭირო იმისთვის, რომ არ შეჩერდეს ტარიელ ფუტკარაძის გზა ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ქართულ ენათმეცნიერებაში, საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში.

კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ მის ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს, კოლეგებს, ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, სრულიად საქართველოს.

უფალს შევთხოვ, სასუფეველი დაუმკვიდროს ბატონი ტარიელის უკვდავ სულს და მართალთა სავანეში განუსვენოს!

ამინ!...

რუსულან სალინაძე

მშვიდობიან დღეებს ვნატრობდით, მაგრამ მშვიდობიანი არა, ცრემლიანი, გლოვისა და სევდიანი დღეებია ტარიელ ფუტკარაძის ოჯახისთვის, ახლობლებისთვის, მეგობრებისთვის, კოლეგებისთვის, სტუდენტებისთვის...

ვუსამძიმრებ ყველას, ვუსამძიმრებ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, ქართველოლოგიის ცენტრს, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტს, ქართული ენის მიმართულებას, სადაც თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი, თითქმის სამი ათეული წელი, გაატარა ტარიელ ფუტკარაძემ. იშრომა, იღვანა, იზრუნა, იბოძოქრა, თაობები ზარდა, გზაზე დააყენა, ბევრი რამ მოასწრო, ბევრსაც სამომავლოდ გეგმავდა, მაგრამ... მართლაც ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა მისთვის მუხთალი წუთისოფელი...

4 დეკემბერს შედგა ჩვენი შეხვედრა ჯერ ქართული ენის მიმართულების, შემდეგ კი ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის სხდომებზე. ხუმრობით მიგვანიშნა, რომ კორონას ებრძოდა, თან გვამხნევებდა. ვერ დავიჯერეთ... მას შემდეგ ვერაგ ვირუსთან ბრძოლაში იყო. ვშფოთავდით, მაგრამ ნამითაც არ დაგვიშვია, რომ მალე მასთან სამუდამოდ დამშვიდობება მოგვიხდებოდა. ძალიან ძნელია, ძალიან ნაადრევია, ძალიან დასანანი ასეთი მძიმე ხვედრისთვის კაცი, რომელიც უკვე ბევრს დააკლდა...

ბიორგი სოსიაჰვილი

გული მაქვს გაბზარული! რა დავწერო, არ ვიცი. ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მძიმე წუთებია. ტარიელ ფუტკარაძე აღარ გვყავს. რა მომადიქრებდა, რომ ეს უბედურება დამატყდებოდა. ეს ფოტო კუტის ჯვრის აღმართვის დროს გადავიღეთ. მთხოვა, იმ კუტ გოგოზე, რომელიც ამ ადგილას მიხობდა და სოფელს მტრის შემოსევა აუწყა, მოთხრობა დამეწერა. სიცოცხლის მიმწუნხრს სწორედ ტარიელმა მოძებნა ეს ადგილი და ჯვარი აღმართა.

გამომეცალა ძმა და თანამებრძოლი, საქართველოსთვის გულანთებული და სამშობლოსთვის დაფერფლილი კაცი. ბევრი რამ დააკლდება ჩვენს საზოგადოებას უტარიელოდ.

ძალიან მატიკინე გული, მშვიდობით, ჩემო ძმაო.

ჩირუხის ნისლი

გამოსათხოვარს ვერ დავწერ, ვერც კალამს დავიმორჩილებ და არც სიტყვები ამომყვება ამ ათართული ტვინიდან. რაღაც საშინელი ხილვა მგონია, უჟმური სიზმარი, ჩვენი ტკბილ-მწარე წუთისოფლის კალენდარი ხომ ამ სულის დამკანწრელი სიზმრებით არის აკინძული.

ვზივარ, ვანრიალებ კალამს და ვცდილობ მეხსიერების მრუმე უფსკრულიდან ლანდების გამოხმობას. ჩვენი ცხოვრება სიზმარია, ჩვენ კი ამ სიზმრის პერსონაჟები, უსხეულო ლანდები ვართ, დროებით რო დავბორიალობთ დედამინაზე. მაშინაც მიჭირდა, ვფიქრობდი, როგორ დავინყებდი და როგორ დავამთავრებდი საიუბილეო, მისალოც წერილს. არა, ჩვეულებრივი მილოცვა არ მინდოდა, ბანალური ტექსტების დანერა რთული არ არის. „გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერი ტარიელ ფუტკარაძე დაიბადა 1960 წელს...“, ასე დანყება არ მინდოდა. არც ამ სახით დასრულება მინდოდა: „ვუსურვოთ სამოცი წლის ტარიელ ფუტ-

კარაძეს ნაყოფიერი წლები“... და კიდევ მოჰყვებოდა ის სიტყვები, როგორც მთავრდება ხოლმე ჩვეულებრივი მისალოცი წერილები. ან სათაური ასეთი რო ჰქონოდა: „კვლავაც შემართებით!“, ან „წინ დიდი გზაა“. რალაც სხვანაირი მინდოდა, მაგრამ იმ სხვანაირ ტექსტს ვერ ვწერდი. კალამი გაშრა, ფურცელი გაბერნდა. რამდენჯერაც დავიწყე, თავი ვერ მოვაბი. არადა, ახლოვდებოდა საიუბილეო თარიღი, ახლოვდებოდა მისი ცხრა მაისი.

რომანში კი ამოიძერწა მისი სახეობა, ჩემს „გოდების კედელში“, ერის სულიერ მწყემსმთავარს ესაუბრება საქართველოს ტკივილებზე, ჩვენს გათითოკაცებულ ხალხზე, ჩვენს მავთულხლართებით გადაღობილ ტერიტორიაზე, ჩვენს ნაბილწულ სულიერებაზე. იქაა ტარიელი დახატული. თან საქართველოს ყველა კუთხეში დაჰქრის იგი და გაპარტახებული მამულისთვის გულანთებულ ქართველებს აგროვებს. რომანში ამერიკელი ბასკიც მას გავაცანი. სწორედ ტარიელთან დატოვა გორკა ხაბიერ ელიზონდომ თავისი ტკივილით სავსე ჩანაწერები საქართველოზე.

ურეკში ვუთხარი ამის შესახებ. რომანში ასეთი ეპიზოდი მაქვს თქვენზე და სახელიც არ შეგიცვალეთ-მეთქი.

ურეკი ჩემთვის შთაგონების წყაროდ ქცეულიყო, იქ მეწერებოდა, თუ მეწერებოდა. ვითომ დასასვენებლად მივდიოდი, მაგრამ ჩემ გმირებს მაშინ მოუხდებოდათ დაბადება, მაშინ იწყებოდა მშობიარობის ტკივილებზე უარესი ტკივილები. ამას ცალკე დავწერ, სხვანაირად არ შემიძლია!

ერთი სული ჰქონდა როდის დასრულდებოდა ჩემი რომანი, ურეკში დანყებული რომანი. სწორედ იქ გადავწყვიტე, რაც ტკივილები დაგროვილიყო ბოლო წლებისა, ქალაქზე გადამეტანა. სხვანაირად ვერ გავძლებდი და ერთ დღესაც გულს გახეთქავდა ამდენი სევდა, ამდენი ვარამი.

რომანის მთავარ გმირს – ბაქარს და რომანის ერთ-ერთ პერსონაჟს – ტარიელს ერთნაირი სიზმარი დავასიზმრე. ცხადში ხომ ერთნაირი ტკივილები ჰქონდათ და სიზმარიც ერთნაირი ესიზმრათ. როგორც მოეწონა ის წიგნი, თავის ერთ-ერთ ვეებერთელა წერილში გადმოსცა შთაბეჭდილებები, სადაც ჩემ ცხოვრებისეულ

ფილოსოფიასაც შეეხო და ენობრივ სამყაროსაც.

და მანამდე სად მიდიოდა ამ რომანის გარჩევა, უფრო სწორად ჩემი და ტარიელ ფუტყარაძის დიალოგი „გოდების კედელის“ ირგვლივ? – არც მეტი, არც ნაკლები, სუპერმარკეტში. მეუღლესთან ერთად სურსათის დახლებს მივყვებოდი და ტელეფონი ანკრიალდა, ტარიელის ხმა გაისმა.

– როგორ ხარ, ლომო?

მისგან ნასწავლი სიტყვა მქონდა მზად, როგორც თავად მპასუხობდა ხოლმე.

– შესანიშნავად!

– გცალია?

– კი, რა თქმა უნდა, – ეს „რა თქმა უნდაც“ მისი იყო, მისი საუბრის განუყოფელი ნაწილი.

მოკლედ, დაიწყო თავისი შთაბეჭდილებების მოყოლა, დაიწყო და სუპერმარკეტში „ირჩეოდა“ ჩემი რომანი. ყოველგვარი შელამაზების გარეშე მიყვებოდა შთაბეჭდილებებს ურეკში, ტარიელის ჭერქვეშ დანყებულ ნაწარმოებზე.

ადამიანებზე უზომოდ შეყვარებულ კაცს შეფასების თავისი ფორმულა ჰქონდა, „სიღამპლეშეპარული ვაშლის ფორმულა“; გვერდგამომპალი ვაშლი რო გადასაგდებად გენანება, იმას ვგულისხმობ. ნაწილობრივ დაზიანებულ ვაშლს იმ ადამიანებს ადარებდა, შეცდომები რო ჰქონდათ დაშვებული, ბევრი ტკივილი რო მიეყენებინათ მისთვის.

„ბოლომდე თუ არ დალპა ვაშლი, არ უნდა გადააგდო. ადამიანიც ასეა, შეცდომა უნდა აპატიო, მიტევება უნდა შეგეძლოს!“

– ბოლომდე თუ დალპა ვაშლი? – ერთხელ დავუსვი კითხვა და პასუხიც მე გავეცი ჩემს კითხვას, – გაზაფხულზე მოვარდნილ წყალს უნდა გაატანო-მეთქი.

გაიცინა იმ სიცილით, მხოლოდ ტარიელმა რო იცოდა. 60 წლის იუბილემდე თბილისის ერთ-ერთ რესტორანში წამიყვანა და წინასწარ მაჩვენა ის დარბაზი, სადაც დაბადების დღის გადახდას აპირებდა. ადგილიც კი მომიჩინა, საიდანაც სუფრისთვის უნდა მეთამადა. დარჩა სუფრა გაუშლელი და სადღეგრძელო დაუღევ-

ელი. პანდემია დაიწყო, ის საშინელი პანდემია, რომელიც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

ტარიელის იუბილეზე მხოლოდ ვირტუალური კონფერენციებით შემოვიფარგლეთ. მისმა სათაყვანებელმა წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართულმა უნივერსიტეტმა ჩაატარა ბატონ სერგო ვარდოსანიძის ინიციატივით და ძალისხმევით ტარიელ ფუტკარაძის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია, მერე გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი შეუერთდა ტარიელის საიუბილეო ღონისძიებათა ციკლს. ჩვენც ჩავატარეთ, მოვეფერეთ... პანდემიის დასრულებას ველოდებოდით, რომ ჩვეულ გარემოში აღგვენიშნა მისი 60 წლის იუბილე... და ვერ ვწერდი მისალოც ტექსტს, ვწვალობდი, ვიტანჯებოდი, მაგრამ ვერ ვწერდი. არადა, მეგონა კალმის ერთი მოსმით, ერთი ამოსუნთქვით მივულოცავდი და ჩემს მისალოც სიტყვებს მივუძღვნიდი. თითქო ფრახას ველოდებოდი, როგორც უყვარს ხოლმე გამოთქმა სოსო ჭუმბურიძეს.

იმ დღეებში გავიგე, რომ მამაპაპისეული სახლი აღადგინა საფუტკრეთში, მამისეულ კერას მიხედა, თავისი წინაპრების სულელები გააპატიოსნა და მათ ხსოვნას ახალი ძალმოსილება მისცა. ვიფიქრე, ვიფიქრე და „სისხლის სათავე“ უნდა დამეწერა, მაგრამ ეს ჩვეულებრივი მილოცვის ტექსტი ვერ გამოვიდოდა. ტარიელის ცხოვრება ისეთნაირად უნდა გარდამესახა, რო მცირე მოცულობის ტექსტში ყველაფერი ჩამეგია, რაც ადვილი არ არის... და ეზმანა ტარიელ ფუტკარაძეს თავისი წინაპარი, რომელიც მყაფარ ფერდობზე აუყვა საფუტკრეთში და თავისი ფუძე აჩვენა, სისხლის სათავეზე მიანიშნა. იმ მხცოვანი კაცის სიტყვებით, საფუტკრეთიდან დაშვებული სისხლის დოლაბი ტარიელს უნდა დაეტრიალებინა და სწორედ ეს ზმანება აუხდა, როცა სხეულის თრთოლვით მიუჯდა მაგიდას დამოუკიდებლობის აქტზე ხელის მოსაწერად. და პირველმა გემმაც დაიკივლა დამოუკიდებელი საქართველოს ნავსადგურში – ბათუმის ნავსადგურში, რომელსაც ისტორიული ქალაქის პირველი პრეფექტი თავისი კაბინეტიდან გადასცქეროდა.

მერე დევნა იყო, კარდაკარ ნონიალი, ოჯახის გადარჩენაზე ფიქრი... ხუნტასთან შეკრულ „საზოგადო მოღვაწეთა“ მხრიდან ფურთხი და ჩაქოლვის მცდელობა. იმ „საზოგადო მოღვაწეთაგან“, ზოგიერთი მთანმინდაზე რო ააბრძანა ერმა. და ესმა ჯიხამკარში გასროლილი ტყვიის ხმა საძინებელში ტარიელ ფუტკარაძეს და ყვავების გუნდმა ჩამოაბნელა კორპუსი.

ბოლოს კი ქართული ანბანით, ქართული ასო-ნიშნებით აყვავებულ ხესთან მივიყვანე „სისხლის სათავის“ მთავარი პერსონაჟი. მას ჰქონდა მშობელი მიწის გაუნელებელი ტკივილები. სადაც კი ფეხი დავადგი, საქართველოს რომელ კუთხეშიც ჩავედი, ყველგან ის „დამხვდა“, პანკისის ხეობაში ხასო ხანგომვილთან თუ ხევსურეთში – არმაზ ნიკლაურთან... ფერეიდანაც მან გამაცნო საიდმულიანის დახმარებით და თურქეთელ ქართველებთანაც მან დამამეგობრა. ის ყველგან იყო, ყველგან ისმოდა მისი ხმა, აუვალი გზებით ადიოდა ძველ ციხე-სიმაგრეებზე და ღრუბლებთან მოსაუბრე ეფერებოდა საფიცარ სამშობლოს, რომელსაც უყოყმანოდ შესწირა თავისი 60-წლიანი წუთისოფელი.

ურეკი ვახსენე... ახირება იყო თუ შთაგონების წყაროს აღმოჩენა. სრულიად შემთხვევით მივადექი ოთხი ძმის აშენებულ სახლს ზღვისპირეთში. იქ გავიცანი ოთხი დიდებული ვაჟკაცის გამზრდელი და დიდი ოჯახის გამორჩეული დიასახლისი – ქალბატონი ნათელა ვაშაყმაძე. მაშინ არ ვიცოდი, რო ფუტკარაძეების ურეკული ალაგი რალაცნაირი ანდამატური ძალით მიმიზიდავდა ყოველ ზაფხულს. იქ უნდა დაბადებულიყო ბევრი მოთხრობა, იქ უნდა დაწერილიყო „თეთრი ქალაქი“, წმინდა მიწაზე ჩემი მოგზაურობის ამსახველი შთაბეჭდილებები, იქ უნდა დაწერილიყო „ვერცხლის ყვავილები“, ფერეიდნული ნოველების ციკლი და, რაც მთავარია, იქ უნდა გავცნობოდი ტარიელ ფუტკარაძის სამყაროს.

ზღვაური გველამუნებოდა დაის-ლამისას, მწვანე ჩქერლად იღვრებოდა ეზოს პალმებში თავჩარგული ლამპიონის შუქი და მესაუბრებოდა საქართველოს ბედსა და უბედობაზე ჩაფიქრებული ტარიელ ფუტკარაძე. საინფორმაციო ომში თვალზე რულმიუკარებელი იდგა და ხან ეროვნულ ცნობიერებაზე მოსეულ უცხო-

ურ ორგანიზაციებს იგერიებდა, ხან კი ოცდამეერთე საუკუნის ყორღანაშვილებს – გრანტიყლაპია მეცნიერებს, ბანკომატიდან გამოღებული ტკიცინა ევროების თუ დოლარების გამო თხასავით რო ჰყიდდნენ ენას, მამულსა და სარწმუნოებას. სულ არ აინტერესებდათ, მეგრულს გამოაცხადებდნენ ცალკე ენად, თუ სვანურ ლექსიკონებს გამოსცემდნენ, ფულის სუნს გაებრუებინა მეგრანტიები.

ნუხდა კი არა, გული გახეთქვას ჰქონდა ტარიელს, როგორც ქარსაცავი ჭადრების ზოლი სეტყვისას, ისე უხერგავდა გზას ქართველოლოგიური კონფერენციებითა თუ სიმპოზიუმებით ანტიქართულ ისტერიას. ვერ იტანდნენ ტარიელს, ეჯავრებოდათ, ლანძღავდნენ. გრანტის სუნი და ტარიელის სიყვარული გვერდიგვერდ ვერ იხიერებდნენ. ათასპარტიამონაცვალ „მოღვაწეებს“, ყველა დროსა და სივრცეში თბილად და რბილად მოკალათებულებს, სძულდათ ტარიელი. ხშირად იმეორებდა საუბრებში მეტაფორას – „ლელვის ფოთოლი“; იმ „მოღვაწეთა“ შესამკობად იმეორებდა, ვარლამ ერისთავის კვალში რო ჩამდგარიყვნენ, პირველი ეგზარქოსის კვალში.

ლელვის ფოთოლს კიდევ აქვს თავისი ფუნქცია. აი, ლელვის ხმელ ფოთლად რო იქცევა კაცი, მაშინ არის საცოდაობა. გამხმარიყო ზოგიერთი ლელვის ფოთოლი, ტარიელის მიახლოებაც კი ზარავდათ, რო მონაქროლ ქარს მოუსავლეთში არ წაელო ხმელი ლელვის ფოთოლი.

და დადგა ჩირუხის მთის დროც. გული უგებდა, თუ რა იყო, ღმერთო! ყველას გვანიშნებს რალაცით უფალი, ცუდსაც და კარგსაც გვანიშნებს. თითქო ჩქარობდა, თითქო გული კარნახობდა. მარიაშობისთვის დასაწყისში რამდენჯერმე დამირეკა.

- ნელს სად აპირებ დასვენებას?
- არ ვიცი, ჯერ არ მომიფიქრებია-მეთქი.
- ურეკში ჩამოდი, ერთად დავისვენოთ, – მთხოვა.

ვერ ისვენებდა, იტყოდი, რო საშინელი გუმანი ტანჯავდა. თავის საიუბილეო წელთან დაკავშირებით საკუთარი სამეცნიერო ნაშრომების ბიბლიოგრაფიას აწესრიგებდა და გორის სახელმ-

ნივთო უნივერსიტეტში გამოსული იმ კრებულების ნუმერაცია გადაამონმა, სადაც მისი სამეცნიერო სტატიები იყო დაბეჭდილი. ვიდრე ჩირუხის მთაზე მიმავალ ოკრობოკრო გზას დავადგებოდე, ერთ საოცარ ფაქტს გავიხსენებ:

ტარიელს თურქეთის საისტორიო საზოგადოების წევრის, ქართველ მეცნიერთა დიდი მეგობრის, პროფესორ იბრაჰიმ თელი-ოღლუს პუბლიკაცია ენახა ინტერნეტსივრცეში. იბრაჰიმს საქართველოში თურქული მოსახლეობის შესახებ სტატია გამოექვეყნებინა, იგი სათანადო წყაროების არქონის გამო მიუთითებდა, რომ თითქოს თურქული მოდგმის ხალხი ჩვენს მიწაზე ძველი დროიდან ცხოვრობდა. ასე გააღმასებული ტარიელი იშვიათად მახსოვს. დამირეკა და ლამის ტელეფონში გამოძვრა. ჯერ იმით დაინტერესდა, მე და იბრაჰიმს რა კავშირი გვექონდა, ბოლოს მითხრა:

– ვიცი, რომ იბრაჰიმი გორის უნივერსიტეტში სამეცნიერო კონფერენციაზე ჩამოდის და თუ არის საშუალება, პლენარულ სესიაზე მოხსენებით გამოვალ.

ცხადია, დავთანხმდი, ორი მეცნიერის პაექრობა და გაუგებრობის კონფერენციაზე დასრულება ჯობდა, ვიდრე ინტერნეტსივრცეში იბრაჰიმ თელიოღლუს სტატიაზე დაყრდნობით, ზოგიერთი არაკეთილისმოსურნე თურქი ისტორიკოსის მხრიდან არასწორი, უარგუმენტო მსჯელობა საქართველოში თურქთა ძველი დროიდან მოსახლეობის შესახებ.

ტარიელ ფუტკარაძის მოხსენებას როინ ყავრელიშვილი თარგმნიდა. საბოლოოდ იბრაჰიმმა ხელი ჩამოართვა ტარიელს და მეგობრულად უთხრა:

– ამ გაუგებრობას წერტილი დაესვა.

კოვიდი თითქო ჩამცხრალიყო. პირველმა ტალღამ გადაიარა, თითქო შიშიც ჩანელდა, იტყოდი, რო ცუდი სიზმარი ნახა ხალხმა და ეგ იყო და ეგ. განსხვავებული ბათუმი დაგვხვდა, უფრო სწორად, ისეთი ბათუმი, როგორც არის სინამდვილეში. საზღვრე-

ბი ჩაკეტილიყო, ტურისტები ველარ შემოდიდოდნენ და ბულვარში მხოლოდ ქართული ლაპარაკი ისმოდა. საქართველოს რომელი კუთხიდან აღარ ჩამოსულიყო დამსვენებელი, იტყოდი, რო შარი ხეირად გვექცა. ზოგი ჭირი მარგებელიაო, ფასები დანეულიყო და გაიაფებულ სასტუმროებს მიანყდა ჩვენი ხალხი, რომელსაც ზღვაზე დასასვენებელი ფული „გაუჩინა“ პანდემიამ, თან მწყინდა, თან მიხაროდა.

ტარიელის უახლოესი მეგობრის – ზურაბ ებრალიძის სასტუმროში დავბინავდით, რომელმაც ოჯახის ნევრებივით მიგვილო. ორიოდ დღეში შუახვეში უნდა ნავსულიყავი.

იტყოდი, რო შემოდგომა იყო, ღვინობისთვის ჭირხლი ჰქონდა შუახვეის მთებს. მანქანაც ტარიელმა გამომიგზავნა, დათო ვაშაყმაძის „ჰამერიტ“ მივუყვებოდით ნანვიმარ გზას ჩირუხის მთისკენ. სულ მალლა ნისლში გახვეულიყო მემთეურთა იაილები.

– ეს ადგილი მე აღმოვაჩინე. აქ ცხოვრობდა ერთი დაკუტებული გოგო. მტრის შემოსევის დროს, დაახლოებით, კილომეტრნახევარი იფორთხა და იმ ადგილას მიაღწია, რომელზეც დღეს ჯვარი უნდა აღვმართოთ.

– მერე? – შევხედე თვალეებში ტარიელს. მეგონა, რო მემთეურთა ქოხებზე დაფენილმა მარიამობისთვის ნისლმა მის მზერაში გადმოინაცვლა.

– მერე... – სიტყვა გაუნყდა, შუბლიდან წვიმის წვეთები გადაინმინდა, – გადმოცემით, კუტი გოგო კლდესთან მიხობდა და ისეთი ხმით დაიყვირა, რომ ადგილზევე გათავდა.

ვერ მივხვდი.

– მტრის შემოსევა ამ დაყვირებით ამცნო მეზობელ სოფელს, უნდოდა, რომ ხალხი გადაერჩინა, ამიტომ დაერქვა ამ ადგილს კუნტიჯვარი. სინამდვილეში ჰქვია კუტის ჯვარი. როგორც ჩანს, იმ გოგოს, დაკუტებული გოგოს პატივსაცემად აქ ოდესღაც ან

ჯვარი დადგეს, ან სალოცავი ნიში. მე ვიპოვე ის ადგილი და სწორედ იქ უნდა აღმართოთ ჯვარი, – თქვა და მარიამობისთვის ღურღულა მზემ გამონათა ტარიელის თვალებში.

უფრო მოუმატა წვიმამ. იქაური ბიჭები მოგროვილიყვნენ, ქუდზე კაცი გამოსულიყო. ტარიელმა ღვინო ჩამოასხა, დალოცვილი დღე ადღეგრძელა. ცას რამდენჯერმე ავხედე. შემომხედა და გაიღიმა.

– ცოტა ხანში გადაიღებს!

მეც გამეღიმა, გავიფიქრე, რა იცის როდის გადაიღებს-მეთქი...

– ჯვარს რო ამოაბრძანებენ, ნახავ, თუ არ გადაიღებს!

„უცნაური კაცია ტარიელი, თავისებური კაცია ტარიელი“, – გულში გავიღიმიე. გრძნეულივით მიხვდა.

– აი, ნახავ, თუ არ გადაიღებს!

მცირე ხანში სატვირთო მანქანის ხმა ამოიპარა აღმართზე და მერე მანქანის ცხვირიც გამოჩნდა. ძარაზე უზარმაზარი ჯვარი იყო დაბრძანებული, ტარიელის შეკვეთით დამზადებული კუტის ჯვარი.

– ხომ გითხარი, – ჯერ მე შემომცინა, მერე ცას აჰხედა და თითქო თვალებით უთხრა სამადლობელი, – აბა, დავიძარით, მეგობრებო, წავედით.

ტარიელს მივდევდი, ჩვენს უკან ის ბიჭები მოდიოდნენ, რომლებიც თხუთმეტადლიან ჯვარს მოაბრძანებდნენ. მარიამობისთვის წვიმებით დაცრემლილ ტყეზე გადიოდა ბილიკი. ლიჭყი მიწა იყო, ფეხი ცურავდა. გვერდით ხრამი გვიღრუნდა. უზარმაზარ ფიჭვებს უცნაური სენი გასჩენოდათ და თეთრი ფოთლებივით ეკიდათ ტოტებიდან ჭალარა კულულებად დაშვებული „მოსართავები“. ხმებოდნენ ფიჭვები, ეს თეთრი სამკაულები მათთვის მოურჩენელ სატკივრად ქცეულიყო. „როგორი ლამაზი სიკვდილი სცოდნიათ ფიჭვებს-მეთქი“.

ნანვიმარი, უღრანი ტყე თეთრად იყო გადაპენტილი, თეთრი სიკვდილი ცხოვრობდა ჩირუხის ტყეში. ნისლი დაბლა-დაბლა

მოიწვედა, ცამ გადაიკარა, ტარიელი ბავშვივით მოხალისდა.

– ახლა ნახავთ, გადაიწმინდება ნისლი და აქედან საოცარი ხედები გამოჩნდება.

შუა ტყეში როლანდ კოპალიანი დაგვხვდა, ჩვენი ძმა და მეგობარი, ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორი. ტარიელს როლანდი და მისი მეგობარი წინასწარ გამოეგზავნა, შუახვევლს ქუთაისელი სტუმრისთვის კოცონი აენთო. ჩირუხის ტყეში იგრძნობდი, როგორ ახლოა ზაფხულთან ზამთარი.

ტყეში მიმავალი ბილიკი ზოგან ხმელი, ნაქცეული ფიჭვებით ჩახერგილიყო. მეც და როლანდს გაგვიჭირდა წვიმით გასიპულ ფიჭვის მორებზე გავლა, ტარიელი კი ტარიელურად მიჰქროდა. თან მოგვხედავდა და ჩვენს ტანჯვაზე ეცინებოდა.

გაკაფულ ალაგს მივადექით. იტყოდი, რო უნინ აქ სალოცავი იდგა. უცნაურად იდგა კლდის კვარცხლბეკი, ოდნავ იქით ნისლში ჩაძირული ხეობა მოჩანდა, კიდევ იქით სოფელი, ის სოფელი, რომელსაც მტრის შემოსევის დროს მთელი ძალით გაჰყვირა ოდესლაც კუტმა გოგომ. ეს ადგილი ტარიელმა აღმოაჩინა. რამდენიმე საუკუნე ელოდა ნატაძრალი თუ ჯაგებგადავლილი ნიში ტარიელ ფუტკარაძის მისვლას. ეს მხოლოდ მას უნდა გაეკეთებინა, კუტი გოგოს გარდაცვალების ალაგი მას უნდა ეპოვა და ჯვარიც მას უნდა აღემართა.

– მეგობრებო, აი, სწორედ ამ ადგილზე ამოვიდა ხოხვით ის გმირი გოგო, ვინც ამ ადგილზე განუტევა სული, – თვალეზი უბრწყინავდა ტარიელს და ხან ვეება ჯვარს ასცქეროდა, ხან ნაავდრალ ცას, რომელსაც სულ აღარ ეტყობოდა ცრემლის კვალი, – დაწერე ამაზე მოთხრობა, კუტ გოგოზე დაწერე... დაწერ? – თვალეზში მიყურებდა.

– დაწერ! – თავი დავუქნიე.

– რა დავარქვათ იმ გოგოს, ვისი სახელიც ისტორიამ ვერ შემოგვინახა?

მხრები ავიჩეჩე.

თითქო სახელიც წინასწარ შეერჩია.

– ნათელა დავარქვათ!

- დავარქვათ! - თავი დავუქნიე.
- ჭიქები შეავსო.
- იმ კუტი გოგოს შესანდობარი იყოს, ნათელში იყოს ნათელას სული.
- აცხონოს უფალმა!

იაილების დაბლა, მოტიცვლებულ ვაკეზე, ფიჭვნარის პირზე გაეშალათ სუფრა. ტარიელმა ითამადა.

გვერდიგვერდ ვისხედით მე და როლანდ კოპალიანი. სუფრა კი არა, ქართული სულის ზეიმი იყო. ისე ვიყავით შეთანხმებულები, რო იმ ღამეს ტარიელის მიერ აღდგენილ მამაპაპისეულ სახლში, საფუტკრეთში უნდა დავრჩენილიყავით.

არ ვიცი, რა დამემართა, ცუდად ვიგრძენი თავი. დავემშვიდობე ტარიელს და ბათუმში ზურაბ ებრალიძის სასტუმროში დავბრუნდი. დღემდე არ გამწელებია სინანული, საფუტკრეთში უნდა გამეთენებინა ღამე და მეგრძონ ის სიხარული, რასაც თავის ფუძეზე ყოფნით, თავის ჭერქვეშ სუნთქვით განიცდიდა ჩემი ძვირფასი მეგობარი.

ორიოდე დღეში ჩამომაკითხა ბათუმში, თითქო უჩინარის ხელით გაეშალა სუფრა ზურაბ ებრალიძის სასტუმროს ვერანდაზე. ქალბატონი იაც გვერდს გვიმშვენებდა, ბატონი ტარიელის მეუღლე. ზღვა იყო წყნარი და ვნებაჩამცხრალი ტალღების სუნთქვა გველამუნებოდა ღია ცის ქვეშ, თითქო სულს გვიბერავდა თვლემამორეული წყალი. ეს იყო ჩვენი ბოლო შეხვედრა...

თითქო ეჩქარებოდა, თითქო წინასწარ გრძნობდა, რო ახლო იყო მისი გრძელ ქვეყანაში გადასვლის ჟამი. არ ვიცი... არ მინდა გარდაცვლილი ტარიელი ვნახო. მინდა ის ისეთი სახით ჩამჩქეს, როგორც იყო მინიერ ცხოვრებაში. საოცარია სიკვდილი, შეგაჯანჯლარებს და დაგანახვებს, თურმე როგორი მეგობარი გყავდა.

მე თუ მკითხავს კაცი, ეს ადამიანი მთანმინდას იმსახურებს და მისი ცხოვრება მაგალითად უნდა ჰქონდეს თითოეულ ქართველს.

დიახ, არ ვაჭარბებ, მთანმინდას იმსახურებს და იმაზე არ უნდა ვმსჯელობდეთ მახათას პანთეონი ეკუთვნოდა თუ არა. სხვა რა გაგვიჩვენია ერთმანეთისგან ქართველებს ხეირიანად.

ჩვენ გვერდით დადიოდა დიდი ქართველი კაცი, რომელსაც ტკივილის და ტანჯვის მეტი არაფერი უნახავს. მის ბობოქარ ცხოვრებას გვირგვინად დაადგა ჩვენმა საზოგადოებამ ერთ უთქმელი სიყვარული. ალალი იყოს შენზე, ჩემო ძმაო და მეგობარო, ჩვენი ხალხის ცრემლი და მწუხარება. ის ცრემლიც, რომელითაც ეს სტრიქონები იწერება შენი დაკრძალვის წინაღამეს.

შენ ძალიან მალე ნახავ ღმერთს! ისე იცხოვრე, ცად ასვლის მერე აუცილებლად ნახავ უფალს, ვისი კარნახითაც მოქმედებდი მიწიერ ცხოვრებაში და ეგებ სიზმარში მაინც მომიყვე თქვენი შეხვედრის შესახებ.

ისიც მითხარი, როგორია ღმერთი, ვიცი, ის ნამდვილად დაგე-ნახება!

5 აპნისი, 2021 წელი
დიცი

მზის ჭაშნიკი უდროობაში

პირველ ჩამონაწერს თითქო ეს ბედი ჰქონდა.

იტყოდი, უცნაური ქარი ამოქროლდა, ლეგა ღრუბლებით ჩა-ლიანდაგებულმა ცამ გადაიკარა და ბავშვობაში დავბრუნდი, ისე მიხაროდა, – გაიხარე და გამახარე-მეთქი. ვრგავდი და მირკანის მზეს ავცქეროდი. ღალიანი მიწა მოუხდა შავკაპიტოს. ღვთის სული კვირტებად გამოებერა. ნამოვიდა, დაიჯოშა, მალლა-მალლა ავიდა...

რა ფოლიანტებში ჩხრეკა უნდა? რა არქეოლოგიური გათხრე-ბი? როდის დაიწერა პირველად ჩვენ სამშობლოში ღვინო, რო-დის წარმოთქვა ღვთის სადიდებელი ქართველმა კაცმა? – ჩვენი სულია მთავარი ფოლიანტი და უტყუარი მტკიცებულება! იქ არის

ვაზი, იქ ისხამს მზეჩაბუდებულ მტევნებს, იქ ინურება ღვინო და ქვევრებსაც იქ ატალახებენ აყალოთი.

პირველი მოსავალი მომცა, დალოცვილმა! თითქო ცას გამოესხას ღურღურამზიანი მტევნები... ვკრეფდი, ასე მეგონა, ღვინობისთვის ცა ვეება ზვრებად გადაჭიმულიყო და ბებერ მეზვრესავით უციმციმებდა შემოდგომის მნიფე მნათობს ჩვენი გამათბობელი თვალები. ტარიელმა დამირეკა და ისე შევათამაშე შავკაპიტოს მტევანი, მეგონა იქვე იდგა და კიბის წვერზე მოქცეულს ამომცქეროდა.

– რა ყურძენია, რო იცოდე, ბატონო ტარიელ! ისეთი ღვინო დადგება...

– გესტუმრები და დავაჭაშნიკოთ! – სიამოვნებით წარმოთქვა, თითქო ყურძენი დააგემოვნა და ქართლის მზის გემო იგრძნო.

მოლიკლიკებდა ვეება სანნახელიდან ჩამავალ მზისფრად ღიღინით დანურული ბადაგი და იკარგებოდა პაპაჩემისეულ ქვევრში. სიცოცხლით ივსებოდა სამკოკიანი, შავკაპიტოდან გამონურული სიცოცხლით, რომელიც მერე სადღეგრძელოებად გადაიქცეოდა. გამჩენის სადიდებლით, სტუმრების პატივისცემით და მოლოდინით, მოყვასთა დღეგრძელობით და წინაპრების ხსოვნით ივსებოდა ქვევრი და ვერ წარმოვიდგენდი, რო სიცოცხლესთან ერთად სიკვდილიც მიჰყვებოდა ქვევრში მინაკადლებულ, მოლიკლიკე შავკაპიტოს.

ღიღინით ჩანურულ ბადაგს სიკვდილის ბგერებიც ერია... ქვევრში ერთად ირეოდა სადღეგრძელო და შესანდობარი. სიკვდილი და სიცოცხლე ერთად უნდა დადულებულიყო, ერთ ღვთაებრივ სითხედ უნდა ქცეულიყო...

ვერ წარმოვიდგენდი, რო პირველი მოსავლის ჩამონანურით გეტყოდი შესანდობარს. რას ვიფიქრებდი, როცა სანნახელში პირველ მოსავალს ვნურავდი, თუ შენს შესანდობარსაც ვაბინავებდი პაპაჩემისეულ ქვევრში.

დღესაც ქარიანი დღე იყო. ღვთის სახლად ქცეული მზე გვიმზერდა მახათას ტაძრის გუმბათიდან მე და ბატონ სერგო ვარდოსანიძეს. აპნისის სუსხმა შეაჭკნო საფლაგზე თრთოლვით და-

ლაგებული, ცრემლშეყინული ვარდები.

– ვერ ვიჯერებ, რომ ტარიელი აღარ არის! – ჩურჩულებს სერგო ვარდოსანიძე.

– ვერც მე ვიჯერებ-მეთქი. თუმცა, მარტო ჩვენ კი არა, ვერაფერი იჯერებს!

ცხრა ღამე დაიფერფლა შენს სამუდამო განსასვენებელზე, ცხრა უმთვარო და უვარსკვლავებო ღამე. თითქო აღარ მეშინია სიკვდილის...

ხორციელად არყოფნის შიშის დაძლევაშიც დამეხმარე.

შავკაპიტოთი გაპილთუმებული ჭიქები წაგიქციეთ მე და ბატონმა სერგომ. რაღაცნაირად მგონია, რომ სიკვდილიც დაამარცხე! სიკვდილზე გამარჯვებული ტარიელ ფუტკარაძის სადღეგრძელო იყოს!

ალაღად გეტყვი: შენს შესანდობარს ვერაფრით დავლევ!

10 აპნისი, 2021 წელი.

ცად ასვლამდე დარჩენილი წამები...

სულის საგუბარში დაგროვილი ტკივილი ოდნავ თუ გამოჟონავდა მის თვალებში, შეუმჩნეველი სევდა, თვალთუხილავი სევდა და წუხილი ენკენისთვის რიჟრაჟზე მთაგრეხილის კალთაზე ჩამონეწილი ნისლივით გადაუვლიდა ხოლმე.

ყველა ვერ შეამჩნევდა, თითქო ცხრა ბოქლომით ჰქონდა სული ჩაგმანული და საგულდაგულოდ მალავდა ტკივილებს.

– როგორ ბრძანდებით, ბატონო ტარიელ?

ის სიტყვა, მტრებზე რისხვის დამტეხი სიტყვა მუდამ ჩახმახივით ჰქონდა შეყენებული.

– შესანიშნავად! – უფლებას არ გიტოვებდა, ამ სიტყვის მერე რამეზე დაგეწუნუნა, რამე შეგეჩივლა. მისი განწყობა, შემართება გადმოიღვრებოდა შენში და დაპურდებოდა მშვიერი და გასანყლებული სული...

წამიერად ცხონებული, სულკურთხეული ნოდარ ტაბიძის სი-

ტყვებიც გამახსენდებოდა: „როგორ ბრძანდებით, ბატონო ნოდარ?“ – „არ მაქვს უფლება ცუდად ყოფნისა!“

ტარიელს ცუდად ყოფნის უფლება არ ჰქონდა. მისი მიწიერი ცხოვრების ყველა ნაბიჯი დიდი მისიის შემადგენელი ნაწილი იყო! მუხლზე დადგები, მშობელ მინას დაუჩოქებ და ეამბორები, ვაზს მოეფერები, ჟრუანტელი გონებას დაგიბინდავს და ცისკენ გაგექცევა მზერა, საოცარი მადლით ივსები, თითქო დამარცხებული კაცის განცდები გლრღნის, გადაღობილი ქვეყნის შვილობა სულს გიკანრავს, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედები, ლუკმა-პურზე გამოსული შენი სისხლის და ხორცის დანახვაზე გული გეკუმშება, კიდევ უფრო მოყელყელავდება ცრემლი სულის რიყეზე, მაგრამ ამ ყველაფერს მხოლოდ ერთი რამ გიქარწყლებს, იმის შეგრძნება, რომ ქართველად დაგბადა გამჩენმა. ქართულ მიწაზე ქართველად შეიძლება დაიბადო, ქართული ჰაერით კვებო ფილტვები, ქართული სისხლი გედგას ძარღვებში, მაგრამ ის ვერასოდეს შეიგრძნო, რასაც ტარიელ ფუტკარაძე გრძნობდა. სწორედ ამიტომ იყო განსხვავებული, სიხარულითაც განსხვავებული, ტკივილითაც განსხვავებული, მზერაში გარეული სევდის ნისლითაც სხვანაირი...

მალ-მალე ყურს ნაწუგდებ ტელეფონს. მზერაც გამეპარება ეკრანისკენ.

ასე მგონია, ან ახლა დარეკავს, ან ახლა...

გადის უღიმღამო დღეები, გაძალღებულმა წუთისოფელმა თითქო თავი მომაბეზრა, იტყვი, რო სიცოცხლემ გემო დაკარგა. მზის ამოსვლას ყიჟინით უნდა ხვდებოდე; სიცოცხლის ყოველ ჩქამზე სული უნდა გინათდებოდეს; ყოველი თვალის გახელისთვის გამჩენს მადლობას უნდა სწირავდე... გინდა, რო ასე იყო, გინდა, რო გიხაროდეს სიცოცხლე, მაგრამ რაღაცნაირად გაუფერულდა ყველაფერი და მოსაბეზრებლად გადის ბერნი დღეები.

ან ახლა დარეკავს, ან ახლა... ვფიქრობ და ჩვენი მეგობრობის, უფრო სწორად, ძმაკაცობის თითოეული წამის აღდგენას ვცდი-

ლობ. მისი ხმა, მისი ბგერები ტვინის ხვეულებში მაქვს შენახული და როცა ტელეფონი დუმს, როცა მისი ზარი არ წკრიალებს, მაინც ვესაუბრები წარმოსახვაში...

შენდობის ჭიქა მითრთოდა ხელში. ვიჯექი ეგრე მდუმარების აღთქმადადებული ენადახორცებული ბერივით და ცრემლი მოჰონავდა თვალებზე. ვფიქრობდი: რა იცის ადამიანმა, ცხოვრების დასაწყისში, ჩვენს სულში არსებული ცრემლები ვის ეკუთვნის, ვისთვის ანაწილებს უფალი... და სანამ ცრემლებამდე მივალთ, სანამ შენი მეგობრისთვის გამოწურავ სულიდან მდულარე კურცხალს, მეტი სიყვარული რო ვაგრძნობინოთ ერთმანეთს, ხომ უკეთესი იქნება?

მარტოდმარტო ვიჯექი და ჭიქა ღვინოში ჩანობილი ლუკმით ვახსენე ტარიელი, რომელიც წინა ღამეს მესიზმრა. ორივე ერთნაირები ვიყავით სიზმარში. ორივე უხორცო, ორივე მსუბუქი, ორივე მიწიერი სატანჯველისგან და ტკივილებისგან შორს მყოფი, ოღონდ ის განსხვავება იყო, რო სიზმარში მყოფი მე ისევე დედამიწას ვეკუთვნოდი. თვალს გაახელდა უფალი, გათენდებოდა და მე ისევე ჩემ სხეულს დაფუბრუნდებოდი, ხოლო ტარიელი... იქ წავიდოდა, იქ... მაღლიდან განაგრძობდა ჩვენს თვალსიერებას. წითელი ღვინით სავსე ბროლის ფეხიანი ჭიქა ეჭირა და ილოცებოდა. შევყურებდი და მიხაროდა, რო ცოცხალი იყო. მისი სიკვდილი, ალბათ, სიზმარში ვნახე-მეთქი. ღვინოში ჩამბალი ლუკმა გავღეჭე. თითქო ისიც იქ იყო, ჩემ გვერდით და უსმენდა, შენდობის სიტყვებს რო ვბუტბუტებდი.

– სული მენვის, ვერაფრით დამიჯერებია ეს ამბავი! – იტყვი, რო სისხლით წერს ტარიელის მოსაგონარ სიტყვებს სერგო ვარდოსანიძე. ვერ დაუჯერებია, ვერც მე დამიჯერებია. ასე მგონია, უსაშველოდ გაინელა უჟმური სიზმარი და აღარ თავდება. ერთმანეთს შევეტირით, ერთმანეთის ცრემლის გემო გაგვასინჯავ ტარიელმა. ვგრძნობ, რო ეს სიზმარი დაუმთავრებელია. ჩვენ ამ სიზმარში მოგვინევს დარჩენილი წლები ყოფნა და ამ სიზმრიდან ბოლოს იქ ამოვყოფთ თავს, სადაც ცხადსა და ღამეულ ხილვებს შორის წაშლილია ზღვარი. თითქო სიკვდილის შიშის დაძლევა-

შიც დაგვეხმარა. არც ისე რთული და საშიში ყოფილა, როგორც მეფიქრებოდა. მისი გარდაუვალობის გაფიქრება რო თავზარს მცემდა, ამ განცდის შემსუბუქება მხოლოდ ტარიელს თუ შეეძლო.

ყველა დღე თითქო ერთნაირია. გუშინდელი, გუშინდელი, იმისდელი, იმის, იმის... უცბად თენდება და უცბად ღამდება. სადღაც უხილავად იფურცლება ჩვენი წუთისოფლის კალენდარი. ჩვენი მზის ჩასვლის ზუსტი საათი და წუთები აწერია კალენდრის ბოლო ფურცელს. დაისლამე ეპარება სურნყუნისის ცას. ძლივს-ღა ფეთქავს მომაკვდავი მზე. გოლგოთაზე ჩამუხლული ღვთისმშობლის დახოკილი ღანვებივით დამჩნევია სისხლის ლაქები ცას, რომელსაც თალხივით ეხვევა ბინდი. ცად ამალღების ღამე დგება, ჩემო ძმაო! მგონი თითებზე ითვლი საათებს, წუთებს, წამებს... თან ღმერთის ნახვა გეჩქარება, თან აქაურობაც არ გეთმობა, იმიტომ რო კაცი ვერ გაუძღვება იმ საქმეებს, რასაც ვეება, დაუჩოქებელი აზაფერივით ეწეოდი.

ვიცი, როგორ გამოიყურები, როგორც გიხილე სიზმარში. ისეთი, როგორიც იყავი მინაზე, როგორიც ყველას გულში ჩარჩი, ოღონდ უხორცო.

ისიც ვიცი, როგორ აირბენს შენი ნიავ-ქარივით სული საზვერეებს და ცად ამალღებულები როგორ დაგვხედავ.

ძალიან პატარები გამოვჩნდებით,

მაგრამ უნდა გვაპატიო,

ყველა ერთნაირი ვერ იქნება, ჩემო ტარიელ!

მარიამ სულხანიშვილი

კიდევ ერთი კარგი ქართველი დავკარგეთ დღეს... საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტზე ხელმოწერი უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ბატონი ტარიელ ფუტყარაძე...

ბოლო დღემდე საქართველოს კანონიერი ხელისუფლების აღდგენაზე ფიქრობდა... კაცი დღემუდამ ბრძოლაში იყო და კვლავ საბრძოლველად ემზადებოდა... ამ თემაზე საუბრით დავასრულეთ ბოლო მიმონერა... კოვიდი ვისტუმრეო და ეჭვიც არ შემპარვია, რამდენიმე დღეში გამოჯანმრთელდება-მეთქი... თურმე სიკვდილი უახლოვდებოდა თანდათან...

ამონურა მან საკუთარი მისია...

გამორჩეული იყო არა მხოლოდ ნიჭიერებითა და პროფესიონალიზმით, არამედ კეთილშობილებით, რაც ყველაზე მთავარია...

ადამიანობის უნივერსალურ გაგებას და განცდას დაატარებდა გულით ამ მგლების ხროვად გადაქცეულ საზოგადოებაში...

კაცი, რომელსაც უამრავი მტერი ჰყავდა, მაგრამ მათზე ლოცვა გულით შეეძლო...

ბევრი კარგი მახსენდება შენგან, ჩემო კეთილო ადამიანო...

შენ ნათელში იქნები და იქ საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დაგიხვდება...

მსუბუქი იქნება შენთვის ქართული მიწა და გვაპატიებ, რომ ბოლო გზაზე ვერ გაგაცილებთ... მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო ადამიანო... მშვიდობით, ბატონო ტარიელ, ზეციურ საქართველოში შეხვედრამდე...

ქართველ კაცად დაბადებული... დაუდეგარი, მებრძოლი, მოჭირისუფლე ჩვენი ერისა... თანამონაწილე უდიდესი საქმის და უამრავი სიკეთის მქმნელი კაცი დავკარგეთ თქვენი სახით... ამიტომაც ვტირით ასე გულმოკლულები...

ნათელში განისვენე, ბატონო ტარიელ, იქ, სადაც მართალნი განისვენებენ, თქვენს სათაყვანებელ პრეზიდენტთან, ზვიად გამსახურდიასთან ერთად...

მინდა შეგანიო მერაბ კოსტავას სიტყვები: „წრჟოლა სასიკვდილო ცივია, სურვილით ვინ აღესრულება, მაგრამ მის აჩრდილზე მძიმეა შეხვედრა მოკლულთა სულებთან“... დიახ, თქვენ საქართველოსთვის მოკლულთა სულებს შეხვდებით იქ და ეს, მართლაც,

სიკვდილზე მძიმე განცდა იქნება, თუმცა მარტო ის სიკეთე, რაც, პირადად, ჩემთვის გაიღეთ (სხვა უამრავი რომ არა)... მხოლოდ ის სიკეთე წაგიძღვებათ წინ და დაგიყუჩებთ მინიერი ცხოვრების ან გარდასულ იარებს... მშვიდობით, სამშობლოს ჯარისკაცო! ნათელში განისვენე!

„ქართულ სულს დააკლდა, ქართულ გულს დააკლდა, მართალს!...“ – დიახ, ქართულ გულს, სულს და ქართულ მუხტს დააკლდა ბატონი ტარიელი რეალურად; მართალს ბრძანებთ, მეგობარო...

ტარიელ ფუტკარაძემ და მისმა რამდენიმე მეგობარმა საქართველოში შექმნა ის უნივერსიტეტი, რომელიც ზნეობით ყველა უნივერსიტეტზე მაღლა დგას, მაღლა დგას ის ეროვნული მოტივაციით. სწორედ ამ გზით ხდებოდა ეროვნული თვითშეგნების განვითარება ახალგაზრდა თაობაში... აი, ამის მიღწევა შეძლეს მათ დიდი ძალისხმევით, საკუთარი სულიერი და გონებრივი პოტენციის ხარჯზე, ამ განადგურებულ და მიწასთან გასწორებულ ქართულ ე.წ. ვაისაგანმანათლებლო სივრცეში, რაც ესოდენ ძნელი და რთული მისაღწევია...

ჩვენი აზრით, ეს არის კიდევ ერთი დიდი დამსახურება მათი და ამ ყველაფრის ერთ-ერთი თავკაცი და ორგანიზატორი კი ეს დაუდევარი ქართველი კაცი გახლდათ... ამიტომაც ის ეროვნული მოღვაწე, მაღლობა მათ, ვინც ეს სწორი და სამართლიანი გადამწყვეტილება მიიღო და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს მისი ნეშტი... დრო უფრო კარგად შეაფასებს შემდგომში ყველაფერს...

საქართველო იყო მისთვის საფიცარი სახელი, ისევე როგორც ეს ჩვენს სასიქადულო წინაპრებს სჩვეოდათ, ამიტომ მშვიდად განისვენოს...

ეჰ, სამშობლოს სიყვარული თანამდევნი სასჯელია ქართველისათვის...

ლალი ურდულაშვილი

ჩემო ტარიელ, ჩემო ძვირფასო,

ვიცი, რომ გესმის, მჯერა, რომ მისმენ, მისმენ ღიმილით, კმაყოფილებით, როგორც გჩვეოდა. როგორ მოგმართო უკანასკნელად, როგორც მეგობარს, როგორც კოლეგას, ჩემი საყვარელი იას მეუღლეს, თუ როგორც ჩემი შვილის ნათლიას. როგორი ფუჭი და არაფრის დამტევია თითოეული ფრაზა, არასდროს მიგრძნია ასე ძალუმად სიტყვის უძლურება, როგორც ახლა, ამ წუთებში. რა გითხრა, რით შეგამკო. შენი საქმენი თავად ღალადებენ და ამკობენ შენს პიროვნებას, შენს კაცობას, შენს ცხოვრებას. შენი ნამუშავე დიდი ხანია გასცდა ფილოლოგიურ მეცნიერებას და იქცა საქვეყნო ღვინად, შენი გულის ფეთქვა სამუდამოდ შეერწყა მამულის მაჯისცემას და შენი ცხოვრების უზენაეს ფიქრად ჩამოინაკვთა.

ჭაბუკობიდანვე ბრძოლაში გამოიწრთო შენი დაუდგრომელი სული, ბობოქარი ენერჯია... იყავი შეუდრეკელი შენი პრინციპების დაცვისას, მკვეთრად განსხვავებული, არაორდინალური, დაულაღავი, ტარიელურად უსამართლობის მომრევი და დამარცხებელი, მხოლოდ უხილავი მტრის მიერ ძლეული, მაგრამ შენი ნაღვანი, შენი საქმენი საკეთილონი იცოცხლებენ ქართულ მეცნიერებაში, ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. კვლავ ჩატარდება შენ მიერ დაფუძნებული სამეცნიერო კონფერენციები ქუთაისში, მაგრამ ის ხიბლი აღარ ექნება, ის მუხტი აღარ ანაპერნკლდება, შენი ღიმილი ველარ აგვამზიანებს, ველარ დალაშქრავენ საყვარელ ლექტორთან ერთად შენი სტუდენტები არტანუჯის ციხის ციცაბოებს, არწივივით ველარ გადმოხედავ აჭარის მთებიდან შენს სათაყვანებელ სამშობლოს, ველარც კუნტიჯვარს მიეახლები შენს საფუტკრეთში ღელე-ღურდანის სიყვარულით გულანთებული.

გულწრფელი ცრემლით დაგტირის ყველა... დაგტირიან შენი საყვარელი ფერეიდნელი ქართველები – დიდი კაცი წავიდაო... დაგტირიან ისინიც კი, ვინც არ ეთანხმებოდა შენს ენათ-

მეცნიერულ შეხედულებებს და არიან შეძრულნი სულით ხორცამდე შენი უეცარი ფერიცვალებით, რადგან შენი არსებიდან გამდონაშუქი სიკეთის სხივი ათბობს და ალღობს ყველას გულს, სიკეთის ხნულს ავლებს თითოეული ჩვენგანის სულში.

შენი უეცარი წასვლით კიდევ ერთხელ ჩაგვამყუდროვე ჩვენი სულის ბნელ დარანებში, აგვიხილე სულიერი თვალი და შეგვახსენე, რა ამაოა წუთისოფლის ვნებათა ღელვანი და რა ძვირფასია ის, რასაც ადამიანში ადამიანი ჰქვია.

დაეშვა ფარდა...

დასრულდა ტარიელ ფუტკარაძის ფეიერვერკული სამყარო...

საცაა გავა შენი ცხოვრების უკანასკნელი მატარებელი ამ სადგურიდან.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო „ტარიერ“ ნათლია (როგორც ჩემი თეა გეძახდა ბავშვობაში). ღრმა გულისტკივილით ვუსამძიმრებ შენს ოჯახს, შენს უკეთილშობილეს იას, რომელიც ერთგულ და ღირსეულ თანამგზავრად გახლდა შენს ქართველებით აღსავსე ცხოვრების გზაზე.

აქ რჩეულთა შორის მაღალ მთაზე დაიბინადრებ, იქ კი, ზეციურ საქართველოში – სადაც მართალნი განისვენებენ.

ღმერთს ებარებოდეს შენი ლამაზად მშფოთვარე სული, ამინ.

ამია ჯალაპა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრი ღრმა მნუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე – ცნობილი ენათმეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.

პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე წარმატებით და ნაყოფიერად იკვლევდა ქართველოლოგიის მრავალ პრობლემას. განსაკუთრებით დიდია მისი წვლილი ისტორიული ქართული პროვინციების, მუჭაჯირთა შთამომავლებისა და ფერეიდნელი ქართველების მეტყველებისა და ყოფის შესწავლაში. ტარიელ ფუტკარაძის ხელ-

მძღვანელობით მოეწყო საველე ექსპედიციები დიალექტოლოგიური, ფოლკლორული და ეთნოლოგიური მასალების შესაკრებად... იგი ავტორია მრავალი სამეცნიერო სტატიის, მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოსი, მისი ხელმძღვანელობით გაიკვალა გზა ცხოვრებასა და მეცნიერებაში არაერთმა ახალგაზრდამ...

ბსუ ქართველოლოგიის ცენტრი თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს, მეგობრებს და ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას!

მამია ფალავა

ბსუ ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი

ნინო ფალავა

აუუ, რა სამწუხარო ამბავია... ბატონი ტარიელი – თაობების აღმზრდელი, უდიდესი ქართველოლოგი და, უბრალოდ, კარგი ადამიანი ასე უცბად არ უნდა წასულიყო ამ ქვეყნიდან...

დასანანია ასეთი ხალხის ამგვარი გარდაცვალება!

ჟუჟუნა ფიქრიშვილი

ძვირფასო ტარიელ! ვაი, რომ ასე ნაადრევად შეუერთდი მარადისობას, უფლის ზეციურ სამკვიდროს შეემატე, როგორც ერთ-ერთი გამორჩეული ერისკაცი, ქართველობის დაუღალავი დამცველი და ჭეშმარიტად ღირსეული ადამიანი. ჩვენ კი, ამქვეყნიურ ბინადართ, დაგვიტოვე უსაზღვრო ტკივილი, აუნაზღაურებელი სულიერი დანაკლისი...

პირადად, მე განგებამ უახლოესი ადამიანების დაკარგვით ბევრი მწარე განსაცდელი მომივლინა ცხოვრებაში, მაგრამ ვცოცხლობდი და ვსაქმიანობდი შენნაირი ადამიანების მაგალითით.

შრომისმოყვარეობით, მრავალმხრივი სამეცნიერო ინტერესებ-

ითა და ახლის ძიების სურვილით შენ იმთავითვე გახდი ჩვენთვის საქმეში სტიმულის მიმცემი და ასეთად დარჩები ჩემს მოგონებაში.

არ ვიცი რატომ, მაგრამ ყოველთვის მნამდა, რომ მუდამ იქნებოდი ძლიერი, მეზრდოლი, საქმიანი და საყვარელი პიროვნება, რომ შენ ფიზიკურად ვერაფერი ვერ მოგერეოდა. ალბათ, ამიტომ იყო, რომ როცა შენი ავადმყოფობის ამბავი გავიგე, ოდნავი შიშიც არ შემპარვია მოსალოდნელი უბედურების გამო... ახლაც ვერ გამოვრკვეულვარ, რომ ეს მწარე რეალობაა.

ჩემო ტარიელ (ასე მოგმართავდი ხოლმე), ნათელში იყოს შენი სული. კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ შენს ოჯახს, ჩვენს კოლეგებსა და ერთიან საქართველოს ამ უმძიმესი ტრაგედიის გამო...

ვერავმა ვირუსმა ამ დღეებში შეინირა ჩემი უფროსი ძმაც. საუბედუროდ, ამ პირობებში ნორმალურადაც არ შეგვიძლია მწუხარებისა თუ თანაგრძნობის გამოხატვაც კი.

დროებით გემშვიდობები. კვლავაც შეგეხმიანები წერილებით.

ერთი ლამაზი დღე ციხისძირში

ტარიელ ფუტკარაძე პირადად გავიცანი 1992 წელს, როცა იგი დაინიშნა ქუთაისის უნივერსიტეტის ბაზაზე დაარსებული დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად, მალე ჩვენი (ქართული ენის) კათედრის ნევრიც გახდა. იმთავითვე ჩანდა, რომ ახალი კოლეგა იყო ენერგიული და საქმიანი ახალგაზრდა, მიზანმიმართული და პრინციპული, ამავე დროს უნარიანი და ერთგვარად მკაცრი ხელმძღვანელიც. გარდა ამისა, ჩემთვის სასიამოვნო იყო ისიც, რომ ტარიელმა დიალექტოლოგიის ცენტრის თანამშრომლებად აიყვანა ბევრი ჩემი ყოფილი სტუდენტი – ნიჭიერი ახალგაზრდები, რომელთაც ჯერ კიდევ სტუდენტობიდან კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული მშობლიური ენისა და, ზოგადად, ქართული კულტურის მსახურების პასუხისმგებლობა. ამიტომ სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ ინსტიტუტის მთელი კოლექტივი ასეთი შემოქმედი დირექტორის თაოსნობით მალე

მოიხვეჭდა სახელს.

საბედნიეროდ, ჩემი პირველი შთაბეჭდილება გამართლდა: ქუთაისის დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, ათეული წლებია, წარმატებით მოღვაწეობს... ვინ მოთვლის, რამდენი ლექსიკური ერთეული (ჩვენი ენის მარგალიტები) თუ ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მასალა გააცოცხლეს ეროვნული საგანძურის გასამდიდრებლად ახალგაზრდა მკვლევრებმა თავიანთი ექსპედიციებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (და მის ფარგლებს გარეთაც), რამდენ საინტერესო წამოწყებას დაუდეს სათავე ხელმძღვანელის შთაგონებით.

ასე თანდათან, ჩვენ თვალწინ, იწერებოდა ინსტიტუტის მრავალმხრივი საქმიანობის ისტორია.

პროფესორმა ტარიელ ფუტყარაძემ დაულაღავი შრომით, საოცარი ენთუზიაზმითა და შეუპოვრობით ქუთაისის დიალექტოლოგიის ინსტიტუტი მოკლე დროში აქცია პერსპექტიულ სამეცნიერო კერად და დამსახურებულად მოუპოვა მას საყოველთაო აღიარება როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. აქ ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებსა თუ საერთაშორისო სიმპოზიუმებზე თავჩენილი ახალ-ახალი იდეები, პრობლემები წერილობით აისახებოდა მის მიერვე დაარსებულ სამეცნიერო კრებულებში („ქუთაისური საუბრები“, „ქართველური მემკვიდრეობა“).

ამ მიმართულებით ტ. ფუტყარაძის ერთ-ერთ გამორჩეულ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის გაზეთის – „ქართულის“ დაარსება, რომელიც მრავალფეროვანი თემატიკით, საინტერესო პუბლიკაციებით წლების განმავლობაში ემსახურებოდა ქართულ საქმეს, ეროვნული ცნობიერების ამაღლებას.

ქართველობისათვის დაულაღავი მეზობელი ტ. ფუტყარაძე მუდამ ქომაგად ედგა სამშობლოს, მის კულტურას, მის აწმყოსა და მომავალს. სწორედ „საქმემან მისმან გამოაჩინა“ იგი ამ მზისქვეშეთში. ნაადრევად, მაგრამ ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან როგორც მეცნიერი, როგორც ღირსეული პიროვნება და დიდი ერისკაცის სახელით შეუერთდა მარადისობას; აქ კი დატოვა იმე-

დი, რომ მისი მოწაფეები, უმცროსი კოლეგები – ე. წ. „ტარიელის ფუტკრები“ – წარმატებით გააგრძელებენ მასწავლებლის გზას და რეალობად აქცევენ მის უამრავ ჩანაფიქრს, სამომავლო გეგმებს.

ტარიელი თავისი შემართებით ჩემთვისაც საიმედო ძალა იყო. მისი მართლაც გადამდები ენთუზიაზმი (ყველას რომ ასაზრდოებდა), მეც მიძლიერებდა ახალ-ახალი სამეცნიერო პრობლემების კვლევის სურვილს (ამის გამოც მისთვის პირადად თუ საჯაროდ ბევრჯერ გადამიხდია მადლობა). ჭირში თანაგრძნობაც იმედიანი იცოდა: 1996 წელს ქუთაისში ჩატარდა მესამე სამეცნიერო სიმპოზიუმი, ჩემი ოჯახური მდგომარეობის გამო მასში მონაწილეობა ვერ მივიღე. ტარიელმა გამომიგზავნა სიმპოზიუმის მასალები („ქუთაისური საუბრები“) ასეთი წარწერით: „ქ-ნ ჟუჟუნა ფეიქრიშვილს გაძღვებისა და კიდევ ბევრი შრომის სურვილით“. ეს სიტყვები (და სხვა დროსაც მისი არაერთი გულწრფელი გამხნეება) დიდად მეხმარებოდა სულიერ ტკივილთან გამკლავებაში, თანვე შემახსენებდა, რომ იმხანად მხოლოდ შრომა გადამარჩინდა ფიზიკურად.

კიდევ ერთი განსაკუთრებული თვისება გამოარჩევდა სხვათაგან ჩემს უმცროს კოლეგას (მასზე ოცი წლით უფროსი ვიყავი). იგი, საოცრად კომუნიკაბელური, ადვილად ახერხებდა საერთო ენის გამონახვას ყველასთან, მისეული ლალი ღიმილით მოფერებაც იცოდა; უშურველად გასცემდა სიტბოს და თავადაც უხვად უბრუნდებოდა სიყვარული და პატივისცემა. მოკლედ ვიტყვი: ტარიელს უფლისაგან ჰქონდა მიმადლებული ნიჭი პიროვნების შეცნობისა, მისი შეფასება-დაფასებისა, აგრეთვე, ფლობდა ადამიანთა სიყვარულის ამკარად, გულლიად გამოხატვის განსხვავებულ უნარსაც (ყველა როდია ამ სიკეთით დაჯილდოებული!). სწორედ ასეთი ლალი, ხალისიანი ტარიელი გამაცნო დაახლოებით 20 წლის წინ შემოდგომის ერთმა სასიამოვნო დღემ, რომელიც თითქმის ჩვენი 30-წლიანი საქმიანი თანამშრომლობის, ოფიციალური, მაგრამ გულწრფელი, უშუალო, თბილი ურთიერთობის გზაზე დღემდე ტკბილ მოგონებად შემორჩა ჩემს მეხსიერებას.

...ერთ დღეს ქუთაისიდან დავემგზავრე თბილისისკენ საკუ-

თარი მანქანით მიმავალ ტარიელს. მაშინ, ბუნებრივია, სასაუბროდ საკმარისი დრო გვექონდა. შევეხეთ ყოველდღიურ რეალობას, არსებულ ყოფით პრობლემებს, ჩვენს საქმიანობასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებს, თუმცა **მთავარი თემა მაინც ქართული ენა, საქართველო და მათზე ზრუნვა იყო.**

თბილისში ჩასვლამდე, სოფელ ციხისძირს რომ მივუახლოვდით (ბანერზე ნავიკითხე წარწერა), ტარიელმა მითხრა: ამ სოფელში ცხოვრობს ჩემი მეგობარი – ეთნიკურად აზერბაიჯანელი, მაგრამ საქმითა და სულით ნაღდი ქართველი. თუ წინააღმდეგი არ იქნებით, შევიაროთ ცოტა ხნით მასთან, მეც მოვიინახულებ და თქვენც გაგაცნობთ ამ კარგ ოჯახსო. სიამოვნებით დავეთანხმე, გადავუხვიეთ მარჯვნივ და მალე მივადექით შახი ქაზუმოვის სახლს. მასპინძლები გულლიად შეგვხვდნენ მოულოდნელ სტუმრებს, მიგვინვიეს სახლის წინ, ეზოში, უკვე შემწიფებული ყურძნის ტალავერის ქვეშ მდგარ მაგიდასთან (ოჯახის უფროსებიც და ბავშვებიც ქართულად ლაპარაკობდნენ).

პირველივე წუთებიდან მეგობრების შეხვედრა იყო ისეთი თბილი, შინაურული, რომ ტარიელს ვერავინ ჩათვლიდა სტუმრად. ამ მყუდრო, სიყვარულით სავსე გარემოში სიამოვნებით ვისმენდი მათს საუბარს, ძირითადად საქვეყნო საქმეს რომ შეეხებოდა, მოიგონეს ბევრი რამ წარსული ცხოვრებიდან, თავიანთი შვილების სამომავლო გეგმებიც არ დავინწყებიათ.

გულწრფელად ვაღიარებ, მაშინ ჩემთვის მხოლოდ საუბრის თემა როდი იყო მთავარი, გამაოცა ტარიელისა და ამ ოჯახის წევრთა დამოკიდებულებამ, რომელიც ახლო ნათესავების ჩვეულებრივ სტუმრობასთან შედარებით, უფრო ამალღებული ჩანდა... ტარიელმა სხვანაირი სიხარული შეიტანა მათში, მე კი საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ჩემი კოლეგა მართლა ფლობდა გულწრფელი მეგობრობის რალაც გამორჩეულ უნარს. მაშინ მან სრულიად ბუნებრივად შეძლო, შინაგანი ემოცია სიტყვიერადაც ლამაზად გადმოეცა და ბედნიერების, მაღლიერების წუთები ეჩუქებინა კეთილი მასპინძლებისათვის. არ ვაჭარბებ, იმ სოფელში ხანმოკლე სტუმრობის დროს მე დავინახე სულ სხვანაირი – ჭარბგრძნო-

ბიერი ტარიელი, ისეთი, როგორსაც აქამდე არ ვიცნობდი. ისიც იგრძნობოდა, რომ თავადაც ტკბებოდა ამ სითბო-სიყვარულით და უნდოდა მეც სრულად აღმექვა აქ დავანებული სულიერება. ალბათ, ამიტომაც საგანგებოდ დამათვალეირებინა მასპინძლის ეზო-გარემოც (ათასნაირი ხილით დახუნძლული ბაღი, კარგად მოვლილი ბოსტანი და ა. შ.). ასე რომ, თვალის ერთი გადავლებით ჩემთვისაც ცხადი გახდა – ამ ოჯახში ერთმანეთს სიტყვა და საქმეც კი მეგობრობდნენ.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ციხისძირში ქაზუმოვების ოჯახში ტარიელთან ერთად გატარებული ორიოდე საათი, ჩემდაუნებურად, მაინც შემახსენებდა თავს, როცა ქუთაისიდან თბილისში მიმავალი გზაზე დავინახავდი ბანერზე წარწერას „ციხისძირი“.

...2010 წლიდან თბილისში ვცხოვრობ, ტარიელსაც შედარებით იშვიათად ვხვდებოდი, თუმცა ჩვენს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით ტელეფონით შევეხმიანებოდით ხოლმე ერთმანეთს, დაბადების დღეებსა თუ სხვა მნიშვნელოვან თარიღებსაც ვულოცავდით... ამ ბოლო წლებში რატომღაც აღარ გაგვხსენებია ციხისძირში სტუმრობა, იქაური მისი მეგობრის სახელი და გვარიც აღარ მახსოვდა.. როცა ტარიელის ავადმყოფობისა და შემდეგ გარდაცვალების ამბავი გავიგე, საშინლად განვიცადე ეს ტრაგედია; იმ მძიმე დღეებში გაცოცხლდა წარსულის მოგონებები, თვალწინ მედგა ციხისძირში სტუმრობისდროინდელი ჩემთვის „სხვანაირი“ ტარიელი – თბილი და ლალი, საქმიანი, ძლიერი, ულვეი ენერჯის მქონე, რომელსაც, მეგონა, ვერაფერი ვერ მოერეოდა...

იანვრის პირველივე დღეებიდან ვლოცულობდი მისი სულისათვის, ცრემლით ვიგონებდი ჩვენი მრავალწლიანი ურთიერთობის საქმიან ეპიზოდებს. ამჟამინდელ ჩვენს მძიმე ყოფითს პირობებში მისთვის მე სხვა აღარაფრის გაკეთება არ შემეძლო, გარდა იმისა, რომ წერილობით მაინც გამომეხატა ჩემი სულიერი მდგომარეობა და ტარიელის პიროვნული პორტრეტისათვის შემემატებინა ერთი განსხვავებული შტრიხი, სხვებისთვისაც გამეცნო ჩემეული თვა-

ლით დანახული „სხვა“ ტარიელი. ცოტა ხნის შემდეგ ნათია ფუტკარაძისაგან დავაზუსტე, რომ მამამისის ციხისძირელი მეგობარი იყო (ტარიელის თანაკურსელი) შახი ქაზუმოვი, მისი ერთ-ერთი ვაჟიშვილი ოქტაი (ფილოლოგიის დოქტორი) კი ნათიას თანაკურსელი აღმოჩნდა. ამ ინფორმაციის შემდეგ უფრო ვირწმუნე კანონზომიერება, რომ ქვეყნად არაფერი არ ხდება შემთხვევით, ყველაფერს განგება განსაზღვრავს!

...2020 წლის გაზაფხულზე ვმუშაობდი ჩემი ყოფილი სტუდენტის (33 წლის ასაკში გარდაცვლილი), ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, გრიგოლ ბოგვერაძისადმი მიძღვნილ ხსოვნის წიგნზე. დაგვეჭირდა აზერბაიჯანულ გაზეთში დაბეჭდილი სტატიის ქართულად თარგმნა. ეს სამუშაო (ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე) დროულად და კარგად შეასრულა მაშინ ჩემთვის სრულიად უცნობმა ახალგაზრდამ – ოქტაი ქაზუმოვმა, რომელსაც სხვა პირის მეშვეობით მაშინვე შევუთვალე მადლობა ამ კეთილი საქმისა და პიროვნული გულისხმიერებისათვის (ცოტა ხნის წინ იგი ისევ ნათიას დახმარებით „გავიცანი“ და წიგნებიც გადავეცი).

სწორედ ზემოაღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე, ვთვლი, რომ მართლა უფლის ნებით იყო განსაზღვრული ციხისძირელი ქაზუმოვების ოჯახთან ჩემი მეორე „შეხვედრა“, რომელიც ისევ ტარიელს უკავშირდება.

ჩემო ტარიელ (ასე მივმართავდი ხოლმე), „სიკეთის ნერგი მუდამ იხარებს“... დარწმუნებული ვარ, ოქტაი ქაზუმოვის, როგორც პიროვნების, ჩამოყალიბებაში შენი დიდი წვლილიც იქნება ჩადებული.

შენ სხვანაირი – გულიანი მეგობრობა და თანადგომა შეგეძლო, შენი ამ სიკეთის მადლი დიდხანს გაჰყვება ქაზუმოვებსა და ყველას, ვინც შენს ხელში დაოსტატდა, გამოიწრთო და სამომავლო ცხოვრების გზად შენეული „სასაქართველო“ საქმე აირჩია.

განისვენე მშვიდად...

2021, მარტი
თბილისი

ფერადი ქაჯი

ამ ორ დღეში, როდესაც ეს მტკივნეული ამბავი გავიგე, მშვიდად არ ვარ. ღმერთო, რა დროს მწუხარებამ დაგვიპყრო, ერთ ადგილზე ვერ დავისვენებ, გველისგან დაკბენილი ადამიანით ვტრიალდები, არ ვარ მშვიდი და როგორც ადამიანი, რომელიც დაკარგულს ეძებს და ვერ პოულობს მას.

აზრი, რომ ჩვენს შორის არ არის, რთული და დამღლელია. ტირილი არ მასვენებს, ცრემლები არ ჩერდება თვალებზე, სამყარო და ცხოვრება პირქუშია,

ჩვენ არ შეგვიძლია დავიჯეროთ, რომ ჩვენი ძვირფასი მეგობარი და ძმა ტარიელი, ეს დიდი ადამიანი, რომელმაც მასთან გაცნობის ათწლეულზე ნაკლები ხნის განმავლობაში იმდენად ღრმა და შესანიშნავი გავლენა მოახდინა ჩვენზე, რომ არ ყოფილა დღე, რომ იგი არ გაგვეხსენებინა.

არა, ეს შეუძლებელია, როგორ დავიჯერო, რომ სხეულის არც ერთი ნაწილი არ არის მზად მიიღოს ეს განშორება,

ზოგჯერ საკუთარ თავში ვფიქრობ, რომ შეიძლება სიზმარში ვიყო და მასში გასვლისას თვალწინ ტარიელს ვხედავ, მაგრამ სამწუხაროდ... უბრალოდ, ახალი წლის დღეს, შენთან ყოფნა, ისევე როგორც წინა წლებში, ჩვენთვის ძალიან საბედნიერო იყო და თქვენ დაგვტოვეთ, როდესაც მახსოვს, შარშან ასეთ დღეში... თქვენთან ერთად წავედით ახალი წლის აღსანიშნავად, წელს კი იმავე დღეს დაგვტოვე, ეს ძნელი, გულსატკენი და დაუჯერებელია.

ვუსამძიმრებ თქვენს ყველა მოყვარულსა და საქართველოს ხალხს, თქვენს კოლეგებს, სტუდენტებს და განსაკუთრებით თქვენი ძვირფასი მეუღლესა, დედას და საყვარელ ოჯახს.

თქვენი ხსოვნა ჩვენთვის ყოველთვის ცოცხალი და უკვდავია. საადიმ 1000 წლის წინ თქვა: „ფხიზელი იყავ საადი, რომ არასოდეს არ მოკვდება კარგი სახელის ადამიანი; ის მოკვდება, ვისაც არ გაახსენებენ კეთილად“.

ჩემგან, ექიმი ალი ასლანისგან და ბატონი ტარიელ ფუტკარაძის მეგობრებისგან:

არია ხოსროშვილის

ბეჭრიზ ასლანის

ჰაბიბ საფარის

ექიმი მეჰდი ასლანის

და ექიმი მამადრეზა ასლანისგან !!!

ღმერთმა გაცხოვნოს ჩვენო უსაყვარლესო ადამიანო, შენი გზა ნათელი იქნება და გაგრძელდება შენი ქართველობა!

ზაქარია ფურცხვანიძე

ტარიელ ფუტკარაძის გარდაცვალების *con dolore*.

ხშირად უარესი, ხანდახან დრამატულად უარესი, უნდა მოხდეს იმისათვის, რომ მიხვდე, რამდენად ბათილია პროფესიულ დისკუსიებზე ამოზრდილი პიროვნული წყენები და რაოდენ უსაგნო ხდება ერთმანეთისათვის დიდი დაფიქრების მიღმა მიკერებული იარლიყები. ტარიელ ფუტკარაძის გარდაცვალება არის ამ რიგის ტრაგედია, რომელიც უკვალოდ შლის ძველი ბარიკადების ყოფილ კვალს, იმ აკადემიური ბარიკადებისა, რომლის სხვადასხვა მხარეს ბოლომდე, ღიად და ხაზგასმით ვიდექით. ღრმად მწამს, იმავე ტრაგედიის ჩემს თავზე დატრიალების შემთხვევაში, ამ *con dolore*-ს ავტორი ტარიელ ფუტკარაძე იქნებოდა, გულწრფელად და ღირსებით.

მისი ოჯახის ყველა წევრს, კოლეგებსა და მოწაფეებს ვუსამძიმრებ ამ ამოუვსებ დანაკლისს და ჭირისუფალთა მათ რიგს თავს თანაბრად ვათვლი.

მინის ფრანკფურტი

3 იანვარი, 2021.

ეგნატი უტკარაძე

ეროვნული თვითშეგნების, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, გულანთებული პატრიოტი, ჩვენი უფროსი ძმა...

უფალმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი.

შუშანა და ჯეჟალ უტკარაძეები

ძმასავით ძვირფასო და საყვარელო ტარიელ!

მინიერი საქართველოდან შენმა მოულოდნელმა და ნაადრევმა ნასვლამ დაუფინყარი, მწარე, მოუნელებელი ნაღველით დაგვამნუხრა შენი ნათესავეები და ნაცნობები: დიდი დანაკლისი განიცადა ქართულმა მეცნიერებამ, ქართველოლოგიამ, შენმა სამშობლომ, საერთოდ, ქართველობამ, შინ და გარეთ, ისტორიულ ტაო-კლარჯეთში და ფერეიდანშიც.

შენ მარტოოდენ მეცნიერი არ იყავი... ჩვენი დროის ცნობილო საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ნათელი მომავლისთვის დაულალავო მებრძოლო, ახალგაზრდობიდან მოყოლებული, ერთგულ გუშაგად ედექი სამშობლოს შენს ნაშრომებში ამეტყველებული შენეული იდეებით. გვჯეროდეს, აღიზრდებიან მომავალი ქართველები და გააგრძელებენ შენ მიერ არჩეულ გზას, რომელსაც, გვჯერა, ზეციური საქართველოდან შენვე დალოცავ.

საამაყო მამულიშვილო, სამშობლოს ერთგულო გუშაგო, ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული, დალოცოს შენი ძვირფასი ოჯახი, შენი საყვარელი სამშობლო; უფალმა დაგიმკვიდროს სამუდამო სასუფეველი – ამინ

ნინო ფსაკაძე

ვერაგი ვირუსი ვერ სპობს იმ სიცოცხლეს, რომელიც სიკვდილის შემდეგაც გრძელდება. უსაზღვროდ სამნუხაროა ბატონი

ტარიელ ფუტკარაძის სიკვდილი. ზოგჯერ სიტყვები უძლურია.
ვუსამძიმრებ მის დიდ ოჯახს, უნივერსიტეტს, სტუდენტებს,
ქვეყანას!

დურსუნ ქანია **DURSUN KISA**

დიდი მწუხარებით შევიტყვე პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის
გარდაცვალების შესახებ. ვუსამძიმრებ მის ყველა გულშემატკივარს.

[Profesör Tariel Putkaradze nin ölüm haberini büyük üzüntüyle öğrenmiş bulunmaktayım. Tüm sevenlerininin başı sağolsun.]

მანია ქუქჩიშვილი

სამცხეც დაგტირით, ბატონო ტარიელ! როგორ გაჩერდა თქვენი
სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე გული?!

„სიცოცხლე უნდა ქარიშხალს ჰგავდეს, მეხის გავარდნას ჰგავდეს
სიკვდილი“...

დიახ, მეხის გავარდნა იყო მისი გარდაცვალების ამბავი.
30-წლიან ურთიერთობაში მუდამ ქარიშხალივით ბობოქარი
მახსოვს.

მქონდა პატივი, ვყოფილიყავი მისი სტუდენტი, კოლეგა, მეგობარი.
ყოველი მისი ჩამოსვლა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტში ზეიმი იყო ცოდნის, მეგობრობის, სიყვარულის,
ადამიანობის ზეიმი.

უზომოდ მტკივა მისი გარდაცვალება. ცრემლები უნებლიეთ
მოედინებიან ლანჯზე. მჯეროდა, გადაიტანდა ამ განსაცდელსაც,
თუმცა ყოველდღე მეშინოდა გულის სიღრმეში, რადგან ეს საშიში
და ვერაგი უხილავი მტერი ებრძოდა.

დამრჩა ძალიან ბევრი ტკბილი მოგონება და კიდევ უფრო

მეტი სათქმელი, როგორ გელოდით... როგორ გაჩერდა თქვენი სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე გული, როგორ?!

ძალიან დამაკლდებით, როგორც ადამიანი! ვუსამძიმრებ ოჯახს, ახლობლებს, სრულიად საქართველოს.

ბატონო ტარიელ, სამუდამო სასუფეველი დაგიმკვიდროთ უფალმა. დაგტირით სამცხე-ჯავახეთი. თქვენი გამოზრდილი სტუდენტები, კოლეგები, მეგობრები.

თამარ ღვინიაანიძე

ძალიან სამწუხარო ამბავი გავიგე ამ დილით. კოვიდ-19-ის მსხვერპლი გახდა, პირადად, ჩემი და ტელეკომპანია „რიონის“ დიდი მეგობარი, პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე. გული, გული მატკინე, მეგობარო.

ღვინიაშვილი

„აფსირტედან გამსახურდიამდე ანუ ანმყოს უდაბნოში“...

„...სად იწყება და სად მთავრდება ანმყო?“

ანმყო, ფაქტობრივად, წამის ნაწილია! თუმცა ჩვენი მთელი ცხოვრებაც წამია. ხანდახან ხომ მაინც ვაცნობიერებთ: ამ სიცოცხლემდე უთვალავი წელია გასული და გარდაცვალების შემდეგაც უთვალავი წელი აღარ ვიქნებით; ამ ორ უთვალავ წელს შორის არსებული დრო წერტილად არ ჩანს?.. ჩვენმა წინაპრებმა ამიტომ დაარქვეს ამქვეყნიურ ჟამს წუთისოფელი, სანუთრო, სამსხემო კედარი...“

– ამ სიტყვებით იწყებს ტარიელ ფუტყარაძე თავის დოკუმენტურ-პუბლიცისტურ ნაწარმოებს – „აფსირტედან გამსახურდიამდე ანუ ანმყოს უდაბნოში“, სადაც საოცარი გულისტკივილით და პირუთვნელობით აქვს გადმოცემული 1991-1993 წლების საქართველოში მიმდინარე პროცესები, მათ შორის – მაშინ ბევრის-

თვის და, პირადად, ჩემთვისაც უცნობი ხელისუფლებასა და ე.წ. ოპოზიციას შორის მიმდინარე მოლაპარაკებების პერიპეტიები.

წუთისოფელი მისთვის მხოლოდ გაელვება არ ყოფილა, „სამსხემო კედარიც“ საკმაოდ მძლავრი და ცხოველმყოფელი გამოდგა, ისეთი, მის ჯიშსა და მოდგმას რომ ეკადრებოდა.

სულ ბოლოს, დაახლოებით, ერთი წლის წინ მქონდა მასთან შეხვედრის ბედნიერება; საოკუპაციო ხაზთან გამართულ საპროტესტო შეკრებაზე ვნახე ჩემს მეგობარ ავთო ფუტკარაძესთან ერთად. ფოტოც იქიდანაა. ვინ წარმოიდგენდა ასეთი ენერგიული და იმედიანი ადამიანის დამარცხებას...

პატიოსანი ფიქრით დაძინებითა და პატიოსანი ფიქრით გაღვიძებით მოგვრილ ბედნიერებაზე ესაუბრებოდა და ასწავლიდა გარშემომყოფებს, ახლობლებს, თავის საყვარელ სტუდენტებს. ასე იცხოვრა და ასე ემართლებოდა საყვარელ სამშობლოს...

ვუსამძიმრებ მის ოჯახს და ახლობლებს, ვუსამძიმრებ ჩემს მეგობარს – ავთანდილ ფუტკარაძეს, ვუსამძიმრებ სრულიად საქართველოს...

ღავით შავიანიძე

29 წლის წინ, 1992 წლის დეკემბრის ცივ თოვლიან ღელეს შევხვდი ბატონ ტარიელს პირველად აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის ერთ ოთახში, სადაც დაიდო ბინა „დიალექტოლოგიის ინსტიტუტმა“. ღელეს დასრულდა ჩვენი ფიზიკური ერთად დგომა, სწავლება, რჩევა, შრომა. 2018 წელს ფრიდონმა შუახევში უზრუნველყო ეთნოგრაფიული ექსპედიცია. შარშან მახალაკიძეებიდან დამირეკა ბატონმა ტარიელმა და მითხრა: „მხედება შენი ამბები და მიხარია, რომ გაგისახელებივარ მეც და ჩვენი ინსტიტუტიცო“. ბევრი გამიკეთა, არა მხოლოდ საქმის მცოდნედ, კაცად ჩამომყალიბა. მას არაფერი აკლდა, უპირველესად ქართველობის, საქართველოს სამსახურში. ვუსამძიმრებ ოჯახს, ძმებს, სამეგობროს, ყველას. ცხონებულია!

მშვიდობით, ბატონო ტარიელ, უფროსო მეგობარო!

ტარიელ ფუტკარაძემ 29 წლის წინ დამიმეგობრა, ისეთად გამაცნო თავი, როგორსაც ვიტყვი. მოკლედ ვიტყვი.

პროფესორმა ტარიელ ფუტკარაძემ ქუთაისში ჩამოსვლის უმაღლეს დააჩნია სასაქართველოო კვალი. ქართული სახელმწიფოს ნგრევის, ეროვნული ხელისუფლების დევნის, ქართველური და მორალური ფასეულობების უგულვებლყოფის, ეკონომიკური და სამეცნიერო-კულტურული კატასტროფის, „გამყიდველ-მძარცველთა“ სათარეშოდ გამხდარ საქართველოში ქუთაისში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სათავეში ჩაუდგა და ერთობაზე დაფუძნებული, წმინდა, უანგარო და შორს გამიზნული მუშაობის პრინციპით იმთავითვე „სახელგასმენილი“ გახადა „დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“ (დღეს ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი).

პროფესორი რ. თოფჩიშვილი წერდა: „...ინერება ტექსტები, რომლის გამოყენება ყველა ეთნოგრაფს შეუძლია; მე დაბეჯითებით შემძლია ვთქვა, ისინი ყოველმხრივ სანდოა. ამიტომ კიდევ ვიმეორებ, გაკეთებულია საშვილიშვილო საქმე არა მარტო ენათმეცნიერების, არამედ ეთნოგრაფებისთვისაც. ვფიქრობ, მიზანი მიღწეულია“.

დიალექტოლოგიის ინსტიტუტმა დაიწყო ბევრთათვის „გასაკვირი“, „დასაცინი“, მაგრამ თავისი საქმიანობის „ერთ-ერთი მთავარი და შთამბეჭდავი ნახნაგი; სწორედ 90-იან წლებში ერთადერთი ყოველწლიური საერთაშორისო სიმპოზიუმი – „ქუთაისური საუბრები“ – ქართველოლოგთა არაკომერციული, ლინგვისტურ-ეთნოლოგიურ-კულტუროლოგიური სამეცნიერო ფორუმი იყო. XX საუკუნის 90-იანი წლების „ჩაბნელებულ, გათოშილ, გავერანებულ, ყაჩაღების ასპარეზად ქცეულ საქართველოში ანთებული იმედის ნათურის“ – „ქუთაისური საუბრების“ მეცნიერული პროდუქტი სიცოცხლისუნარიანად პასუხობდა ქვეყნის საჭიროებას (ნ. ბართაია).

მთავარ ღირსებად აღიარებულ იქნა შინაარსობრივი მრავალფეროვნება და ლინგვისტთა, ეთნოლოგთა, ფოლკლორისტთა და ისტორიკოსთა კომპლექსური ჩართულობით ქართველოლოგიაში მიღებული შედეგები (თ. გვანცელაძე).

„დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ „დიდმნიშვნელოვანი“ საქმიანობის შედეგია ის, რომ ინსტიტუტს იმთავითვე ჰქონდა / აქვს თავისი სამეცნიერო ორგანო – პერიოდული, ყოველწლიური რეფერირებადი ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“.

იყო ბევრი რჩევა, თანადგომა, მითითება, დაუნდობელიც რომ გვეჩვენებოდა თავიდან, თუმცა უმაღლეს დონეზე, რომ საჭირო იყო. რატომ? ის არაფერს თავისთვის არ ითხოვდა; „სამშობლოს უნდაო ჩვენსას, ქართველობას,“ – უმაღლეს მოგიმარჯვებდა...

ბატონმა ტარიელმა გამაცნო ჩემი მასწავლებელი, პროფესორი როლანდ თოფჩიშვილი. „იცოდე, არ შემარცხვინო“, მითხარი. შევეცდები მომავალშიც!.. მე ვიყავი ჩვენს ინსტიტუტში პირველი, ვინც სამეცნიერო ხარისხი დავიცავი. მახსოვს, დაცვაზე არ დამჯდარა. როცა შედეგები გამოცხადდა, მხოლოდ მაშინ მონყევით დაეშვა (არ მეშლება, არ დამჯდარა) სავარძელში. რამდენი შეძლო, იცოდა ამ ახალგაზრდა კაცმა?!

ტარიელ ფუტკარაძე ადამიანთა მოძიების, მათთან შეკავშირების და ერთმანეთთან ურთიერთობების უბადლო ხელოვანი იყო. მისი შეკრული ქუთაისური გუნდი არასოდეს დაიშლება. ყველას ოჯახს იცნობდა. ხშირად მეტყოდა, დედაშენთან ლაპარაკი მიწადო და უჩემოდაც ბევრჯერ მოდიოდა ჩემს სახლში (ხან-ხან ეჭვი მეპარებოდა, დედაჩემს ჩემზე მეტად ხომ არ უყვარს ტარიელი, ან ტარიელი ხომ არ მჯობნის დედას სიყვარულ-პატივისცემაში-მეთქი).

არდაჯერებიათაც პირველად მე არ დაგიჯერეთ (იცოდით, „მეცნიერებაში ოჯახი ხელს უშლისო კაცს ხან-ხან“) და თქვენივე ინსტიტუტიდან „მოგპარეთ“ ინესა გაბელაია (არასდროს სხვა სახელი არ გითქვამთ, არც უგვაროდ გიხსენებიათ) და დავოჯახდი. ძალიან ადრე დარჩა ტკბილ მოგონებად!..

უცნაური კაცი ვარ, სიმბოლოებს ვხედავ... ჰოდა, თქვენ მიერ შექმნილი სასმისი შვილის სამზითვოდ მაქვს გამიზნული. ან თამ-თასთან რა მოასწარი, ორი დღეა რომ ტირის? თქვენი ამბავი რომ გაიგო ბაკურმა, ხშირად მწერდაო „ფეისბუქში“. ისინიც, თითქოს შეთანხმებულები იყავით, ახლა მეუბნებიან თქვენი ამ ურთიერთობების შესახებ. რამდენ რამეს ასწრებდი, კაცოოო!..

ტარიელ ფუტკარაძე მუდამ იქ იყო, სადაც კარგი საქმისთვის გჭირდებოდა. იყო გულით, ჭკუით, სიტყვით და საქმით...

ასეთი იყო!

იცოდე, ბატონო ტარიელ, მუდამ განვიცდი მომავალშიც, რაღაც სათქმელ-საქმნელი რომ მექნება (ეს ემოცია ხან-ხან იმ დონემდე მიდიოდა, რომ მახუმრებდნენ კიდევ ჩვენი მეგობრები. რა ცუდია, ასეთი რომ აღარ იქნება!); რატომ? თქვენ ყველაფერი „ნათლად და წყალგაუვალად“ გიყვარდათ! „რომ იტყვი, უკან არაფერს უნდა მალავდეო“, ამბობდით.

ბოლოს ურთიერთობაში რამდენჯერმე გაუუგრძელე „კაცოო“. „რა კარგია, ეგრე რომ მომმართავო“, მითხარით, „ბევრ რამეს ვინ-იშნებო“. ამის მერე ვატყობდი, როცა შემხვდებოდა, დამირეკავ-და, „გამარჯობაო კაცო“, მეტყოდა.

თუმცა რა, წარსულ დროში რატომ? ტარიელ ფუტკარაძე მხოლოდ გარდაიცვალა. ადამიანები არ კვდებიან!

ერთიც. გუშინ უკანასკნელად მოგეახლე, ბატონო ტარიელ, უღალატო მეგობარო / მაგუებელო (ბატონი ტარიელის ტერმინია). მოსვლისთვის ხვალ (არ გიყვარდა, არ გისწავლებია ასეთი რაღაცები) ვერ მოვალ. ნამდვილი ისაა, რომ არ შემიძლია, ჯერ ვერ გავითავისე, რომ მიწიერში მხოლოდ თქვენი სახელიანი კვალი დარჩება ხვალიდან. ისიც იცი, რომ ცხოვრებისგან ნაკარნახევი ფრთხილი ფიქრიც მაქვს (მიზეზი არა. თქვენ ის არ გიყვარდათ). მუდამ ვფიქრობდი, გამიგო-მეთქი ტარიელმა და მსიამოვნებდა. ამასაც გამიგებ.

მშვიდობით, კაცოოოო!..

ნანი ნანო შინიკა

...ეს დღეებია მისით ვდიდგულობ,
სიკვდილი უფრო დამიახლოვა,
ცოტაც გაუძელ, ცოტაც, ბატონო –
ხედავ, უფალი როგორ ახლოა!..

მადლობა, ბატონო ტარიელ, ამ უზარმაზარი ტკივილის, მაგრამ სასიამოვნო შეგრძნებებისთვის, რაც შენზე მთელი მილეთის მონათხრობმა განმაცდევინა, ჩემი კუთხის და ერის შესაშური შვილობისთვის!

მე ამაყი ვარ თქვენით...

თქვენ შეძელით და სიკვდილი დაამარცხეთ თქვენი ჩვეული, ყოველდღიური ყოფით, რომელიც ასე გულისგულამდე სამახსოვრო და სამაგალითო ყოფილა თურმე!..

გარდაცვალების შემდეგ შეგიყვარეთ, დიდი სულის ადამიანო!
„მადლობა, ტარიელ!“

თენგიზ პარანაშვილი

ტარიელ ფუტკარაძის წასვლა მართლაც ზედმეტია, უფალო! მე ვინ ვარ, რომ შენი რამე განვსაჯო, მაგრამ... ახლა მეტს ვერაფერს ვიტყვი.

ლილი პაყულაშვილი

წავიდა და დაგვიტოვა ტკბილი მოგონებები... მშვიდობით, ბატონო ტარიელ! ნათელში იყოს თქვენი სული... ბევრის თქმა მინდა, მაგრამ სიტყვებს თავს ვერ ვუყრი. ბევრჯერ დავწერე ტექსტი და წავშალე. უბრალოდ, სიტყვებმა მნიშვნელობა დაკარგა, ისინი ვერ აღწერენ იმ ტკივილს, რასაც ახლა ვგრძნობ და განვიცდი. მშვიდობით!..

ერდოგან შენოლი (ერაკლე ღავითაძე)

ცუდი ამბავი მივიღე. ძალიან მენწყინა, სიტყვები არ მყოფნის. გარდაიცვალა ჩვენი უფროსი მეგობარი, საუკეთესო ქართველი და მეცნიერი, მამულიშვილი, პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე. ნათელში იყოს!

[Çok üzücü bir haber aldım. Kullanacak kelime bulamıyorum. Gürcistan değerli bir evladını yitirdi. Bizden yaşça büyük arkadaşımız, dostumuz, Kartvelolog, Sovyetler Birliği içindeki Gürcistan'ın 1991 yılındaki bağımsızlık akdinde imzası bulunanlardan, Türkiye Gürcülerinin dostu Prof.Dr. Tariel Putkaradze maalesef, çok sevdiği ülkesinin başkenti Tiflis'te korona hastalığına yenik düştü.]

რეზო შეროზია

ჩემთვის ორმაგად ძნელია, ვანუგეშო ია, ნათია, რატი, ცოტნე, დედა, ძმები და ყველა ის ადამიანი, ვისაც სჯეროდა, რომ ტარიელი მაინც დაამარცხებდა უხილავ მტერს! ნავიდა და დაგვიტოვა სიყვარული, უამრავი გაკეთებული და გასაკეთებელი საქმე. დაგვიტოვა ერთად მუშაობისა და კამათის, დასრულებული ნიგნით (საქმით) გამოწვეული სიხარულის მოგონებები. აღარ დარეკავს ახალი იდეის გასაზიარებლად. მხოლოდ სიჩუმე იქნება იქით მხარეს!

ნათელში იყოს მისი მოუსვენარი სული!

„ნამდვილი“ ურთიერთობა ტარიელსა და ჩემ შორის იმ ავბედითი 92 წლის მერე დაიწყო; მოულოდნელად უმცროსი ცოტნეს ნათლიობა მთხოვა. უარს როგორ ვეტყვოდი! ჯერ ნავედით ავჭაღლის ციხეში, მეორე ნათლიის სანახავად – მაშინ ზაურ ქობალია და ვალტერ შურღაია დაპატიმრებული ჰყავდა არქიფო შევარ-

დნაძეს...

მერე იყო: ნათლობა სამთავისში, საოცარი „ქუთაისური საუბრები“ და ბევრი სასიკეთო საქმე. ბოლო შეხვედრა კი ლამის „ჩხუბით“ დავამთავრეთ – ვერ მოვრიგდით ტერმინ „ქართლის“ საკითხზე... ახლა ყველაფერი ეს შეწყდა!

არ ვიცი, როგორ ვანუგეშო ია – საოცრად კეთილი, სათნო, ყურადღებიანი ადამიანი, ერთგული და მოსიყვარულე მეუღლე! ვერც დედისთვის გამოვძებნი მართალ სიტყვებს!

ნათელში იყოს შენი სული, ტარიელ!

ტარიელი და მე ვერ შევთანხმდით სახელმწიფო-სამწერლო ენის სახელდებაზე. მე 80-იანი წლებიდან „ქართველურ“ ფორმას ვუჭერდი მხარს. ტარიელმა „ზოგად ქართული“ არჩია. თუმცა, მერე თავის კრებულს „ქართველური მემკვიდრეობა“ დაარქვა. მთავარი კი ის იყო, რომ მან პირველმა საჯაროდ თქვა: შეცდომაა მეგრულის და სვანურის უმწერლობო ენებად კვალიფიცირება. განა სამწერლო ენის შექმნაში მეგრელები, სვანები არ მონაწილეობდნენ და მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურა მათიც არ არისო?!

გაბატონებული კლასიფიკაციის წინააღმდეგ გამოთქმული ეს აზრი ნებისმიერი მართალი მეცნიერის ბიოგრაფიას დაამშვენებდა!

ტარიელმა და მე ბოლოს ძველ მემატრიანებთან „ქართველ“ ტერმინის შინაარსზე ვიკამათეთ „წელიწდეულის“ კონფერენციაზე. ვერ „დავზავდით“. საკვლევ-გასარკვევი ბევრი დაგვრჩა. იმედი მაქვს, მომავალი თაობა მრავალ მართალ სიტყვას იტყვის ქვეყნის საკეთილდღეოდ! ეს იქნება მყარი საფუძველი იმ ერთიანი და წარმატებული საქართველოს არსებობისა, რომელზეც ჩვენ ყველანი ვოცნებობდით და, არსებითად, რაც ჩვენი წინაპრების ანდერძი იყო!

ირაკლი შონია

ერთია, როცა ადამიანს მძიმე სენი ტანჯავს და თითქოს ადამიანი შემზადებულია ცუდისთვის და ყველაზე შემზარავია მოულოდნელი ტრაგედია...

კოვიდმა იმსხვერპლა ღირსეული ქართველი, მეცნიერებათა დოქტორი, ენათმეცნიერი, პროფესორი, უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ეროვნული მოძრაობის აქტიური წარმომადგენელი ბ-ნი ტარიელ ფუტყარაძე... ამ წუთას კიდევ ერთხელ დავფიქრდი, როგორი ძვირფასია სიცოცხლის თითოეული წუთი; წინა კვირას ვსაუბრობდით საკანონმდებლო საკითხებზე, დღევანდელ პრობლემებზე და დღეს თავზარდამცემი ამბავი...

ჩვენს ურთიერთობას მრავალი წელი აკავშირებდა, მან გამოსცა ეროვნული გაზეთი „ქუჯი“, სადაც ვთანამშრომლობდი და სისტემატურად ვაქვეყნებდი ჩემს ინტერვიუებს და პუბლიცისტიკას. ბევრი რამ შემძინა ამ გაზეთმა; რედაქტორმა – ბ-მა ტარიელმა... წარმადგინა ქუთაისში თავის სტუდენტობასთან, გამიკეთა ჩემი გადაღებული ფილმის პრეზენტაცია ქუთაისში...

ბევრი სიკეთის ჩამოთვლა შემიძლია. იყო ძალიან კონსტრუქციული, დადებითი მუხტის ადამიანი, მტერთანაც კი შეეძლო დიალოგზე წასვლა და დაძაბული სიტუაციების განმუხტვა...

ის დააკლდება ქართულ პუბლიცისტიკას, ენათმეცნიერების სფეროს, დააკლდება იმ უზენაესი საბჭოს თვალსაჩინო წარმომადგენლებს, რომელთა ეროვნული იდეების ერთგული ბოლომდე დარჩა და ფარ-ხმალს არ ყრიდა.

დიდი გულისტკივილით ვუსამძიმრებ ოჯახს!

ნოდარ შოშიტაშვილი

ელდასავით მოულოდნელი, გაუსაძლისია! რაღაც საქმეს დავინწყებ, მაგრამ უცებ გამახსენდება ეს უსამართლობა, სულ ვფიქრობ! რატომ, ღმერთო, რატომ?..

მელაა შურლია

მიდიან დიდი ადამიანები, მიდიან და მაგალითად თავიანთ განვლილ გზას გვიტოვებენ... ძალიან დამწყვიტეთ გული, ბატონო ტარიელ... იმედი მაქვს, იქ შეხვედებით ერთმანეთს და იქაც გააგრძელებთ ფიქრს საქართველოს მომავლისთვის... სასუფეველი დაგიმკვიდროთ უფალმა...

ბრეტა ჩანტლაძე უდიდესი დანაკლისი

მალე ჩემი მეგობრისა და კოლეგის, ცნობილი მეცნიერის – ნეტარხსენებული ტარიელ ფუტკარაძის სული დატოვებს ამქვეყნიურ საუფლოს და უკვდავებას შეურთდება. 1998 წელს თბილისისა და ქუთაისის ცენტრალურ პრესაში გამოვაქვეყნე წერილი „ქართველური მემკვიდრეობის შესანიშნავი მემკვიდრე“, სადაც ტარიელ ფუტკარაძეს ვულოცავდი სადოქტორო დისტერტაციის ბრწყინვალე დაცვას.

სამწუხაროდ, ახლა რეტროსპექტიულად ვაქვეყნებ ამ წერილს. კიდევ ერთხელ ვეფერები და ვემშვიდობები მის სპეტაკ სულს, რომელიც გადაინაცვლებს მარადისობაში.

„ქართველური მემკვიდრეობის“ შესანიშნავი მემკვიდრის კიდევ ერთი წარმატება

დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ქუთაისში) მეხუთე წელია აწყობს სიმპოზიუმებს რუბრიკით „ქუთაისური საუბრები“, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ როგორც ქართველი მეცნიერები, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებიდან მოწვეული ქართველოლოგები. სიმპოზიუმის მასალები იბეჭდება კრებულში „ქართველური მემკვიდრეობა“, გამოსულია ორი ტომი, მესამე მზად არის გამოსაცემად. ამ გაუსაძლის ეკონომიურ პირობებში გასაოცარია, ბატონი

ტარიელ ფუტკარაძე როგორ ახერხებს ასე მაღალ დონეზე გამოსცეს ეს კრებულები, გარდა წმინდა სამეცნიერო საქმიანობისა, „ქუთაისურ საუბრებს“ აქვს საოცარი ანდამატი, რომლითაც იგი იზიდავს ადამიანებს, აახლოებს მათ, დროებით ავიწყებს ცხოვრებისეულ პრობლემებს, ავიწყებს ტკივილს და გაჭირვებას, რომელიც აგრერიგად შემოეჩვია ამ ბოლო დროს ინტელიგენციას და არა მარტო მას. ღმერთმა დალოცოს „ქუთაისური საუბრების“ ორგანიზატორები, რომლებიც გვაძლევენ საშუალებას წელიწადში ერთხელ, უმშვენიერეს პერიოდში, მაისობაზე, შევხვდეთ ერთმანეთს ღიმილს მონატრებული კოლეგები. დიდი მადლობა ქუთაისელ მეგობრებსა და კოლეგებს, განსაკუთრებით ბატონ ტარიელ ფუტკარაძეს, ეკა დადიანსა და სხვებს, რომელთა დიდი რუდუნებით სისტემატური გახდა ეს სიმპოზიუმი.

ამ რამდენიმე თვის წინ (1998) 37 წლის ახალგაზრდა მეცნიერმა, ტარიელ ფუტკარაძემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა“, რომლის მიზანი იყო თანამედროვე ქართული ენის ყველა მიკროსისტემის ხმოვანთა პარადიგმატული და სინტაგმატური ანალიზი, (კერძოდ, დღემდე გამოქვეყნებულ ფაქტობრივ მასალათა და დებულებათა შეპირისპირება ახალ ექსპერიმენტულ მონაცემებთან). საკითხის კვლევა მიზნად ისახავდა აგრეთვე ქართული ფონემატური სტრუქტურის ისტორიული ტრანსფორმაცია განხილულიყო პერცეფციულ ბაზისში მომხდარ ცვლილებებთან მიმართებაში, ქართული ენის „ფონეტიკის კონსერვატიზმის“ ფონზე გამოკვეთილიყო ქართული ენის ფონემატური სტრუქტურის არსობრივი კანონზომიერებანი.

ექსპერტმა პროფესორმა თედო უთურგაიძემ, ოფიციალურმა ოპონენტებმა – პროფესორებმა ზურაბ ჭუმბურიძემ, ნათელა ქუთელიამ, იზაბელა ქობალავამ მაღალი შეფასება მისცეს ტარიელ ფუტკარაძის სადისერტაციო ნაშრომს. გამოითქვა შენიშვნებიც, რომელთა უფრო მეტ ნაწილს დამაჯერებლად უპასუხა დისერტანტმა. გარკვეულ საკითხებზე მას თავისი შეხედულება

გააჩნია. ამის გამო ნაწილი შენიშვნებისა მას არ მიუღია. სადისერტაციო პაექრობაში, რომელმაც თითქმის ხუთი საათი გასტანა, მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა ენათმეცნიერებმა, განსაკუთრებით საინტერესო იყო მსოფლიოში აღიარებული მეცნიერის – აკად. თამაზ გამყრელიძის გამოსვლა. როგორც ცნობილია, თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით, ავტორეფერატი ორენოვანია: ამან საშუალება მისცა არაქართველ კოლეგებს გამომხაურებოდნენ დისერტანტს შვეციიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, დალესტინიდან. ჩემთვის მეტად სასიამოვნო იყო ის ფაქტი, რომ სანკტ-პეტერბურგიდან გამომხაურება მოვიდა აღიარებული ბასკოლოგის, ბასკური ენის აკადემიის საპატიო წევრის, ჩვენი მასწავლებლის, პროფ. იური ზიცარისაგან. იგი ოცი წლის განმავლობაში საქართველოში ეწეოდა ბასკოლოგიურ კვლევა-ძიებას. მას მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა ქართველ კოლეგებთანაც. ძალზე სასიამოვნოა, რომ მას არ ავინწყდება თავისი კოლეგები და როგორც ბ-ნი ზიცარი ამბობდა, საქართველო მისი მეორე სამშობლოა. გამომხაურების ავტორებიც აგრეთვე მაღალ შეფასებას აძლევენ ტარიელ ფუტყარაძის სადისერტაციო ნაშრომს. დისერტანტს ხარისხების მიმნიჭებელმა კომისიამ პროფესორ გუჩა კვარაცხელიას თავმჯდომარეობით ერთხმად მიანიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, რომლის მისალოცად საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან იყვნენ ჩამოსული კოლეგები, მეგობრები, ნათესავები. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო საქართველოს ულამაზესი კუთხიდან – აჭარიდან ჩამოსულთა თანადგომის შესახებ. ჩვენი ტარიელიც ხომ ამ კუთხის შვილია. იგი მაღალმთიანი აჭარიდან არის. მან რომ ასეთ წარმატებას მიაღწია ერთობ ახლგაზრდულ ასაკში, სწორედ მისი შესანიშნავი მშობლების დამსახურებაა, რომელთაც „გვეხისტყაოსნის“ რაინდთა მოსახელენი – ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი გაუზარდეს ქვეყანას. ბატონი ტარიელი მამის კვალს გაჰყვა და ჯერჯერობით ჰყავს სამი უმშვენიერესი შვილი. მისი სათნო მეუღლე, ქალბატონი ია ვაშაკიძე, მას გვერდში უდგას, როგორც მეგობარი და კოლეგა. იგი თბილისის სახელმწიფო უნი-

ვერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის დოცენტია.

ფუტკარაძეების გვარს კიდევ ერთი დოქტორი შეემატა. ამ რამდენიმე წლის წინ იმავე სადისერტაციო საბჭოზე მოწმენი ვიყავით, როგორი წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ქალბატონმა შუშანა ფუტკარაძემ, რომლის ერთ-ერთი ექსპერტი ჩემი უფროსი და, პროფესორი იზა ჩანტლაძე იყო. ქალბატონმა შუშანამ გამოსცა ძალზე საჭირო წიგნი „ჩვენებურების ქართული“, რითაც დიდი ამაგი დასდო ქართულ ენასა და ქართველურ დიალექტოლოგიას.

ღმერთმა დალოცოს ფუტკარაძეების გვარი და სრულიად საქართველო! მე იმედი მაქვს, აჭარის კუთხის პრესა ღირსეულად შეაფასებს ბატონ ტარიელ ფუტკარაძის წარმატებას და ჩვენ მიერ მონოდებულ ინფორმაციას გამოაქვეყნებს მის მშობლიურ კუთხეშიც.

თბილისი – ქუთაისი, 1998 წ.

ფეხი ჩაღები

60 წლის ასაკში ფიზიკურად დავკარგეთ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი უზენაესი საბჭოს დეპუტატი, პატრიოტი, ჰუმანისტი, ჩემი ლექტორი და მეგობარი; პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე.

გამოვხატავთ ჩვენს დიდ გულისტკივილსა და სიმძიმარს ოჯახის, ნათესავების, მეგობრების, სრულიად ქართველი ერის და საქართველოს წინაშე!

უზომოდ ვწუხვართ. ღმერთმა სამოთხეში დაამკვიდროს საქართველოს დიდი მამულიშვილი!

წინა ჩიხლაქი

მადლობა „ფილოლოგიის“ სადოქტორო პროგრამაზე მუშაობის დროს გაწეული უდიდესი შრომისა და აკადემიური რჩევებისთვის.

რა თქმა უნდა, ლიდერი იყო, ლიდერისთვის დამახასიათებე-

ლი ყველა გამორჩეული თვისებით, მაგრამ როცა საერთო საქმეს დასჭირდა, ურთიერთთანამშრომლობის და საერთო საქმის გულ-შემატკივრობის მასტერკლასი ჩაატარა. უამრავი ახალგაზრდა „დაავადა“ ქართული საქმის ისე კეთებით, როგორც მხოლოდ მას შეეძლო – ძარღვიანად, გადამდები ენთუზიაზმით.

როგორ ლოცულობდნენ მისთვის ეს დღეები მისი ყოფილი და ახლანდელი სტუდენტები! თანაგიგრძნობთ, მეგობრებო, ყველას. მოიგო ეს ბრძოლაც კორონამ!

ვალერიან ცაცხლაძე

მაისში ისევ გაშრება თოვლი,
მზე დაივანებს მწველი, თაკარა.
გადაიპენტავს მინდვრის გვირილებს
და მოგინატრებს ლებისაკარა.
წვიმის ცრემლები ალბობს საფუტკრეთს,
ჩირუხში დასჭექს შენი ჯილაგი...
არსიანიდან ახვეტილ ღრუბლებს
შენთან დაპენტავს დილით-დილამდის.
მთაში გაზრდილი ბიჭის აკვანი
ნენეს ლილინით ახლაც ირწევა.
შენი სიცოცხლის სასმისს ასწევენ,
მარტო ხსოვნისა არ აინევა.
თუმც გაილია ნუთისოფელი,
ქვეყნის ზრუნვაზე ზვავად მიჯრილი.
შენ გაიმარჯვე თვითონ სიკვდილზე,
შენ დაამარცხე თვითონ სიკვდილი.
მაისში, როცა გაშრება თოვლი,
კალმახს დავიჭერ წინკლას თაკარად.
თავზე ცილინდრით, კალმით, სმარტფონით,
იქ გელოდები... ლებისაკარას...

კუნტიჯვარი

ვუძღვნი ტარიელ ფუტკარაძის ხსოვნას

გამოჩნდი და ვულკანივით ამოხეთქე,
შენს საქმეებს ვერ ვიხსენებ დაღაგებით.
გმადლობ, ლომო, რომ გაგვიძეხ შენებურად
და გვანახე ის ნატრული ალაგები.
მთის ქარები ზედ თვალებზე ასკდებიან,
მაჭარულში როცა კივის ნიშა ხარი.
და რადგანაც ბიჭი იყავ სანაქებო,
შეგიყვარა და დაგსტირის უცნობს ქალი.
თამარ მეფის გზა გვაჩვენე ეკლესიით,
ციხის კედლებს ახსოვს შენი ნატერფალი.
ხელით-ხელში გადაგვქონდა გულანთებით
და კლდის წვერზე ავაბრძანეთ მძიმე ჯვარი.
ფაფარაზე აღმართული ჯვარი გლოცავს,
დედაბერი გინთებს სანთელს მკრთალი ალით.
დიდგორობად შეუფასე თავდადება
და ქვეყანას გააცანი კუტი ქალი.
რამდენ ფურცელს დასდებია მეტრი მიწა,
გამოხსნას და გამოჩენას შენგან ელის;
მოდის, ერთი, დაჰკარ გზნებით, შენებურად,
მოდის, ლომო, დაინყე და გამოგყვებით!

25 იანვარი, 2021 წელი

კახა ცეცხლაძე

ისევ გათენდება, ისევ დაღამდება
ოლონდ უშენოდ და სევდით,
თუმცა იცოდე, რომ კვლავაც იამაყებ!!!
როგორც ამაყობდი დღემდის!!!

მშვიდობით, ლომო...

P.S. გზა გაკვალული, გზა სავალი, გზა ტარიელის გაგრძელება...

ფატიჰ მეიდან ცვარიძე **FATİH MEYDAN TSVARİDZE**

27 ივლისი, 2019. ბატონო ტარიელ ფუტყარაძე,
ს. ბაზგირეთში, ტაო-კლარჯეთში ბოლო მობრძანება. როგორ
დაგვაკლდა ბაზგირლებს და მთელ ქართველებს.

[Tariel hocayı Bazgiret'te son misafir edişimizden kalan bu güzel anı.
Bizler için ve tüm Gürcüler için büyük kayıp oldu.]

იონა მაგუკა ცუხიშვილი

გაზაფხულზე ვთხოვე ჩვენი კრებულისთვის წერილი მოემზადებინა. არ დამზარდა, პირიქით, ძალიან გაუხარდა. ხან მირეკავდა, ხან მწერდა. აზრებს და სათქმელს ვცვლიდით, ვდაობდით და ბოლოს ვთანხმდებოდით. დიპლომატი უნდა ყოფილიყავითო, მომწერა ერთხელ. საინტერესო მოსაუბრე იყო, ცოტა ჩქარი და ემოციურიც, თუმცა ზომიერებას არასდროს კარგავდა. წერილი დაასრულა, საჟურნალედ კიდევ ერთხელ გადავიკითხავო, მაგრამ არ დასცალდა. ბოლოს შუა ნოემბერში ვესაუბრე, უხაროდა, დედამ ვირუსი დაამარცხაო... არა და ამ უხსენებელს თავად შეეწირა.

რთულია ბატონი ტარიელისთანა მებრძოლი და გულანთებული კაცის დაკარგვა... ძნელია ქართული ენისა და ნაციონალური იდეების დამცველის ასე ადრე გადასახლება ღმერთის წიაღში, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ გვაქვს... მხოლოდ ის შემიძლია, რომ ლოცვებში მოვიხსენიო და შევთხოვო უფალს, მისი სული

დაანესოს სავანესა მართალთასა, ამინ.

ღრმა მწუხარებით თანაფუგრძნობ ოჯახს, მეგობრებს, კოლეგებს, სტუდენტებს, საქართველოს სამეცნიერო და პოლიტიკურ საზოგადოებას.

რიტა ნაძაძე

ვკითხულობ, როგორ დაგტირის ყველა... მე კი ვერაფერს გეუბნები, განა იმიტომ, რომ სათქმელი არაფერი მაქვს, პირიქით... მაპატიე, აღარც სიტყვები მაქვს და აღარც ცრემლი... სრულიად გავშრი...

მადლობა ყველაფრისათვის, ჩემო საოცარო მეგობარო...

ნატო ნულისკირი

ძალიან ვწუხვარ! მენანება ასე უდროოდ მისი ამქვეყნიდან ნასვლა! ჩემი ტრაგედიის გამო როგორ მანუგეშა?! თურმე მასაც იგივე ბედი ჰქონდა! სტუდენტი ვიყავი, როცა ქუთაისში ჩამოვიდა და ის ბედნიერებაც მქონდა, რომ მისი ლექციები მომესმინა.

ბევრი რამ ვისწავლე მისგან, ხშირად მეუბნებოდა ხოლმე, რომ გრამატიკის საფუძველი ფონეტიკააო და სულ ზედმინევნით გამაკეთებინა ქართული ენის ფონემატური სტრუქტურის სქემატური ანალიზი... შემოთავაზებაც მქონდა, რომ დიალექტოლოგიაში მემუშავა, მაგრამ, როცა გაიგო, რომ ჩემი ინტერესი სხვა ენათმეცნიერული მიმართულება იყო, გულისწყვეტა დიდხანს არ დაუმალავს.

უნივერსიტეტის ეზოშიც ბევრჯერ გვისაუბრია / გვიკამათია ცნობილ საკითხებსა და თეორიებზე. ვგრძნობდი, რომ მიუხედავად წინააღმდეგობისა, სიამოვნებდა ჩემი მსჯელობა და საუბარი. ბევრი მაქვს გასახსენებელი... ფაქტია, რომ ძალიან დაგვაკლდება....

ბატონო ტარიელ, დიდი მადლობა სიყვარულისა და პატივის-

ცემისთვის!

ჩემი პირადი ტრაგედიიდან გამომდინარე, უმძიმესია თქვენი გარდაცვალების მიზეზის გაცნობიერება...

სასუფეველი დაუმკვიდროს ბატონი ტარიელის სულს უფალმა! დასანანია, რომ ადრიადად წავიდა!

სოფიკო ჭავჭავაძე

ბატონი ტარიელი განსაკუთრებით გულშემატკივრობდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, მაგისტრანტებს და დოქტორანტებს. 2006-2007 წლებში, როდესაც ჯერ კიდევ იშვიათად ტარდებოდა კონფერენციები უმაღლეს სასწავლებლებში, ბატონი ტარიელის მხარდაჭერით, მოგვეცა შესაძლებლობა არაერთხელ მიგველო მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში ქუთაისში, თბილისსა და აჭარაში.

მისი ხელმძღვანელობით ორჯერ ვიყავით სამეცნიერო-სასწავლო ექსპედიციის მონაწილეები ისტორიულ ტაო-კლარჯეთში. დაგვიანებულად, მაგრამ მაინც, უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო მას საქვეყნო საქმეებისთვის, ქართველოლოგიურ კვლევებში შეტანილი წვლილისთვის, ტაო-კლარჯეთის ქომაგობისთვის, პატრონობისთვის და, პირადად, ჩემი თანადგომისთვის.

მანანა ჭიჭინაძე

წარმოუდგენელი, დაუჯერებელი, თავზარდამცემია, რომ ბატონი ტარიელი აღარ გვყავს! როგორ დაგვაკლდება მისი კოლოსალური ენერჯია, რომელმაც უამრავი სასიკეთო საქმე დაიწყო და წარმატებით დააგვირგვინა. მიუხედავად იმისა, რომ მან მზის გაღმა მხარე აირჩია, მაინც სულიერად ჩვენ გვერდით იქნება და კვლავ ბევრ სასიკეთო საქმეს შთაგვაგონებს. სასუფეველი მის დაუღლელ სულს, სიმტკიცე და გამძლეობა მის ოჯახს!

თაშუნა ჭყონიძე

ვერ ვიჯერებ, მიმიძიმს სიტყვებით გადმოცემა... ძალიან დაგვწყვიტეთ გული, ბ-ნო ტარიელ... როგორ ვერ მოერიეთ, მიმიძიმს წარსულში თქვენი გახსენება...

ასეთი შესაშური ენერჯის პატრონი... უფალმა გაანათლოს თქვენი სული... ძალიან დაგვაკლდებით...

ვუსამძიმრებ ოჯახს, სანგუს კოლექტივს და ყველა კოლეგას ამ დიდ დანაკლისს ქვეყნის, ერის და ქართული ენის.

ია ხაჭაპურიძე

რა ვთქვა ან როგორ? თავზარდამცემია! შოკისმომგვრელია! დაუჯერებელია! ვერაფრით ვეგუები სიტყვებს: „ნათელში განსვენება“, „ნათელი თქვენს სულს“, რომელთაც ახლა თქვენ მიმართ იყენებს თავზარდაცემული ხალხი, ამ სიტყვებს ხომ მხოლოდ ჩვეულებრივ მოკვდავებს ეუბნებიან სიცოცხლის დასასრულს!

თქვენ, უკიდვანო ენერჯისა და სიყვარულის მატარებელმა, ადამიანთა მხოლოდ კარგი მხრიდან მხედველმა, ასე გამორჩეულმა, მუდამ ახალგაზრდამ, საოცარი შემართებისა და მუხტის მქონემ, ქვეყნიერების ჩარხის დამტრიალებელმა, საქართველოს უკუნიხსნა წლებში ქუთაისის (და არა მარტო!) მეცნიერებისა და კულტურის ცენტრად მქცევმა და არაფრისგან ყველაფრის შემქმნელმა ადამიანმა, როგორ შეიძლება დაისვენოს ან განისვენოს?

1992-93 წლებიდან მოდის ჩემი ოჯახი თქვენთან ერთად! ამ წლების განმავლობაში რამდენი რამ მასწავლეთ, რამდენი კარგი ადამიანი მაჩუქეთ!

დედიკომ და მამიკომ ჩვენი თავი თქვენ ჩაგაბარათ! მამიკო ხშირად გეუბნებოდათ: „ტარიელ, მხოლოდ ერთს გთხოვ – კარგად იყავი!“ დედიკოს რამდენჯერ უთქვამს ჩვენთვის: „ბავშვე-

ბო, ისეთ ადამიანზე დაოჯახდით, ტარიელის გვერდით ჯდომის ღირსი რომ იყოსო...”

თქვენი ახალი სიცოცხლის დაწყებით (გარდაცვალებას ვერაფრით ვიტყვი!) მე ხელმეორედ დავკარგე მამიკოც და ჩემი პირველი პრეზიდენტიც...

რალაც დიდ გაურკვეველობაში ვართ თქვენები, ბატონო ტარიელ, თქვენი დიალექტოლოგები – ტარიელის ფუტკრები, თქვენი სტუდენტები, თქვენი მეგობრები, თქვენი უნივერსიტეტები, თქვენი ოჯახი, ყველა, სრულიად საქართველო!

ვმადლობ უფალს, რომ მე თქვენი თანამედროვე ვარ! ვმადლობ უფალს, რომ თქვენ ჩემს ცხოვრებაში იყავით, ხარტ და იქნებით, სანამ ვიცოცხლებ! გმადლობთ, რომ მუდამ იქნებით ჩემი ცხოვრების და საქართველოს „ტარიელი!“

ვუსამძიმრებ უთქვენო საქართველოს! მარადისობაში შეხვედრამდე, ჩემო საყვარელო, მხოლოდ თქვენ რომ იცით, ისეთლიმილიანო, ძალიან ძვირფასო ბატონო ტარიელ!

მიყვარხართ!

ჩემი „ღვთიური სხივი“... ჩემი საყვარელი ბატონი ტარიელი... ბედნიერი ვარ, რომ ამ ღვთიურ სხივთა თანამედროვედ დავიბადე...

1992 წლის 7 იანვარს, შობა დღეს რუსეთმა ქართველთა ხელით საქართველოს მოსახლეობას „სიურპრიზი“ მოუმზადა: სისხლითა და მახვილით განდევნა კანონიერი ხელისუფლება ქვეყნიდან.

დღეს კი კანონიერი ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენელი, ქვეყნის უანგარო ჭირისუფალი ბატონი ტარიელ ფუტკარაძე ამ თარიღსა და უფლის შობას ახალ სამყოფელში, მართალთა თანა, უფლის წიაღში შეხვდება თავის პრეზიდენტთან და თანამებრძოლებთან ერთად.

გუშინ კი მისმა სხეულმა მახათას მთაზე საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაივანა. მიუხედავად პანდემიისა და საშინელი სიცვიისა, უამრავმა ადამიანმა გააცილა იგი ღრმა მწუხარებითა და

წრფელი ცრემლებით.

ჩემს სათქმელს გამოხატავს ქართული ხელოვნების ცენტრი ისრაელში, ამიტომ მის სიტყვებს სრულად მოვიყვან და დავამატებ, რომ მერაბისა და ზვიადის შემდეგ მე ასეთი მწუხარება საქართველოში არ მინახავს, ნურც მენახოს!

„ერს გარდაეცვალა ტარიელ ფუტკარაძე და საკვირველი ის არის, როგორ შეძლო მან ამ გაუფასურებულ წუთისოფელში სრულიად საქართველოს ეგლოვა?!“

საქართველოს მე მარტო ტერიტორიული ნიშნით კი არ ვგულისხმობ! აბა, შეიხედეთ ფერეიდნელი და თურქეთელი ქართველების გვერდზე, ყველა იჩემებს, ძმას გლოვობენ. უდავოდ, დიდი პატრონი გარდაეცვალათ! როგორ აზიდა ამხელა სიყვარული?!“

უკვალოდ არ უნდა გაქრეს მისი ნაღვანი! იქნებ მის კვალში ჩადგნენ კიდევ, მაგრამ ის შეუცვლელია! დიდი მესამშობლოე კაცი დაკარგა ერმა! სამძიმარი ყველას, ვის გულსაც დააკლდა! გლოვობს ტაო-კლარჯეთი, თურქეთში გაბნეული ქართველობა. გლოვობს ფერეიდანი.

ეს ფოტოებიც მათი გვერდიდან წამოვიღე!

გულსაკლავია, რომ დაგვტოვა, მაგრამ რა დიდი რამ დაგვანახვა?! მისმა გარდაცვალებამ საუკუნეებში გაფანტული ქართველობა გააერთიანა!

ანუ, ერის კაცები კიდევ გვყოლია!“

ასეთი ენერგიის მხოლოდ ორი ვიცოდი აქამდე: მერაბი და ზვიადი! ბატონი ტარიელი მესამეა – ქვეყნიერების ჩარხის დამტრიალებელი, კოლოსალური ენერგიისა და სიყვარულის მატარებელი – ჩვენი ცხოვრებისა და ქართული ენათმეცნიერების „ტარიელი“!

ნათელ ენერგიად ქცეულ ღვთიურ სხივო, ჩემო საყვარელო ბატონო ტარიელ, ჩვენ რა ვქნათ?.. ჩვენ???

...მე არ გემშვიდობებით. მე ვიცი, სულეთში მყოფიც ჩვენ

გვერდით ბრძანდებით, ჩემო საყვარელო, ძვირფასო, განუმეორებელო, უნიკალურო და რჩეულთა შორის გამორჩეულო ბატონო ტარიელ! მე ვგრძნობ თქვენს აქ ყოფნას, ყოველ წუთსა თუ წამს! მადლობელი ვარ ყოველი სიტყვისთვის, ყოველი დარიგებისთვის, რჩევისთვის, დავალებისთვის!

გმადლობთ, რომ მეც თქვენს დიალექტოლოგებთან ერთად ვიარე, ვისწავლე და გამოვიბრძმედე, რომ მეც მათსავით თვითმხილველი, მონმე და მონაწილე ვარ თქვენ მიერ ორგანიზებული უამრავი საქმისა, სიმპოზიუმისა, კონფერენციისა თუ ექსპედიციისა!

გმადლობთ, რომ თქვენგან მშობლიურ მზრუნველობას ვგრძნობდი!

გმადლობთ, რომ ამდენი ღირსეული ადამიანი აღმომაჩენინეთ და მაჩუქეთ! ღირსეულმა ადამიანმა ღირსეულები შემოიკრიბეთ, ამდენი და ამოდენა სიყვარული დათესეთ! რამდენი ადამიანის გულისტკივილი მიგყვებათ, რამდენი ჩუმი თუ ხილული ცრემლი, ჩუმი თუ ხმამალალი ლოცვა!

დღეს შეიძლება ფიზიკურად ვერა, მაგრამ ზოგიერთი თქვენი საყვარელ-მოყვარულნი მთელი არსებით მახათას მთაზე ვიყავით! გული გრძნობს, რომ ჩვენთან ხართ! მე არ გემშვიდობებით!

ლელა საჭაპურიძე

მშვიდობით, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო!

კოსმიური სიბრძნით გამოძერწილმა ბრწყინვალე სიცოცხლით საბოლოოდ დაამარცხე სიკვდილი...

მადლობა ჩემი წილი საქართველოს სახელით, ჩემი და ჩემი ოჯახის 30-წლიანი სიყვარულის სახელით.

საქართველოს მებაირახტრენო, იქიდან გვინინამძღვრეთ!

ლუიზა სანჯავურიძე

...დღეს მისმა დიალექტოლოგებმა (ანსუს) და ჩვენი უნივერსიტეტის რექტორატმა ტაო-კლარჯეთის ექსპედიციისას სახსოვრად წამოღებული მინა, ასე სასოებით რომ ინახავდნენ, ბატონ ტარიელს, ამ ექსპედიციის სულისჩამდგმელს, უკანასკნელ გზაზე გაატანეს. ვიცით, იქიდანაც იბრძოლებს ერთიანი და განუყოფელი სამშობლოსათვის ზეციურ საქართველოსთან ერთად!..

დღევანდელი სიტუაციის გამო ქუთაისში დარჩენილი ნაწილი ქუთაისის წმინდა დავით და კონსტანტინეს სახელობის ეკლესიაში შეიკრიბა, პანაშვიდი გადაუხადა და ასე შეაგება სულისმოსახსენებელი ლოცვა მამულის მეჭირისუფლეს!

მადლობა, რომ იყავით მასწავლებელი, მამობილი და ყველა ჩვენგანის ოჯახის წევრი, მადლობა 90-იანი წლების ჩემი ქალაქის მზიანი ღამისთვის, მადლობა, რომ გვასწავლეთ მინდორში გაბნეული სხვისთვის შეუმჩნეველი ყვავილების დანახვა და მათგან თაფლის დამზადება; ამის დასტურია ჩვენ მიერ შეკრებილი დიალექტური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალა...

მადლობა... ქრისტეში შეხვედრამდე, მასწ. ...

ტარიელ ფუტკარაძე და ქუთაისი

(სტატია წაკითხულია ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ონლაინ-კონფერენციაზე, 2020 წლის 23 ოქტომბერს)

1992 წლის დეკემბერში, საქართველოს ისტორიის უმძიმეს ხანაში, ქუთაისში დაფუძნდა დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. მას შემდგომში ეწოდა „ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტი“, უფრო გვიან სახელდებული იყო „ქართველოლოგიური დიალექტოლოგიის მიმართულებად“. დღეს

„ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრია“.

თანამშრომლები ძირითადად ახალი კურსდამთავრებულები ვიყავით, ბ-ნი ტარიელის ორგანიზებით ტარდებოდა ტრენინგები. ვამუშავებდით დიალექტურ, ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ ლიტერატურას, მეცნიერთა მიერ საველე ექსპედიციებზე გაკეთებულ ჩანაწერებს, დარგობლივ კითხვარებს, დავდიოდით ერთი სოფლიდან მეორეში, მეორედან – მესამეში და ა.შ. ხშირად მშივრები და გათოშილები ვმუშაობდით დღე და ღამე. არაერთი დღე გავვიტარებია თბილისში საჯარო ბიბლიოთეკაში ჩვენთვის საჭირო თემატური კატალოგების შესაქმნელად (უშუქობის გამო ბიბლიოთეკაში ჩვენი ფარნებით მივდიოდით, რომელსაც მოსამსახურე პერსონალს ვათხოვებდით ხოლმე წიგნის მოსაძებნად...). როგორც ამ პერიოდში, ისე ჩვენს დისერტაციებზე მუშაობისას გემასპინძლობდა ბ-ნი ტარიელ ფუტკარაძის ოჯახი და მისი უკეთილშობილესი დიასახლისი ქ-ნი ია ვაშაკიძე, რომელიც გვერდში გვედგა და საკუთარი თავდადებით გვაკვირვებდა).

ვმუშაობდით დიალექტოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალის მოძიებისათვის საჭირო პროგრამა-ინსტრუქციაზე, პარალელურად ვინერდით ტექსტებს. მერე დავინწყეთ ჩვენი ბიბლიოთეკის გამდიდრება: მეორე სიმპოზიუმის შემდეგ მეცნიერები შემოგვეშველნენ და თავიანთი ბიბლიოთეკებიდან წიგნები გვინილადეს (მადლიერებმა მათს ამ ღირსეულ ყესტს გაზეთშიც მივუძღვენით სამადლობელი წერილი: „ქველმოქმედებაშიც მეცნიერები პირველები არიან“).

ტარიელ ფუტკარაძის ძალისხმევით საქალაქო ბიბლიოთეკებიდან ხელშეკრულების საფუძველზე გაცვლის პრინციპით შევიძინეთ ჩვენთვის მეტად ღირებული სამეცნიერო ლიტერატურა. დიალექტოლოგიის ინსტიტუტის საქმიანობის ღირსშესანიშნავ მოვლენად იქცა 90-იან წლებში საქართველოში ერთადერთი ყოველწლიური საერთაშორისო სიმპოზიუმი, სახელწოდებით – „ქუთაისური საუბრები“ – ქართველოლოგთა ლინგვისტურ-ეთნოლოგიურ-კულტუროლოგიური სამეცნიერო ფორუმი. პირველი სიმპოზიუმი 1994 წელს გაიმართა; დღეს ადვილი სათქმელია,

მაგრამ თუ გავაცნობიერებთ, რა მდგომარეობა იყო მაშინ საქართველოში, მივხვდებით, რა დიდი ენთუზიაზმი უნდა გვქონოდა ყველას ერთად.

ბატონმა მიშა ქურდიანმა, რომელიც ანსუს მონვეული ლექტორი იყო და დიალექტოლოგების ხშირი სტუმარი, ლექსიც დანერა:

„ეს ფუტკარაძე ტარიელ
ბრძენია, როგორც იუმი,
დაუძვრა ყველა ბარიერს,
მოაწყო სიმპოზიუმი!“

ტარიელ ფუტკარაძემ შეძლო, თავისი სულის ცეცხლი სხვათა სულის პატრუქისთვის წაეკიდებინა და სწორედ ამიტომაც იქცა მაშინ ქუთაისი და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამეცნიერო-კვლევითი და საერთაშორისო სიმპოზიუმების ცენტრად.

უნდა ითქვას, რომ იმ მღვრიე პერიოდში კონფერენცია ყოველწლიურად ვერ ჩატარდებოდა, რომ არა ქუთაისის მერის, ბ-ნი თემურ შაშიაშვილის შემობრუნება განსხვავებული პოლიტიკური პლატფორმის, დევნილი კანონიერი ხელისუფლების წევრის – ტარიელ ფუტკარაძისა და, შესაბამისად, დიალექტოლოგიის ინსტიტუტისკენ (ამის შესახებ ერთ-ერთ სიმპოზიუმზე საჯაროდ თქვა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა, დიალექტოლოგიის ინსტიტუტის შექმნის იდეის ავტორმა, ბ-მა მაგალი თოდუამ: „ამ ადამიანებს იმდენი ჯენტლმენობა და ვაჟკაცობა აქვთ, რომ მიუხედავად პოლიტიკური ანტაგონიზმისა, ძალა შესწევთ დიდი სამეცნიერო საქმე ერთად აკეთონ“).

სიმპოზიუმში მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლები, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მეცნიერები, ასევე უცხოელი ქართველოლოგები.

მართალია, კონფერენციები დამახასიათებელ რეჟიმში მუშაობდა, მაგრამ ქვეყნის იმდროინდელი მდგომარეობის გამო, გამორჩეული იმერული პურობა ვერ გვქონდა; ბატონმა ალექსი ქინ-

ჭარაულმა კაფია მოგვიძღვნა:

„ეს სამი დღეა, ტარიელს
კარცერში ვყავართ ჩასმული,
მთელ თორმეტ საათს ვმუშაობთ
კვერცხნაჭამი და ჩა-სმული“.

დიდი პატივისცემით მოვიგონებთ სიმპოზიუმების ყველა მონაწილეს. ჩვენი სტუმრებიდან დღეს ბევრი ცოცხალი აღარაა. მათგან ბევრი რამ ვისწავლეთ. მათთან ურთიერთობა ყველა ჩვენგანისათვის და, საერთოდ, მთელი უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის დიდი გაკვეთილები იყო... მადლობა მათ ყველაფრისათვის...

დღემდე ჩატარდა 15 სიმპოზიუმი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სამეცნიერო ჟურნალ „ქართველურ მემკვიდრეობას“. კრებულში ტრადიციულად იბეჭდება სიმპოზიუმის მასალები, რეცენზირებული ქართველოლოგიური (ენათმეცნიერული, ლიტერატურათმცოდნეობითი, ფოლკლორული, ეთნოლოგიური, კულტუროლოგიური...) გამოკვლევები, ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მომძიებელთა ჯგუფების მიერ ჩანერილი ქართველური დიალექტური ტექსტები. დღემდე გამოცემულია 24 ტომი.

ტ. ფუტყარაძემ 1996 წელს დააარსა ქართული ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველო, რომელიც მუშაობდა სამი ძირითადი მიმართულებით:

1. ქალაქის გარეგაფორმების, რეკლამების, აბრების, ქუჩებისა და მოედნების სახელწოდებათა ენობრივად გამართვა;
2. ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებულ წარმოება-დანესებულებებში საქმისწარმოების ენისა და ტერმინოლოგიის ქართული სალიტერატურო ენით გამართვა-დამკვიდრება;
3. საქართველოს სახელმწიფო ენის სასურველ დონეზე სწავლების მიზნით, აქტიური თანამშრომლობა ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ სასწავლო დაწესებულებებთან.

ქუთაისის ენის სახელმწიფო პალატა ატარებდა კონკურსს სახელწოდებით – „დედაენა“, რომელშიც მონაწილეობდნენ ქა-

ლაქის ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეები და ვლინდებოდნენ ქართული ენის საუკეთესო მცოდნენი.

ტ. ფუტკარაძის რედაქტორობით ქუთაისში გამოდიოდა გაზეთები „ქართული“ და „ქუჯი“. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გაზეთი „ქართული“, რომელიც 2003 წლის ჩათვლით ფუნქციონირებდა (სულ გამოცემულია 39 ნომერი), იმ პერიოდის ქართული სალიტერატურო ენის ტკივილისა თუ სიხარულის მატთანაა.

მაშინ, როცა საქართველოში დაიხურა ოპოზიციური გაზეთები: „საქართველოს სამრეკლო“, „იბერია სპექტრი“, 2000 წელს ქუთაისში დაიბადა ქალაქის ჰელსინკის კავშირის ორგანიზაციის გაზეთი „ქუჯი“; გაზეთმა ორი წელი იარსება, გამოვიდა 38 ნომერი.

გაზეთის მრავალფეროვნებასა და მის დიდ აქტუალობას იმ პერიოდში (თუმცა დღესაც ძალზე მნიშვნელოვანია, როგორც საქართველოს უახლესი წარსულის უტყუარი მატთანა) განაპირობებდა სხვადასხვა სახის რუბრიკა:

„ინფორმაცია კოლხური კომპიდან“;

„ფრაგმენტები ჩვენი დღევანდელი ყოფიდან“ – რუბრიკაში წარმოდგენილია წერილები ყოფითი ცხოვრების საჭირობოროტო საკითხებზე;

„კადრები ქუთაისის უახლესი წარსულიდან“ – გადმოცემულია პუტჩის დროს ქუთაისელთა ცხოვრება;

„ისტორიის გაკვეთილები“ – იბეჭდებოდა წერილები და ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, თავისუფლებისათვის მებრძოლი ცნობილი ისტორიული პირების ცხოვრებიდან და სხვ.

ტ. ფუტკარაძემ მერაბ გვაზავასთან ერთად დააარსა საჯარო ბიბლიოთეკის სამეცნიერო კონფერენცია (დღესდღეობით რიგით მე-12 კონფერენციაა) და მისი სამეცნიერო ჟურნალი „წელიწდეული“.

მერაბ კოსტავას სიტყვებით რომ ვთქვა, „გიჟებს მოვჭგავდით მოყმენი მაშინ, სატრფოს საძებნად ველზე გაჭრილებს“; ალბათ, ამიტომაც გვეძახდნენ ბ-ნ ტარიელსა და მის თანამშრომლებს

„შერეკილებს“. ტ. ფუტკარაძეს კი სჯეროდა და ჩვენც დაგვაჯერა, რომ „გაფრინდებოდი“; გვჯეროდა იმიტომაც, რომ ვადექით ღირსეულ წინაპართა გზას, ექვთიმეს, უმიკაშვილის, კარბელაშვილების გზას. ამ გზაზე დადიოდნენ ახალგაზრდობაში ის ადამიანებიც, რომლებიც ახლა ჩვენ გვერდით იდგნენ – ღრმად-პატივცემული სამეცნიერო საზოგადოება.

შეიძლება ვთქვა, რომ ყოველივე ეს იყო იმდროინდელი ქუთაისის მზიანი ღამე და ამ საქმეთა შემოქმედი 1992 წელს 32 წლის იყო. წელს იგი 60 წლის გახდა.

მადლობას ვუხდის, როგორც მაღლიერი მოსწავლე, როგორც მეხუთე თაობის ქუთაისელი, ჩემი ქალაქისთვის განეული სამსახურისა და სიყვარულისათვის, ქუთაისი კარგა ხანია მისი ქალაქიცაა და თავად – მისი საპატიო მოქალაქე.

მაკა ხეცურიანი

სამწუხაროდ, თქვენნაირი ძლიერი ადამიანებიც მიდიან...

თქვენი ნაკეთები სამაგალითო საქმეები მარადიულად რჩებიან...

მანანა ხვინგია

ბატონო ტარიელ, თქვენ ისეთი სიყვარული დატოვეთ, სიკვდილი დაამარცხეთ!

თამარ ხიმშიაშვილი

ჩვენ გვასწავლიდა „თავისუფლებას“, ეროვნულ ღირებულებებს, სამყაროს სხვა კუთხით გვაცნობდა და მოვლენებს ობიექტურად გვიხსნიდა. ეს ჩართვა გვქონდა ჩვენი პროექტის „გააზიარე ცოდნა“ ფარგლებში თემაზე: „თავისუფლებიდან თა-

ვისუფლებამდე, 26 მაისიდან 9 აპრილამდე“. ძალიან საინტერესო შეხვედრა გამოვიდა; ცოდნა, რომელიც გაგვიზიარა, იმ მოვლენებისა იყო, რომლის მონაწილეც თავად გახლდათ.

ბუმბერაზი ადამიანი, რომელმაც საკუთარი სამშობლოს წინაშე ვალი მოიხადა თავისი ბრძოლითა და დიდი სამეცნიერო მოღვაწეობით...

დაგვაკლდებით ჩვენ და სრულიად საქართველოს, ბატონო ტარიელ...

ზურაბ ხონელიძე

COVID-19-მა იმსხვერპლა ცნობილი ქართველი მეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი) ხელმომწერი, პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და ადმინისტრაციის სახელით, რექტორი, პროფესორი ზურაბ ხონელიძე თანაუგრძნობს პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის ოჯახს, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ სერგო ვარდოსანიძეს, მეგობრებს, კოლეგებს, სტუდენტებსა და სრულიად საქართველოს ამ უმძიმეს დანაკარგს.

ბატონი ტარიელი არაერთი საზოგადოებრივ-სამეცნიერო პროექტის ფუძემდებელი, სამეცნიერო ნაშრომების (მონოგრაფიები, სტატიები) ავტორია. ოცზე მეტმა ახალგაზრდა მეცნიერმა მისი უშუალო ხელმძღვანელობით წარმატებით მოიპოვა სამეცნიერო ხარისხი.

პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე ჩვენი უნივერსიტეტის ერთგული მეგობარი და მხარდამჭერი იყო: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის მიმართულების სა-

მაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე მიჰყავდა რამდენიმე სალექციო კურსი, გახლდათ ქართული ფილოლოგიის სადისერტაციო საბჭოს წევრი. სასუფეველი ცათა დაუშვკიდროს უფალმა ბატონი ტარიელის მართალ სულს!

ზურაბ ხონელიძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

გიორგი სორბალაძე **ტარიელ ფუტკარაძის ხსოვნას**

ვერ დასძალავსო სენი ტარიელს,
თავს ვიმხნევებდით ასე – არა და,
კაცმა, ცნობილმა უღალატობით,
ერთხელ ყველანი დაგვაღალატა...
მას არ შეეძლო მცირედ, ზერელედ,
გულწრფელი იყო ყველგან სავსებით,
სენტანაც დარჩა ცამდე მართალი
და დაავადდა მთელი არსებით!
სამშობლო ჰყავდა მუდამ საფიცრად,
ქუდად ეხურა მარტო მისი ცა
და სამშობლომაც – როცა დასჭირდა,
ადგა და სწორედ ის დაიფიცა...
მას არ სჯეროდა სხვაგვარი ბედის,
სამშობლოს ხვალეს ჭვრეტდა იმედად,
და სამშობლომაც, რალა თქმა უნდა,
რომ ბედობისას ის დაიბედა...
კაცი ხიბლავდა სულისმიერად
და არა მასზე მოცმული ფარჩა,
იყო ჯიუტიც, უკომპრომისო –
წავიდა ისე, რომ მაინც დარჩა!
ვერ დასძალავსო სენი ტარიელს,
თავს ვიმხნევებდით ასე – არა და,

კაცმა, ცნობილმა უღალატობით,
ერთხელ ცოტათი დაგვაღალატა.

3 იანვარი, 14:10 სთ.

ირინა ხურციქა

ვუსამძიმრებ სრულიად საქართველოს, სასუფეველი დაუმ-
კვიდროს უფალმა.

მურად ჯიჟკარიანი

მე ძმა დავკარგე, საქართველომ – დიდი მამულიშვილი!!!

სტუდენტები, დოქტორანტები

წინო აზუსაქი

„ცუდი ბავშვები, ცუდი სტუდენტები არ არსებობენ, მათ ჩვენ ვაქცევთ ცუდებად ან კარგებად“ – ასე უპასუხა ერთ სტუდენტზე გაბრაზებულ პროფესორს. სწორედ ამიტომ არ დაგვიტოვებს სათქმელი მისმა სტუდენტებმა, ალბათ, სწორედ ამიტომ უყვარდათ ბატონი ტარიელი ასე გულმხურვალედ. ეს სიტყვები ძალიან ხშირად მახსენდება, ყურებში ჩამესმის...

ჩემი მასწავლებელი არ ყოფილა... 2007 წელს ქუთაისში მისი თაოსნობით გამართულ სტუდენტურ კონფერენციაზე გავიცანი. აღფრთოვანებული ვიყავი მისი სტუდენტებთან ურთიერთობით... მერე იყო ტაო-კლარჯეთი... ბატონი ტარიელის ხელმძღვანელობით ვეზიარე ექსპედიციების ავანჩავანს ორჯერ, „აღთქმულ მიწაზე“ ვცხოვრობდი... შევიძინე უახლოესი მეგობრები, კარგი ნაცნობები და მარადიული, დადებითი შთაბეჭდილებები...

შემდეგ – ნათიასთან მეგობრობა, სახლში სტუმრობა და საუბრები ენათმეცნიერებაზე, შეკითხვები და რჩევები ჩემს თემაზე... შეეძლო საათობით ესაუბრა, უზომოდ შეყვარებული იყო თავის საქმეზე.

ბევრი კეთილი რჩევა და დარიგება მახსოვს. მეტი წერაც არ გამომდის...

მადლობა და მშვიდობით, ბატონო ტარიელ!

თამარ აზუსაქი-მეზარნა

საწყენი ამბავი, რაც ამ წელში გავიგე.

რამდენი თბილი, ტკბილი მოგონება მაკავშირებს თქვენთან. თქვენ მაჩუქეთ დაუფინყარი სტუდენტობა და მერე ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეტაპი ექსპედიციებს უკავშირდება.... ვუსამძიმრებ ჩვენს ქვეყანას და ოჯახს!

60 წლის ასაკში კოვიდინფექციის შედეგად გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართვე-

ლოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი დეპუტატი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე.

გამოვხატავ ჩემს დიდ გულისტკივილს...

უფალს ებარებოდეთ, ბატონო ტარიელ!

მიზა აბულაძე

ბატონმა ტარიელმა ერთხელ მითხრა, ადამიანები არ იცვლებიანო. მე კი ვფიქრობდი, რომ ასაკი, ცხოვრებისეული სევდა, ტკივილი და კიდევ უამრავი რამ თანდათან ტეხს ყველას, თუმცა ბატონი ტარიელი საკუთარ მოსაზრებას, პირველ რიგში, თავისი ცხოვრებით ამყარებდა. ასეთი ენერჯის, შემართების და მონდომების მქონე ადამიანი მე სხვა არასდროს არავინ მინახავს. მის მტკიცე და პრინციპულ ბუნებას ვერაფერი აყენებდა ზიანს.

ტარიელ ფუტყარაძე იყო კაცი მუდმივად ყმანვილური გულით, რომლის მხნეობას კიდევ ათწლეულები ვერაფერს დააკლებდა, რომ არა ეს საშინელი შემთხვევა. მე მინახავს, როგორი დიდი ენერჯის პატრონი იყო ბატონი ტარიელი და ახლაც კი მიჭირს დაჯერება, რომ ის აღარ არის.

ჩვენ დავკარგეთ სრულიად განსაკუთრებული ენათმეცნიერი და პიროვნება. ადამიანი, რომლისგანაც ვისწავლე ძალიან, ძალიან ბევრი რამ არამხოლოდ პროფესიული, არამედ პიროვნული კუთხით.

ღმერთმა გაანათლოს თქვენი სული, ბატონო ტარიელ.

ნინი აბულაძე

ყოველთვის მეუბნებოდა, რომ ქალი ენათმეცნიერი ძალიან ცოტა გყავსო და შენგან საუკეთესო ენათმეცნიერი გამოვაო. ყოველთვის მიმეორებდა, რომ ბოლომდე მივყოლოდი სწავლა-გა-

ნათლებას და ის მე ძლიერ ენათმეცნიერად მაქცევდა.

დიახ, ეს ასე იქნება. მე გავაგრძელებ ბრძოლას, რომ გავხდე ძლიერი ენათმეცნიერი და ყოველთვის ვიტყვი, რომ ეს ბატონი ტარიელის დამსახურებაა. დიახ, მე არასდროს დამავიწყდებით და დარწმუნებული ვარ, რომ ანგელოზად გადაქცეული გზას გამინათებთ კარიერული წინსვლის დასაგვირგვინებლად.

უფალს ებარებოდეთ!

ნათია ალაშია

ბატონო ტარიელ, დაგვაობლეთ, ერთ გამოუთქმელია ის მწუხარება, რომელსაც განვიცდით თითოეული ჩვენგანი... ძალიან მძიმე რეალობის წინაშე დავდექით... სათქმელი მეკარგება და გამირბის...

მადლობა უფალს, რომ მქონდა ბედნიერება თქვენს გარემოცვაში გამეტარებინა ჩემი ცხოვრების ძალიან ძვირფასი დრო. მადლობა ვერ გადაგიხადეთ იმ ყველაფრისთვის, რაც ჩემთვის / ჩვენთვის გააკეთეთ... დავფიქრდი, რომ არა თქვენ, სად ვიქნებოდი ან რას გავაკეთებდი?! არ ვიცი, ამ კითხვას პასუხს ვერ გავცემ...

თქვენ არ გიყვარდათ უმადური ადამიანები, მე ათასგზის მადლიერი ვარ თქვენი და ასეთი მადლიერებითა და სიყვარულით გავაგრძელებ იმ საქმის კეთებას, რომელიც თქვენგან ვისწავლე... თქვენგან ბევრი რამის სწავლა შეიძლებოდა და შეიძლება, დღესაც შეიძლება...

მომავალი თაობის დამცველი იყავით, სტუდენტების მასწავლებელიც და მეგობარიც. ახალგაზრდებს თუ აუგად ვინმე მოიხსენიებდა, ბრაზობდით, ეგ როგორ თქვაო, ჩემი სტუდენტების თაობა ყველაზე საუკეთესოა, ამათზე დგას ჩვენი ქვეყნის მომავალიო...

მთელს ქვეყანას ასე რომ უყვარხართ და ყველა დაგტირით, ასეთი დიდი ძალა მხოლოდ რჩეულებს შეიძლება ჰქონდეთ. თქვენ

რჩეული იყავით, ამიტომაც იკრებდით ირგვლივ ამდენ დადებითს...

ჩვენს გულებში მუდამ იქნებით.

თამარ ახალკაცი

რამდენი რამ მინდა დავწერო... არ შეიძლებოდა ასე, ბატონო ტარიელ... თქვენ ჩემს ცხოვრებაში უზარმაზარი კვალი დატოვეთ... მეგობარიც იყავით, ლექტორიც, თანამოაზრეც... ჩემი მოიმიედე ადამიანი...

ყველაფერი ერთად მახსენდება... ჩვენი პირველი ლექცია, როგორ დამაბნინეთ მოულოდნელი კითხვებით, მერე რამდენს ვიცინოდით ამაზე... როგორ მგულშემატკივრობდით: „თამარ-ქალო, ყველაფერი რომ გამოგივა, ხომ იცი? აბა, შეუდექი ახლა ბრძოლას!“ – მეც მჯეროდა, უპირობოდ მჯეროდა, რომ ყველაზე ძლიერი ვიყავი და ყველაფერი გამომივიდოდა...

ახლაც რომ შემეძლოს, დაგირეკავდით და თქვენებური იმედიანი სიტყვით დამამშვიდებდით... ცხოვრებას ყველაზე ლამაზი მხრიდან დამანახვებდით...

მე, თქვენს ერთ რიგით სტუდენტს, მეგონა, რომ მხოლოდ მე ვიყავი თქვენი სადარდებელი... და ასე ეგონა ათასობით სტუდენტს...

მარწმუნებდით 25 წლის გამოუცდელ სტუდენტს, რომ საუკეთესო სადისერტაციო ნაშრომი გამომივიდოდა... მადლობა ამისთვის!..

მარწმუნებდით, რომ ყველაზე მოაზროვნე ვიყავი... მადლობა!..

მარწმუნებდით, თუ ვიბრძოლებდი, შემეძლო ყველაზე ბედნიერი და წარმატებული ვყოფილიყავი... ამისთვისაც მადლობა...

იმისთვისაც მადლობა, რომ საკუთარი ნაკლოვანებები დამანახვეთ და მასწავლეთ, როგორ გამომესწორებინა!..

მადლობა, რომ იყავით ჩემს ცხოვრებაში!..

გილოცავთ, ბატონო ტარიელ, დღეს თქვენი სტატია აიტვირთა,

რომელზეც ძალიან ბევრი ინვალეთ და რომელსაც ასე ელოდით...

მე უკვდავი მეგონე...

როგორ დაგვტოვე...

ჩემო ძვირფასო მეგობარო...

დღეს საქართველომ გაგაცილა უკანასკნელ გზაზე... დიდი ეპოქა დასრულდა თქვენი გარდაცვალებით (გარდასახვით). ისტორიად იქცა თქვენი სიცოცხლე, ჩვენს საამაყო ისტორიად...

ვფიქრობდი ხოლმე, რას განიცდიდნენ ილიას თანამედროვენი, როცა მისი ვერაგულად მოკვლის შესახებ გაიგეს, ვცდილობდი გამეაზრებინა ის უსაშველო ტკივილი, რასაც ჩვენი თანამემამულენი გრძნობდნენ, დღეს იმავეს ვგრძნობთ ჩვენც... ილია ხომ მამულის, ენისა და სარწმუნოების სადარაჯოზე იდგა მუდამ... და ეს სამი საუნჯე დაგვიტოვა ჩვენც მოსაფერებლად და მოსავლელად...

თქვენ ილიას დანაბარებს პირნათლად ასრულებდით, ჩვენი სარწმუნოების, მამულისა და ქართული ენის მცველი იყავით. დღეს საქართველომ კვლავ დაკარგა ქართული ენისა და ქვეყნის მოამაგე ბუმბერაზი პიროვნება... თუმცა ჩვენ, თქვენი სტუდენტები, გავაგრძელებთ თქვენს დაწყებულ საქმეს იმ პატრიოტული სულისკვეთებით, რომელსაც მუდამ გვინერგავდით...

„კიდევაც დაიზრდებიან,

ალგეთს ლეკვები მგლისანი...“

ინა ბარნოვა

უკვდავი მეგონა ჩემი ლექტორი, ბატონი ტარიელი, სულ რომ მქონდა მისი იმედი ნებისმიერ სიტუაციაში!

რამდენი რამის თქმა და გახსენება შეიძლება, მაგრამ სიტყვები ზედმეტია! დაულალავი, ენერგიული, თავის საქმესა და ქვეყანაზე შეყვარებული პიროვნება დაკარგა საქართველომ!

მტკივა.

ქრისტინა ბალათური

ასე მგონია, გაზაფხულმა დაკარგა ფერი,
წვიმს, კი არა და ქარიშხალი მძვინვარებს თითქოს,
ვხედავ: მიდიხარ, დარდისაგან კვლავ უტყვი ვრჩებით,
რა ეშველება საქართველოს? მიკვირს და ვფიქრობ.
რა ეშველება მოგონებებს დარდად გაჩენილს?
აღბათ წარსულში უნდა ვდიოთ განვლილ საათებს,
რა ეშველება შვილებს თქვენგან მარტო დარჩენილთ?
ახლა რომ ვგლოვობთ და სევდისგან ღამეებს ვათევთ.
ჩემმა ქალაქმა ნაცრისფერი ჩაიცვა ძაძა,
ვანვალეზ კალამს და არ მომდის სიტყვა არც ერთი,
რთულია ითქვას შესაფერი, ანდა რაღა ვთქვა?
ასე მგონია, დედამინამ დაკარგა ღმერთი.
წვიმს, კი არა და ქარიშხალი მძვინვარებს ახლა,
თითქოს სიკვდილმა მომავალსაც სული წაართვა,
ვხედავ, რარიგად შეეკუმშა სამყაროს გული
და საქართველო კიდევ უფრო დაპატარავდა.

ეს ძალიან ცოტაა, რაც შეიძლება ითქვას, მაგრამ ვაი, რომ
დავდუმდით...

ანა ბეგაშვილი

მადლობა საინტერესო სტუდენტური წლებისა და სასიამოვნო
მოგონებებისთვის...

ასეთ სიცოცხლეს მართლაც ვერ დაფარავ მხოლოდ მინითა და
ყვავილებით...

დერეფანში ისე არ ჩაივლიდა, ჩვენს აუდიტორიაში არ შემო-
ეხედა და რამე პოზიტიური არ ეთქვა, ისეთი რამ, რაც აუცილებ-
ლად გაგვავლიმებდა...

რაღაცნაირად სიმბოლური იყო კორშიდან როშკამდე მიმავა-

ლი გზა, თითქმის შეუსვენებლად რომ აიარა და ჩვენ, ვინ იცის, რამდენჯერ შევისვენეთ. მიგვიძლოდა და მაგალითს გვაძლევდა, როგორი ნაბიჯებით უნდა იარო მიზნისკენ...

კიდევ ერთი დიდებული ადამიანი დაკარგა სამყარომ...

11.00-11.50; 31 ოქტომბერი, 2013 წელი:

ლექცია გვაქვს 102-ე აუდიტორიაში / ფანჯრები ისეთ „პოლუს-ზეა“, მზე ვერ უყურებს /; გარეთ მზეა, მაგრამ კედლებს შიგნით ცივა; ზარი დაირეკა; სტუდენტები აყოვნებენ შემოსვლას. აუდიტორიისკენ მიმავალს მხედავენ და ნელ-ნელა დგებიან ყვავილნარს შუა მდებარე გრძელი სკამებიდან. აუდიტორიის კარებთან ველოდები, თან ცივად მომზირალი მერხები არ მომწონს...

თითქოსდა უნებურად ვეკითხები:

– ლექცია მზის გულზე ხომ არ მოგენატრათ (ცოტა ხნის წინ ვიყავით მზიან ხევსურეთში)...

– უუუიიი, რა კარგი იქნებაა... თითქმის ერთხმად, ოდნავ ეჭვით.

– მაშინ, გავიდეთ...

– არ ხუმრობთ? – გაოცებული ლამაზი თვალები...

– არა; გარეთ არ ჯობია?! მით უმეტეს, დღევანდელი ლექცია მზიან აჭარას ეხება...

გავედით.

დაიწყო ლექცია... რომ მთავრდებოდა, შევნიშნეთ, რომ ნუგზარ შონია, ჩვენი დიდებული მეგობარი და ფოტოხელოვანი, თავს „დაგვტრიალებდა“...

ასეთად დარჩება მუდამ ბატონი ტარიელი ჩვენს მოგონებებში...

სალომი პელელაძე

არ მჯერა და არ მინდა დავიჯერო... ადამიანი, რომელიც სიცოცხლეს ასხივებდა, ამ ვერაგ ვირუსთან ბრძოლაში დამარცხდა...

ბატონო ტარიელ, იმდენი ბედნიერი დღე მახსოვს თქვენთან ერთად, იმედი მაქვს, უკეთეს ადგილზე გადაინაცვლეთ, დაგვაკლდებით ძალიან!

თაგო ბულაქა

ბატონო ტარიელ, როგორ მიმიძიმა თქვენზე წარსულში საუბარი... მგონია, ვერასდროს დავიჯერებ თქვენს გარდაცვალებას და ფაქტს, რომ ამ ვერაგმა ვირუსმა გძლიათ ასეთი მხნე და შეუდრეკელი ადამიანი!

ისე დამწყვიტეთ გული, არც ვიცი, სხვა რა ვთქვა... ჩვენი უნივერსიტეტი თქვენ გარეშე ვერასდროს წარმომედგინა და სამწუხაროა, რომ იქ ველარ შეგვეგებებით ოვაციითა და სიხარულით...

ძალიან მიყვარხართ, როგორც არაჩვეულებრივი ლექტორი, ფილოლოგი, სამაგალითო პიროვნება, მეგობარი და გვერდში მდგომი ადამიანი!!! თქვენს დარიგებებს არასდროს და ვერასდროს დავივინყებ...

თაგო გელაშვილი

ძალიან ბევრჯერ ვუყურე ამ ვიდეოს და ვფიქრობდი, რომ ვერ შეძლებდით ჩვენს მიტოვებას, არ მინდოდა მხოლოდ მოგონებები დაგვრჩენოდა თქვენგან... ეს ის დღეებია, რომლებსაც ვერასოდეს დავივინყებთ და ეს მხოლოდ თქვენი დამსახურებაა, ბატონო ტარიელ...

თქვენ საუკეთესო იყავით და იქნებით ჩვენთვის...
არ დავივინყებთ...

ქეთი გელაშვილი

ვერ ვიფერებ, ღმერთო... როგორი იმედი მქონდა, რომ ამ ვირუსს მოერეოდა...

რა ვთქვა, არ ვიცი... საოცარი ლექტორი, მეცნიერი, ქვეყანაზე არანორმალურად შეყვარებული; უბრალოდ, შეუდარებელი ადამიანი... როგორ მიყვარდა და როგორ ვუყვარდი...

ვუსამძიმრებ ოჯახს და მთელს ქვეყანას.

ია გელაშვილი

არ მჯერა... როგორ უნდა დავიჯერო?! თქვენი ცუდად ყოფნა იმდენად წარმოუდგენელი იყო, ჩანანერებსაც თავს ვარიდებდი...

ვერ ვიტყვი, რომ დამარცხდით, თქვენ არასდროს მარცხდებოდათ... მე სულ გამარჯვებულს გიცნობთ! ალბათ, იქაც სჭირდებოდათ თქვენნაირი ადამიანები და წახვედით...

იმის მიუხედავად, რომ გამორჩეული ურთიერთობა გვქონდა, ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასე ძალიან მიყვარდით... ცრემლები თავისით მომდის და არ ვიცი, რა ვთქვა...

მადლობა ყველაფრისთვის, მაპატიეთ... ყოველთვის ჩემს გულში იქნებით...

დღეს გამოსამშვიდობებლად მოვედი, მაგრამ... მირჩევნია იმედი მქონდეს კიდევ შეხვედრის.

რუსა გონაშვილი

ბევრ რამეზე ვერ ვთანხმდებოდით, მაგრამ სადაც ჩვენი აზრები იკვეთებოდა, ხშირად იქაც შეგნებულად არ ვეთანხმებოდი და ასე „ვაბრაზებდი“; კამათი უყვარდა და ენთებოდა ხოლმე...

კარგი ადამიანი და ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული იყო. დღის ნებისმიერ დროს შეეძლო დაერეკა და ეთქვა: „შენს თემაზე ვფიქრობდი...“ და საათობით ეძლია რჩევები. ჩემზე ძალიან უნდოდა ჩემი დოქტორობა, შენი კონსტიტუციის ადამიანი საქმეს რომ დაინყებს, ბოლომდე მიიყვანსო. ეჭვი არ ეპარებოდა ჩემში.

გამაოგნებელი იყო მისი გარდაცვალების ამბავი, ნათელში იყოს მისი სული...

თამარ გოძაძე

დიდი მოამაგე და ქართველობის მასწავლებელი დავკარგეთ მთლიანად ქართველებმა, ბედის უკუღმართობით მსოფლიოში მიმოფანტული არც ერთი ქართველი დასაკარგად რომ არ ემეტებოდა...

მან ქართველობა ასწავლა და შეახსენა თავიანთი ისტორია ფერეიდნელ და თურქეთის ქართველებს და დაუბარა – „იქართველეთო!..“

მისი დანთებული კელაპტარი სულ ინათებს და მის მიერ ჩაყრილ მტკიცე საძირკველზე დაშენდება მისი ოცნების საქართველო... ამის მწამს!..

მარია გოძაძე

ჩემო / ჩვენო ძვირფასო ლექტორო, როგორ მიმძიმს ახლა ეს წუთები, ამ ვითარების გამო უკანასკნელად რომ ვერ გეთხოვები, ვერ გაცილებ...

ჩვენ ექსპედიცია „ასპინძა – 2002 წ.“ გავიცანით ერთმანეთი. 17 წლის იუბილე ასპინძის ექსპედიციაში აღმინიშნე, საჩუქარიც მისახსოვრე, რომელიც დღემდე მაქვს, ლამაზი საღამო მომიწყვე სტუდენტებთან ერთად, მაშინ ჯერ კიდევ არ გახლდით თქვენი სტუდენტი, მაგრამ იქ, როგორც ინტერესიანი და აქტიურად

ხალხური ზეპირსიტყვიერების ჩამწერ-კორექსონდენტი, მო-
მიკითხეთ და გამეცანით.

იყო გულთბილი შეფასებები და შეჯამება ყოველდღიური
განუული ჩვენი საველე მუშაობისა, გვექონდა არაჩვეულებრივი
კითხვარი (თქვენ მიერ შედგენილი), სვლა-გეზი, რუკები, დღის
განრიგი. ვახშმის შემდეგ – ჩათვლა-დისკუსია, თითოეული ჯგუ-
ფის ხელმძღვანელი და სტუდენტობა ვყვებოდით, თუ როგორი
რესპონდენტი შეგვხვდა, რამდენად საინტერესო ჩანანერი გავა-
კეთეთ ისტორიული მესხეთის სოფლებში მიმოზნეულმა სტუდენ-
ტებმა.

საოცარი დღეები გავატარეთ... აქ მოგონებებს ვერ ჩავტევ...

შემდეგ – მეორე კურსის სტუდენტი და უკვე თქვენი საგანი
– დიალექტოლოგია; მახსოვს, სამშაბათს გვექონდა ეს ბედნიერი
დღე: III–IV ლექციები ბატონი ტარიელ ფუტკარაძის; გვიხაროდა
და ველოდებოდით იმ სიახლეებს და ყოველმხრივ საინტერესოდ
დატვირთულ ლექცია-სემინარებს. გამოცდაზე რომ გამოვედი,
მითხარით, მე რა უნდა გკითხო ახლა, მოდი შენ შეაფასე შენი
თავიო.

შემდეგ იყო დაუვიწყარი სვანეთის ექსპედიცია (აქაც – უა-
მრავი მოგონება), შემდეგ – აჭარა (ესეც დაუვიწყარი დღეები,
თუმცა ეს ექსპედიცია მე უკვე, წესით, არ მეკუთვნოდა, მაგრამ
სურვილისამებრ, მეცით პატივი). ასევე იყო ტაო-კლარჯეთი...
მაგრამ უკვე ბუნებით „მონამლულს“ და საქართველოს მოტრფი-
ალეს, აღარ შემეძლო ექსპედიციის გარეშე, თან ტაო-კლარჯეთი
ხომ მაშინ მიუნვდომელი ოცნება იყო ყველასთვის. შეზღუდული
რაოდენობით, მიმავალ ლექტორთა და სტუდენტთა ჯგუფი გა-
მოიჩრა. რა თქმა უნდა, ჩემი ადგილი არ იყო ფიზიკურად, მა-
გრამ უარსაც ვერ მეუბნებოდით. მე მესმოდა ვითარება, მიჭირდა
თქმა... მორიდებული ზარი ბატონ ტარიელთან:

– ვიცი, მარიტა, რატომაც მირეკავ, მაინც, ყოველი შემთხვე-
ვისთვის, იყავი მზად, რამეს ვიზამთ.

თითოეული საზაფხულო ექსპედიციის შემდეგ – სტატიებზე
მუშაობა და ოქტომბერში დამაგვირგვინებელი კონფერენცია,

მაისში სიმპოზიუმი...

შემდეგ – სწავლა თბილისში, დოქტორანტურაში, ჩვენთვის შეუჩვეველ ქალაქში და უდიდესი ყურადღება თქვენგან ჩამოსული დოქტორანტების მიმართ... ნიგნები, თბილი გარემო, გაცილებდა, ღონისძიებები, ყოველმხრივ დატვირთული და საინტერესო სტუდენტობა, მუზეუმები, გალერეა, კინო, თეატრი, გამოჩენილ მოღვაწეთა სტუმრობა და შეხვედრა, არქივი, სიმპოზიუმები, ლექციები...

მოკლედ, დღე ერთი და მრავალფეროვნად დატვირთული და საინტერესო.

თითოეული ნაბიჯი, ჩვენი გონებრივი ზრდა-ჩამოყალიბება, პატრიოტული სულისკვეთება, საქართველოსა და ქართული ენისადმი უსაზღვრო სიყვარული – ეს მან გააღვივა და გამოწრთო ჩვენში.

ის იყო ჩემი / ჩვენი ამღვრდელი მამა-მასწავლებელი. ძალიან მტკივნეულია ეს დანაკარგი ჩემთვის / ჩვენთვის და ქვეყნისთვის, მას შეეძლო კიდევ 20 წელი გულმხურვალედ ეღვანა საქართველოსთვის და ქართველი სტუდენტობისთვის.

ამ დანაკლისს განვიცდი უფრო: ის იყო ზვიად გამსახურდიას იდეების და გზის გამგრძელებელი, მათ ხომ საქართველო უსაზღვროდ უყვარდათ და არ დასცალდათ, ვინ იცის, იქნებ ნებით ან უნებლიეთ, რომ ეს სიყვარული მთელი ერისთვის ესწავლებინათ!

დიდება, საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებულ ბატონო ტარიელ!

მშვიდობით, „მამავ“!

ნათელი თქვენს სულს!

იყოს მარადის ხსენება თქვენი!

მანია გრიგალაშვილი

სიტყვებსაც ველარ ვძებნი მწუხარების გამოსახატავად... ძალიან დიდი დანაკარგია ჩვენი ქვეყნისთვის ასეთი პატრიოტი და ღირსეული მამულიშვილის გარდაცვალება... ჯერ კიდევ სჭირდე-

ბოდა ქართულ ენათმეცნიერებას მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა... დაუღალავი, დაუშრეტელი ენერჯის მქონე პიროვნება, მუდმივად მაძიებელი, ნოვატორი, ეროვნულად მოაზროვნე. წარმომიდგენია, რამდენი გეგმა, იდეა, მიზანი დარჩა განსახორციელებელი...

ძალიან თბილად მახსენდება ჩვენი ბოლო შეხვედრა 1 წლის წინ, თბილი და ყურადღებიანი, საქმიანი, ბატონი ტარიელის მოკითხვა-ჩახუტება... ეს ყოფილა თქვენი განგება, შეუპოვარო, მუდამ მეტრძოლო, ბატონო ტარიელ! ძალიან მწარე რეალობა...

ღმერთმა ნათელი დაგიმკვიდროთ...

სალომე გუმბარიძე

„ცხოვრებაში ბევრი კარგი რამ შეიძლება მოხდეს (ხდება)...“ (03.12.2020)... ეს ბატონი ტარიელის ბოლო მონაწერია, ასე გამამხნევა, მირჩია, რომ არასოდეს დამეყარა ფარ-ხმალი: „როცა საჭიროდ ჩათვლი, მზად ვარ დაგეხმარო“.

4 სექტემბრის შემდეგ არ მინახავს, მხოლოდ ეს მიმონერალა დამრჩა... რას წარმოვიდგენდი, თუ ეს თარიღი (ჩემი სადისერტავიო ნაშრომის საჯარო განხილვა) სიხარულთან ერთად დიდ ტკივილსაც დაიტევდა... ტკივილს კადრებად ქცეული სიცოცხლისა...

ქეთევან გურიანი

ჩემი ძვირფასი მასწავლებელი... უფროსი მეგობარი... დიდი ადამიანი...

სინათლეში, დიდ ზეციურ საქართველოში გადაინაცვლა...

იქაც იმედად გვეყოლები...

მამობრივი მზრუნველობით...

იქით სავალი გზაც გაგვიადვილე უკვე...

შეხვედრამდე, ძალიან ძვირფასო ბატონო ტარიელ...

2009 წ. ჩემი პირველი ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში. ეს არტა-ნუჯის ციხეზე ასასვლელი გზაა, წინაპართა ბილიკი, რომლითაც აგვიყვანა ბატონმა ტარიელმა ციხეზე. რომელიც თავად მოძებნა და გმირ წინაპართა ბილიკი უწოდა. ჩვენთვის კი ბატონი ტარიელის სახელობის იქნება ეს გზა...

ვინც ასულა ამ გზით, იცის, როგორი სიფრთხილეა საჭირო. ციხის ძირას რომ მივედით, დაგვანახვა ბილიკი, პიტალო კლდეს რომ მიუყვებოდა. თავად უნდა განგვესაზღვრა ჩვენი შესაძლებლობა, თუმცა უკვე შერჩეული ჰყავდა უცდომელი ინტუიციით, ვინ წამოვიდოდა. მეორე, სამანქანო გზით წასვლა არ მინდოდა და შიშით ველოდი, რას მეტყოდა. დამასწრო, სანამ გამოვთქვამდი სურვილს: შენ წამოხვალ, ვიცი, სვანი ხარ, ისე მითხრა, მეგონა სირბილით ავივლიდი გზას. ასვლისას ჩვენს თითოეულ ნაბიჯს აკონტროლებდა – სად, როგორ უნდა დაგვედგა ფეხი, რას უნდა მოვჭიდებოდით, გვკარნახობდა. ბილიკი საცალფეხოა, ორი ერთად ვერ ივლის. მიუხედავად სირთულისა, ერთი წამი არ გვიგრძენია შიში, გვიცავდა ყველას, ვენდობოდით და გვჯეროდა, რომ არაფერს გაგვიჭირვებდა. ეს მონაკვეთი განსაკუთრებით რთულია. აქ ფორთხვით უნდა გადავსულიყავით, განოლილი.

– მე ასე გადასვლა ვარჩიე, შეძლებ? – მეკითხება ბატონი ტარიელი.

– რა თქმა უნდა, – ვპასუხობ.

ასე ღიმილით და უშიშრად გადამატარა ეს ადგილი იმ ძალამ და რწმენამ, რომელსაც ყველა ჩვენგანში აძლიერებდა მუდამ ბატონი ტარიელი...

ცაგო გურჯიძე

ასე გაუაზრებია ბატონ ფუტკარაძეს სიკვდილ-სიცოცხლის ამბავი.

ვფიქრობ, ის იმ „ზოგის“ რიგშია, რომელიც „ღვთის გამონაშუქი ნიჭიერი ადამიანი“ და ეს „გამონაშუქი“ მრავლად დატოვა. მჯერა, ღვთიურ სხივებად მოეფინება ქვეყანას მის გამგრძელებელთა საქმენი.

თვითონ წიაღთან უწყვეტ კავშირს შეინარჩუნებს, ერთი განსხვავებით, მან ძაფის თავში გადაინაცვლა, ღვთიურ სამყაროში.

Tariel Putkaradze

ოთარ ქანდარია – ღვთიური სხივი.

წარმოიდგინეთ კოსმოსი და ღვთიური სამყარო: ენერჯის უსასრულო წიაღი. ღვთიური სამყაროს განზომილებაა კოსმოსი.

ღვთიური წიაღიდან ჯერ გამჭვირვალე ღრუბლად, შემდეგ კი ჩაუქრობელ და უხიფათო ელვად გამოინაკვთება ადამიანის სული, დაახლოებით, ისე, როგორც მატყლის უზარმაზარი ფთილადან (ფარტენიდან) – ძაფი. ღვთიური სამყაროდან გამოსული ჰაეროვანი სული ადამიანის კონკრეტულ სხეულში ისადგურებს (ვითარცა ხმალი ქარქაშში), მაგრამ წიაღთან უწყვეტ კავშირს ინარჩუნებს.

სულის გზით უფლიდანაც და კოსმოსიდანაც ხორციელ ადამიანში ტალღობრივად შემოედინება და შემოედინება ბევრი „ამბავი“. კოსმოსს მრუმე მინარევებიც მოაქვს; სულს თავისუფლებას უზღუდავს ადამიანის ხორციელი ვნებებიც.

– ზოგის ხორციელი სხეული ღვთიურ ენერჯიასა თუ კოსმიურ იმპულსთ ვერ გრძნობს; ასეთი ოდენ ხორციელ არსებად რჩება.

– ზოგი ღვთიურს ვერა, მაგრამ კოსმიურს აღიქვამს; უღვთიურო კოსმიური მრუმე, მინარევებიანი ენერჯიაა; იგი ანტიადამიანურს ააქტიურებს სუბიექტში და მას აგრესიულს ხდის.

– სხვები მეტნაკლებად აღიქვამენ ღვთიურ თუ კოსმიურ „ხმებს“, თუმცა ხორციელი ენით ვერ გადმოსცემენ მიღმიური სამყაროს სახეებს.

– მეტნაკლებად აღქმულ ღვთიურ ენერჯიასა და კოსმიურ იმპულსებს ნიჭიერი ადამიანი ანალიზის გარეშე თუ გონებაში გატარებით გადმოსცემს: ენით, ფუნჯით, ბგერით...

და საზოგადოება მდიდრდება: მშვენიერი სიტყვებით, ლექსებით,

პომეებით, ნოველებით, რომანებით... ნახატებით, მუსიკით, მეცნიერებით, სამოსელით, ნაგებობებით... სადაც ვხედავთ ღვთისკენ ორიენტირებულ სიცოცხლესა თუ არადედამინურ სახეებს (მეტად უცნაურს, იშვიათად ზეუცნაურსაც, შესაბამისად, ძალიან საინტერესოს).

კაცთაგან ვინც ღვთიურთანაც ინარჩუნებს კავშირს და კოსმიურ იმპულსთაგან ნეგატიურს ფილტრავს, ღვთიური სხივის გამონაშუქად გვევლინება და სამსახურს უწევს მოდგმას, ერს, კაცობრიობას... და უფლის წიაღში ბრუნდება.

ასე რომ:

- ზოგი არსებობს,
 - ზოგი ადამიანია,
 - ზოგი კაენურ კალაპოტს აგრძელებს,
 - ზოგი ნიჭიერი ადამიანია,
 - ზოგიც ღვთის გამონაშუქი ნიჭიერი ადამიანია...
- და ყველას თავისი ადგილი აქვს ამ სამყაროში

P.S.

მხატვარი ოთარ ქანდარია ღვთიური სამყაროს გამორჩეული სხივია; მან თავისი ნახატებით 80-90-იანი წლების მრუმე ფერების ფონზე შექმნა ოქროსფერი სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე მარადიული სამყარო, რომელსაც მუდამდღე ერთი საკუთარი სიტყვით ახმინებდა: „ჭურუმე“ („თქვენი ჭირი მე“).

დღემდე მიკვირს და მეამაყება, როგორ შეეძლო სამშობლოს ისეთი სიყვარული, რომელიც მუდამ გამოიხატებოდა მის ქცევაში და არა მარტო სიტყვებში. იშვიათია ისეთი ადამიანი, როგორიც ტარიელ ფუტყარაძე იყო. იმდენი რამ გვასწავლეთ... იმდენი მოგონება დაგვიტოვებ... გავიკვალავთ კი უთქვენოდ გზას?..

უფალს ებარებოდეთ, ბატონო ტარიელ...

ია გუჯეჯიანი

ბედნიერი ვარ, რომ მქონდა შესაძლებლობა ამ ღირსეულ ადამიანთან მეთანამშრომლა. მისი სახით საქართველომ დიდი პიროვნება დაკარგა. ვუსამძიმრებ ოჯახს, კოლეგებს, დოქტორანტებს, სტუდენტებს.

სოფო დოლაბერიძე

ყველა, ვინც მას ვიცნობდით, ერთნაირად გულდანაკლულებული და სულატკივებული დავდივართ! სამშობლოდავინყებულებს ჰაერივით გვჭირდებოდა მისი არსებობა!

ნათია ელბაძიძე

არ შემიძლია დაჯერება როგორი იმედებით გელოდით ყველა... ჩემი და ბატონი ტარიელის გაცნობა კარგად მახსოვს; უნივერსიტეტში დერეფანში შევხვდით ერთმანეთს; არც კი ვიცოდი, ვინ იდგა ჩემ წინ, ისტორიული პიროვნება სიცოცხლეშივე...

ჩვენი დიალოგი:

- აქ სწავლობთ?
- დიახ, პირველკურსელი ვარ.
- ძალიან კარგი არჩევანი გაგიკეთებია, ძალიან კარგ უნივერსიტეტში მოსულხარ.
- დიახ, მადლობა.
- ალბათ, ფილოლოგი, ხომ?
- არა, ისტორიულზე ჩავაბარე.
- არადა, ასეთ ლამაზ გოგოს ფილოლოგობა უფრო შეგეფერება! იქნებ გადმოსულიყავი ჩვენთან...
- შემდეგ გავიგე მეგობრებისგან, ვინც იყო ეს უსაზღვროდ პოზიტიური და ენერგიული ადამიანი... მთელს საქართველოს

ვუსამძიმრებ, ჩვენ დავკარგეთ დიდი პატრიოტი და საუცხოო მეცნიერ-პროფესორი, ბატონი ტარიელ ფუტყარაძე...

ლელა ვაშაკიძე

ბატონი ტარიელი ჩემი ცხოვრების ნათელი შუქია... სინათლე, რომელიც, სანამ ცოცხალი ვარ, მუდამ გამინათებს ნისლიან გზებს, რომლის გავლაც მრავლად მომიწევს.

90-იანი წლები: გაყინული საკლასო ოთახი და საამაყო პროფესორის სიტბო, რომელმაც შეგვაყვარა ქართული გრამატიკა. გვამოგზაურებდა მივიწყებულ სოფლებში და მარგალიტებივით აგროვებდა ქართულ დიალექტებს, მერე? მერე ჩვენ, ემიგრაციაში დაფანტულებს, გვეხმიანებოდა და გვმოძღვრავდა მისეული სიბრძნით. გვახსენებდა საქართველოში დაბრუნებას, გვთხოვდა, რომ შვილები საქართველოში დაგვეოჯახებინა, რომ უცხო ქვეყანაში შეძენილი ცოდნა სამშობლოს უნდა მოხმარდეს. მიგზავნიდა თავისივე ავტორობით გამოცემულ წიგნებს. მთხოვდა საქართველოში ჩავსულიყავი და ხარისხი დამეცვა... და ბოლოს, მისი მონაწერი:

– საუბარი დაგვიძველდა, ლელა.

– არასოდეს დაგვიძველდება საუბარი, ბატონო ტარიელ. გპირდებით, დავწერ წიგნს, სადაც დღევანდელი საქართველოს რეალობას აღვწერ და კიდევ იმას, რაზეც ხშირად გვეკონდა საუბარი. გპირდებით, ანი და ნინო საქართველოს მოახმარენ თავიანთ ცოდნას და ბევრ ქართველ ახალგაზრდას გააერთიანებენ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

მიყვარხართ უზომოდ და მუდამ მომენატრებით...

2 იანვარი, 2021 წელი.

დიანა ვოლკოვი

არიან ლექტორები, რომლებიც თავს გახვევენ თავიანთ აზრებს, გეუბნებიან, რომ ეს არის სწორი და იყო ბატონი ტარიელ ფუტყარაძე, რომელიც ყოველთვის, რა თემაც არ უნდა ყოფილიყო, ყოველთვის გვიხსნიდა სხვადასხვა მეცნიერის მოსაზრებას, ბოლოს ამბობდა საკუთარ აზრს და გვეუბნებოდა, თქვენ განსაჯეთ, რომელი არის სწორი და რატომო...

არასდროს შევუბოჭივართ, მის ლექციაზე ყოველთვის იგრძნობოდა ის თავისუფლება, რაც სტუდენტს უნდა ჰქონდეს. პატარასთან პატარა იყო და დიდთან – დიდი. ასეთი ახალგაზრდა გულის პატრონს არსად შევხვედრივართ. მუდამ ახლის ძიებაში იყო; არასდროს ყოფნიდა ის, რაც იცოდა, სულ სიახლე! სიახლე და სიახლე! კვლევა! გარკვევა! ახლის დამატება! რალაცის შექმნა! გაჩერებულს ვერასდროს ნახავდით, მუდამ მოძრაობაში იყო...

ფებს ფეხზე გადაიდებდა და ლექციას ისე წაგიკითხავდა, ვერც გაიგებდი, დრო ისე მალე გადიოდა. ყოველთვის იცოდა ჩაძიება, ყოველთვის უსვამდა თითოეულ სტუდენტს კითხვას, ყველასგან იგებდა მოსაზრებას, მოისმენდა ყველას პასუხს და ბოლოს შემაჯამებლის სახით, თითქოს რალაც ახალი იქმნებოდა..

ყოველთვის ვგრძნობდი თქვენს განსაკუთრებულ გვერდში დგომას. პირველივე კურსიდან შემექმნა პრობლემები და ვინ დამიდგებოდა გვერდში, თუ არა თქვენ! რამდენს ვდაობდით, რამდენჯერ დავრჩენილვართ 1X1-ზე, გვიკამათია, მაგრამ ბოლოს მამაშვილურად, ტკბილად და თბილად მთავრდებოდა ჩვენი საუბარი...

პირველივე კურსზე მომკიდეთ ხელი და წამიყვანეთ ქუთაისში კონფერენციაზე... ენას გაჰყევი, შენი საქმეაო, სულ მეუბნებოდით... უნივერსიტეტი თქვენ გარეშე ვერ წარმომიდგენია და მიხარია, რომ მეოთხე კურსზე ვარ და ვამთავრებ... იმ კედლებში, იმ აუდიტორიებში ველარ ვისუნთქებ თავისუფლად, სადაც თქვენ არ იქნებით...

მადლობა ყველაფრისთვის. მადლობა გვერდში დგომისთვის!

მადლობა იმ უმაღლესი შეფასებებისთვის, რომლებსაც მინერდით თქვენს საგნებში... მადლობა! მადლობა და მადლობა!
უფალს ებარებოდეთ...

გიორგი ზვიადაძე

„საქართველო ერთიანი უნდა გიყვარდეთ, შვილებო, „რაჭა“ უკულმა ნაიკითხეთ – „აჭარა“ გამოვა... ნუ დაუნუნებთ, – მოუნონეთ ერთურთს კუთხე და კუნჭული“. ეს გვასწავლა უნივერსიტეტში კაცმა, ვინც ახლა გარდაიცვალა რენიმიაციაში... ბატონი ტარიელ ფუტკარაძე.

ძალიან ვწუხვარ.

თაზილა ზვიადაძე

ბოლოს დისერტაციის დაცვაზე ჩაგვეერთო – როგორც ყოველთვის, საქმიანი, პრინციპული, დაუდგრომელი! ყველანი გაგვამხნევა, კოვიდზე გამარჯვებას და ამ დისერტაციის წარმატებით დაცვას ერთად აღვნიშნავთო და ბატონ მერაბს დაჰპირდა, გაზაფხულზე ახალციხეში გესტუმრებითო...

ეს რა დღეში ჩაგვაგდეთ, ბატონო ტარიელ! როგორ დავიჯეროთ, როგორ შევეგუოთ! გვეგონა, მოერეოდით, დაძლევდით, გაიმარჯვებდით! ძალიან გვიჭირს, ცრემლი არ შრება! ვუსამძიმრებ ოჯახს, კოლეგებს, მეგობრებს, სტუდენტებს...

ნათელი თქვენს სულს!

გაზრდილ თაბაური

დღეს საბოლოოდ გამოვეთხოვეთ ჩვენს საამაყო მასწავლებელს. დღეს პროფ. ტარიელ ფუტკარაძე ქართულმა მინამ მიიბა-

რა, იმ მიწამ, რომელიც ასე ეძვირფასებოდა და მისი კეთილდღეობისათვის ყველაფერს აკეთებდა... მსუბუქი ყოფილიყოს მიწა ქართული!

შეძრწუნებული და შეძრული ვიდექი დღეს ისტორიული და დიდებული ტაძრის, სიონის გუმბათქვეშ, შევყურებდი ან განსვენებული პედაგოგის ფოტოსურათს და მხოლოდ ერთი ფიქრი მიტრიალებდა თავში: „ღმერთო, იმის ნახევარი მაინც შეგვაძლებინე აქ დარჩენილებს, რამდენიც ბ-ნმა ტარიელმა შეძლო-მეთქი“. აუცილებლად დაინერება მასზე უამრავი წიგნი და ვხვდები, რომ კიდევ მრავალჯერ გაგვიკვირდება – ამდენი როდის მოასწროო? და ამ კითხვის პასუხი მუდამ საიდუმლოდ დარჩება ჩვენთვის.

განუზომელია დამსახურება თქვენი, აუნონავია ღვანლი თქვენი და დიდია დანატოვარი თქვენი ერისა და ღვთის წინაშე, რომელსაც ამ ფიზიკურ სამყაროში დროებით დარჩენილი თქვენი მოსწავლეები სათანადო პატივით განვაგრძობთ და განვასრულებთ, რაც კიდევ ერთხელ უკვდავყოფს თქვენს მარადმშვენიერ და ბრწყინვალედმანათობელ ზელირსეულ სახელს!...

ჩემი თაობა გემადლიერებით თქვენ და თქვენს თანამებრძოლთ, რამეთუ გვაჩუქეთ დამოუკიდებელი საქართველო და შეგვაგრძნობინეთ თავისუფლების გემო! და, განა, რა შეიძლება იყოს ამაზე დიდი საჩუქარი ამ წარმავალ ხორციელ სამყაროში?.. ახლა კი, როგორც არასდროს, ჩვენი ვალია, რომ გავუფრთხილდეთ თქვენ მიერ დაუღალავი ბრძოლით მოპოვებულ თავისუფლებას და შევინარჩუნოთ ის!!!

ნეტამც, კვლავ ჩვენ გვერდით ყოფილიყავით...

ჩვენ აუცილებლად გავაგრძელებთ აქ დაწყებულ ურთიერთობას იქ! სულ-გულის ამოგლეჯამდე მიმძიმს ამ სიტყვების დაწერა / თქმა: მომავალ შეხვედრამდე, სიცოცხლით სავსე ჩვენო უძვირფასესო და დაუვიწყარო მასწავლებლო – ბ-ნო ტარიელ ფუტკარაძე...

ღმერთმა თავის წიაღში დაგამკვიდროთ, ამინ!!!

ისე მომენატრებით, რომ...

თამთა თალაკვაძე

კარგად მახსოვს, 2007 წელს, ქართველური ენათმეცნიერების კონფერენციაზე მიგვიწვია ქუთაისში. მე მაშინ მაგისტრანტი ვიყავი, თავად ბატონი ტარიელი – დიდი მეცნიერი.

მიგვიწვია და მიგვილო შვილებივით, შთაბეჭდილებებით დახუნძლული დავბრუნდით ბათუმში.

ვიცოდით, მომდევნო წელს ისევ გაიმართებოდა და მთელი წელი იმ დღის მოლოდინით გავატარეთ, კვლავაც რომ უნდა შევხვედროდით ერთმანეთს საქართველოს ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრები.

შევხვდით კიდეც.

დაგვაახლოვა ერთმანეთს სტუდენტები და შეგვახვედრა ცნობილ მეცნიერებს, რაც, დამერწმუნებით, დიდი ბიძგია წარმატებისკენ მიმავალ გზაზე.

რამდენიმედღიანი კონფერენციის მთავარი ნაწილი იყო საღამოები წყალტუბოში, სადაც ცნობილ მეცნიერებსა და უბრალო სტუდენტებს შორის მეგობრულ ურთიერთობებს ეყრებოდა საფუძველი.

იმდენად მამაშვილურად აკეთებდა ამ ყველაფერს, რომ ამ ემოციამ და სიყვარულმა გაუძლო ათწლეულს (უამრავი ფოტოც მაქვს იმ საოცარი დღეების, მოგვიანებით აუცილებლად დავდებ!).

ვწუხვარ და სათქმელს თავს ვერ ვუყრი...

ძალიან დააკლდება ქართულ ენათმეცნიერებას, განათლების სისტემას, სრულიად საქართველოს!

მჯერა, ბევრი რამ დაგრჩათ განუხორციელებელი.

თქვენისთანა ადამიანები იშვიათად იბადებიან.

თამარ კაკაჩია

ფერმკრთალია წლევანდელი საზეიმო დღესასწაული, როცა 50-მდე თანამოქალაქე ყოველდღიურად ეწირება ვერაგ დაავადე-

ბას, როცა ქვეყანაში გაჩაღებული ომია...

დღეს გარდაცვლილთა სტატისტიკაში ერთ-ერთი ჩემი საუკეთესო ლექტორი, ღირსეული ქართველი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, მამულიშვილი ტარიელ ფუტკარაძეა.

ვიზიარებ, ვწუხვარ... ბატონო ტარიელ, თქვენ ხომ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი კარგი საქმე გქონდათ გასაკეთებელი...

ნინი კანტიქა

უნივერსიტეტში მოსვლის პირველივე დღიდან მამაშვილობის ხელი რომ გამომიწოდეთ, უფრო ძლიერად რატომ ვერ ჩავკიდეთ ხელი ერთმანეთს? რატომ დაგკარგეთ და რატომ მიწვეს ახლა, უთქვენობას შევეგუო...

როგორ მჯეროდა, რომ დაგვიბრუნდებოდით, თქვენი მებრძოლი ხასიათის, შემართებისა და მომავლის რწმენის მწამდა.

როგორ გავუძლო თქვენი წასვლის შემდეგ დატოვებულ სიცარიელეს, ან ამ უსაზღვრო მონატრებას რა მოვუხერხო??

მიყვარხართ... უზომოდ, უკიდევანოდ...

როგორ მახსოვს ამ დღის განცდები და ემოცია, როგორ ვღელავდი ამ ჩანახატის წაკითხვისას... იმის გამო, რომ ჩემთვის მნიშვნელოვან ადამიანს, ანუ თქვენ გიძღვნიდით..

როგორ მეძვირფასებით... როგორ მომაკლდებით... ვინ გამიცინებს, ვინ დამიყვავებს, ნინო, უკვე გაზრდის დროაო; ვინ იწამებს ჩემს მიზნებს სამომავლოდ, ვინ გაიღიმებს ჩემი წარუმატებელი სიყვარულის მცდელობებზე და მეტყვის, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს და მოთმინების უნარი უნდა მქონდეს.

ვინ გვესაუბრება მხოლოდ ლექციაზე კი არა, ცხოვრებისეულ გაკვეთილებზე, ვინ მოგვცემს რჩევებს... ვინ მოგვცემს ძალას, საკუთარი შესაძლებლობების ვირწმუნოთ; ყველა ადამიანში რაღაც განსაკუთრებულსა და ძვირფასს ხედავდით. ყველა ადამიანი თა-

ვისებურად მშვენიერი იყო თქვენთვის და ჩვენც ამის დანახვას გვასწავლიდით.

მახსოვს, წელს განსაკუთრებულად აღნიშნეთ, მგონი, გაიზარდე და დაბრძენდიო, ჩემი ჩაბარებული სემინარიც კი ყველაზე მეტად სემესტრის დასაწყისში მოგეწონათ, რას ვიფიქრებდი, თუ ეს თქვენს წასვლას მოასწავებდა, რომ თურმე უკვე გავზრდილვარ და თქვენს ხელში მოვასწარი, ვყოფილიყავი ცანცარა, მხიარული, სერიოზული.

უსაშველოდ მომენატრებით...

ლუკა კარკაძე

სამწუხარო ინფორმაცია... კიდევ ერთი ცნობილი მეცნიერი იმსხვერპლა ამ ვერაგმა ვირუსმა. ქართულმა ენათმეცნიერებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა:

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ლინგვისტი, პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე. მას პირველად 2014 წელს ონომასტიკოსთა კონფერენციაზე შევხვდი, რომელიც ახალციხის უნივერსიტეტში გაიმართა. რამდენიმედღიანი კონფერენციის დროს ერთად ვიყავით და მოვინახულეთ სამცხე-ჯავახეთის ისტორიული ძეგლები. იყო საოცრად თბილი და პოზიტივით სავსე ადამიანი.

ვუსამძიმრებ მის ოჯახს, ღმერთმა ნათელში ამყოფოს!

კაკა კელენჯერიძე

უზომოდ დამწყდა გული. ბოლომდე მჯეროდა, რომ თქვენებური შემართებით დაძლევედით ამ ყველაფერს.

ნათელი თქვენს სულს, ბატონო ტარიელ, იმიერ საუფლოში.

ვიზიარებ მთელი ერის ამ უდიდეს დანაკლისს.

მარიამ კაჭერაძე

მადლობა უფალს, წლებია ვიცნობ ბატონ ტარიელს...

აქამდე ხმამაღლა არასდროს მითქვამს, რომ სულ მანუხებდა ერთი კითხვა:

– რატომ ეჩქარება ამ ადამიანს?.. დაბრკოლებებთან იმდენად შეუვალი იყო, იმდენად მონდომებით შეეჭიდებოდა ახალ გამოწვევებს, თითქოს გრძნობდა, რომ არ დასცალდებოდა ყველა საქმის ფინალამდე მიყვანა და მიზნად დაისახა, რაც შეიძლება მეტი მწვერვალი დაეპყრო...

ვფიქრობ, რომ საუკეთესოდ გამოუვიდა – ბატონმა ტარიელმა წუთისოფელში იცხოვრა ამ სიტყვის ყველაზე სწორი გაგებით!..

დატოვა გაკვალული გზა და სახელი, რომელსაც ამ გზაზე გზამკვლევად გამოვიყენებთ!..

ძალიან დამწყდა გული...

მე უნივერსიტეტიდან დიპლომი არ წამოვიღე, ბატონი ტარიელის გამოჯანმრთელებას ველოდებოდი, მსურდა თავად მენახა და მორიგად მეთქვა მადლობა ყურადღებისთვის, გვერდში დგომისთვის, ჩემი წარმატებისთვის და იმ საქმეებისთვის, რასაც სტუდენტებისთვის და ზოგადად ქართული საზოგადოებისთვის აკეთებდა... ბატონ ტარიელ ფუტკარაძეზე წარსულში საუბარი მიჭირს...

მანანა კვანტრიშვილი

ბატონო ტარიელ, როგორ მიმიძიმა ახლა ამის დანერა, მიმიძიმა თქვენზე წარსულში საუბარი... მჯეროდა, რომ ამ ბრძოლას მოიგებდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერა... საუკეთესო ადამიანი იყავით, ყველას მამა და მეგობარი...

სამწუხაროა, თქვენნაირი ადამიანები რომ ტოვებენ წუთისოფელს ასე უდროოდ...

ცათა სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა ღირსეულ მამუ-
ლიშვილს!..

მარიამ კოტრიკაძე

„თქვენ, ყველა ერთად, ჩემთვის ხართ დანმენდილი ბედნიერე-
ბის მდინარეების შემქმნელი ანკარა ნაკადულები“ – ყოველთვის
მსგავსად გვესიყვარულებოდა და ნებისმიერ წამოწყებაში მხარს
გვიჭერდა თავის სტუდენტებს.

ბ-ნი ტარიელის გარდაცვალების ამბის გაგებისთანავე თვალ-
წინ ჩამიარა ჩემი სტუდენტობის 4-მა წელმა და ახლა ძალიან დიდ
დანაკლისს ვგრძნობ!

სიცოცხლეზე შეყვარებული, დამსახურებული, მებრძოლი –
ჩემი ლექტორი!

და რა საჭიროა თქვენზე წარსულში საუბარი, თუ ჩვენს გონე-
ბასა და გულში მუდამ იქნებით?!

ძალიან მიყვარხართ!

სოფო კუბლაშვილი

ღია ჩანანერი ტარიელ ფუტკარაძეს

ხომ არის მოსმენილი ფრაზები, რომლისგანაც შენდება
პიროვნება?! – არის!

2006 წლის მაისი. დიდი რეორგანიზება ქუთაისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის კადრებში.

ის და მე მისსავე კაბინეტში. ის – პროფესორი, მე – მაძიებლო-
ბის მაძიებელი. უნდა მითხრას, რომ მათავისუფლებს – გარდაუ-
ვალია! დაყოვნებულფიქრიანი თვალითვალში მზერით:

„შენ თუ მოინდომებ, კედელზე გაივლი!“

მხოლოდ ეს. თავს ვუქნევ. ვეთანხმები.

იმ დღიდან აქამდე ყოველი წარუმატებლობისას მესმის და ვხე-

დავ და ჩურჩულით ვპასუხობ: – დიახ, ბატონო ტარიელ, მოვინდომებ და კედელზე გავივლი!
თქვენი სოფიო კუბლაშვილი.

ეს საჯარო ჩანაწერიც ჩემს ტარიელ ფუტკარაძეს!

მესამე კურსიდან გადმოვედი თსუ-დან ქსუ-ში. დეკანატში ამიხსნეს, განსხვავებული საგნები მქონია ჩასაბარებელი, მათ შორის ერთი – ტარიელ ფუტკარაძესთან. დავუდარაჯდი დერეფანში, სადაც უნდა გაველო. მივუახლოვედი და ვთხოვე გამოცდის დანიშვნა. მისი მზერა მახსოვს, მრავალკითხვიანი... (ვერაგი 90-იანები იდგა ისევ!). მათგან ერთი გაახმოვანა, დანარჩენს თვითონვე გასცემდა პასუხს.

- ვინ გიკითხავდა სპეციალობას?
- ბატონი თედო უთურგაიძე.
- მაჩვენე ჩათვლის წიგნაკი.

გავუწოდე. გადაათვალიერა. მხოლოდ და მხოლოდ ხუთიანები ეწერა. ახლა უფრო ღრმად დამათვალიერა.

- მომეცი საგამოცდო ფურცელი.
- არც უფიქრია, ჩანერა 5 (ფრიადი).

მაშინ ვერ მივხვდი, რომელს უფრო გვენდო, მე თუ თედო უთურგაიძეს. ისიც კი ვიფიქრე (სულელმა!), ზედმეტად დრო არ დაკარგა ჩემი გამოცდისთვის-მეთქი. მის ქცევას მერე ჩავწვდი, გვიან...

ასე დაიწყო. შემიფარა მკლავქვეშ და მატარა.

...ქართული ენის სახელმწიფო გამოცდის დღეს ვნერვიულობდი, თავს ვერაფერს ვუხერხებდი. ვიცოდი, ქუთაისში იყო, სახლში. ვერ მოვითმინე, შევვარდი რომელიღაც კათედრაზე და დარეკვის ნებართვა ვითხოვე.

- ბატონო ტარიელ, ძალიან ვნერვიულობ.

- ნერვიულობა არამყარმა ცოდნამ იცის!
 - ყველა საკითხი ვიცი...
 - აბა, რა განერვიულებს?! რა გაქვს სანერვიულო. იმან ინერვიულოს, ვინც არ იცის!
- ...ჰოდა, ჩემი დიპლომიც წითელია.

რა განსხვავებაა თსუ-სა და ქსუ-ს შორისო, მეკითხებოდნენ ხოლმე.

ქუთაისში იმ წიგნებით ვსწავლობ, რომელთა ავტორები თბილისში მასწავლიდნენ-მეთქი, – ეს მქონდა პასუხად.

ბატონი ტარიელი სხვანაირი იყო. მისი ლექციები თვალითაც მახსოვს და სმენითაც. არც ერთ წიგნში არ წამიკითხავს ისეთი, იმგვარად...

თვითონ იყო სახელმძღვანელო!

არ ვიცი, ახლა ამ ამბებს რატომ ვყვები. ალბათ, იმიტომ, რომ ამ გვერდს ჩემი ყოფილი მოსწავლეები ნახავენ და წაიკითხავენ. მინდა მათ იცოდნენ, რომ წიგნებზე უფრო საინტერესოდ საკითხავია ადამიანი. განა ყველა?! არა, ჩემო გონიერებო, მხოლოდ ერთი ან ორი შეგხვდებათ ასეთი. არ ჩაუაროთ!

ახლა მისი წიგნები დამრჩა. ძალიან დამაკლდა ბატონი ტარიელი, თითქოს დაუცველიც დავრჩი.

ფოტოზე 2002 წელია. მე – ბედნიერი. ამ დროს ქსუ-ს დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი ვარ. ექსპედიციაა მესხეთში. „შორეთის“ გზა. შორეთის...

ცისია კურტანიძე

რამდენი რამ მინდა ვთქვა... ასეთ დროს, როცა ქვეყანა განსაცდელშია, მსგავსი ადამიანების გარდაცვალება აღარ უნდა ხდებოდეს!!! მაგრამ ერმა, რომელმაც ილიას მკვლელობა გადაიტანა, ალბათ, ამასაც გადაიტანს...

ბატონო, ტარიელ, ბედნიერება, ღვთის საჩუქარი და გამართლებაა, მერქვას თქვენი სტუდენტი, მაგისტრი...

ვუსამძიმრებ ოჯახს და სრულიად საქართველოს!

ნათია ლუჯავა

ალბათ, არ არსებობს სტუდენტი, ვისაც ერთი საუკეთესო დღე მაინც არ ჰქონდეს თქვენს გასახსენებლად... ჩემთვის ეს დღე ამ ფოტოზეა, 2012 წლის ექსპედიცია სამცხე-ჯავახეთში. ერთადერთი შესანიშნავი დღე მთელი სტუდენტობის განმავლობაში და ეს თქვენი დამსახურებაა, თქვენი სურვილი და ინიციატივა, როგორც ყოველთვის, ყველა საქმეში. ძალიან დიდი მადლობა იმ წუთებისთვის, რაც ამ დღეს გვაჩუქეთ მე და ჩემს მეგობრებს, მადლობა განვლილი სტუდენტური წლებისთვის...

ვუსამძიმრებ ჩემს ქვეყანას მის დანაკლისს...

უფალს ებარებოდეთ!

სალომე მათიაშვილი

რთული და მძიმეა გადმოსაცემად, რასაც ახლა თითოეული ჩვენგანი განვიცდით...

უბრალოდ, მადლობა ყველაფრისათვის, ბატონო ტარიელ...

მადლობა იმ საინტერესო, ფერადი სტუდენტური წლებისთვის, რომელთა მსგავსიც მე აღარ მქონია. თქვენ იყავით ადამიანი, ვინც ყველას გვაძლევდა ძალას, ენერგიას, მოტივაციას, აღ-

მოგვეჩინა რაღაც ახალი. თქვენთან ერთად შემოვლილი საქართველოა, დღეს მე ასე რომ მეძვირფასება და მეკარება...

მირანდა მამისაშვილი

ერთი წუთითაც ვერ წარმოვიდგენდი, რომ შეიძლებოდა ასეთი ტრაგიკული ამბავი მომხდარიყო ჩვენს თავს... ბოლომდე მჯეროდა, რომ აუცილებლად მოერეოდით და გაიმარჯვებდით ამ საშინელ ვირუსზე! თქვენ ხომ გამარჯვება გჩვევიათ მუდამ.

საქართველომ დაკარგა თქვენი სახით საუკეთესო ადამიანი, დიდი მეცნიერი, რომელიც ბურჯად ედგა ქართულ ენათმეცნიერებას...

ჩემთვის განსაკუთრებული ადამიანი იყავით, ხართ და იქნებით... თქვენ არ გარდაცვლილხართ, თქვენ სამუდამოდ დარჩებით თითოეული ჩვენგანის გულში!

ნინო მარგველანი

ფიზიკურად სახლში ვარ, მაგრამ მთელი გულითა და სულით ვეფერები ჩემს ტკბილ მასწავლებელს და თქვენ, მის უძვირფასეს ოჯახს!

ნინო მარნაძე

არ მინდა ამის დაჯერება, ვკითხულობ ჩანაწერებს და გული მტკივა! აღარ არის ჩვენ გვერდით ბატონი ტარიელი, პროფესორი, რომელიც ოთხი თვის წინ გავიცანი და ასე მეგონა, მთელი ცხოვრება ვიცნობდი.

არ ვიცი... სიტყვებს ვერ ვპოულობ, როგორ გადმოვცე მისი დანაკლისით გამოწვეული მდგომარეობა... ორი თვის წინ, ლე-

ქციის დასასრულს მითხრა, „ნინო, ჩანანერი წაიკითხე? კორონა ვირუსზე დავწერეო“; რას ვიფიქრებდი, თუ მალე ეს საშინელი ვირუსი „ნაგვართმევდა“ მის თავს.

ძალიან მძიმეა... მიჭირს დაჯერება... მომენატრება ბატონი ტარიელის ლექციები და მისი ხმის გაგონება...

ღმერთმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი...

შაკო მაქაცარია

გაგიხსენებთ, როგორც ინდივიდში სინათლის მაძიებელს და მიმგნებს... ჩემი ცრემლები და სიყვარული, მადლობა.

მარიამ მაჭარაშვილი

თუ ერთხელ მაინც ყოფილხართ მის ლექციაზე, თუ ერთხელ მაინც გისაუბრიათ მასთან, მიხვდებით, რას ნიშნავს ეს ამბავი...

მადლობა –

ლექციისთვის,

ექსპედიციისთვის,

კონფერენციისთვის,

რჩევებისთვის,

მეგობრობისთვის...

თქვენი გაცნობიდან მცირე ხანში მამას უთხარით, ძალიან კარგი გოგო გყავთ, ჩვენი უტყვი ანგელოზიაო.

არ მჯერა...

ვერც დავიჯერებ... თქვენ ისევ ის მხიარული, ენერგიული უფროსი მეგობარი იქნებით, რომელიც მე და ჩემს მეგობრებს გვაჩუქა უნივერსიტეტმა.

60 წლის ასაკში კოვიდინფექციამ იმსხვერპლა ცნობილი ენათმეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე, ქართველოლოგი, ყველაზე მთავარი კი – ძალიან კარგი ადამიანი

და მეგობარი.

ჩვენს გონებაში მხოლოდ ასეთად დარჩებით.

მადლობა იმ მემკვიდრეობისთვის, რომელიც დაგვიტოვებთ. მომავალი ენათმეცნიერები ღირსეულად განაგრძობენ თქვენს სავალ გზას.

თქვენთან მუშაობა კი დიდი პატივი იყო.

ნათელი ყოფილიყოს თქვენი სულის განვლილი გზა.

თამარ მილორაჰვა

1. 2019 წელი, 28 ივნისი... სამაგისტრო თემის დაცვის დღე... ჩემს ცხოვრებაში, ალბათ, ამ დღეს ყველაზე მეტად ვნერვიულობდი. მუდმივად საკუთარი თავით უკმაყოფილოს, მაშინაც მეგონა, რომ არ ვარ მზად, რადგან უფრო მეტი უნდა ვიცოდე... რომ ჩემი ცოდნა არ არის სრულყოფილი... დაცვამდე რამდენი ხნით ადრე ვეუბნები ჩემს ხელმძღვანელს:

მე: „ბატონო ტარიელ, ბევრი რამ არ ვიცი. იქნებ, არ ღირს გასვლა და გადავდოთ დაცვა!“

ბატონი ტარიელი: „გამოხვალ და დაიცავ, საუბარი მორჩა! ბევრი რამ მაშინ გეცოდინება, როცა ჩემი ასაკის იქნები!“

მე: „ბატონო ტარიელ, წარმატებას თუ მივალწიე, თქვენი დამსახურება იქნება!“

ბატონი ტარიელი: „თუ ამოიღე, წარმატებას აუცილებლად უნდა მიაღწიო.“

სხვა სტუდენტების მსგავსად, ჩემი ცხოვრების მთავარი მასწავლებელი და სტიმულის მომცემი იყო და ასეთად დარჩება მუდამ! ის არ იყო ჩვეულებრივი ლექტორი, მის გვერდით ცოდნის აღუვსებელი წყურვილით ვივსებოდი და ლექციიდან გამოსულთ ასე გვეგონა, შეუძლებელს შევძლებდით და ცხოვრებაში ყველა დაბრკოლებას გადავლახავდით!

მასხოვს, ერთხელ გვითხრა, მე რომ აღარ ვიქნები ამქვეყნად,

ჩემი სიცოცხლე ჩემს შვილებში, ჩემ მიერ დაწერილ წიგნებში და თქვენში, ჩემს მოწაფეებში გაგრძელდება... ჰოდა, მგონია, რომ ასეთ ადამიანს ყველაზე მეტად არ შეეფერება სიტყვები: „უკანასკნელ გზაზე გაგაცილეთ“, „გზა მშვიდობისა“, „ნახვამდის“, „მშვიდობით“... ასეთი დიდებული ადამიანები არ ქრებიან, ისინი სამუდამო კვალს ტოვებენ, თან ისეთ ძლიერს, ვერასდროს ვერაფერი რომ ვერ ნაშლის!

დიახ, თქვენი სიცოცხლე გრძელდება, ბატონო ტარიელ. გვიყვარხართ!

2. ტაო-კლარჯეთი – 2018, არტანუჯი... ამ ციხესიმაგრეზე მოსახვედრად ორი გზა არსებობს, ერთი თურქების მიერ არის შექმნილი ტურისტებისთვის, ხოლო მეორე ბატონი ტარიელის მიერ არის გაკვალული, რომელიც საკმაოდ სახიფათოც არის, თუმცა ისეთი სიზუსტით ჰქონდა თითოეული დეტალი გათვლილი, არც ერთხელ არ დასრულებულა ექსპედიცია ფატალურად.

P.S. ამ გზაზე ჩემი ასვლა, ვინც მიცნობს, ყველამ იცის, რასაც წარმოადგენს. სიმაღლის პანიკური შიში მაქვს, თუმცა არც ერთი წუთით არ დამიშვია, რომ რამე ცუდად დამთავრდებოდა. მჯეროდა, სადაც ჩვენი ხელმძღვანელი იყო, შეუძლებელი და საშიშიც არაფერი იქნებოდა. ასეთი იმედი მქონდა მისი, დღეს კი უფრო მეტად მეიმედება და მჯერა, რომ მუდმივად ჩვენ გვერდით იქნება და შეგვმატებს ძალას, ღირსეულად გავაგრძელოთ ცხოვრება.

რამდენი რამის გამო უნდა გითხრათ მადლობა, უკვე სათვალავი ამერია.

3. მშვიდობით?! მე ვერასდროს გეტყვით ამ სიტყვას, ვერ დავემშვიდობებოთ, რადგან ჩვენს სულსა და გულში სამუდამო ადგილი გაქვთ დამკვიდრებული, რომელსაც ვერავინ ნაშლის, ვერც დროის სვლა, ვერც სხვა ტკივილი თუ სიხარული, თქვენ ხართ ერთადერთი და შეუცვლელი, რომელიც სამუდამოდ არის აღბეჭდილი ჩვენს მეხსიერებაში. მიყვარხართ... შეხვედრამდე!..

4. წარუშლელი კვალი დატოვეთ ჩვენს გულში. ვერასდროს

დავივინყებთ თქვენს მამაშვილურ რჩევას, დარიგებას, მხარდაჭერას. სიყვარული არ იკარგება, ძაფი არ გამწყდარა ჩვენ შორის, უბრალოდ დროებით უხილავი გახდა. არ გიყვარდათ მონყენილი და სასონარკვეთილი ადამიანები. მუდამ გვარწმუნებდით, რომ უნდა იპოვო საკუთარ თავში ძალა და გააგრძელო ცხოვრებაო.

მასსოვს, ერთხელ, ლექციაზე როცა შევედი, შემატყო, რომ რალაც მანუხებდა და არ მომცა ამ მდგომარეობაში ყოფნის საშუალება, სანამ არ გამოიკითხა, რას ვდარდობდი და რა პრობლემა მქონდა. ეს მცირედია, კიდევ ბევრი რამის თქმა შემიძლია, რომელიც თითქოს წვრილმანია, მაგრამ სწორედ აქ იგრძნობოდა, თუ როგორი დიდებული და განსაკუთრებული პიროვნება იყავით.

ის იმედის ლამპარი, რომელიც წლების წინ აანთეთ ჩემს გულში, რომელიც მარწმუნებდა, რომ შეუძლებელი არაფერია, თუ მოინდომებო, მუდამ იქნება ჩემთან ერთად და შევეცდები ღირსეულად გავაგრძელო ცხოვრება, სწორედ ისე, როგორც თქვენ გაგიხარდებოდათ. მიყვარხართ!

5. 2019 წელი, 30 ნოემბერი... ჩემი დაბადების დღე. ყველაზე დიდი სიურპრიზი მომიწყო ამ დღეს ბატონმა ტარიელმა... უბედნიერესი დაბადების დღე იყო ჩემს ცხოვრებაში, ყველაზე განსაკუთრებული და ასე დარჩება იქამდე, ვიდრე ცოცხალი ვარ... დამლოცა, დამარიგა ისე, როგორც მას სჩვევია. საოცარი მოგონება დამიტოვა გულში და წავიდა... თუმცა არა, თქვენ არსად წასულხართ, მუდამ იქნებით ჩვენს გულში, ფიქრებში, გონებაში. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ღირსეულად ვატაროთ თქვენი დიდებული სახელი, ისე, როგორც თქვენ გეკადრებათ.

მე ვერ დაგემშვიდობებით. უბრალოდ, ასე გეტყვით, შეხვედრამდე, ძვირფასო ადამიანო. ღმერთმა იმ გზაზე მატაროს, რომელიც თქვენამდე მომიყვანს. მიყვარხართ უზომოდ!

ეკა მუკაბანიანი

ბატონო ტარიელ, ვერ ვიჯერებ...
ძალიან დამწყდა გული...
უფალმა გაანათლოს თქვენი სული...

საიდ მულიანი

საქართველოს ისტორიაში ბევრია ცნობილი და გავლენიანი ფიგურა, მაგრამ ცოტაა ისეთი, რომელსაც ჰქონდა ორმხრივი სამეცნიერო და მეგობრული ურთიერთობა ისტორიულ ქართულ დიასპორებთან. ერთ-ერთი გამორჩენილი პიროვნება, რომელიც მთელი გულითა და სულით იყო დაკავშირებული თურქეთის, აზერბაიჯანისა და ირანის ისტორიულ დიასპორებთან, იყო ბატონი ტარიელ ფუტყარაძე.

2007 წელს, დიასპორის დღეების ფარგლებში, მიგვიწვიეს ცნობილი ქართველის, აჰმად მელაშვილის სახელობის სკოლის გახსნაზე. ამ ცერემონიაზე რამდენიმე წუთით შევხვდი ბატონ ტარიელს...

ყველა ადამიანის ცხოვრებაში არის გადამწყვეტი მომენტები, რომლებიც განსაზღვრავს ადამიანის ბედს, ახალ სიცოცხლესა და აზრს ანიჭებს მის ცხოვრებას. ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ეს წამიერი შეხვედრა – შეხვედრა, რომელმაც შეცვალა ჩემი სამუშაო ადგილი, ჩემი საცხოვრებელი ადგილი, ჩემი სპეციალობა, რეპუტაცია და ცხოვრებისეული ხედვა. ეჭვი არ მეპარება, ეს იყო ღვთის ნება, რომ სამშობლოში ჩემი პირველი ვიზიტის დროს, რომელიც რაღაც მიზეზების გამო სამ დღეზე მეტი არ გაგრძელებულა, ვხედავდი ამ ბრძენ და პატრიოტ კაცს... რამდენიმე წუთით პირველი შეხვედრა, რამაც სიღრმისეულად და უზომოდ იმოქმედა ჩემს სულზე, გულზე და აზროვნებაზე...

ბატონი ტარიელის პიროვნებამ, სიტყვებმა, იდეებმა და მტკი-

ცე მხარდაჭერამ მალე დამარწმუნა, რომ მე გადმოვბარებულ-
ყავი საქართველოში და დამეძლია სირთულეები. დავტოვე ჩემი
სამუშაო, სახლი და ცხოვრება ირანში – ახალ და უცნობ სამ-
ყაროში შევდგი ფეხი.

ამის შემდეგ მე ხშირი ურთიერთობა მქონდა ჩემს უძვირფასეს
მოძღვართან. ბევრჯერ ერთად გავიარეთ ქუთაისი – თბილისის
მარშრუტი, მე ბედნიერი ვიყავი იმით, რომ მასთან ერთად ვესწრე-
ბოდი უამრავ კონფერენციას, სხვადასხვა ცერემონიალს უნივერ-
სიტეტებში და სხვადასხვა დღესასწაულს, დავდიოდი სამეცნიერო
ვიზიტებსა და ექსკურსიებზე სტუდენტებთან ერთად.

ბატონი ტარიელისა და მისი მეგობრების, განსაკუთრებით კი
ბ-ნი შალვა კირთაძის ხელშეწყობითა და დახმარებით, ქუთაისის
უნივერსიტეტში ჩავაბარე მისაღები გამოცდები ქართული ენის
სადოქტორო პროგრამაზე და სწავლა დავიწყე.

გარდა საგანმანათლებლო საკითხებში თანადგომისა, ბატონი
ტარიელი ძალიან დამეხმარა, რომ საქართველოში მატერიალუ-
რად გადარჩენა შემძლებოდა; მისი რეკომენდაციით, სხვადასხვა
ცენტრსა და უნივერსიტეტში ლექციების კითხვა დავიწყე, რაც იმ
დროისთვის ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო.

ბატონი ტარიელისაგან, გარდა ლექციებზე თუ მოგზაურობის
დროს მიღებული ცოდნისა, ლამაზ და საინტერესო ცხოვრები-
სეულ გაკვეთილებსაც ვსწავლობდი. ის საუბრის ოსტატი იყო და
მეც სიამოვნებით ვუსმენდი; განსაკუთრებული უნარ-ჩვევა ჰქონ-
და ხალხთან ურთიერთობისა და ამის გამო უამრავი მეგობარი
ჰყავდა ყველგან – საზოგადოების ყველა ჯგუფში.

მე ვახლდი ბატონ ტარიელს მისი პირველი ვიზიტის დროს
ირანსა და ფერეიდანში. კაცი, რომელიც პირველად ჩავიდა ირან-
ში, იცნობდა ქართული ენისა და კულტურის თითქმის ყველა აქ-
ტივისტს და მოყვარულს, ასევე ყველა იცნობდა მას, თითქოს
მთელი წლები იყვნენ მეგობრები; იგივე იყო ტაო -კლარჯეთშიც.

ირანში მეორედ მოგზაურობის დროს, რომელიც დაიგეგმა ბა-
ტონი ტარიელის იდეით და ხელმძღვანელობით (აჭარის ტელე-
ვიზიასთან ერთად) ირანში მცხოვრები ქართველების შესახებ

დოკუმენტური ფილმის გადასაღებად, გადაღების ნებართვასთან დაკავშირებით პრობლემები წარმოიშვა; ყველა ვფიქრობდით, რომ შეუძლებელი იყო ამის გაგრძელება. ბატონი ტარიელი იმდენად ლამაზად და ლოგიკურად ესაუბრა კულტურის განყოფილების ხელმძღვანელს, რომ მან საკუთარ თავზე იტვირთა პასუხისმგებლობა და გადაღების უფლება მოგვცა.

ბატონი ტარიელი ძალიან ენერგიული და დაუღალავი იყო; შეეძლო დილით ლექციები ჩატარებინა თბილისში და იმავე საღამოს ქუთაისში ან ახალციხეში მოხსენება წაეკითხა კონფერენციაზე.

ირანში ყოფნის დროს მან მთხოვა, რომ მზის ამოსვლამდე ერთად ავსულიყავით ციხემთაზე, სადაც მოხდა ფერეიდნელი ქართველების ხოცვა-ჟლეტა 1750 წელს.¹ მე დამეზარა და მეგობრებს ვთხოვე, რომ წაჰყოლოდნენ. ისინი დილით ადრე წავიდნენ. ბატონი ტარიელი ძალიან გახარებული იყო იმ დღეს; თურმე ბიჭებს ეთქვათ: გვეგონა, ქალაქში გაიზარდე და მთის მწვერვალზე ამოსვლას ვერ შეძლებდი, მაგრამ პირიქით – ყველას გვაჯობე და ვერ გენეოდითო. მკითხა, შენც ხომ ასე არ ფიქრობდი?

ბატონი ტარიელი ყოვლისმომცველი და მრავალი უნარის მქონე ადამიანი იყო. მას ლამაზი ხუმრობები ჰქონდა. როცა მისი მანქანით ვმოგზაურობდით, საჭესთან ყოველთვის მე ვიჯექი; ერთხელაც ქუთაისში ქუჩაში ვმოძრაობდით და უცებ მითხრა:

– მოატრიალე მანქანა და უკან დაბრუნდი.

– რატომ?.. არასწორი გზით მივდივარ?.. – გავოცდი.

– არა, მხოლოდ ერთი ორმო დარჩა, რომელშიც მანქანა არ ჩაგიგდია, ბარემ იმასაც არ აწყენინო.

– როგორ გაიგეთ, თქვენ ხომ დაკავებული იყავით?.. (კითხულობდა ან წერდა მანქანაში, როცა საჭესთან არ იყო).

– მანქანის წივილ-კივილმა მითხრა, – ჩაიცინა.

¹ როგორც ისტორიულად ცნობილია, ქართველებმა უარი თქვეს ქერიმ-ხან ზანდისათვის ხარკის გადახდაზე და ციხემთაზე გამაგრდნენ. ისინი დამარცხდნენ ქერიმ-ხანის ჯარისკაცებთან უთანასწორო ბრძოლაში, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა: ქალები და ბავშვები მთიდან უფკრულში გადაცვივდნენ, ქერიმ-ხანმა წინააღმდეგობის გამწევი ყველა მამაკაცი დახოცა.

მიუხედავად იმისა, რომ მე ძალიან ახლოს ვიყავი ბატონ ტარიელთან და გვქონდა ოჯახური ურთიერთობა, როდესაც საქმე ეხებოდა სწავლას და უნივერსიტეტს, ის ძალიან სერიოზული, მომთხოვნი და მკაცრი იყო; პატარა ბავშვივით განვიცდიდი და ვცდილობდი, რომ ჩემით კმაყოფილი ყოფილიყო.

გარკვეულ პერიოდში უნივერსიტეტს ცოტა ხნით ჩამოვშორდი და ბიზნესით დავკავდი. ერთ დღეს ის მეუღლესთან ერთად მესტუმრა და ახალსახლობა მომილოცა; ძალიან უხაროდა ეს ამბავი. მე ვუთხარი, რომ ახლა ორი სახლი მქონდა. მან პასუხად მომიგო:

– ძალიან კარგია და სასიხარულო, მაგრამ სახელიც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია; სახლი სახელთან ერთად უფრო კარგია და ახლა მიხედვით შენს დისერტაციას.

ბატონი ტარიელი ძალიან ერთგული და მეგობრული იყო. ერთხელ მითხრა:

– ვილაცები უნივერსიტეტში მისულან და შენზე ცუდი უთქვამთ.

– თქვენ რას ფიქრობთ? – ვკითხე. მან მიპასუხა:

– როგორც საკუთარ თავში ვარ დარწმუნებული, შენი ისე მჯერა... – შემდეგ დააყოლა:

– ვის გაუგონია მებრძოლი კაცი მტრის გარეშე?..

როგორც ჩვენ, ფერეიდნელები ვიტყვით, ეს სიტყვები ძალიან გულზე დამიჯდა (მესიამოვნა); სხვანაირად რომ ეთქვა, არ ვიცი, როგორ ვიგრძნობდი თავს.

ბატონი ტარიელი, რომელსაც კარგად ესმოდა ირანის ქართველთა პრობლემები, გონივრულად და დიდი სიფრთხილით ცდილობდა მათ გადაჭრას პოლიტიკური, სამეცნიერო და კულტურული საშუალებებით. მას ჰქონდა მეგობრული ურთიერთობა ირანის საელჩოსთან, ცნობილ ირანელ მეცნიერებთან და უნივერსიტეტებთან, რათა ხელი შეეწყო ირანსა და საქართველოს შორის კარგი ურთიერთობისათვის და დახმარებოდა ირანში მცხოვრებ ქართველებს.

ჩემთვის და ფერეიდნელი ქართველებისათვის ბატონი ტარი-

ელი საქართველოს სიმბოლო იყო. მასში ვხედავდით ქართულ ენას, კულტურას, სამშობლოს სიყვარულს, დაულალავ ბრძოლას ერის გაერთიანებისა და გაძლიერებისათვის, ძმობასა და ნამდვილ მეგობრობას. ის ჩვენთვის იყო სიკეთის განსახიერება, დაუშრეტელი სიყვარულის წყარო. მასში ვხედავდით საქართველოს წარსულსა და ნათელ მომავალს. მისი სიტყვისა და საქმის გვნამდა. ის უფლისგან იყო მოვლენილი, რათა ეუნყებინა, ვინ ვიყავით, ვინ ვართ და რა გვევალება ერისა და სამშობლოს წინაშე.

ბატონი ტარიელი ჩვენთვის სულიერი მამა იყო. მან შეაღწია და დაისადგურა ჩვენს გულებში და სულებში.

როგორც სიყვარული, ისე ბატონი ტარიელიც მარადიულია.

მისი საქმე უკვდავია.

ნესტან მჟავანაძე

იმ წელს საგანიც დავასრულეთ და გამოცდის შემდეგ ტკბილეულით ხელდამშვენებულნი ვესტუმრეთ დიალექტოლოგიის ინსტიტუტში. მადლობა გვინდოდა გვეთქვა დაუფიქრარი ლექციებისთვის, დღესასწაულისთვის, რომელსაც უშურველად გვჩუქნიდა.

როგორც ყოველთვის, ისე საინტერესოდ გვესაუბრებოდა, გამოსვლა აღარ გვინდოდა; მერე აიღო წყლიანი ქიქა, რომელზეც ერთ-ერთი ჩვენგანის პომადიანი ნაკვალევი აჩნდა და ღიმილით გვითხრა, ხომ ხედავთ, კვალი ყველგან რჩება, ეცადეთ ღირსეული და წარუშლელი კვალი დატოვოთ.

თვითონ ასე იცხოვრა ღირსეულად და წარუშლელი კვალით...

მარი მწყერაშვილი

ბატონ ტარიელზე ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ ახლა ამ ჩანაწერის გაკეთება მომიწევდა... არ მეგონა თქვენი მორევა თუ რამეს შეეძლო... ყოველთვის უძლეველი მეგონეთ... ჯერ

ყველას ძალიან გვჭირდებოდა, თქვენს დოქტორანტებს, თქვენს წამოწყებულ თქვენსავით დიდებულ საქმეებს და, პირველ რიგში, თქვენს დიდებულ ოჯახს, რომლის თითოეულ წევრსაც ვუსამძიმრებ ამ სამწუხარო ამბავს.

ვუსამძიმრებ მთელ საქართველოს თქვენისთანა მამულიშვილის დაკარგვას...

ყოველთვის მხნე და შემართებული იყავით... ერთდროულად მახსენდება ჩვენი ამდენწლიანი ურთიერთობის ყოველი წუთი, სადაც ყველა ლამაზია. თქვენ ყველა თქვენი სტუდენტისთვის საიმედო და საამაყო იყავით. მეამაყებოდა, ჩემი სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი რომ იყავით, ყოველთვის სტიმულს მაძლევდით კვლევისას, ყოველი კარგი მიგნება გიხაროდათ...

ბოლოს რომ დაგირეკეთ, გამიკვირდა, რომ არ მიპასუხეთ... გავიგე, ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმებულიყო... ყველანი ვლოცულობდით თქვენი გამოჯანმრთელებისთვის, მაგრამ... კოვიდ 19-მა გძლიათ მხოლოდ, უხილავმა მტერმა, ხილული ვერაფერს დაგაკლებდათ... აქაც ბოლომდე იბრძოლეთ... ტარიელისებურად, თუმცა ამაოდ...

ნათელი დაგიმკვიდროთ უფალმა ცათა სასუფეველში...

მარი ნადარეიშვილი

მქონდა ძალიან დიდი პატივი, ვყოფილიყავი მისი სტუდენტი... საგონებელში ვარ. ვიმედოვნებდი, რომ ეს კიდევ ერთი გამარჯვება იქნებოდა მისთვის და ამაზე შემდგომ სიამაყით ისაუბრებდა...

ძალიან მწყდება გული... უდიდესი ნათელი გონების მამულიშვილი დაკარგა საქართველომ, ვუსამძიმრებ ოჯახს და მთელს ქვეყანას...

დიადი ადამიანები უკვალოდ არ იკარგებიან.

ნინო ოპოლაქა

თურმე როგორ მყვარებიხართ?!

ბოლომდე მჯეროდა, რომ ვირუსი ვერაფერს გახდებოდა თქვენთან.

მიხარია, რომ გიცნობდით! მიხარია, რომ თქვენი სტუდენტი მერქვა! არასოდეს დაგივინყებთ!

ვუსამძიმრებ სრულიად საქართველოს.

გვანცა ოდიშვილი

გული მენვის...

ადამიანი, რომელმაც რწმენა და ძალა შემმატა, რომელმაც უსაზღვრო სტიმული მომცა, აღარ არის.

მრავალ ბრძოლაში გამარჯვებული, ძლიერი, ხალისიანი...

ვერც წარმოვიდგენდი, ასე თუ გამოგვეცლებოდა ხელიდან.

ძვირფასია ყველა შეხვედრა, ყველა დიალოგი, რაც კი ჩვენ შორის ყოფილა.

გული ძალიან მტკივა, დავკარგე ადამიანი, რომელსაც ყველაზე მეტად სჯეროდა ჩემი წარმატების.

უსასრულოდ მეყვარება.

ლიკა ოთინაშვილი

წერა დავინყე და წავშალე...

ისევ დავინყე და ისევ წავშალე...

არ ვიცი, წარსულში როგორ ვისაუბრო ამ ადამიანზე...

რამდენიმე წლის წინ, როცა ჩემი სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელად დანიშნა, ნანახიც არ მყავდა. დათქმულ დროს შიშით შევალე მისი კაბინეტის კარი, მაგრამ რამდენიმეწუთიანი საუბრის შემდეგ მივხვდი, რომ მისი სახით უდიდესი მეგობარი

შევიძინე. ამ დღის შემდეგ იყო უამრავი საინტერესო დღე და სა-
ოცნებო ტაოსკენ მიმავალი გზა...

ყველა, ყველა და სენმა როგორ წაგვართვა თქვენი თავი! ისევ
როგორ დავმარცხდით, სიკვდილო, შენთან ბრძოლაში?!

„მე და შენ უნდა შევფრინდეთ მეცნიერებაში“ – ეს სიტყვები
თქვენ მითხარით და დარწმუნებული ვიყავი, რომ ფრთები გა-
მომესხმებოდა. ახლა რა უნდა ვქნა(თ)?.. ნუთუ დავკარგე(თ) ეს
ჯადოსნური ფრთები?.. არ მჯერა, რომ შუა გზაზე დამტოვეთ,
რადგან მახსოვს, კლდიდან გადავარდნას ცალი ხელით გადა-
მარჩინეთ. ის ხომ უფრო რთული იყო, მაგრამ შეძელით, მრავა-
ლი ბრძოლა გამარჯვებით დაასრულეთ, ახლა რატომ მოხდა ეს?!
ჩვენ ხომ ყველამ ვიცით, რომ ბატონი ტარიელი თავის სიტყვას
ყოველთვის ასრულებს, ჩვენ ხომ თქვენგან ღალატს არ ვართ
მიჩვეულები, ჩვენ ხომ ყველა მოუთმენლად გელოდით...

ბელა პაპავა

როგორ მჯეროდა, რომ ბატონი ტარიელის მებრძოლი ბუნება
არ დამარცხდებოდა... იგი კორონამ არა მარტო ოჯახს, არამედ
სრულიად საქართველოს წაართვა... ბევრი კარგი საქმის მოთავე
იყო... მიჭირს დაჯერება...

ის არ იყო უბრალოდ ლექტორი... უბრალოება აძლევდა იმის
უნარს, რომ მე და ბევრი ჩემნაირი სტუდენტი ოჯახში არაერთ-
ხელ მივეწვიეთ...

სუფრასთან, ლექციებზე, ექსპედიციებზე, კონფერენციებზე
მის თითოეულ სიტყვაში იყო მონოდება, რომ არ მოვდუნდეთ,
ვიბრძოლოთ, მივალწიოთ, გავიმარჯვოთ... რა დიდ ენერგიას გას-
ცემდა... საკუთარ თავში უდიდეს ძალას გაპოვნინებდა, რომ შენი
წარმატება ქვეყნის სასიკეთოდ ყოფილიყო...

ასეთი გამორჩეული იყო და ამიტომაც არ მეგონა, ბევრი კარგი
ქართული საქმე შუა გზაზე შეწყდებოდა...

ღმერთმა ნათელში ამყოფოს!

მარიამ პაპაშვილი

ჩირუხ ჩამოსულა ქირისუფლად

ჩირუხ ჩამოსულა ქირისუფლად,
ქარაფს გადმოდექო, აჭარელო,
ნისლი მოგიტანე მესაფლავედ,
ჭიუხბინდიანით ვატარეო!..
ბიჭო, საფუტკრეთში გკითხულობენ,
შენი ფილტვებზე დასკდა ნაკვირტალი,
ისევ თითო ჭიქა ასნიეს და
შენთვის შემოსძახეს რამდიდარი...
მკერდზე დაიტიე სამშობლო და
დედას იფიცებდი შუახევში,
ტაო დაგინვინეს სასთუმალთან,
ფიქრად ჩაგატანეს აფხაზეთი.
სქელი ნისლი იწვა იმ დღეს მახათაზე,
ხეებს შეჭირხლული კაბის შეფერება
ისე მოხდომოდათ,
როგორც საპატარძლოს;
დედა თვალებითლა უხმოდ გეფერება.
ახლა ყველა მზერა კედელს ეხეთქება,
თითქოს წარმავალი ფთილა ღრუბელია,
როგორ შეიძლება შენ იქ მიდიოდე,
უკან საიდანაც აღარ ბრუნდებიან.
შენ ის ბიჭი ხარ, თვალეში რომ გედგა აპრილი,
და მაგ საფეთქლებს თოვლისფერი ედო ღიმილად,
ერთი იცოდე, ისევ გიცდით შემოდგომამდე,
გაზაფხულიდან ნაზამთრალზე,
დალლილ გულიდან
გადაიხვეტე
ეგ ჭალარა ფიფქის ნაფლეთი
და კვლავ გიამბობთ წარსულიდან ზღაპარ-იგავეებს,

შენ კი არ მოკვდი, ლექსად ითქვი,
ფერი იცვალე,
თითქოს აქა ხარ და კიდევაც გარდაიცვალე...
ჩირუხ ჩამოსულა ჭირისუფლად,
ქარაფ ბანი მისცა დიდოუ ნანა,
ეს რა საფიცარი ბიჭი იყავ,
ეს რა „აჭარელი იყავ განა“...
ჩირუხ ჩამოსულა ნისლიანი...

10 იანვარი, 18:20 სთ

სალო სანიკიძე

მაკლიხართ... მიყვარხართ... მუდამ მემახსოვრებით, როგორც განსაკუთრებული ადამიანი... თქვენი ნათქვამი „შვილო“... ეჰ, როგორ მომენატრება... მითხარით, „მე გამომყევი და მსოფლიო დონის ფილოლოგად გაქცევო“; განა ასე დატოვება შეიძლებოდა, ბატონო ტარიელ?!

უსაზღვროდ მტკივა უთქვენობა... ვერ წარმომიდგენია ლექცია თქვენ გარეშე; თქვენი ხუმრობა, თქვენი სითბო უზომოდ მომენატრება... მუდამ ემახსოვრებით თქვენს „გაბედულ“ გოგოს და ვეცდები ცხოვრების გზაზე ის რჩევები გავითვალისწინო, რომლებიც თქვენ ჩემთვის მოგიციათ... საუკეთესო ხართ და იქნებით მუდამ ჩემთვის...

ჩემს გულში მუდამ იცოცხლებთ.

ქეთი სვანიძე

ბატონო ტარიელ, არ მინდა, რომ დავიჯერო, როგორ მოგერი-
ათ სიკვდილი თქვენ, ასეთ ძლიერსა და საოცარ ადამიანს...

ხშირად მითქვამს, რომ ვამაყობდი თქვენით და კვლავ ვიამაყებ.

ნიწო სიღამონიქო

გული მეგლიჯება, ძალიან ცუდად ვარ, დანგრეული ვარ... ახლა ვინღა მკითხავს: „რა ხდება შენს სამყაროში?“ ვინ მომცემს მეგობრულ რჩევებს და ვინ გამომინვდის მამასავით მზრუნველ ხელს? ვცდილობ, სხვა რამეზე გადავიტანო ყურადღება, მაგრამ არ გამომდის...

მართლა ერთადერთი იყავით, ვინც უკვდავი მეგონა და უცებ... ვერ ვიაზრებ ჯერ, სიზმარში მგონია თავი... ხან ბლავილი მინდა, ხან – მოთქმით ტირილი... განათლებულობასთან ერთად, საოცრად თბილი, მზრუნველი და ყურადღებიანი იყავით...

ხან მიკვირს, სხვა უნივერსიტეტებში რომ ვხედავ ლექტორ-სტუდენტთა მშრალ, ზედაპირულ ურთიერთობებს, ჩვენს უნივერსიტეტში ძალიან თბილი ატმოსფეროა და ერთი დიდი ოჯახი ვიყავით მართლა... თქვენნაირი ადამიანები ძალიან დიდხანს უნდა ცოცხლობდნენ... კადრებად გამიეღვებს ხოლმე თქვენთან გატარებული თითოეული ლექცია, სემინარი, ექსკურსია, ექსპედიცია ან თუნდაც, უბრალოდ, დერეფანში საუბარი... მადლობა ყველაფრისთვის!.. ძალიან მეამაყებით... თქვენ არსად წასულხართ! როცა ამდენ სტუდენტს უყვარხარ, ეს სიკვდილზე გამარჯვებაცაა... მშვიდად განისვენეთ... ძალიან მიყვარხართ.

მე ტარიელ ფუტკარაძის სტუდენტი ვიყავი... ვინც იცნობდა, კი მიხვდება, რამხელა რამეს ნიშნავს და ვინც არ იცის, ვეტყვი, რომ უდიდესი სახელი და გვარია ენათმეცნიერებაში... მახსოვს, მე-3 კურსზე, ხევსურეთის ექსპედიციაში წასვლის წინ ბატონ ტარიელს ვუთხარი, მგონი, ვერ ვახერხებ წამოსვლას-მეთქი და მეხვეწა, გულით მთხოვა, რამდენიმეჯერ დამირეკა, ეგ გამოირიცხე, უთენია დაგადგებით და მაინც წაგიყვანთო; კიდევ რამდენი რალაც მახსენდება, მაგრამ სათქმელს ვერ ვუყრი თავს... მადლობა საუკეთესო სტუდენტობისთვის ყოველთვის ჩემ გვერდით იქნებით გულსა თუ გონებაში... **მიყვარხართ...**

ირაკლი სილაგაძე

გულჩამწყვეტი და ძალიან სამწუხარო ამბავი... როგორც მოსწავლეს, უმცროს მეგობარს, ძალიან გამიჭირდა ამ ამბის აღქმა-გააზრება...

ვუერთდები საუკეთესო მასწავლებლისა და მეგობრის, გამორჩეული მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის გარდაცვალების გამო გამონვეულ მწუხარებასა და ტკივილს...

ქრისტი სიჭინავაძე

ძალიან სამწუხარო და გულდასაწყვეტია, როდესაც წუთისოფელს თქვენისთანა კარგი ადამიანები უდროოდ ტოვებენ. მქონდა იმედი, ამ განსაცდელსაც გაუმკლავდებოდით და გაიმარჯვებდით, თუმცა რეალობა სულ სხვანაირად დაგვესახა.

მიხარია და მოხარული ვარ, რომ თქვენი სტუდენტი ვიყავი.

ღმერთმა დაგიმკვიდროთ ცათა სასუფეველი, დიდი დანაკლისია თქვენისთანა ადამიანის დაკარგვა ქვეყნისთვის.

ნათია სუბელიანი

სიონის კედლებთან ატუზულმა, თქვენმა სტუდენტებმა გაგაცილეთ დღეს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ!

ბატონო ტარიელ, გმადლობთ, რომ იყავით!

გმადლობთ, რომ ზრუნავდით, გიყვარდით,

ჯერ ადამიანობას და მერე პროფესიას გვასწავლიდით!

მაკა ჭარქოსაძე

სიტყვებს თავს ვერ ვუყერი, არ ვიცი, საიდან დავიწყო, მთელი დღეა, გაოგნებული ვარ და ვერაფრით ვიჯერებ ამ ამბავს...

ბატონი ტარიელი მარტო ოჯახს, სტუდენტებს თუ ნასტუდენტარებს არ დაგვიკარგავს, მთელმა საქართველომ დაკარგა, როგორც ერთ დროს – ილია, მაგრამ ისევე მუდამ იცოცხლებს, როგორც ცოცხლობს ილია!!!

რომელი ერთი ფაქტი გავიხსენო, არც კი ვიცი. პირველად ტაო-კლარჯეთის ექსპედიციაში გავიცანი, თავად რომ ხელმძღვანელობდა და გეგმავდა ყველაფერს ბევრი წელი; ბოლოს რომ მივწერე, სკოლაში დავპატიჟე საჯარო ლექციისთვის; როგორც ნამდვილი და ჭეშმარიტი მეგობარი, მაშინვე დასთანხმდა ჩემს წინადადებას...

უძლიერესი ენთიმეცნიერი, ლექტორი, პროფესორი, უამრავი ექსპედიციისა და კონფერენციის სულისჩამდგმელი, სამშობლოსა და მშობლიური ენის უანგარო მცველი და მოყვარული... არ მჯერა, რომ ჩვენ გვერდით აღარაა :(((

ბატონო ტარიელ, დიდი მადლობა ჩემს ცხოვრებაში არსებობისთვის, ბევრი წარმატებული წლისთვის, ცოდნის გაზიარებისთვის, ენათმეცნიერების სიყვარულისა და მის ფერხულში ჩაბმისთვის, ბევრი ნათელი მოგონებისთვის, შვილებს და შვილიშვილებს რომ მოვუყვები ერთ დღეს!!! თქვენ სამუდამოდ იცოცხლებთ და იჩქეებთ თქვენი სახელი!..

თქვენ კი, ჩემო საყვარელო ნათია, სიძლიერეს, სიმტკიცეს, გამძლეობას გისურვებთ!

ვიცი, ბატონი ტარიელი იქაა, სადაც მართალთა სულნი არიან დავანებულნი!...

იამჯა უშტკარაჰა

სიტყვები სათქმელს ვერ იტევს... მოუთმენლად ველოდი თქვენს გამოჯანმრთელებას, ბატონო ტარიელ, მაგრამ კიდევ ერთხელ გამოვლინდა წუთისოფლის ვერაგობა, დაუნდობლობა, ჩემო განუმეორებელი მასწავლებლო, მოძღვარო, ყოველ სტუდენტზე მშობელივით მზრუნველო.

თქვენ გვასწავლეთ, როგორ ვიცხოვროთ; მადლობელი ვარ

უფლის, რომ გიცნობდით, იმ წლების, როდესაც თქვენი ხელმძღვანელობით მივალწიეთ წარმატებებს.

ვერ წარმომიდგენია უთქვენოდ უნივერსიტეტი, ქართულის კათედრა, თქვენზე წარსულში ვილაპარაკო...

მამაო ქაპიტანო

სიტყვები არ მყოფნის და ვერ ვიჯერებ...

ბატონი ტარიელი ისეთი ადამიანია, რომ სიკვდილის შემდეგაც განაგრძობს სიცოცხლეს!

ვუსამძიმრებ ოჯახსა და მთელ საქართველოს...

ვწუხვარ, რომ ვერ ნაიკითხავს ჩემს შეტყობინებებს; ვფიქრობდი, გამოჯანმრთელების შემდეგ ნახავდა, არც კი მიფიქრია ასეთი დასასრული...

მუდამ მეყვარებით და მემახსოვრებით!..

მუდამ იამაყებთ ჩემით!...

ქეთი ქათამაქი

დღეს ვემშვიდობებით ამ საოცარ ადამიანს.

ტაოში ყოფნის დროს ჩვენს ერთ მეგობარს მამა გარდაეცვალა. რა თქმა უნდა, ბატონმა ტარიელმა პირველმა გაიგო. სუფრასთან ვისხედით, როცა ღვინო ჩამოასხა და სადღეგრძელო უნდა ვთქვაო. მძიმეა, მაგრამ მაგრად უნდა დადგეთო და ჩვენს მეგობარს სამწუხარო ამბავი უთხრა. ჭიქა ხელში ააღებინა და შენი ვაღია ხსოვნა თქვა, ღმერთის ნებას ვერ შეცვლიო.

გოგოებს ცრემლი წასკდათ. მის გვერდით ვიჯექი, დავმუხჯდი, ხმა ვერ ამოვიღე. მხარზე ხელი დამადო, შენი ჯერიაო. სიტყვებს ძლივს ვამბობდი, მაგრამ სადღეგრძელო ვთქვი, ბოლომდე დავლიე და დავჯექი. მეორე დღეს მითხრა, იმ ცრემლებზე დიდი საქმე გააკეთეო; ძლიერი გოგო ხარ და არ მეგულება გაჭირვე-

ბა, რომ ვერ გადალახავო; მიხარია, რომ დათოს გვერდით ხარ და იცოდე, მისია გაკისრიაო; დათოს პირველი ხელშემწყობი შენ უნდა იყო და ვიცი, ღირსეულ მეგზურობას გაუწევო.

მერე ნეფთის ციხეზე პირველი ადამიანი იყო, ვინც ჩვენ ორნი ერთად დაგვლოცა; მე ყველაზე მნიშვნელოვანი ფასეულობების გააზრებაში დამეხმარა.

მიყვარხართ...

მადლობელი ვარ...

მიხარია, რომ თქვენი მოსწავლე ვიყავი...

უფალმა დაგიმკვიდროთ სასუფეველი, სადაც მართალნი განისვენებენ...

ანანო ქარლავა

უზომოდ სამწუხარო ამბავია ბატონი ტარიელის გარდაცვალება, ძალიან მიჭირს დაჯერება... იშვიათად შევხვედრივარ მისნაირ სისოცხლის სიყვარულით სავსე ადამიანს, ღმერთმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი...

ბედნიერი ვარ, რომ მისი სტუდენტი ვიყავი, საუკეთესო ლექტორი და პიროვნება იყო. ახლა მხოლოდ მარადიული მოგონებები დარჩება ჩვენს მეხსიერებაში მასზე... თანაუგრძნობ მის ოჯახს, კოლეგებს და სტუდენტებს...

სოფიო ყაულაშვილი

ჩემო ძვირფასო მასწავლებლო, ყველასაგან გამორჩეულო, მრავალმხრივ მისაბაძო და სამაგალითო ადამიანო, ვიცი, ძალიან გამიჭირდება თქვენ გარეშე, ძალიან!..

მართალია, ძალზედ ხანმოკლე აღმოჩნდა ჩვენი ნაცნობობა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ბევრი რამის მომცემი იყო და მასწავლებელი თითოეული შეხვედრა და საუბარი თქვენთან...

თქვენში არსებული ნრფელი სიყვარული, სიკეთე, პატიოსნება,

ზნეობა, რწმენა უშურველად იღვრებოდა თქვენგან და მრავალთა გულებში აღვიძებდა და აღმოაცენებდა იმავე სათნოებებს...

თქვენი მამობრივი მზრუნველობა გვამხნეებდა და ძალას გვმატებდა კეთილად სამოღვაწეოდ...

თქვენი შემართება და საოცარი ბრძოლისუნარიანობა ჩვენს გულებსაც აღანთებდა საბრძოლველად – პიროვნული თუ ეროვნული ღირსებებისა და ფასეულობების დაცვისათვის საბრძოლველად...

მადლობა იმ სიყვარულისათვის, რწმენისათვის, იმედისათვის, გამბედაობისათვის, რომელიც გააღვივეთ „პირადად“ ჩემში!..

მადლობელი ვარ უფლისა, თქვენთან ურთიერთობა რომ მიწყალობა!

მწამს, რომ ზეციური საქართველოს წიაღიდანაც იღვანებთ ჩვენთვის, მანდედანაც იზრუნებთ ჩვენზე და შეგვეწევიტ ძალისაებრ თქვენისა...

მომავალ შეხვედრამდე, ბატონო ტარიელ, დიდო ადამიანო, უფროსო მრჩეველო და მეგობარო ჩემო!..

უფალს ებარებოდეთ!..

„დიდის კარის წინ
განვვლე გზა გრძელი,
ბნელი და ძნელი
და მივალწიე იმ დიდს კარის ბჭეს,
სითაც ცხოველ არსს
ამა სოფლის კარს
გზა აღარა აქვს უკუ დაბრუნდეს;
სადაც წინ გვიძევს
და სითაც გვინწევს
თავის წიაღში იგი ცხოვრება,
სად ნაცვლად მზისა
ჰნათს სხივი ღვთისა,
სად სუფევს მხოლოდ ჭეშმარიტება!

მიველ კარს დიდსა,
ველი ჩემს რიგსა,
სოფლისგან გულით დაწყლულებული, –
რაც მე გამტანჯა
და რაც დამსაჯა,
მასა გრძნობს შენი ეგ წრფელი გული.
სხვას არას ველი;
არავის ვწყევლი,
თუმცა ამ სოფელს არცა რას ვლოცავ;
მაგრამ კი შენთვის
და სამშობლოსთვის
იმ დიდს კარს წინა ცრემლით ვილოცავ!“ –
თქვენი თავი გამახსენა ამ 1889 წელს დაწერილმა ლექსმა ვახ-
ტანგ ორბელიანისა, ბატონო ტარიელ...

ვიცი, რომ სადაც ახლა იმყოფებით, მანდაც ადამიანისა და
სამშობლოს კეთილდღეობისათვის ზრუნავთ, ზრუნავთ ისე, რო-
გორც ზრუნავენ მანდ მყოფნი – ვგრძნობ, როგორ ლოცულობთ
„ჩემთვის“ და „სამშობლოსთვის“...

თქვენ დამაფიქრეთ, რაოდენ ღირებული უნდა იყოს სააქაოში
მცხოვრები ადამიანისათვის ის, რომ მისთვის უმთავრეს ფასეუ-
ლობას წარმოადგენდეს: ღმერთი, სამშობლო და ადამიანი...

დიახ, თქვენთან ურთიერთობით იმაზე მეტად შემეყვარდა
ღმერთი, სამშობლო, ადამიანი, ვიდრე მანამდე, თქვენს გაცნო-
ბამდე მიყვარდა...

დიახ, თქვენ ბევრი რამ მასწავლეთ, მაგრამ სიტყვებით კი არა,
მტკიცე, შეუვალ რწმენაზე დაფუძნებული საქმით და, ამგვარად,
რწმენის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზეც დამაფიქრეთ!...

დიახ, თქვენ დამაფიქრეთ ღმერთზე, სამშობლოზე, ადამიანზე
არა სიტყვით, არამედ თქვენში არსებული დამოკიდებულებით
მათდამი და ამ დამოკიდებულებიდან მომდინარე თქვენი საქმით!

მადლობელი ვარ უფლისა, თქვენთან რომ შემახვედრა სააქაოში!
მადლობელი ვარ თქვენი, კიდეც ბევრი რამის გამო...

ძალიან მიხარინხართ!...

თამთა შავიანიძე

„პატიოსანი ფიქრით ცხოვრება არის ბედნიერების საფუძველი“ – ამას გვასწავლიდა პირველივე ლექციიდან. საუკეთესო მეგობარი, ლექტორი, ქვეყნის ტკივილს პირველი რომ გრძნობდა... ამაყი ვარ, რომ ბავშვობიდან ვიცნობდი...

მე მჯერა, რომ „სანამ ცოცხალი ხარ, არ მოკვდები და თუ მოკვდი, მერე, აბა, რისილა უნდა გეშინოდეს. სიკვდილს იქით ხომ კიდევ უფრო დიდი სიცოცხლეა...“

მარიამ შალაგზირიძე

ბატონი ტარიელის გამოცდა მქონდა; ყველაფერი, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად ვისწავლე. გამოცდის დღეც დადგა, დავწერე, კმაყოფილი გამოვედი გამოცდიდან. ერთი-ორი დღის შემდეგ ბატონი ტარიელი გვიბარებს თავის კაბინეტში, საგამოცდო ფურცლები მაგიდაზე ეწყო. ჩემი ნაწერი ვიცანი და ვუთხარი, ჩემია-მეთქი. 1 ქულა მაკლდა უმაღლეს შეფასებამდე; გაიკვირვა, რაში დაგაკელიო, გადავხედავ ახლავეო. გულმოდგინედ გადაიკითხა და თურმე თავსართებისა და ბოლოსართების გამოყოფა დამეინწყებია. სხვა ყველაფერი კი, როგორც თვითონ თქვა, უშეცდომოდ მეწერა. გამომხედა და მითხრა, შენ ძალიან კარგი გოგო ხარ, ამ შეცდომის გამო 1 ქულას არ დაგაკლებო და უმაღლესად გადამიკეთა...

ძალიან დიდი დანაკარგია მთელი ქვეყნისთვის... „თქვენ, ყველა ერთად, ჩემთვის ხართ დანშენდილი ბედნიერების მდინარეების შემქმნელი ანკარა ნაკადულები“...

ჩვენთვის მეორე მამა იყო, თუ რამე გაგვიჭირდებოდა ან დაგვჭირდებოდა, მუდამ ბატონი ტარიელის კაბინეტისკენ მივიჩქაროდით და ისიც, რა თქმა უნდა, მუდამ გვეხმარებოდა. ასეთი მზრუნველი და თბილი იყო ყველასთვის.

არ ვიცი, რა ვთქვა; სიტყვები არ მყოფნის... ეს იყო საოცარი

ადამიანი – უთბილესი, პოზიტიური, მხიარული, ღია, მეგობრული. ყველა უყვარდა, მასთან ვერ მოიწყენდი ვერასდროს; მისი ლექციები მუდამ საინტერესო იყო...

ვერ ვიჯერებ, რომ დაგვტოვებ და ეს საშინელი ბრძოლა ამ ვირუსთან წააგებ... არ ვიცი, სიტყვები არ მყოფნის...

ღმერთმა დაგიმკვიდროთ ცაბა სასუფეველი... ბედნიერი ვარ, თქვენი სტუდენტი რომ ვიყავი; გვიყვარხართ, უფალმა გაანათლოს თქვენი სული.

დავით შანიკა

ეს ის მდგომარეობაა, როცა ყველაფერი ღამაზ მოგონებად იქცევა და გახსენება სიცილ-ტირილს გგვრის ადამიანს. ჩვენი 5-წლიანი ნაცნობობისა და მეგობრობის განმავლობაში მჯეროდა, რომ ბუნებაში ვერაფერი იქნებოდა თქვენზე ძლიერი. ყველას ძალიან გვჭირდებოდა და ძალიან დაგვაკლდებოდა. წელს დაბადების დღის მილოცვა საავადმყოფოდან გამომიგზავნეთ, მალევე გიპასუხებთ, მაგრამ ჩემი სურვილი უპასუხოდ დარჩა.

თქვენ დღეიდან უკვდავებას ეზიარეთ. თქვენი სახელი სააქაოს, სული კი საიქიოს პოვებს მარადიულობას. ვიზიარებ ოჯახისა და ერის მწუხარებას. ჩვენ ყოველთვის თქვენი სიყვარული გაგვაერთიანებს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი უკვდავი და მებრძოლი სული.

მიყვარხართ. ოღონდ გაგემარჯვათ და მოურიდებლად გეტყოდით!

ლელა შარვაში

სიტყვები: „მეწყინა“... „მეტყინა“... ბატონი ტარიელის წასვლის აღსაქმელად უმწნეოა, მით უმეტეს, ჯერ 40 დღეც არ გასულა კოვიდის გამო ძვირფასი ღიას დაკარგვის შემდეგ...

ღმერთო, თურმე რამდენის გაძლება შესძლება გულს!.. ცრემლები მაქსიმალურად ვიკავე, თუმცა მთელი ღამე გატყდა ცრემლნასკდომებით და სინანულით, რომ ბატონ ტარიელს, საოცარ ენთუზიასტსა და დიალექტებში ციციანთელებად შემორჩენილი ფოლიანტების სხვებთან ერთად ამკინძველ მექართულეს, ვანყენინე, ძალიან ვანყენინე შეთავაზებაზე უარის თქმის გამო...

მწარედ მახსოვს, 1994 წელს რექტორის კაბინეტამდე როგორ გამომარჩია და მიმიყვანა მე, მსხვერველადი, არამყარი, დღემდე უსუსური. მახსოვს მისი ღრმად ცისფერი თვალებიდან წამოსული გაოცება, გაბრაზებამდე მისული... ოცი წლისაც ძლივს ვიყავი და საკუთარ თავზე ისეთი წარმოდგენა რატომ უნდა მქონოდა, როცა მოადგილეობა, დიალექტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეობა შემომთავაზა...

მისი კოლოსალური ენერგია მუდამ ყველას აოცებდა, გვაოცებდა და ლეგენდარული ბესარიონ ჯორბენაძის გაზრდილის შემართება და მიზნები. მე მისთვის მოსაწონს როგორ შევძლებდი... არადა, მერე რამდენჯერ ამოვიდოდი მეოთხე სართულზე თქვენთან, როგორ ფუსფუსებდით სიმპოზიუმებისათვის, იმ გაყინულ წლებში ფეხდაფეხ როგორ მიმოიარეთ იმერეთი, როგორ მიხაროდით, როგორ მიხაროდა, თვითონ ბატონი ტარიელი კი არდამთავრებულ ჩუმი საყვედურის ნიშნად როგორ შემეკრავდა წარბებს...

ძვირფასო ლუი, ეკა, მაია, ლილი, რამაზ, გოდერძი, ბატონო ემზარ, ვიცი თქვენი ტკივილი, მაგრამ თქვენ სახენათელნი ჭირისუფლობთ მას, მე კი ათწლეულების სინანულს ეს თუ მეწერტილებოდა, წარმოდგენაც მიჭირს...

შენდობას ვითხოვ, ბატონო ტარიელ... და ისუნთქეთ, მეგობრებო, გთხოვთ, ისუნთქეთ!

მარი შილაკაძე

როცა გავიგე თქვენი მძიმედ ყოფნის შესახებ, იმ ღამესვე დამესიზმრეთ, გადმომეცით ნიგნი და ვისაუბრეთ! ისეთი ბედ-

ნიერი იყავით და ხმამალლა იცინოდით, რომ ვერ გაგაჩერეთ და ნახვედით! ვიცი, რომ ბედნიერი ბრძანდებით!

ჩემს გულში ყოველთვის დარჩებით, როგორც ღირსების ეტალონი! მე ხომ თქვენგან ვისწავლე სტუდენტების უპირობო სიყვარული... ვერ ვგრძნობ და ვერც ვიგრძნობ, რომ სადღაც შორს ხართ, ზუსტად ვიცი, რომ ისევ ჩვენთან ბრძანდებით!

სოფო ჩავიკა

განსაკუთრებულად კარგი ადამიანი, ჩემი ლექტორი... საზოგადო მოღვაწე, ნამდვილი პატრიოტი დაკარგა საქართველომ. ვერ ვიჯერებ, ბატონო ტარიელ... ვნუხვარ და ძალიან მატკინეთ გული...

თვალწინ გაირბინა ჩვენმა ექსპედიციებმა... ზესხო... ცანა... შავი და თეთრი უცნობი... ო, როგორ არ მინდა დავიჯერო...

არ ვიცი, ნათი, რა გითხრა... თანაგიგრძნობთ მთელი გულით. ბატონი ტარიელი მხოლოდ ოჯახს არ დააკლდა, ის საქართველოსაც დააკლდა.

ნინო ჩილოშვილი

ცუდი სიზმარი მგონია, იმდენად მიჭირს დაჯერება, რომ აღარ ხართ, ველარასოდეს გვეტყვით: „რა ხდება თქვენს სამყაროში?“ ...რამდენი მოგონება დაგვიტოვებ...

გულისტკივილით გემშვიდობებით, ბატონო ტარიელ, გამორჩეულო მასწავლებლო. თქვენს სტუდენტებს ყოველთვის გვემახსოვრება თქვენი პროფესიული და ცხოვრებისეული რჩევები. მადლობა ყველაფრისათვის.

შორენა ცაბაძე

ვეძებ სიტყვებს და ვერ ვპოულობ...

ვერ ვპოულობ, რადგან ის, რასაც განვიცდი, ვერასდროს შევძლებ გადმოვცე. ვიცი, რომ თითოეული ამას გრძნობს, მაგრამ სწორედ ისაა ყველაზე ტკბილი და ღვთიური, რისი გამოთქმაც მინდა და არ გამომდის... ან სულაც – სათქმელის გახუნება სიტყვებით „არც გამოდის“...

თქვენ საუკეთესოდ გესმოდათ (არა, ასე არ შემიძლია), გესმით ყოველთვის, რაც გვაქვს სათქმელი და რაც გვრჩება უთქმელი, გვიჩვენებთ გზას (არაერთხელ გითქვამთ, არსებობს ერთადერთი გზა, რომელიც მხოლოდ წინსვლააო), ბევრი რამ გვასწავლეთ და მომავალშიც ბევრს გვასწავლით; თქვენს ნაკვალევზე სიარული უდიდესი პასუხისმგებლობაა და ღმერთს უნდა ვევედროთ, რომ მოგვცეს ამის უნარი, მოგვცეს ძალა, რომ ღირსეულად ვატაროთ თქვენი მოსწავლის სახელი.

უფალს ძალიან ვყვარებივართ, რადგან თქვენკენ მომავალ გზაზე დაგვაყენა.

მუდამ ჩვენთან იქნებით, ისევ დაგვეხმარებით, ისევ გვასწავლით...

...ახლაც ჩვენზე ზრუნავთ, ის ახალი გზა, რომელსაც დღეს დაადგებით, ვიცი, რომ კუთვნილ დროს თითოეულ ჩვენგანს თქვენგან გაკვალული დახვდება.

მიყვარხართ,
გმადლობთ,
ნახვამდის!

ანგელოზთა დასი დასჭირდებოდა თქვენი კეთილი საქმეების ჩამოთვლას, ბატონო ტარიელ!

ცხოვრობდით პატიოსანი ფიქრებით და ეს ფიქრები თქვენი ბედნიერი ცხოვრების საფუძველი კი არ იყო მხოლოდ, ჩვენი საინტერესო და ბედნიერი ცხოვრების საფუძვლაც აქციეთ...

მნამს სულის მარადიულობის, სახელის უკვდავყოფის, ყველა-ფრის მნამს და მჯერა...

მაგრამ, ვიცი, რომ ყველა ამქვეყნიური სივრცე, რომელშიც თქვენ თუნდაც გაგივლიათ, სრულყოფილი აღარ /ველარ იქნება!..

სოფო ცერცვაძე

„სიცოცხლე უნდა ქარიშხალს ჰგავდეს, მეხის გავარდნას ჰგავდეს სიკვდილი“...

ტაო-კლარჯეთი ჩემს გონებაში თქვენ გიკავშირდებათ (ვინღა აიყვანს სტუდენტებს არტანუჯზე)...

გამიმართლა, რომ გიცნობდით. რამდენი რამ ვისწავლე თქვენგან...

გამორჩეული პიროვნება და ლექტორი (სტუდენტების მეგობარი), მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი დეპუტატი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი... საქართველოს დაკლდებით...

უფალს ებარებოდეთ, ბატონო ტარიელ!

ანი ცუხიშვილი

მე ვერ დაგინეროთ გამოსამშვიდობებელ წერილს, არ შემიდრია... ვერც სამშობლოს წინაშე თქვენი ღვაწლის გადმოცემას შევეჭიდები...

ტარიელ ფუტკარაძის ხსენება და უამრავი ამბავი მიტივტივდება გონებაში... აქ მცირედით შემოვიფარგლები...

როგორც მოგეხსენებათ, მას ყველა სტუდენტთან განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს (ჰქონდას არ ვიტყვი!), არც მე ვყოფილვარ გამონაკლისი... ამის გამო ჩემი მეგობრები (კურსელები) ხუმრობით „ბიძაჩემს“ ეძახდნენ. ერთ ისტორიას გავიხსენებ...

ერთხელ მის კაბინეტში ვარ და მეუბნება, მინდა შენი მშობლები გავიცნო და მადლობა ვუთხრაო... დავფიქრდი... და მერე ხართით ვუთხარი, მაშინ დაგპატიჟებთ ჩემთან, საჩხერეში; თუკი მესტუმრებით, ძალიან გამახარებთ-მეთქი. სიამოვნებით მიიღო დაპატიჟება, დავგეგმე და 2018 წლის 10 თებერვალს „ბიძაჩემად“ წოდებული ბატონი ტარიელი და ჩემი სამი მეგობარი გამოემართნენ საჩხერისკენ. წინა დღით ვეკითხები, რამე ხომ არ შეიცვალა-მეთქი? ჩვეული სხარტი პასუხი მომცა: „საჩხერე თუ ადგილზე დავგვხვდება, მანდ ვარ“.

მთელი ღამე არ მიძინია ნერვიულობით, ასეთ განსაკუთრებულ სტუმარს ველოდებოდი... ეს რომ გაიგო, მითხრა, მე სტუმარი არ ვარ, ამიტომ არ უნდა გენერვიულო. ასეთი უშუალო იყო და ასეთად დარჩება მუდამ. ვისადილეთ, ვისაუბრეთ, საღამოს ნარდიც ვითამაშეთ. თამაშის წინ მეხუმრა, იქამდე ვითამაშოთ, სანამ მე არ მოვიგებო... თუმცა, რიცხვი დავთქვით... საკმაოდ კარგი წინააღმდეგობა გავუწიე, მაგრამ ბოლოს მაინც ერთი ქულით მომიგო... მერე ვეხუმრებოდი, სტუმარი ხართ და აბა, ხომ არ განყენინებდით-მეთქი?! (არა და არაფრის დამთმობი არ ვიყავი.) ყოველთვის ვამაყობდი და ვიამაყებ, რომ ერთი დღით მაინც ვიყავი ასეთი დიდებული, ისტორიული პიროვნებისა და საზოგადო მოღვაწის მასპინძელი...

მეორე დღეს, როცა მიდიოდა, თურმე ჩემი მშობლებისთვის უთქვამს: „მადლობა კარგი შეილის გაზრდისთვის (თავს არ ვიქებ)... თუ ნებას მომცემთ, ვიშვილებ... ისე მივხედავ, როგორც ჩემს საკუთარ შვილს“.

მართლა ასე იყო, მთელი ამ წლების განმავლობაში ვგრძნობდი მის ყურადღებას, ყოველთვის მიმალვებდა მოტივაციას, თავდაჯერებულობას მმატებდა, რალაცებს მავალვებდა და თავს საჭირო ადამიანად მაგრძნობინებდა... ხალხს ეუბნებოდა ჩემი შვილობილიაო (თან მერიდებოდა)... და მეც, მართლა ვთვლიდი თავს მის შვილადაც. სწორედ ამიტომ მივულოცე დაბადების დღე წერილით „ლექტორ-სტუდენტობიდან მამა-შვილობამდე“...

უზომოდ მიყვარხართ და მტკივა...

ბოლოს, პირადად, გასული წლის მარტში ვნახე, უნივერსიტეტში ავედი მისი თხოვნით... იქიდან წამოსვლისას მეკითხება, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოხვედი? – კი-მეთქი... კარგი, აქედან მე წაგიყვან, ჩემ გამო მოხვედი აქ და ტრანსპორტით მგზავრობა საშიშია, კოვიდია (მძულს ეს სიტყვა!), ამიტომ სახლამდე მიგიყვანო (უარი არ გამივიდოდა).

...გზაში ვსაუბრობდით და ხუმრობით მითხრა: „სიახლეების ზღვა ვიყავი შენთვისო“, გამელიმა, მართლა ასე იყო... ამ „ზღვაში“ „ცურვასაც“ მასწავლიდა და თუ მჭირდებოდა, „სამაშველო რგოლის“ ფუნქციასაც ასრულებდა... მემამაყებით!..

უამრავ რჩევა-დარიგებას ვიღებდი მისგან... ხშირად ვეუბნებოდი მადლობას, რის გამოც სულ მსაყვედურობდა. განსაკუთრებულად მიყვარდა მასთან საუბარი, მისი ნახვა, რადგან ყოველთვის დადებით ემოციას გასცემდა...

ყველასთვის გამონახავდა დროს და უპასუხებდა, თუკი რამე აინტერესებდა (ეს ყოველთვის მიკვირდა, ამდენი საქმის პატრონი ყველასთვის როგორ იცლიდა); დიდთან – დიდი, პატარასთან – პატარა; კეთილი, მზრუნველი, გულწრფელი, პატრიოტი, ღირსეული... ყველაფრით გამორჩეული იყავით, ჩემო ძვირფასო მასწავლებელო, უფროსო მეგობარო და, უბრალოდ, დიდებული ადამიანი... ამდენ გულწრფელ, უანგარო სიყვარულს და ცრემლს ვინ დაიმსახურებდა თქვენ გარდა?! ყველას ძალიან გვტკივა გული, გვიჭირს და გაგვიჭირდება უთქვენოდ, ამიტომ არც მანდედან მიგვატოვოთ!..

მე კი შევეცდები ისე ვიცხოვრო, როგორც თქვენს მოწაფეს შეეფერება!.. ყოველთვის იქნებით ჩემს გულში, თქვენი ნამოღვაწარი კი თაობიდან თაობას გადაეცემა და ამით მარადიულად იცოცხლებს ტარიელ ფუტკარაძის სახელი.

მახათაზეც ვერ დავემშვიდობე, უბრალოდ, ვუთხარი, როგორც ადრე, „მომავალ შეხვედრამდე, ჩემო მეგობარო-მეთქი“...

ხშირად მოგაკითხავთ ხოლმე სამუდამო განსასვენებელთან და გიპასუხებთ კითხვაზე: „რა ხდება ჩემს და ზოგადად სამყაროში“.

მშვიდად განისვენეთ, ჩემო ძვირფასო, ბატონო ტარიელ!

„სიკვდილს იქით ხომ უფრო დიდი სიცოცხლეა!..“

თქვენ ყოველთვის ღირსეულად და სიმართლით ცხოვრობდით! უღალატო ადამიანი იყავით, ხართ და იქნებით!..

დიახ, ეს სიტყვები ასი წლის მერე უნდა თქმულიყო თქვენზე, მაგრამ უდროოდ ნახვედით ამქვეყნიდან უხილავი მტრის წყალობით!

ასე არაფერს დაუნყვეტია გული ჩემთვის, როგორც თქვენმა ნასვლამ დამწყვიტა!

იმდენი მოგონება დამიტოვეთ, სიცოცხლის ბოლომდე მეყოფა!

მარად ღიმილიანი და სიცოცხლით სავსე მემახსოვრებით, ჩემო უფროსო მეგობარო და მასწავლებლო!..

„პატიოსანი ფიქრით ცხოვრება არის ბედნიერების საფუძველი!“ (ტ.ფ.)

თქვენ ყოველთვის ღირსეულად და სიმართლით ცხოვრობდით! უღალატო ადამიანი იყავით, ხართ და იქნებით!..

უზომოდ მტკივა გული!

შორენა ნიზნაძე

ბატონო ტარიელ, თქვენ ყველას ტკივილად იქეცით.

მადლობელი ვარ იმ დახმარებისთვის, რომელიც თქვენ თელავიდან გადმოსულ დოქტორანტებს გაგვიწიეთ, თქვენი ყველა ლექციისთვის, იმ სიტბოსა და სიყვარულისთვის, რომელიც ჩვენ გვაჩუქეთ...

ფიქრია ჭანტურია

...ვერა... არ შემიძლია, თქვენთან ერთად გამოვიჩნდე სურათზე ბედნიერი და იმედიანი მზერით... რამდენჯერ მიხსენით, რამდენჯერ გადამარჩინეთ, მე კი არაფერი გავაკეთე, რომ კიდევ

დიდხანს ყოფილიყავით ამ სამყაროში; რომ კიდევე ბევრი კეთილი საქმის კეთებით ყოფილიყავით ბედნიერი... მე რიგიანად ისიც კი არ გითხარით, როგორ ძალიან მიყვარხართ... მეგონა, ეს სიტყვა ვერ იტყოდა სათქმელს... მეგონა, თქვენთან კიდევე მრავალწლიანი ურთიერთობით გავიხარებდი... ესაა ტრაგედია – უცებ სამყარო რომ დაგიპატარავდა, კვდები, ისე გინდა, ეს საშინელი მდგომარეობა შემოიგლიჯო, მაგრამ არაფერი იცვლება... საღისერტაციო ნაშრომის თემა შევარჩიეთ და ნახვედით... ესაა, „გითამადებო“, რომ შემპირდით?! თქვენ ხომ ყოველთვის ასრულებდით პირობას! ეს სურათი მართლაც... „შეჩერებული წამია“, არა – დაგეგმილი, არა – ხელოვნური... როგორ მინდა, ახლაც ასე შემომცინებდეთ თვალებში, როგორც ამ „წამის დაჭერისას“... ვიცი, რომ ბევრი შეცდომა და უმეცრება მაპატიეთ, მაგრამ მე ვერ ვაპატიებ საკუთარ თავს...

მადლობა, რომ ვიყავით საუკეთესო მეგობრები... მადლობა, რომ ესოდენ ძვირფასი და თქვენთვის თურმე მცირე დრო არავისთვის გენანებოდათ... რომ არავინ გეზედმეტებოდათ და არავის ტოვებდით გულდანყვეტილსა და სევდიანს... ეს სურათი თავადაც გიყვარდათ და, აჰა, ვაქვეყნებ კიდევაც! არასდროს დავივიწყებ, რაც მასწავლეთ! ახლა... ახლა მხოლოდ ღმერთი გვიყვარს ღმერთივით, თქვენ კი... თქვენ ჩვენი სიყვარულის საერთო, უდიდეს, უძვირფასეს აბსტრაქციად გარდაისახეთ...

მადლობა, რომ საყვარელი ადამიანები გამაცანით და დამამეგობრეთ მათთან... ძალიან მიყვარხარ, ძვირფასო ფუტკარო! სურათზე, მარცხნიდან: პროფესორი მაია მიქაუტაძე, პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე, პროფესორი ეკა დადიანი.

წინა ჟღერები

ვუსამძიმრებ ერს და ოჯახს ამ ტრაგედიას... ვერ ვიჯერებ, ჩემთვის ბატონი ტარიელი სიცოცხლესთან ასოცირდებოდა; ვიზიარებ, არ ვიცი რა ვთქვა...

თაო ჭულუსაჲ

თავდაპირველად ჩემი ლექტორი იყო, ბოლო წლებში ჩემი უფროსი მეგობარი გახდა... მშობელივით ზრუნავდა ჩემზე...

სასწაულად დაგაიმედებდა და ხელს გამოგიწვდიდა...

2003 წელს სწორედ მისი წყალობით მოვინახულე საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე – სვანეთი და გამაცნო, დამამეგობრა უაღრესად კეთილშობილი ადამიანები...

10 დღე ზღაპარში გვაცხოვრა 40-მდე ადამიანი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოგონებები დაგვიტოვა...

მამაც მისი ასაკის იყო, რომ წავიდა და დამტოვა 2 წლის წინ... ძნელი ყოფილა უმამობა...

ნათია, ზუსტად ვიცი, ახლა რას გრძნობ და ისიც ვიცი, დრო რომ ვერ ანელებს ტკივილს... უნდა იფიქრო შვილებზე და უნდა გაძლიერდე...

ბ-ნო ტარიელ,

უნივერსიტეტში შეხვედრას რომ დამპირდით, რატომ დამალაღატეთ?!

განისვენეთ მშვიდად...

თქვენ იმდენი რამ გააკეთეთ და მოასწარით, რამდენიმე ადამიანს რომ ეყოფა მთელი ცხოვრება...

მშვიდობით...

ნინი ხატიაშვილი

პირველად უნივერსიტეტში როცა მოვედი, თქვენ შემეგებეთ, გამიცანით და მას შემდეგ ერთად მოვდივართ; თქვენი სახით მე საუკეთესო ლექტორი და ადამიანი გავიცანი, ყოველთვის სხვანაირად გამორჩეული იყავით ჩვენი კურსის სტუდენტებისთვის, სხვანაირი მეგობრობა და ურთიერთობა გვქონდა.

მე ყოველთვის, თუ რამე მიჭირდა, თქვენთან მოვრბოდი, რადგან ვიცოდი, ბატონი ტარიელ ფუტკარაძე დამეხმარებოდა. თქვენი ამაგი ჩემზე ძალიან დიდია, არასდროს, არასდროს დამა-

ვინცდებით.

ზაფხულში გითხარით, სულ სხვანაირად გაგიცანით და მივხვდი, როგორი საოცარი ლექტორი მყოლია... არასდროს დამავინწყდება ჩემთვის გაკეთებული უამრავი სიკეთე...

ვამაყობ, რომ თქვენი სტუდენტი ვიყავი...

ძალიან მიჭირს, ასე რომ მიწევს დამშვიდობება...

უფალმა აცხონოს თქვენი სპეცაკი სული...

თონა ჯალალონია

ეს ვიდეო-კოლაჟი ასახავს 2015 წლის ტაო-კლარჯეთის ექსპედიციას. აქ იუმორშერეული სიმღერით ისიც ჩანს, თუ როგორ გადაგვარჩინა ბატონმა ტარიელმა მე და ჩემი მეგობარი სიკვდილს თუ არა, რაიმე სახის დაზიანებას მაინც.

აგვისტოს თვეში თოვლის ნახვით აღფრთოვანებულნი, გავთამამდით და ხელჩაჭიდებულნი დავემვით თოვლიანი ფერდობიდან, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან, დაახლოებით, 2900 მეტრია (წარმოიდგინეთ დაშვების სიმძლავრე; რისი იმედი გქონდა, არ ვიცი). ვერ შევიკავეთ თავი, თოვლში, მოგეხსენებათ, როგორი რთულია, თან რომელი გამოცდილი მოციგურავეები ჩვენ ვიყავით... ქვევით კი წვეტიანი ქვები და ლოდები გვიცდიდნენ, თუმცა ბატონი ტარიელი რისი ბატონი ტარიელია!.. – დაგვიჭირა (როგორ, რანაირად, დღემდე ვერ ვხსნი) ორივე ერთად ისე, რომ ერთი ნუთითაც არ დაფიქრებულა საკუთარ სიცოცხლეზე (ეს, ალბათ, ნიჭია, რომელიც მხოლოდ ერთეულებს უბოძა უფალმა). ყოველგვარი დაზიანების გარეშე გადაგვარჩინა, თვითონ კი ერთი თვე ჩამავებული ჰქონდა თვალი (ახლა ადვილია ამის თქმა, მაგრამ რა განვიცადე, ახლაც მახსოვს)... კიდევ აქეთ გვამხნეებდა...

აქ, მგონი, მეტის თქმას აზრი არ აქვს, ისედაც ყველაფერი ნათელია; ბოლოს, ჩემი მეგობრის სიტყვებს გავიმეორებ: „იქ, სადაც ბატონი ტარიელია, ნურაფრის გეშინიათ!..“

ნათია ჯიშველიძე

ჩვენ ცუდი ჟამი დაგვიდგა, ჩემი სახელის და მამის ბედის თანამოზიარე მეგობარო, ჩემო ნათია, ორივე დავტირით ძვირფას მამებს, ერთი სენით დალუბულებს...

ვიზიარებ მწუხარებას ბატონი ტარიელ ფუტყარაძის გარდაცვალების გამო.

ვუსამძიმრებ ოჯახს და საქართველოს.

ენათმეცნიერების დიდი დანაკლისი, მაგრამ მისგან დიდი და-ნატოვარი ნაშრომების მემკვიდრეობის სახით.

ელისო ჯიქია

დილიდან თითქმის ყველა მოგონებას, გულისწყვეტას, სამძიმარს ვკითხულობ და ისევ იმ აზრზე ვარ, ვერაფერმა დაგამარცხათ!

თქვენი დიდი ენერგია, დიდი სიკეთე და სიყვარული, ცოდნა და თანადგომა, რომელსაც ასე უშურველად გასცემდით, გარდაცვალების პირველივე წუთებიდან უამრავ ადამიანში, ნაცნობსა თუ უცნობში, ყოფილ სტუდენტსა თუ კოლეგაში, მთელ საქართველოში, ტაო-კლარჯეთსა და ფერეიდანში განაგრძობს არსებობას და ეს რჩეულთა ხვედრია, უკვდავებაა, გამარჯვებაა!..

ღმერთს ებარებოდეთ, ბატონო ტარიელ!

მჯანსიონ ნივრევი

იამზე ვაშაკიძე

5 იან. 2021, 02:43

ეს ჩვენი ერთად ყოფნის ბოლო ღამეა 38 წლის თანაცხოვრების შემდეგ... შენ ყინულის სასახლეში წევხარ, კოვიდსაავადმყოფოს რუხი განცდებით დამაშვრალი, მე შენ გვერდით ვზივარ, როგორც მაშინ, პალატაში... მხოლოდ, სანუგეშებლად, შენი ჩარჩოში ჩასმული სურათი მიდგას და მას ვესაუბრები, ვეცრემლები... მენატრები, შენი სიტყვა, კამათი, მოფერება მომენატრა... რა შორს მეჩვენებოდა „სიმუხთლე ჟამისა“...

როგორ გავუძლო ამ ტკივილს, უშენობის ტკივილს, რომელიც მთელი დარჩენილი ცხოვრება გამყვება... მითხარი რამე სანუგეშო, გამამხნევე, ჩემო სიყვარულო... ნუთუ ჩვენთვის მართლა ყველაფერი დამთავრდა?! აქ ყველაფერი შენით სუნთქავს, მე ამ ველზე ვარ ამოზრდილი, ჩვენი შვილები და შვილიშვილები მასულდგმულებენ, მაგრამ უშენობას ვერაფერი მოარჩენს...

როგორ მშვიდად მიმზერ სურათიდან, აქაც სიშორე ჩადგა ჩვენ შუაში... აქამდე ზღაპარში მაცხოვრებდი, ახლა როგორ გინდა მწარე რეალობას შემავუო... ხო, ყველა სიკვდილის შვილები ვართ, საბოლოოდ ყველას ერთი გზა გვაქვს, მაგრამ ჯერ ხომ დასასრულზე არ მიფიქრია, შენთან ერთად მხოლოდ ჰაეროვან სამყაროში ვგრნობდი თავს... შენ მომატარე ჩვენი საყვარელი საქართველო, ტაო-კლარჯეთი, ფერეიდანი... შენ მასწავლე სიყვარული, რომელიც დასაშორებლად არ მემეტება, ღმერთო, ნუთუ ხვალის მერე ველარ გნახავ... როგორ გავუძლო უშენობას...

5 იან. 2021, 03:03

ჩემო ტკივილიანო სიყვარულო, ენით გამოუთქმელო... ჩემო სევდავ, ჩემს გულში დავანებულო, ისევ ისევ გეტყვი „მიყვარხარ“, როგორც მაშინ... ახლა შენს თვალებშიც ჩუმ დარდს ვხედავ... ისევ ჩემთან ხარ, არ მიმატოვებ... გთხოვ, არ მიმატოვო... სიზმარში მაინც მანუგეშე, რომ ამ სამყაროში არაფერი მთავრდება, ჩვენს

ერთიანობას ვერაფერი დაარღვევს... ჩვენს სიყვარულს ვერაფერი გააფერმკრთალებს... მიყვარხარ...

ნათია ფუტყარაძე

მადლობას ვუხდით ჩვენი ოჯახის ტრაგედიის გაზიარებისა და ქირისუფლის უმძიმესი ტვირთის განაწილებისათვის ბატონებს: სერგო ვარდოსანიძეს, გიორგი სოსიაშვილს, ალიკო ბაკურიძეს, დავით ცეცხლაძეს; თემურ გვანცელაძეს, ბიმურზა დადეშქელიანს და უზენაესი საბჭოს სხვა დეპუტატებს; ბატონებს: როლანდ კოპალიანს, შალვა კირთაძეს, კახა შენგელიას და სხვა უნივერსიტეტის რექტორებს; ბატონებს: კოკო გამსახურდიას, ჰარუნ ჩიმქეს, ფევი ჩელეს, საიდ მულიანს; ქალბატონებს: მაკა სალიას, ნაირა ალავერდაშვილს... მამას თითოეულ მეგობარს, შვილობილს, ახლობელსა თუ უბრალო ნაცნობს, რომლებიც მზად იყვნენ საკუთარი სისხლიც კი გადაეხათ, ოღონდ გადარჩენილიყო...

ყველა წერილი, სიყვარულისა და თანადგომის თითოეული გამოვლინება ძალას გვმატებდა ამ უთანასწორო ბრძოლაში... უდროოდ, ნამდვილად უდროოდ წაგვართვეს ჩვენი უშიშარი, მუდამ სამშობლოს გაერთიანებასა და გაძლიერებაზე მოფიქრალი მამა...

„სიკვდილს იქით ხომ უფრო დიდი სიცოცხლეაო“... ყველას უნაწილებდი შენს სითბოსა თუ ზრუნვას და შენს ზღვა ენერგიას მუდმივად ერთი, პრინციპული კალაპოტი ჰქონდა – საქართველოს ერთიანი, განათლებული, პატიოსანი და ძლიერი მომავალი თაობა...

როგორ დაგტიროდა ეს ზღვა ხალხი... ერთიმეორის მიყოლებით მოდიოდნენ და შენთვის ლოცულობდნენ, ნაცნობი თუ უცნობი მოძღვრები უფალს ავედრებდნენ შენს სულს, მამა...

დღემდე ვეფერები იმ გაცრეცილ ფურცელს, 7 წლისას რომ დამიწერე, რა მოეთხოვება ჭეშმარიტ ქართველსა და, ზოგადად, ადამიანს... სწორედ ამ დროიდან მახსოვს შენი საყვარელი 41-ე ფსალმუნიც: „ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროთა მიმართ

წყალთასა, ეგრე სურინ სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო!..“

უფალმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი, სადაც მართალნი განისვენებენ... 18 ახალი წიგნის იდეით ასე უდროოდ წასულო ჩემო ლამაზო... ჭკვიანო... კეთილშობილო და გამარჯვებულო მამა...

საენათმეცნიერო კლუბის პირველი შეხვედრა რომ გაიმართა დეკემბრის პირველ რიცხვებში, მაშინ არ იყო დამძიმებული, თუმცა საავადმყოფოს პალატაში იწვა... შეხვედრის დასრულებისთანავე დავურეკე, დაწვრილებით გამომკითხა პირველი მომხსენებლის – ქალბატონი დამანა მელიქიშვილის პრეზენტაციის, შეკითხვებისა და დამსწრე საზოგადოების შესახებ... გაუხარდა ამ კლუბის დაარსება და სასიამოვნოდ გაკვირვებული დარჩა კლუბში განევრების მსურველთა რაოდენობით... მთავარია, რაც შეიძლება ბევრი, თავისუფლად მოაზროვნე მეცნიერი ჩაერთოს და ყველამ საკუთარი, განსხვავებული ნახნაგით დაინახოს და წარმოაჩინოს თუნდაც ერთი და იგივე საკითხიო...

დავკარგე... როგორც უთბილესი მშობელი, უახლოესი მეგობარი, მზრუნველი, თანამოაზრე და კოლეგა.

ლინგვისტური საუბრებისას ისე აენთებოდა, თითქოს სისხლის ნაცვლად საქართველო და ქართველოლოგია ესხა ძარღვებში... „ვითარცა სურინ...“

გმადლობთ თანადგომისა და ამ სიტყვებისთვის, კოლეგებო...

ცოტნე ფუტკარაძე

2 იანვარს, საღამოს 9 საათზე ტარიელ ფუტკარაძემ დაასრულა სიცოცხლე და იქცა ისტორიად.

ხანდახან წიგნის არსს ვერ ჩასწვდები, სანამ ბოლო წერტილამდე არ მიხვალ, ასეა ტარიელის შემთხვევაშიც. შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ ბედნიერები, რომ მისი ადრეული სიკვდილით ჩვენ დაგვრჩა მეტი დრო ტარიელის მოსაგონრად და მისით საამაყოდ. თანაც ისეთი ტარიელის, როგორიც გვახსოვს: ძლიერი,

ენერგიული, მებრძოლი, ჭკვიანი... სწორედ ამიტომაც, ალბათ, ჯობდა არ გვენახა წლებით დასუსტებული ტარიელ ფუტკარაძე.

მამა და ყველა ექიმი ბოლომდე ებრძოდნენ სიკვდილს, არ დანებებოდნენ. არ წაუგია ბრძოლა უეცრად და ამით ჩვენ მოგვეცა საკმარისი დრო, რომ მისთვის გვებრძოლა და არ დაგვრჩენოდა უმოქმედობის დარდი. მადლობა ალიკო ბაკურიძეს, ალექო ჯეირანაშვილს, მირზა ხინიკაძეს, ვახტანგ კალოიანს, ლევან რატიანს, გიორგი სოსიაშვილს, სერგო ვარდოსანიძეს, დათო და ეთერ ცეცხლაძეებს, ბიძაჩემებს, რომლებმაც გაუჩინელი წამლები გააჩინეს და ყველას, ვინც მცირედი გულისხმიერებით მაინც ჩაერთო მამაჩემისთვის ბრძოლაში.

მამას ჰქონდა ჩვენი და იმ შვილების იმედი, რომლებიც სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრში გაზარდა.

...დღეს დედაქალაქში აჭარის მთის, ჩირუხის ნისლია!

ავთანდილ ფუტკარაძე

იმ გაუსაძლის დღეებში ჩემთვის ძალიან მტკივნეული იყო, მუდმივად მეპასუხა: „სამწუხაროდ, მძიმედ... მდგომარეობა უცვლელია...“; შემდეგ თითქოს: „რალაც ნათელი წერტილი გამოჩნდაო, ექიმმა...“, შემდეგ ისევ: „მდგომარეობა დამძიმდა“... მაგრამ ამავე დროს იყო უზარმაზარი თანადგომა და თითოეული ზარი გვაძლიერებდა, იმედს გვმატებდა...

სამწუხაროდ, 02 იანვარს შეწყდა ტარიელის სუნთქვა... თავდაყირა დადგა ჩვენს ოჯახში ყველაფერი...

ნელა-ნელა ვსწავლობთ ტარიელის გარეშე, მაგრამ ტარიელთან ერთად ცხოვრებას... ალბათ, ასე გაგრძელდება ჩემი დარჩენილი წლები – ტარიელის გარეშე ტარიელთან ერთად...

მთელი საქართველო გვერდში გვედგა მისი გარდაცვალების პერიოდშიც; მიუხედავად მძიმე პანდემიური სიტუაციისა, თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ მასთან გამოსათხოვებლად, გვირეკავდნენ უცხოეთიდან, თანადგომას გვიცხადებდნენ...

მადლობა, ტარიელ, ყველაფრისთვის, რასაც აკეთებდი ფაქტობრივ თუ ისტორიულ საზღვრებში მცხოვრები ქართველებისთვის, საქართველოსთვის, თითოეული ჩვენგანისთვის...

ტარიელის დანატოვარ უძვირფასეს საგანძურს – მეცნიერულ კვლევას ოჯახის წევრები, მეგობრები და მონაფეები ღირსეულად აგრძელებენ.

ცხოვრება გრძელდება....

თორნიკე ფუტყარაძე

– როგორ ხარ, ბიძია?

პასუხი:

– შესანიშნავად!!!

რაც არ უნდა მძიმე პერიოდი ყოფილიყო, მუდამ ახერხებდა პოზიტივისა და იმედის გამოსხივებას. სჯეროდა, რომ ყველაფრის მიღწევა შეგვიძლია და ამას ჩვენც გვაჯერებდა. ყოველთვის შესანიშნავად იყო და შესანიშნავად იცხოვრა.

ჩემი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მომენტი ჩემთან ერთად გაატარა, რადგან ეს მისთვისაც ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორც ჩემთვის. ბოლო ასეთი მომენტი ჩემი შვილის დაბადება და შემდგომ სამშობიაროდან გამოყვანა იყო; ჩემთან ერთად უხაროდა... მადლობა მას ამისათვის.

ქვეყნის, პროფესიისა და ახლობელი ადამიანების წინაშე პირნათლად შეასრულა განგებისაგან დაკისრებული მისია და მარადისობაში გადაინაცვლა.

მტკივა, მაგრამ ამაყად შემიძლია ვთქვა: მისი ცხოვრება უკვე ისტორიაა, რომელიც ახლო წარსულში ქართველთა სახელმწიფოებრიობისა და ეროვნულობის აღორძინების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთია.

მშვიდად განისვენე, ბიძია, შენი იდეები და ეროვნული ორიენტირები ჩვენში გააგრძელებს არსებობას.

ნათესავები

ჰანო აგაშვილი

ნათლიაჩემი მთელი ცხოვრება იმარჯვებდა და გარდაუვალთან დამარცხდა.

ისევე კოტე ძიასთან და მამაჩემთან ერთად იქნები...
უიმედობა ჭაობია.

ღვით ვაჟაყმაკე

დღეს უკანასკნელად დაგემშვიდობებით, ბატონო ტარიელ.

ღმერთმა დაგიმკვიდროთ ცათა სასუფეველი. მარად დარჩებით ჩვენს გულებში და მოგონებებში.

მოგვენატრებით.

ეზარ თურმანიძე

ბატონო ტარიელ, თქვენ უკვდავი ბრძანდებით... საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერო, სანამ ეს დამოუკიდებლობა იქნება საქართველოში, იქნებით თქვენც.

მადლობა საკუთარი სიცოცხლის ფასად უამრავი კეთილი საქმისთვის, რომელიც საქართველოსთვის გიკეთებიათ.

მადლობა, ჩემი სოფოს წარმატებებისთვის რომ ზრუნავდით.

მთელს ოჯახს გვიყვარხართ და მუდამ გვეყვარებით.

ამ სურათის გადაღების შემდეგ დავდეთ სანაძლეო, მაქსიმუმ, 40 წუთში თუ ავიდოდა ხიხანის ციხეზე. დროის ათვლიდან 32 წუთში გამოვიდა პირდაპირი ჩართვით ხიხანის ციხიდან. ასეთი ძლიერი იყო ბატონი ტარიელი, მან მოხსნა ჩემი რეკორდი.

ნამდვილად ძლიერი იყო, მთამსვლელი.

ვნუხვარ მისი გარდაცვალების გამო. დიდი მამულიშვილი იყო.

რთულია მასზე წარსულში ისაუბრო.

მთელმა საქართველომ მაღლობა უნდა გადავუხადოთ თავდაუზოგავი შრომისათვის, პატრიოტიზმისთვის.

უდიდესი მეცნიერის ღვანლი უსასრულობამდე გაჰყვება ჩვენს ქვეყანას.

ირაკლი თურმანიძე

ადამიანმა სხვადასხვა პერიოდში უამრავი განსაცდელი გამოიარო და ღირსება არასოდეს არ დაკარგო, ამას მხოლოდ ერთეულნი თუ ახერხებენ... ასეთი გახლდათ ჩემი უფროსი მეგობარი, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელის მომწერი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი, ბატონი ტარიელ ფუტყარაძე...

ის ყველგან და ყოველთვის მხოლოდ ქართულ საქმეს აკეთებდა და ქმნიდა თანამედროვეობის ეპოქას, ქართულ სულზე დაფუძნებულს...

მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა მის პატიოსან სულს... მისი ქარიზმატული ხასიათი და შემოქმედება დააკლდება თითოეული ჩვენგანის ყოფას.

მინდია თურმანიძე

ძალიან გამიჭირდა სიტყვების თავმოყრა... ჩემი ძვირფასი მეგობარი აღარ არის... კი, თავს ვაძლევ უფლებას, მიუხედავად ასაკუმი სხვაობისა, მას ჩემი მეგობარი ვუნდო...

დიდთან დიდი იყო, პატარასთან – პატარა... ყველას ერთნაირი გულმოდგინებით გადასცემდა სიტბოსა და სიყვარულს... ყველას ერთნაირი გულმოდგინებით ასწავლიდა სოფლის, ქალაქის, კუთხისა და ქვეყნის პატივისცემას და ერთგულებას... გული მწყდება, რომ ჩემი შვილის თანატოლები მხოლოდ წიგნებიდან გაიცნობენ მის ნააზრევს და დარიგებას...

ტარიელ, ძალიან დააკლდებით შუახევს, აჭარას და მთელ

საქართველოს... ვეცდები, რომ იმ გზით ვიარო, რომელზეც მიმი-
თითებდით... სამშობლოს და ადამიანების სიყვარულის გზით...
სასუფეველი გქონდეთ, მეგობარო!

სოფო, ნინო თურმანიძე

სოფო თურმანიძე:

დღეს ჩემს საქართველოს დიდი კედელი ჩამოეშალა...
ასე მგონია, დღეს კიდევ დავკარგეთ ტაო და კლარჯეთი.
როგორ მჯეროდა, რომ კიდევ წამიყვანდით ისტორიულ საქარ-
თველოში...
ჯერ არ მჯერა, ეს რომ მოხდა... ღმერთს ებარებოდეთ...

ზოგიერთი რამ:

მახსოვს ერთხელ, ქუთაისის უნივერსიტეტში ვყავდი და ყვე-
ლას გამაცნო, როგორც საკუთარი შვილი. მე მრცხვენოდა, ასეთი
ადამიანის შვილობა რა ჩემი შესაფერისია-მეთქი. აბა, სად ნათია
და სად მე-მეთქი, მაგრამ თვითონ ამბობდა, სოფოს მამობა შევი-
ფერეო.

ისიც მახსოვს, რომ მითხრა, მე და მამაშენი სოფლიდან ჩამო-
ვედით; ჩემი შვილი ახლა ევროპაშია, შენ, შენი საქმიანობიდან
გამომდინარე, დედაქალაქში ხარ საჭირო და თუ აუცილებელი
გახდება, შენი შვილი კონტინენტს უნდა გასცდესო.

როგორ შეეძლო, მუდამ სხვაზე ეფიქრა, როგორ შეეძლო, სი-
ცოცხლის ბოლო წამამდე ქვეყნისთვის ერუქებინა საკუთარი თავი
თავიდან ბოლომდე...

მოენატრება ტაოს, მოენატრება ჩვენს დაობლებულ სამშობლოს...

შეგეწიოთ თქვენი ცხოვრების თითოეული მადლიანი წამი და
ყველა ტაძრის მადლი.

მშვიდად განისვენე, აქ თქვენს დანყებულ საქმეს ბევრი გააგ-
რძელებს.

მთელი ბავშვობა მესმოდა: „ტარიელს ზარმაცი ადამიანები არ უყვარს“. დროდადრო ჩემი სახლის ბიბლიოთეკაში მხვდებოდა წიგნები ტარიელ ფუტკარაძის ავტორობით. მესმოდა მისი სახელით ბევრი რამ და ტარიელი აბსტრაქტული სახელი მეგონა, არა თუ ადამიანი.

შემდეგ იყო, მგონი, ურეკში შევხვდით ერთმანეთს პირველად... ერთ სახლში ვისვენებდით, დედამისთან. ბევრი რამ არ მახსოვს, აქაც – აბსტრაქტულად ყველაფერი.

ტარიელის ბათუმში ჩამოსვლა სხვანაირად იგრძნობოდა ჩემს სანათესავოში. ისმოდა ეს სახელი ეპოქალური სიმძიმით და მოკრძალებით.

მობდა სასწაული და პირველი ხანგრძლივი შეხვედრა 2018 წელს იყო – აგვისტოს ბედნიერი 10 დღე. ტარიელი ის ერთადერთი ადამიანი იყო, მამაჩემი მთელი არსებით რომ მიმაბარებდა და მოკითხვაც კი ერიდებოდა.

ღმერთს მადლობას ვუხდი ამ დღეებისთვის. მადლობა ღმერთს, რომ მოგვივლინა ტარიელი.

ტარიელი იყო იდეა.

ნინო თურმანიძე:

სოფო, შენ წერ და კიდევ ბოლომდე ვერ გამოხატავ სათქმელს...

მე ვფიქრობ, ვფიქრობ და საკუთარ თავზე ვჯავრდები, როგორ ვფიქრობ ტარიელზე წარსულში, ვიხსენებ მასთან ერთად ყოფნის დროს...

ალბათ, 3 თუ 4 წლისას მკითხა, შენ იცი, ვისი სახელი გქვიაო და დაიწყო თხრობა ამბისა ნინო წმინდისა...

მამაჩემს ეუბნებოდა, ნინოს მე გავზრდიო... მაგრამ მე სოფომ მაჯობა და მაინც ბედნიერი ვარ...

ტარიელი იყო ჩემთვის ინსპირაცია სამშობლოსადმი სიყვარულის...

დიდი, დიდებული მამულიშვილი, მუდამ დაულალავი, მოუსვენარი, უდიდესი მოტივატორი...

ვერ გეტყვი მართლაც, მშვიდად განისვენე-მეთქი, რადგან წარმოუდგენლად მიმაჩნია შენი მშვიდად ყოფნა თუნდაც მეორე სამყაროში...

მხოლოდ იმას ვისურვებ, რომ ბევრი, ბევრი, ბევრი „ტარიელი“ ჰყოლოდეს ჩვენს ქვეყანას...

ტარიელის გარდაცვალებამ მე, პირადად, და, ალბათ, ბევრიც დაგვაფიქრა სიცოცხლეზე და... სიკვდილზე...

უფალმა ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროს, შენი სახელი უკვდავი იქნება ყოველთვის...

ზვინალ ფუტკარაძე

ვუსამძიმრებ ოჯახს, დედმამიშვილებს, შუახევის მუნიციპალიტეტს, რეგიონს და სრულიად საქართველოს! ქვეყანამ დაკარგა გამორჩეულად ღირსეული მოქალაქე; მოქალაქე, რომელმაც ყველაფერი გააკეთა ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის; მოქალაქე, რომელსაც თავისი სამეცნიერო საქმიანობით ლომის წილი აქვს ქართულ ენათმეცნიერებაში; მოქალაქე, რომელმაც ძალიან ბევრი თაობა აღზარდა და დააყენა ცხოვრების სწორ გზაზე.

ვამაყობ, რომ ვარ თქვენი ნათლული და ყოველთვის სიამაყით ვიტყვი: მყავდა ნათლია, რომლის წილიც ქვეყნისა და ერის გამთლიანების საქმეში შეუფასებელი და განუსაზღვრელია!

ნიკოლოზ ფუტკარაძე

გამორჩეული ადამიანი, გამორჩეული მეცნიერი...

ყოველი წუთი მემახსოვრება, რომელიც გავატარე ამ უბრალო და გამორჩეულ ადამიანთან ერთად

ძალიან მოულოდნელი დარტყმა...

რამდენი რამ დაგრჩათ უთქმელი სამყაროსთვის...

დაკრძალვის შემდეგ უახლოეს პერიოდში ჩატარდა 21 შეკვეთილი წირვა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში:

1. 09.01.2021 – შავნაბადას წმ. გიორგის სახ. მამათა მონასტერი (თბილისი, თელეთი, მამა დავითი);
2. 09.01.2021 – წმ. მთავარანგელოზების მიქაელისა და გაბრიელის სახელობის ეკლესია (გარდაბანი, სოფ. კრწანისი, მამა მოსე);
3. 12.01.2021 – იოანე ნათლისმცემლის საკათედრო ტაძარი (სენაკი, მამა იოანე);
4. 15.01.2021 – გამონათლევის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია (აჭარა, შუახევი, მამა დავითი);
5. 16.01.2021 – წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძარი (თბილისი, ვარკეთილი, მამა დავითი);
6. 16.01.2021 – ღვთისმშობლის შობის ეკლესია (თბილისი, გლდანულა, მამა ნერსე);
7. 16.01.2021 – გ. ქიქოძის სახელობის ტაძარი (თბილისი, სანზონა, მამა გურამი);
8. 20.01.2021 – ალერტოს წმ. გიორგის სახელობის მონასტერი (სამეგრელო, სოფ. ფოცხო, მამა გაბრიელი);
9. 23.01.2021 – დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარი (სვანეთი, ლენტეხი, მამა იაკობი);
10. 23.01.2021 – წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია (თბილისი, ვარკეთილი, მამა დავითი);
11. 23.01.2021 – წმ. ნინოს სახელობის ეკლესია (თელავი, სოფ. ქისტაური, მამა გიორგი);
12. 23.01.2021 – წმ. ტბელ აბუსერისძის ტაძარი (ბათუმი, მამა ანდრია);
13. 23.01.2021 – ღვთისმშობლის შობის ეკლესია (თბილისი, გლდანულა, მამა ნერსე);
14. 25.01.2021 – წმ. ბარბარეს სახელობის ტაძარი (ქუთაისი, მამა ლუკა);
15. 28.01.2021 – წმ. მარინეს სახელობის ეკლესია (ახალციხე, მამა გიორგი);

16. 29.01.2021 – საფარის მონასტერი (ახალციხე, საფარა, არქიმანდრიტი არსენი);
17. 30.01.2021 – ახალშენის ფერისცვალების ტაძარი (ხელვეჩაური, ახალშენი, მამა ანდრია);
18. 30.01.2021 – ღვთისმშობლის შობის ეკლესია (თბილისი, გლდანულა, მამა ნერსე);
19. 04.02.2021 – წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია (ლანჩხუთი, მამა ირაკლი);
20. 05.02.2021 – მეტეხის ღვთისმშობლის შობის ეკლესია (თბილისი, მამა აკაკი, მამა ანტონი და მამა ტარიელი);
21. 10.02.2021 – მახათას ივერიის ღვთისმშობლის ხატის ტაძარი (თბილისი, მახათა, მამა შიო).

10.02.2021 – 40 დღე...

02.01.2022 – ერთი წელი...

შინაარსი

წინასიტყვაობა.....	5
პატრიარქის სამძიმარი.....	8
საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატების განცხადება შუამდგომლობა.....	9
კონსტანტინე გამსახურდია (საქართველოს დესპანი გერმანიაში).....	15
ბანათილევისა და კულტურის ცენტრები	
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.....	19
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.....	19
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საენათმეცნიერო საუბრების მოყვარულთა კლუბი.....	19
ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის ცენტრი.....	20
ისრაელის ქართული ხელოვნების ცენტრი.....	21
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.....	22
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ქართველოლოგიის ცენტრი.....	22
სახელმწიფო ენის დეპარტამენტი.....	23
სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლი.....	23
ფერეიდნიდან საქართველომდე.....	24
ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა.....	24
შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი.....	25
შუახვევის მუნიციპალიტეტის სოფელ შუბნის საჯარო სკოლა.....	25

მეგობრები, კოლეგები, სამეცნიერო-საგანმანათლებლო
სფეროს ოფიციალური წარმომადგენლები

ოსმან აითექინი.....	29
ნაირა ალავერდაშვილი.....	30
ამირან არაბული.....	30
ინგა არონია.....	36
ჰამიდ რეზა ასლანი.....	36
ციური ასპანიძე-მესხიშვილი.....	36
მაია აშაძე, ქეთევან დათუკიშვილი.....	37
ნინო ბარამიძე.....	37
ნომადი ბართაია.....	38
ზაზა ბაღდავაძე.....	42
ციალა ბენდელიანი.....	43
მარინე ბერიძე.....	43
ორჰან ბერიძე.....	44
ქეთი ბერძენიშვილი.....	44
მანანა ბუკია.....	44
დედიკა ბულია.....	45
ნინო ბუხრაშვილი.....	45
ქეთი გელაშვილი.....	46
ხათუნა გელაშვილი.....	48
კესო გეჯუა.....	48
მერაბ გვაზავა.....	49
თეიმურაზ გვანცელაძე.....	52
ომარ გვეტაძე.....	66
თამარ გითოლენდია.....	66
სონერ გოგერჩინი.....	67
თენგო გოგოტიშვილი.....	67
ლია გოგოხია.....	67
გურამ გოცირიძე.....	68
თენგიზ გუმბერიძე.....	69
მეჰმეთ ალი გურსოი.....	69

ეკა დადიანი.....	70
ფრიდონ დავითაძე.....	74
ლაშა დეისაძე-შარვაშიძე.....	76
ოზქან დემირი.....	77
ნიგარ დემირჯან ჩაქარი.....	77
ლუკა დვალიშვილი.....	78
გენრი დოლიძე.....	79
სერგო ვარდოსანიძე.....	79
პავლე ზაზაძე.....	85
ნატალია ზაქარეიშვილი.....	85
იმედა ზუმბაძე.....	85
დავუდ თავაზოი.....	86
თამარ თათარაშვილი.....	86
ლევან თაქთაქიშვილი.....	86
მარიკა თედორაძე.....	87
მაკა თეთრაძე.....	87
როლანდ თოფჩიშვილი.....	88
მალხაზ თუთისანი.....	88
დუიგუ იაზიჯი ოზგენი.....	88
ია იაშვილი.....	89
თარქან ილმაზი.....	89
სეზგინ ილმაზი.....	90
ნესტან კაკიტაძე.....	90
ვალერი კეკენაძე.....	91
ნინო ციციხოველიძე.....	91
კახა კვაშილავა.....	91
ზვიად კვაჭანტირაძე.....	93
შალვა კირთაძე.....	94
დეკანოზი დავით კონჯარია.....	95
ირაკლი კოპლატაძე.....	95
ნესტან კუტივაძე.....	95
მიხეილ ლაბაძე.....	96
ლელია ლემსაძე.....	97

შორენა ლომაია.....	100
როინ მაღაყმაძე.....	100
ზაზა მარუაშვილი.....	101
ნინო მაღრაძე.....	101
დალი მაჩაიძე.....	101
თეონა მაჭავარიანი.....	104
ნანა მაჭავარიანი.....	105
მარინა მარჯანიშვილი.....	105
მურად მთვარელიძე.....	105
თინათინ მილორავა.....	106
მაია მიქაუტაძე.....	107
შოთა მუმლაძე.....	108
მაია მჭედლიძე უზალი, ფეჰმი უზალ უსტიაშვილი.....	108
ლია ნადირაშვილი.....	109
ურა ნანუაშვილი.....	109
რუზგარ ნასალღევი.....	110
ავთანდილ ნიკოლეიშვილი.....	110
თამარ ნინიძე.....	111
ჯუნეთ ნუნიძე.....	112
ემინე ოზთურქ ოდაბაში.....	112
სონერ ორალი.....	113
ლელა რაზმაძე.....	113
მაკა სალია.....	113
გუნა სამნიძე.....	114
მამა მირიან სამხარაძე.....	121
რუსუდან სალინაძე.....	125
გიორგი სოსიაშვილი.....	126
მარიამ სულხანიშვილი.....	142
ლალი ურდულაშვილი.....	145
მამია ფალავა.....	146
ნინო ფალავა.....	147
ჟუჟუნა ფეიქრიშვილი.....	147
ფერეიდნელი ძმები.....	154

ზაქარია ფურცხვანიძე.....	155
ეგნატე ფუტკარაძე.....	156
შუშანა და ჯემალ ფუტკარაძეები.....	156
ნინო ფხაკაძე.....	156
დურსუნ ქაია.....	157
მაია ქუჭიშვილი.....	157
თამარ ღვინიაანიძე.....	158
დავით ღვინიაშვილი.....	158
დავით შავიანიძე.....	159
ნანი ნანო შაინიძე.....	163
თენგიზ შარმანაშვილი.....	163
ლილი შაყულაშვილი.....	163
ერდოგან შენოლი (დავითაძე).....	164
რევაზ შეროზია.....	164
ირაკლი შონია.....	166
ნოდარ შოშიტაშვილი.....	166
მედეა შურღაია.....	167
გრეტა ჩანტლაძე.....	167
ფევი ჩელეები.....	170
ნინო ჩიხლაძე.....	170
ვალერიან ცეცხლაძე.....	171
კახა ცეცხლაძე.....	172
ფათიჰ მეიდან ცვარიძე.....	173
იოანე მამუკა ცუხიშვილი.....	173
რიტა ნაქაძე.....	174
ნატო ნულეისკირი.....	174
სოფიკო ჭაავა.....	175
მანანა ჭიჭინაძე.....	175
თამუნა ჭყოიძე.....	176
ია ხაჭაპურიძე.....	176
ლელა ხაჭაპურიძე.....	179
ლუიზა ხაჭაპურიძე.....	180
მაკა ხეცურიანი.....	185

მანანა ხვინგია.....	185
თამარ ხიმშიაშვილი.....	185
ზურაბ ხონელიძე.....	186
გიორგი ხორბალაძე.....	187
ირინა ხურციძე.....	188
მურად ჯიშკარიანი.....	188

სტუდენტები, დოქტორანტი

ნინო აბესაძე.....	191
თამარ აბესაძე-მემარნე.....	191
მიშა აბულაძე.....	192
ნინი აბულაძე.....	192
ნათია ადამია.....	193
თამარ ახალკაცია.....	194
ნინა ბარნოვა.....	195
ქრისტინა ბალათურია.....	196
ანა ბეგაშვილი.....	196
სალომე ბელელაძე.....	197
თამო ბულაძე.....	198
თაკო გელაშვილი.....	198
ქეთი გელაშვილი.....	199
ია გელბახიანი.....	199
რუსა გონაშვილი.....	199
თამარ გოქაძე.....	200
მარიამ გოქაძე.....	200
მაია გრიგალაშვილი.....	202
სალომე გუმბერიძე.....	203
ქეთევან გურჩიანი.....	203
ცაგო გურჯიძე.....	204
ია გუჯეჯიანი.....	207
სოფო დოლაბერიძე.....	207
ნათია ელბაქიძე.....	207

ლელა ვაშაკიძე.....	208
დიანა ვოლკოვი.....	209
გიორგი ზვიადაძე.....	210
თამილა ზვიადაძე.....	210
გაბრიელ თაგაური.....	210
თამთა თალაკვაძე.....	212
თამარ კაკაჩია.....	212
ნინი კანტიძე.....	213
ლუკა კარკაძე.....	214
ეკა კელენჯერიძე.....	214
მარიამ კეჟერაძე.....	215
მანანა კვანტრიშვილი.....	215
მარიამ კოტრიკაძე.....	216
სოფო კუბლაშვილი.....	216
ცისია კურტანიძე.....	219
ნათია ლეჟავა.....	219
სალომე მათიაშვილი.....	219
მირანდა მამისაშვილი.....	220
ნინო მარგველანი.....	220
ნინო მარნაძე.....	220
შაკო მაქაცარია.....	221
მარიამ მაჭარაშვილი.....	221
თამარ მილორავა.....	222
ეკა მუკბანიანი.....	225
საიდ მულიანი.....	225
ნესტან მჟავანაძე.....	229
მარი მწყერაშვილი.....	229
მარი ნადარეიშვილი.....	230
ნინო ობოლაძე.....	231
გვანცა ოდიშვილი.....	231
ლიკა ოთინაშვილი.....	231
ბელა პაპავა.....	232
მარიამ პაპაშვილი.....	233

სალო სანიკიძე.....	234
ქეთი სვანიძე.....	234
ნინო სიღამონიძე.....	235
ირაკლი სილაგაძე.....	236
ქრისტი სიჭინავა.....	236
ნათია სუბელიანი.....	236
მაკა ფარქოსაძე.....	236
იამზე ფუტკარაძე.....	237
მაიკო ქავთარაძე.....	238
ქეთი ქათამაძე.....	238
ანანო ქარდავა.....	239
სოფიო ყაულაშვილი.....	239
თამთა შავიანიძე.....	242
მარიამ შალამბერიძე.....	242
დავით შანიძე.....	243
ლელა შარვაძე.....	243
მარი შილაკაძე.....	244
სოფო ჩაფიძე.....	245
ნინო ჩილოშვილი.....	245
შორენა ცაბაძე.....	246
სოფო ცერცვაძე.....	247
ანი ცუხიშვილი.....	247
შორენა წიგნაძე.....	250
ფიქრია ჭანტურია.....	250
ნინი ჭოლაძე.....	251
თეო ჭულუხაძე.....	252
ნინი ხატიაშვილი.....	252
თეონა ჯაღალღონია.....	253
ნათია ჯიმშელეიშვილი.....	254
ელისო ჯიქია.....	254

ოჯახის წევრები

იამზე ვაშაკიძე.....	257
ნათია ფუტყარაძე.....	258
ცოტნე ფუტყარაძე.....	259
ავთანდილ ფუტყარაძე.....	260
თორნიკე ფუტყარაძე.....	261

ნათესავები

ვანო აბაშვილი.....	265
დავით ვაშაყმაძე.....	265
ემზარ თურმანიძე.....	265
ირაკლი თურმანიძე.....	266
მინდია თურმანიძე.....	266
სოფო, ნინო თურმანიძეები.....	267
ზვიად ფუტყარაძე.....	269
ნიკოლოზ ფუტყარაძე.....	269



აქცია მთავრობის სახლის წინ



ზვიად გამსახურდიასადმი მიძღვნილი შეკრება ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში.
2019 წელი



შეხვედრა 400 წლის შემდეგ სამშობლოში ფეხით დაბრუნებულ
ფერეიდნელ ქართველებთან. 2019 წელი



ვაჟა ექიმის მხარდამჭერთა აქცია. 2019 წელი



ზურაბ ებრალიძესთან ერთად



ალიკო ბაკურიძესთან ერთად



ზაზა ბაღდავაძესთან ერთად. ტარიელის 55 წლის იუბილე – 2015 წლის 9 მაისი



დალი მაჩაიძესთან ერთად. 1984 წელი



იური ხარაიშვილთან და ასმათ ხუციშვილთან ერთად. საშური – 2017 წელი



მერაბ დანელია, მურად ჯიშკარიანი და ტარიელ ფუტყარაძე



მურად მთვარელიძესთან ერთად



შუახვეული მეგობრები შოთა ცეცხლაძის იუბილეზე. 2020 წელი



მარცხნიდან – ანზორ აბუსელიძე, მარჯვნიდან – კაკო ბერიძე. ბათუმი. 2019 წელი



როინ მალაყმაძესთან და ჯემალ ფუტკარაძესთან ერთად მაჭახელას ხეობაში.
2020 წელი



შოთა არაბულთან ერთად



პროფ. მაგალი თოდუასთან ერთად. 1996 წელი



მანანა ტაბიძე, ტარიელ ფუტყარაძე და თემურ გვანცელაძე



მერაბ ნაჭყეზია, ტარიელ ფუტკარაძე და თედო უთურგაიძე ქართულ უნივერსიტეტში



ტარიელ ფუტკარაძე და სერგო ვარდოსანიძე დუზჯეს უნივერსიტეტში, თურქეთი



მარცხნიდან – საიდ მულანი, ნერიმან ალბაირაქი, საიდის მეუღლე მარიამი, ტარიელ ფუტყარაძე, გიორგი სოსიაშვილი, მერაბ ნაჭყეზია და თემურ გვანცელაძე



მარცხნიდან – ნომადი ბართია, ტარიელ ფუტყარაძე, ვახტანგ გურული და ავთანდილ ნიკოლეიშვილი. 2015 წელი



შეხვედრა მერაბ ბერიძესთან სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში. 2017 წელი



შალვა კირთაძე, როლანდ კოპალიანი და ტარიელ ფუტყარაძე
ლოქტორანტებთან ერთად



ქუთაისის ი. ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ათი წლის იუბილე. დამფუძნებლები. 2019 წელი



ქუთაისური საუბრები – XV. 2019 წელი



ქეთი გურჩიანთან და სოფო კეკელასთან ერთად



ქართველოლოგიის ცენტრის თანამშრომლები და დოქტორანტები



მარცხნიდან – მაია მიქაუტაძე, ტარიელ ფუტყარაძე და ეკა დადიანი



ნიგნ „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევების“ პრეზენტაცია ქართულ უნივერსიტეტში. 2019 წელი



ნიგნ „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევების“ პრეზენტაცია ქართულ უნივერსიტეტში. 2019 წელი



ნიგნ „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევების“ პრეზენტაცია ქართულ უნივერსიტეტში. 2019 წელი



ქართული ენის პროგრამის ხელმძღვანელი და მსმენელები ქართულ უნივერსიტეტში



ლექცია ქართული უნივერსიტეტის ეზოში



ლექცია მზის გულზე. ქართული უნივერსიტეტი



სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია – 2007. წყალტუბო



ლუიზა ხაჭაპურიძე, ეკა დადიანი, თინათინ მილორავა, ფიქრია ჭაბუკიანი და ტარიელ ფუტყარაძე სტუდენტებთან ერთად ანსუ ქართველოლოგიის ცენტრში



სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი კონფერენციის მონაწილეები.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი



ტბეთის ტაძართან. დიალექტოლოგიური ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში – 2019 წელი



სანძთის სამრეკლოსთან. 2018 წელი



სანძთის წყაროს აღდგენა. 2019 წელი



გზა არტანუჯის ციხისაკენ. 2019 წელი



გზა არტანუჯის ციხისაკენ. 2019 წელი



ნახტომი თამარის ციხიდან. 2018 წელი



დაშვება მასისის მთიდან



ტორტი „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“. 2019 წელი



დედა – ნათელა და ძმები – თეიმურაზი, ფრიდონი,
ტარიელი და ავთანდილი საფუტკრეთში



ოჯახი: სხედან – ტარიელი, ია, რძალი ნინო მელიქიძე და უფროსი ვაჟი რატი.
დგანან – სიძე ოლეგ ირემაშვილი, ნათია და ცოტნე. 2013 წელი



მეუღლესთან ერთად მცხეთაში. 2019 წლის 15 სექტემბერი



საუნივერსიტეტო კონფერენციაზე



მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმში



ანის ნათლობა. 2015 წელი



შვილიშვილები – მარიამ, დარი ირემაშვილები და ანი ფუტკარაძე. 2017 წელი



შვილიშვილ ელენე ირემაშვილთან ერთად. 2020 წელი

მომავალ შესვედრამდე ძმებო, მთებო და უმცროს-უფროსო მეგობრებო 😊



Prinsip dasar kesehatan, gizi, dan
kehidupan yang berkaitan dengan gizi.

Prinsip dasar

kehidupan yang berkaitan dengan gizi,
fungsi gizi dalam tubuh, dan
kehidupan yang berkaitan dengan gizi,
dan gizi yang berkaitan dengan gizi.

Prinsip dasar

Prinsip dasar gizi yang berkaitan dengan
kehidupan yang berkaitan dengan gizi,
dan gizi yang berkaitan dengan gizi.

Prinsip dasar

Prinsip dasar gizi yang berkaitan dengan
kehidupan yang berkaitan dengan gizi,
dan gizi yang berkaitan dengan gizi,
dan gizi yang berkaitan dengan gizi.

Prinsip dasar

kehidupan yang berkaitan dengan gizi,
fungsi gizi dalam tubuh, dan
kehidupan yang berkaitan dengan gizi,
dan gizi yang berkaitan dengan gizi.

Prinsip dasar

ISBN 978-9941-499-15-9



9 789941 499159